Publikationen
zur rechtlichen Zusammenarbeit

3/2025

შედარებითი სამართლის ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung

Gefördert durch:
Bundesministerium der Justiz
aufgrund eines Beschlusses des Deutschen Bundestages

IRZ

Elektronische Publikation

3/2025

შედარებითი სამართლის

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische

ZEITSCHRIFT FÜR RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განგრძობითი იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR INTERNATIONALE RECHTLICHE ZUSAMMENARBEIT E.V.

IRZ

Gefördert durch:

Bundesministerium der Justiz

aufgrund eines Beschlusses

UNIVERSITAS TPHILISENSIS 1918

NB LEGAL

BSH Think Legally.

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)
ISSN 2667-9817 (ელექტრონული)
© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2025
© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2025
© ავტორები, 2025

www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიციანა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
პროფ. ტანელ კერიკმაე
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ფრანკ ჰუპფელდი
ხათუნა დიასამიძე
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
დავით მაისურაძე
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ხატია პაპიძე
დოქ. არჩილ ჩოჩია
ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე
დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
თორნიკე დარჯანია
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
სულხან გველესიანი
ნატალი გოგიაშვილი
ჰატიმ ჰუსეინი
დანიელ ფოა
დიმიტრიოს პაპადოპულოსი
ოსკარ ფონ კოსელი
რაფაელ კნეერი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია
ნინო ქავშბაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

სარჩევი

სტატიები

ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა პირადი საჭიროების გამო 7
ულრიხ ჰაგენლოხი

წარმომადგენლის ცოდნის შერაცხვა სკ-ის 106 I მუხლის საფუძველზე 28
გიორგი რუსიაშვილი / ულრიხ ჰაგენლოხი

პიროვნული ზიანის ანაზღაურება გერმანიასა და საქართველოში ნაწილი III: შემოსავლის დაკარგვით მიყენებული ზიანი 45
თამარ ზამბახიძე / ულრიხ ჰაგენლოხი

უბედური შემთხვევების თავიდან აცილება: საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან 81
კონსტანტინე კორკელია

სასამართლო პრაქტიკა

დასაქმების შეზღუდვა (Garden Leave) - ინ-სტიტუტის არსი და დამსაქმებლის, როგორც მოსარჩელის მტკიცების ტვირთი მსგავსი კა-ტეგორიის საქმეებზე 138
(სვიმონიშვილი)

ბლოგი

ხელოვნური ინტელექტის გამოწვევები და საფრთხეები 142
ლევან ნანობაშვილი

ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა პირადი საჭიროების გამო*

ულრიხ ჰაგენლოხი
დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი (პენსიონირებული)

I. საკანონმდებლო რეგულაციები და მათი კონსტიტუციურ-სამართლებრივი კავშირი:

1. საკანონმდებლო რეგულაციები:

ქართულ და გერმანულ სამართალში, პირადი საჭიროების გამო ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი ძირითადად მსგავსადაა მოწესრიგებული.

სკ-ის 562 II ბ) მუხლის მიხედვით, ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის პატივსადები მიზეზი არსებობს მაშინაც, თუ გამქირავებელს საცხოვრებელი ფართი „სჭირდება უშუალოდ თვითონ ან ახლო ნათესავებისთვის."

გსკ-ის 573-ე პარაგრაფი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

„§ 573 გამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის სტანდარტული უფლება

(1) გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის გამართლებული ინტერესი. ხელშეკრულების შეწყვეტა ქირის თანხის გაზრდის მიზნით გამორიცხულია.

(2) ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისას გამქირავებლის გამართლებული ინტერესი არსებობს, კერძოდ, როდესაც:

1. დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია;

*2. **გამქირავებელს საცხოვრებელი ფართი საცხოვრებელ ბინად სჭირდება თავისთვის, თავისი ოჯახის წევრებისა თუ საერთო მეურნეობაში მონაწილე სხვა ნათესავებისათვის;** ან*

3. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების შედეგად გამქირავებელს ხელი შეეშლებოდა მიწის ნაკვეთის სამეურნეო მიზნით სათანადოდ გამოყენებაში და ამის შედეგად მიიღებდა მნიშვნელოვან ზარალს; საცხოვრებელი ფართის სხვა პირზე გაქირავებით მომატებული ქირის თანხის მიღების შესაძლებლობა მხედველობაში არ მიიღება; გამქირავებელს არ შეუძლია ასევე იმ ფაქტზე მითითება, რომ მას სურს, გაასხვისოს გაქირავებული ფართი ბინაზე საკუთრების უფლების დაგეგმილ ან დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდგომ განხორციელებულ დადგენასთან დაკავშირებით.

* გერმანულიდან თარგმნა *ნატალი გოგიაშვილმა.*

(3) გამქირავებლის მხრიდან გამართლებული ინტერესის დასაბუთება უნდა მიეთითოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში. სხვა საფუძვლები გათვალისწინებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შემდგომში წარმოიშვა.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

წმინდა ენობრივი თვალსაზრისით, ეს ორი მუხლი განსხვავდება იმ მხრივ, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი:

- მოთხოვნას აყენებს საცხოვრებელი საჭიროებისთვის გამოყენების შესახებ და
- სარგებლის მიმღებ პირთა წრეს უფრო ფართოდ განსაზღვრავს, ვიდრე საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ტერმინით „ახლო ნათესაობა".

გამქირავებლის მიერ პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება გერმანიის სამართალში შეზღუდულია გსკ-ის 574-ე პარაგრაფში გაწერილი დამქირავებლის შესაგებლის უფლებით.

574-ე პარაგრაფი: ხელშეკრულების შეწყვეტის წინააღმდეგ დამქირავებლის შესაგებელი

(1) დამქირავებელს შეუძლია, გამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის წინააღმდეგ ***წარადგინოს შესაგებელი*** *და მისგან მოითხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება,* ***თუ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა დამქირავებლის, მისი ოჯახისა თუ საერთო მეურნეობაში მონაწილე სხვა ნათესავებისათვის იქნებოდა მძიმე,*** *რაც არ არის გამართლებული თუნდაც გამქირავებლის პატივსადები ინტერესების აღიარებით. ეს წესი არ მოქმედებს, თუ არსებობს საფუძველი, რომელიც გამქირავებელს ანიჭებს შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვის გარეშე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილებას.*

(2) სირთულე არსებობს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ საცხოვრებელი ფართის სათანადო შეცვლა მისაღები პირობებით ვერ ხორციელდება.

(3) გამქირავებლის პატივსადები ინტერესების აღიარების შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინებაში 573 III პარაგრაფის თანხმად მოცემული საფუძვლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საფუძვლები შემდგომში წარმოიშვა.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

გარდა ამისა, გერმანიის სამართალში, საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების გადასვლის შემთხვევაში, აუცილებელია გსკ-ის 577a I პარაგრაფით გათვალისწინებული შეზღუდვის ვადის გათვალისწინება.

577a პარაგრაფი: ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობის შეზღუდვა საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების გადასვლის შემთხვევაში

(1) თუ დამქირავებლისათვის გაქირავებული საცხოვრებელი ფართების გადაცემის შემდეგ მათზე დგინდება საკუთრების უფლება და ეს უკანასკნელი გასხვისდა, მაშინ შემძენს შეუძლია მიუთითოს გამართლებულ ინტერესზე, 573 II 2 პარაგრაფის გაგებით, გასხვისებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ.

(1a) ...

(2) პირველი ნაწილის მიხედვით, ვადა შეადგენს ათ წელს, თუ სათანადო პირობებით გასაქირავებელი საცხოვრებელი ბინებით მუნიციპალიტეტში ან მუნიციპალიტეტის ნაწილში მოსახლეობის საკმარის მომარაგებას განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება და ეს ტერიტორიები დადგენილია მე-2 წინადადების მიხედვით. ფედერაციული მხარეების მთავრობები უფლებამოსილნი არიან, პირველი წინადადების მიხედვით, სახელისუფლო განკარგულების საფუძველზე განსაზღვრონ ეს ტერიტორიები და ვადა თითოეულ შემთხვევაში ათ წლამდე ვადით.

ბოლოს, სასამართლოს შეუძლია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (გსსკ) 721-ე პარაგრაფის შესაბამისად დამქირავებელს განუსაზღვროს გამოსახლებისთვის ვადა, რომელიც შეიძლება ერთ წლამდე გაგრძელდეს.

2. პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასება:

პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება დაკავშირებულია ინტერესთა კონფლიქტთან, რომელიც არსებობს გამქირავებლის კონსტიტუციურად დაცულ საკუთრებასა (ისევე როგორც ქვექირავნობისას კონსტიტუციურად დაცულ განკარგვის უფლებასა) და დამქირავებლის კონსტიტუციურად დაცულ მფლობელობის უფლებებს შორის, რომელიც დაცულია, როგორც გერმანიის კონსტიტუციის 14 I 1 მუხლით, ისე საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით.[1] სასამართლოებმა პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის განხილვის პროცესში ამ კონფლიქტურ კონსტიტუციურ მიზნებს შორის სათანადო ბალანსის დაცვა უნდა მოახერხონ.[2]

ამიტომ, სასამართლოებს, ერთი მხრივ, არ აქვთ უფლება, გამქირავებლის პირადი ცხოვრების დაგეგმვასთან და საცხოვრებელი ფართის ადეკვატურ საჭიროებასთან დაკავშირებული ხედვები საკუთარი შეხედულებებით შეცვალონ. მეორე მხრივ, დამქირავებლის უფლებების დაცვა მოითხოვს, რომ სასამართლოებმა ყურადღებით შეამოწმონ, მართლაც სერიოზულია თუ არა გამქირავებლის მიერ გაცხადებული პირადი საჭიროება და შესაძლებელია თუ არა გამქირავებლის სურვილის დაკმაყოფილება თავისი სხვა ბინით.[3] კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკუთრების დაცვა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ეფექტური სამართლებრივი დაცვის უფლება კრძალავს საკუთრების უფლებებით დაცული უფლებების განხორციელების დაუსაბუთებელ გართულებას ზედმეტად ფორმალური მოთხოვნების (მაგ., ხელშეკრულების შეწყვეტის წერილთან დაკავშირებით) ან პროცედურული მოთხოვნების (მაგ., მტკიცების ტვირთისა და დასაბუთების ვალდებულების) ზედმეტად შეზღუდული ინტერპრეტაციითა და გამოყენებით.[4]

II. სარგებლის მიმღებ პირთა წრე:

როგორც სკ-ის 562 I ბ) მუხლი, ისე გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფი დეტალურად არ არეგულირებს, თუ რომელი გამქირავებლები შეიძლება იყვნენ უფლებამოსილნი პირადი საჭიროების გამო შეწყვიტონ ხელშეკრულება და რა კავშირში უნდა იყვნენ ისინი საცხოვრებელი ფართის მაძიებელ პირებთან. თუმცა, სასამართლო პრაქტიკაში ამ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული კრიტერიუმები ჩამოყალიბდა.

1. გერმანიის სამართალი:

გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფით სარგებლის მიმღებ პირთა წრის განსაზღვრისთვის საჭიროა ორმაგი შემოწმება. პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, შეუძლია თუ არა ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორ გამქირავებელს საერთოდ ჰქონდეს პირადი საჭიროება. აღნიშნული, მაგალითად, გამორიცხულია, თუ გამქირავებელი კაპიტალური ან სავაჭრო-სამეწარმეო საზოგადოებაა. მეორე მხრივ, პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტა იმ პირობით არის შესაძლებელი, თუ საცხოვრებელი ფართის მაძიებელი არის თავად გამქირავებელი, ან მისი ოჯახის წევრი, ან საერთო მეურნეობაში მონაწილე პირი.

ა) გამქირავებლის პიროვნებასთან დაკავშირებული ფაქტორები (ე. წ. საჭიროების მქონე პირი):

აა) იურიდიული პირები:

გერმანიის სამართალში აღიარებულია, რომ იურიდიულ პირებს გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის

[1] იხ. დეტალურად: BVerfG, Beschluss vom 26. Mai 1993 - BvR 208/93 - BVerfGE 89, 1, juris Rn. 19 ff.

[2] BVerfG, Beschluss vom 9. Oktober 2014 - 1 BvR 2335/14 - NJW-RR 2015, 526, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 29. März 2017 - VIII ZR 45/16 - BGHZ 214, 269, juris Rn. 35.

[3] იხ. დეტალურად: BGH, Urteil vom 4. März 2015 - VIII ZR 166/14 - BGHZ 204, 216, juris Rn. 14 ff.; BGH, Urteil vom 29. März 2017 - VIII ZR 45/16 - BGHZ 214, 269, juris Rn. 25 ff., თითოეულ შემთხვევაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განმარტებით; სრულად ასევე: *Selk* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 573 BGB, Rn. 21.

[4] BVerfG, Beschluss vom 9. Februar 2000 - 1 BvR 889/99 - NJW-RR 2000, 673, juris Rn. 8.

საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ აქვთ.[5] აღნიშნული გამომდინარეობს იმ საფუძვლებიდან, რომ მათ არც საცხოვრებელი ფართი სჭირდებათ საკუთარი თავისთვის, არც ოჯახის წევრები ჰყავთ და არც სხვა პირებთან ერთად ეწევიან საერთო მეურნეობას.

(1) სამართლებრივი უსაფრთხოების ასპექტები:

როგორც გაფორმების აქტი (Gestaltungsakt), რომელიც შორსმიმავალი სამართლებრივი შედეგებით ხასიათდება, ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა ეფუძნებოდეს მაქსიმალურად უსაფრთხო და უტყუარ ფაქტობრივ ნიშნებს. პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის სამართალში სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ეფექტური სამართლებრივი დაცვის ასპექტებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.[6] ამიტომ, პირადი საჭიროების საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა ეფუძნებოდეს რაც შეიძლება მკაფიო და დამქირავებლისთვის გამჭვირვალე კრიტერიუმებს.

აღნიშნული დათქმა წინააღმდეგობაში მოვიდოდა იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალური საზოგადოების აქციონერთა სტრუქტურაზე იქნებოდა დამოკიდებული, ექნებოდა თუ არა კაპიტალურ საზოგადოებას პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როცა დამქირავებელს მარტივად არ შეუძლია გაიგოს, ვინ არის კაპიტალური საზოგადოების აქციონერი. გარდა ამისა, უფლების ბოროტად გამოყენების (მაგ., აქციონერის შეცვლით) მეტი შესაძლებლობებიც იარსებებდა, თუ კაპიტალურ საზოგადოებებს პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება ექნებოდათ მათი „ეკონომიკური მფლობელის" სასარგებლოდ გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის საფუძველზე.[7] იგივე ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც კაპიტალური საზოგადოება აცხადებს, რომ საცხოვრებელი ფართი მისი ხელმძღვანელი ორგანოს წევრისთვის სჭირდება.[8]

თუ კაპიტალური საზოგადოება ცდილობს, მოიპოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება გასაქირავებელი ობიექტის საზოგადოების ქონების აქტივიდან ამოღებით და ფიზიკურ პირზე გადაცემით, ეს შეიძლება კონკრეტულ შემთხვევაში სამართლის ბოროტად გამოყენებად შეფასდეს.[9] მაგალითად, ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიერ სამართლის ბოროტად გამოყენებად განისაზღვრა ის ფაქტი, რომ კაპიტალურმა საზოგადოებამ მის კუთვნილ ბინაში საერთო საკუთრების მცირე წილი ფიზიკურ პირს იმ მიზნით გადასცა, რათა ამ უკანასკნელს პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტა შეძლებოდა.[10]

(2) გსკ-ის 573 I პარაგრაფის საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება:

გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების არარსებობა არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ იურიდიულ პირს, გაქირავებულ ქონებაზე პირადი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, გსკ-ის 573 I პარაგრაფის მიხედვით ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ ჰქონდეს.

---

5 BGH, Urteil vom 15. Dezember 2010 - VIII ZR 210/10 - NJW 2011, 993, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 27. Juni 2007 - VIII ZR 271/06 - NJW 2007, 2845, juris Rn. 13; Staudinger/Rolfs (2021) BGB § 573, Rn. 77.

6 შდრ. BGH, Urteil vom 10. Juli 2024 - VIII ZR 276/23 - juris Rn. 37; BGH, Urteil vom 14. Dezember 2016 – VIII ZR 232/15 - BGHZ 213, 136, juris Rn. 50; BGH, Urteil vom 9. Dezember 2020 - VIII ZR 238/18 - NJW 2021, 1232, juris Rn. 15 ff.; BGH, Urteil vom 9. November 2005 - VIII ZR 339/04 - BGHZ 165, 75, juris Rn. 17 ff.

7 შდრ. ამხანაგური ტიპის სავაჭრო საზოგადოებებისთვის: BGH, Urteil vom 23. Mai 2007 - VIII ZR 122/06 - NJW-RR 2007, 1460, juris Rn. 10.

8 *Staudinger/Rolfs* (2021) BGB § 573, Rn. 77, სასამართლო ინსტანციების სასამართლო პრაქტიკაზე მითითებებით.

9 *Staudinger/Rolfs* (2021) BGB § 573, Rn. 76, სასამართლო ინსტანციების სასამართლო პრაქტიკაზე მითითებებით.

10 BGH, Beschluss vom 30. März 2021- VIII ZR 221/19 - NJW-RR 2021, 1168, juris Rn. 9.

ხელშეკრულების შეწყვეტის ორივე უფლება თანაბრად მნიშვნელოვანია.[11] ამიტომ, სულ მცირე, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის აღიარებულია, რომ მათ, გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფით „მსგავსი" ინტერესის არსებობის შემთხვევაში, შეუძლიათ ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა.[12] ამის დასტურად ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო სამართლებრივი წესით ორგანიზებულმა საეკლესიო თემმა ბინის იჯარის ხელშეკრულება შეწყვიტა, რათა ამ სივრცეში მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვა საეკლესიო ორგანიზაცია განთავსებულიყო, რომელიც კონსულტაციებს გაუწევდა აღზრდის, ქორწინებისა და ზოგად ცხოვრებისეულ საკითხებზე.[13] ამ შემთხვევაში, საჯარო სამართლის წესით ორგანიზებული გამქირავებლის პირადი ინტერესები ისევე მოქმედებს, როგორც შემდგომში განხილული კერძო გამქირავებლის ინტერესები (იხილეთ ქვემოთ II.1.ბ)).

თუ კაპიტალურ საზოგადოებას მის მიერ უცხო პირზე გაქირავებული საცხოვრებელი ფართი თავისი თანამშრომლებისთვის სჭირდება, ასეთ შემთხვევებში მოქმედებს იგივე პრინციპები, რაც სასამართლო პრაქტიკაში ამხანაგური ტიპის სავაჭრო საზოგადოებების (Personenhandelsgesellschaften) შემთხვევაშია დადგენილი (იხილეთ ქვემოთ ბბ) ქვეთავის ბოლოს).

აა) სავაჭრო საზოგადოებები:

გერმანიის ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკისა და ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, სავაჭრო საზოგადოებებს (ღია სავაჭრო საზოგადოებები, კომანდიტური საზოგადოებები) ასევე არ გააჩნიათ პირადი საჭიროების საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება.[14]

მათი უფლებაუნარიანობის გამო, მათი, როგორც გამქირავებლების, სამართლებრივი მდგომარეობა, გამოყოფილია მათი პარტნიორებისგან. ეს მკაცრი გამიჯვნა უნდა შენარჩუნდეს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებასთან დაკავშირებითაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ამხანაგური ტიპის სავაჭრო საზოგადოებები (Personenhandelsgesellschaften) ვერ შეძლებენ საცხოვრებელ ფართზე პირადი ან ოჯახური წევრების საჭიროების ან მესამე პირებთან საერთო საოჯახო მეურნეობის წარმოების მტკიცებას.[15]

ეს მიდგომა არ არის უსამართლო. პირი, რომელსაც თავისი პირადი ქონება სავაჭრო საზოგადოებაში შეაქვს ან მასში ტოვებს, მზად უნდა იყოს, რომ ამ საზოგადოებას გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ ექნება.[16] ამიტომ, პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტა ვერ დაეფუძნება იმ გარემოებას, რომ სავაჭრო საზოგადოების პარტნიორს ბინა საკუთარი საჭიროებებისთვის სჭირდება.[17]

ანალოგიურად, როგორც იურიდიული პირის შემთხვევაში (იხ. ზემოთ II. 1. ა) აა) (2)), ამხანაგური ტიპის სავაჭრო საზოგადოებებისთვის (Personenhandelsgesellschaften) გსკ-ის 573 I პარაგრაფის საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული „მსგავსი" ინტერესის არსებობის შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც საზოგადოების თანამშრომელს საწარმოს მიზეზით სჭირ-

[11] BGH, Urteil vom 9. Mai 2012 - VIII ZR 238/11 - NJW 2012, 2342, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 23. Mai 2007 - VIII ZR 113/06 - ZMR 2007, 767, juris Rn. 13.

[12] BGH, Urteil vom 9. Mai 2012 - VIII ZR 238/11 - NJW 2012, 2342, juris Rn. 14.

[13] BGH, Urteil vom 9. Mai 2012 - VIII ZR 238/11 - NJW 2012, 2342, juris Rn. 15.

[14] *Staudinger/Rolfs* (2021) BGB § 573, Rn. 76, სასამართლო ინსტანციების სასამართლო პრაქტიკაზე მითითებებით.

[15] კომანდიტურ საზოგადოებაზე დეტალურად: BGH, Urteil vom 23. Mai 2007 - VIII ZR 122/06 - NJW-RR 2007, 1460, juris Rn. 10; LG Hamburg, Urteil vom 30. Juli 2010 - 311 S 21/10 - ZMR 2011, 41, juris Rn. 14.

[16] BGH, Urteil vom 15. Dezember 2010 - VIII ZR 210/10 - NJW 2011, 993, juris Rn. 8 ff.; LG Hamburg, Urteil vom 30. Juli 2010 - 311 S 21/10 – ZMR 2011, 41, juris Rn. 14 ff.

[17] BGH, Urteil vom 23. Mai 2007 - VIII ZR 113/06 - ZMR 2007, 767, juris Rn. 10; LG Hamburg, Urteil vom 30. Juli 2010 - 311 S 21/10 - ZMR 2011, 41, juris Rn. 12 ff.; ღიად იქნა დატოვებული: BGH, Urteil vom 23. Mai 2007 - VIII ZR 122/06 - NJW-RR 2007, 1460, juris Rn. 10.

დება ბინა, რომელიც უცხო პირზეა გაქირავებული (ე. წ. საწარმოს საჭიროება). ამ შემთხვევაში აუცილებელი წინაპირობაა, რომ გამქირავებელს გონივრული მიზეზები ჰქონდეს ბინის გამოყენებისთვის და ეს სურვილი დამაჯერებლად იყოს ახსნილი.[18] ამ მიდგომის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა და რა მნიშვნელობა აქვს საწარმოსთვის თანამშრომლის ფუნქციასა და ამოცანას, რათა მან საცხოვრებელი ადგილი გაქირავებულ ბინაში მიიღოს.[19] ამასთან, დამქირავებლის ინტერესების დაცვის მიზნით, ამ შემთხვევებში არ უნდა იქნეს გამოყენებული იმაზე ნაკლები სტანდარტები, ვიდრე გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის პირდაპირი გამოყენებისას.

ბბ) საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობები (Bruchteilsgemeinschaften):

გერმანულ სამართალში არაუფლებაუნარიან პიროვნულ გაერთიანებებს, როგორებიცაა გსკ-ის 741-ე და შემდეგი პარაგრაფების შესაბამისად საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობები (Bruchteilsgemeinschaften), პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება აქვთ.[20]

ეს ეფუძნება იმ ფაქტს, რომ არაუფლებაუნარიანი პიროვნული გაერთიანებების შემთხვევაში მათი წევრების სამართლებრივი მდგომარეობა ყოველთვის, მათ შორის პირადი საჭიროების შემთხვევაშიც, გადამწყვეტია. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, საკმარისია პიროვნული გაერთიანების თუნდაც ერთ წევრს ჰქონდეს პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობა.[21] აღნიშნული დათქმა მოქმედებს თუ არა გაერთიანებებზე, რომელთაც მრავალი წევრი ჰყავთ, ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ფედერალური უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკით. თუმცა, სავარაუდოდ, აღნიშნული მიდგომა უარყოფილი იქნება, როგორც ეს მოხდა ამხანაგობის პუბლიკურ გაერთიანებებთან (იხილეთ ქვემოთ დდ)).

ამასთან, აუცილებელია პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ ვინ არის უფლებამოსილი გამოიყენოს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება. აღნიშნული მიემართება წარმომადგენლობის ზოგად პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც ჩვეულებრივ საჭირო ხდება საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობის (Bruchteilsgemeinschaften) ყველა წევრის ერთობლივი მოქმედება.

გგ) ამხანაგობა:

ამხანაგობას გარკვეულწილად განსაკუთრებული მდგომარეობა გააჩნია. სასამართლო პრაქტიკის მიერ განვითარებული ზოგადი პრინციპების[22] გაგრძელების ფარგლებში, სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე ამხანაგობას (ე. წ. გარე-ამხანაგობა) ახლა უკვე კანონით მინიჭებული აქვს უფლებაუნარიანობა (გსკ-ის 705 II პარაგრაფი, რომელიც 2024 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქციით ამოქმედდა). ამ ცვლილებას (რომელიც უკვე არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას აკოდიფიცირებს) არ გამოუწვევია სასამართლო პრაქტიკის მანამდე არსებული პრინციპების რაიმე სახის ცვლილება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს თემა გერმანულ იურიდიულ დისკუსიებში ძალიან სადავო საკითხად რჩება; ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს აღნიშნული საკითხი ჯერ არ გადაუწყვეტია.[23] ავტორების მოსაზრებით, მიუხედავად გსკ-ის 705 II პარაგრაფის ახალი რედაქციისა, უნდა შე-

[18] BGH, Urteil vom 23. Mai 2007 - VIII ZR 113/06 - ZMR 2007, 767, juris Rn. 11 f.

[19] BGH, Urteil vom 23. Mai 2007 - VIII ZR 113/06 - ZMR 2007, 767, juris Rn. 12 f.

[20] BGH, Urteil vom 22. Juni 2022 - VIII ZR 356/20 - NJW 2022, 3631, juris Rn. 44; BGH, Urteil vom 2. September 2020 - VIII ZR 35/19 - NJW 2021, 620, juris Rn. 12.

[21] BGH, Urteil vom 10. Juli 2024- VIII ZR 276/23 - NJW 2024, 2909, juris Rn. 18 ff.; BGH, Urteil vom 22. Juni 2022 - VIII ZR 356/20 - NJW 2022, 3631, juris Rn. 44; BGH, Urteil vom 2. September 2020 - VIII ZR 35/19 - NJW 2021, 620, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 14. Dezember 2016 - VIII ZR 232/15 - BGHZ 213, 136, juris Rn. 43.

[22] იხ. დეტალურად: BGH, Urteil vom 29. Januar 2001 - II ZR 331/00 - BGHZ 146, 341, juris Rn. 4 ff.

[23] BGH, Urteil vom 10. Juli 2024 - VIII ZR 276/23 - NJW 2024, 2909, juris Rn. 17, ლიტერატურაში არსებული საკამათო შეხედულებების მიხედვით.

ნარჩუნდეს ის, რაც ფედერალურმა სასამართლომ 2007 წლის 27 ივნისის[24] ძირითადი გადაწყვეტილებით დაადგინა. ამ გადაწყვეტილებაში ნათქვამია შემდეგი:[25]

„გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის მიხედვით გათვლილია ფიზიკურ პირებზე. (გარე)-ამხანაგობა არ წარმოადგენს ფიზკურ პირს, რის გამოც გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფი მასზე პირდაპირ ვერ გავრცელდება (BGH, Urteil vom 27. Juni 2007 - VIII ZR 271/06, NJW 2007, 2845 Rn. 18; ...).

2. ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, რომელსაც სააპელაციო სასამართლოც იზიარებს, ხელშეკრულების შეწყვეტის აღნიშნული საფუძველი გამოყენებული უნდა იყოს იმ შემთხვევებში, როდესაც გამქირავებელი (გარე)-ამხანაგობაა.

ა) მართალია, იურიდიული პირი ვერ მიუთითებს, რომ მის მიერ გაქირავებული საცხოვრებელი ფართი მას სჭირდება თავისი თავისთვის ან ოჯახის/სამეურნეო წევრებისთვის (დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა; იხ. BGH, Urteil vom 16. Juli 2008 - VIII ZR 282/07, NJW 2008, 3361 Rn. 12; BGH, Urteil vom 10. September 2003 - VIII ZR 22/03, NJW-RR 2004, 12),

1) ხოლო გარე-ამხანაგობა არ ითვლება იურიდიულ პირად (BGH, Urteil vom 29. Januar 2001 - II ZR 331/00, BGHZ 146, 341; BGH, Urteil vom 23. Oktober 2001 - XI ZR 63/01, BGHZ 149, 80), არამედ იგი წარმოადგენს (მხოლოდ) ნაწილობრივ უფლებაუნარიან ამხანაგობაზე დაფუძნებულ საზოგადოებას.

აა) თუმცა, ფედერალური უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მას მინიჭებული აქვს გარე შეზღუდული უფლებაუნარიანობა, რის შედეგადაც სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობით იგი ხდება უფლებებისა და ვალდებულებების მატარებელი მთლიანობა, როგორც პარტნიორებისგან დამოუკიდებელი სამართლებრივი სუბიექტი. (დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა; იხ. BGH, Urteil vom 29. Januar 2001 - II ZR 331/00, aaO, S. 347; Urteil vom 5. März 2008 - IV ZR 89/07, BGHZ 175, 374, 379).

ბბ) გარე-ამხანაგობის ნაწილობრივი უფლებაუნარიანობა, იურიდიული პირებისგან განსხვავებით, მას არ აქცევს მისი პარტნიორებისგან სრულად დამოუკიდებელ სამართლებრივ სუბიექტად (...).“

ფედერალური სასამართლო აღნიშნული სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ამხანაგობის ინტერესები უფრო ახლო დგას საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობის (Bruchteilsgemeinschaften) ინტერესებთან და არა ამხანაგური ტიპის სავაჭრო საზოგადოებების (Personenhandelsgesellschaften) ინტერესებთან:[26]

„სენატის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ამხანაგობის მონაწილეთა პირადი საჭიროების გათვალისწინება საფუძვლიანია, რადგან არ არის გამართლებული ამხანაგობის მონაწილის უფრო უარეს მდგომარეობაში ჩაყენება, ვიდრე გამქირავებელთა მარტივი გაერთიანების წევრების შემთხვევაში. თუ რამდენიმე ფიზიკური პირი გამქირავებელია, ერთ-ერთი გამქირავებლის პირადი საჭიროება აძლევს გაერთიანებას ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას; აღნიშნული სხვაგვარად არ უნდა შეფასდეს, თუ ეს პირები ამხანაგობის სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე საერთო მიზანს ემსახურებიან და ამხანაგობას ქმნიან, მით უმეტეს, რომ ხშირად შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, ბინა ქირავდება გამქირავებელთა გაერთიანების თუ ამხანაგობის მიერ...“.

თუმცა, პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება დაუშვებელია, თუ ამხანაგობასა და მის მონაწილეებს შორის პიროვნული კავშირი არ არის. ეს განსაკუთრე-

[24] BGH, Urteil vom 27. Juni 2007 - VIII ZR 271/06 - NJW 2007, 2845, juris Rn. 10 ff.; დადასტურდა - BGH, Urteil vom 15. Dezember 2010 - VIII ZR 210/10 - NJW 2011, 993, juris Rn. 10.

[25] ამონარიდი - BGH, Urteil vom 14. Dezember 2016 - VIII ZR 232/15 - BGHZ 213, 136, juris Rn. 15 ff.; ციტატა ოდნავ შეცვლილია.

[26] ამონარიდი - BGH, Urteil vom 15. Dezember 2010 - VIII ZR 210/10 - NJW 2011, 993, juris Rn. 10.

ბით ეხება საზოგადოებებს, რომლებიც წარმოადგენენ პუბლიკუმის საზოგადოებებს, მაგალითად, უძრავი ქონების ფონდებს. ასეთ შემთხვევაში, პარტნიორის პირადი საჭიროება იმდენად უკანა პლანზე გადადის, რომ დამქირავებელს არ უნდა შეეხოს პარტნიორის ან მისი ნათესავის პირადი საჭიროება.[27]

ამ პრინციპების შესაბამისად უნდა განისაზღვროს ის ფაქტი, რომ ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის პირადი საჭიროება საკმარისია ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების არსებობისთვის. თუმცა, როგორც საერთო ქონებაზე წილადი საკუთრების მქონე პირთა ერთობლიობის (Bruchteilsgemeinschaften) შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა დაადასტურონ საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებმა, ძირითადად ყველა პარტნიორმა ერთად.

ბ) საცხოვრებელი ფართის მაძიებელი:

გერმანულ სამართალში, გამქირავებლის გარდა, საცხოვრებელი ფართის მაძიებლად შესაძლოა მისი ოჯახის ან სამეურვეო წევრები განიხილებოდნენ.

გერმანულ სამართალში პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება კონციპირებულია იმგვარად, რომ გამქირავებლის ოჯახის ან საერთო მეურნეობაში მონაწილე წევრის საცხოვრებელი ფართის საჭიროება გამქირავებლის ლეგიტიმურ ინტერესად ითვლება.[28] ეს ემყარება იმ მოსაზრებას, რომ გამქირავებელი, რომელიც ქირავნობის ობიექტს ოჯახის წევრს გადასცემს, როგორც წესი, ითვალისწინებს მის საჭიროებასა და ბინით სარგებლობასთან დაკავშირებულ მოლოდინებს.[29] ამიტომ, სასამართლოებმა გამქირავებლის გადაწყვეტილებას, პატივი სცეს მისი ოჯახის წევრის მოლოდინს სარგებლობის ფორმასთან დაკავშირებით, ისეთივე მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ, როგორც თავად გამქირავებლის სურვილს (იხ. ზემოთ I.2.).[30] ამასთანავე, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, პირადი საჭიროება არ არსებობს, თუ გამქირავებლის ოჯახის ან საერთო მეურნეობაში მონაწილე წევრი საერთოდ არ აპირებს იმ ბინაში გადასვლას, რომელიც გამქირავებელმა მას გადასცა.[31]

თუ არსებობს პირადი საჭიროება საცხოვრებელი ფართის მაძიებლის საჭიროებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ბინაში ასევე შეიძლება გადავიდნენ ადამიანები, რომლებიც გამქირავებლის ოჯახს ან საერთო მეურნეობაში მონაწილე პირებს არ მიეკუთვნებიან.[32]

აა) ოჯახის წევრები:

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ოჯახის წევრის ცნების განმარტება სადავო იყო. ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 2024 წლის 10 ივლისის[33] მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიხედვით, ოჯახის წევრის ცნება განისაზღვრება მხოლოდ ობიექტური სამოქალაქო-სამართლებრივი კავშირის („ნათესაობის ხარისხი") საფუძველზე (შედარებისთვის, მათი მნიშვნელობის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადებებში იხ. ზემოთ II.1.ა) აა) (1)) და არა ახლო ურთიერთობის მიხედვით. ქვედა ინსტანციების სასამართლო პრაქტიკასა და ლიტერატურაში[34] ადრე გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა სოცია-

[27] BGH, Urteil vom 10. Juli 2024 - VIII ZR 276/23 - NJW 2024, 2909, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 14. Dezember 2016 - VIII ZR 232/15 - BGHZ 213, 136, juris Rn. 50 mwN.

[28] *Staudinger/Rolfs* (2021) BGB § 573, Rn. 79 und Rn. 87.

[29] BGH, Urteil vom 4. März 2015 - VIII ZR 166/14 - BGHZ 204, 216, juris Rn. 26; *Tiedemann* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 573 BGB (Stand: 20.06.2024), Rn. 117.

[30] BGH, Urteil vom 4. März 2015 -VIII ZR 166/14 - BGHZ 204, 216, juris Rn. 27.

[31] BVerfG, Beschluss vom 30. Juni 1993 - 2 BvR - 459/93 - NJW 1993, 2165, juris Rn. 31; BGH, Beschluss vom 11. Oktober 2016 - VIII ZR 300/15 - NJW-RR 2017, 75, juris Rn. 12.

[32] შდრ. Staudinger/Rolfs (2021) BGB § 573, Rn. 74.

[33] BGH, Urteil vom 10. Juli 2024 - VIII ZR 276/23 - NJW 2024, 2909, juris Rn. 32 ff.

[34] *Selk* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 573 BGB, Rn. 25; Staudinger/Rolfs (2021) BGB § 573, Rn. 85, დამატებით წყაროებთან ერთად.

ლური კავშირები ან „მორალური ვალდებულებები" არსებობს გამქირავებელსა და საცხოვრებელი ფართის მაძიებელს შორის, ან გარკვეულწილად ზრუნავს თუ არა გამქირავებელი საცხოვრებლის მაძიებელ პირზე.

გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის შესაბამისად ოჯახის წევრებისა და სხვა პირების გამიჯვნის კრიტერიუმად ფედერალური სასამართლო თავის 2024 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებაში (მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკის გაგრძელებით)[35] იყენებს მოწმის მიერ უარის თქმის უფლების შესახებ პროცესუალურ დებულებებს. ფედერალური სასამართლო, სხვა საკითხებთან ერთად, აცხადებს შემდეგს (ციტატები მცირედით შეცვლილია)[36]:

„გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფით კანონმდებლის მიერ ოჯახის წევრების პრივილეგირების მიზანი იმ გარემოების გათვალისწინებაა, რომ ოჯახში მჭიდრო ნათესაობის საფუძველზე, როგორც წესი, არსებობს პირადი ურთიერთობისა და ურთიერთსოლიდარობის დამოკიდებულება, რაც ამ პრივილეგიას ამართლებს (იხ. BGH, Urteil vom 27. Januar 2010 - VIII ZR 159/09, BGHZ 184, 138 Rn. 21). ... კანონმდებლის მიერ ოჯახისთვის გათვალისწინებული პრივილეგია ემყარება ტიპიზებულ ხედვას, რომლის მიხედვითაც, ამ კატეგორიაში მოხვედრილ პირებს შორის ოჯახური ურთიერთობების გამო არსებობს განსაკუთრებული, ახლო ურთიერთობის ვარაუდი. ამ ფონზე, კანონმდებლის მიერ პრივილეგირებულ პირთა წრისთვის (დამატებითი) რეალური სიახლოვის არსებობა საჭირო არ არის (იხ. BGH, Urteil vom 2. September 2020 - VIII ZR 35/19, NJW 2021, 620 Rn. 20). ასევე, კანონის ტიპიზებული მიდგომის გათვალისწინებით, აღნიშნულ პირთა წრე არ შეიძლება განვაზოგადოთ კონკრეტულ შემთხვევებში სოციალური სიახლოვის არსებობაზე, რადგან კანონმდებელმა გსკ-ის 573 II №2 და 577a Iა 2 პრივილეგიები არ დააკავშირა კონკრეტულ შემთხვევებში ახლო ურთიერთობის არსებობასთან და არც ასეთი ურთიერთობის არსებობა მიიჩნია საკმარისად. .....

ამგვარად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ პირთა რომელი ჯგუფისთვის მიიჩნია კანონმდებელმა, ტერმინი „ოჯახის" გამოყენებით, ტიპურად არსებული და ამით, კონკრეტულ შემთხვევაში ურთიერთობის ხასიათისგან დამოუკიდებლად გამართლებადი – განსაკუთრებული სოციალური კავშირი. გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის ფარგლებში კანონმდებელმა არ განსაზღვრა კონკრეტულად, თუ რომელი ნათესაური კავშირის შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ მსგავსი პირადი ურთიერთობა. თუმცა, კანონმდებელმა ასეთი შეფასება გააკეთა პირადი მიზეზებით, მოწმის მიერ ჩვენებაზე უარის თქმის უფლების მინიჭების კონტექსტში, რომელიც ასევე ახლო ურთიერთობასა და კავშირზე არის დაფუძნებული, სადაც ნათესაობის ხარისხის მიხედვით ობიექტური კრიტერიუმები შემოიღო და ამ გზით განსაზღვრა იმ პირთა წრე, რომელთა შორის, მისი აზრით, ჩვეულებრივ, არსებობს პირადი ახლო ურთიერთობა. შესაბამისად, მართებულია, ამგვარი კანონმდებლობითი შეფასება ასევე გავითვალისწინოთ იმ პრივილეგიებისთვის, რომლებიც გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის მიხედვით ოჯახის წევრებისთვის პირად კავშირზეა დამყარებული. (იხ. BGH, Urteil vom 2. September 2020 - VIII ZR 35/19, NJW 2021, 620 Rn. 19 f.; BGH, Urteil vom 27. Januar 2010 - VIII ZR 159/09, BGHZ 184, 138, juris Rn. 22; BGH, Beschluss vom 27. April 2023 - V ZB 58/22, NJW-RR 2023, 863, juris Rn. 31). ის ფაქტი, რომ კანონმდებელმა მოცემულ დებულებებში მოწმის მიერ უარის თქმის უფლების ნორმებზე პირდაპირი მითითება არ გააკეთა, ლიტერატურაში გამოთქმული ცალკეული მოსაზრებისაგან განსხვავებით (...), არ ეწინააღმდეგება ამ მიდგომას. ამ გზით დადგენილი პირთა წრის გენერალიზებული განსაზღვრა, რომელთათვისაც გამქირავებელს შეუძლია გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის მიხედვით პირადი საჭიროება მოითხოვოს, იძლე-

[35] BGH, Urteil vom 2. September 2020 - VIII ZR 35/19 - NJW 2021, 620, juris Rn. 17 ff.; BGH, Urteil vom 27. Januar 2010 - VIII ZR 159/09 - BGHZ 184, 138, juris Rn. 22; BGH, Beschluss vom 27. April 2023 - V ZB 58/22 NJW-RR 2023, 863, juris Rn. 31.

[36] BGH, Urteil vom 10. Juli 2024 - VIII ZR 276/23 - NJW 2024, 2909, juris Rn. 32 ff.

ვა როგორც გამქირავებლისთვის, ასევე დამქირავებლისთვის სამართლებრივი უსაფრთხოებისა და გეგმიურობის გარანტიას. ამით შესაძლებელია, იმ დავების თავიდან არიდებაც, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ქირავნობის ხელშეკრულების მხარეებს შორის, თუ გათვალისწინებული იქნება პირადი კავშირის სუბიექტური გარემოება და საჭირო გახდება კონკრეტულ შემთხვევაში მისი არსებობისა და სიღრმის შეფასება, რაც, საბოლოო ჯამში, მათ ურთიერთობას ზიანს მიაყენებდა.“

აღნიშნული სასამართლო პრაქტიკის შედეგია, რომ (მოწმის მიერ უარის თქმის უფლების გამო) გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის დაცვის სფეროში შედიან ცალ-ცალკე მცხოვრები ან განქორწინებული მეუღლეებიც.[37] თუმცა, ფედერალური უმაღლესი სასამართლოს აღნიშნული პრაქტიკა ლიტერატურაში ნაწილობრივ გაკრიტიკებულია, განქორწინებული მეუღლის მოწმედ დაკითვაზე უარის თქმის უფლების დაცვის განსხვავებული მიზნის გამო.[38] თუმცა ეს პრაქტიკა მაინც სწორია, რადგან, როგორც წესი, განქორწინებულ გამქირავებელს აქვს სპეციფიკური პირადი ინტერესი იმისა, რომ მის ყოფილ მეუღლეს ჰქონდეს შესაბამისი საცხოვრებელი ფართი ადეკვატურ პირობებში (გაშორების გამარტივება; ალიმენტის მოთხოვნებზე თუ შვილებზე ზრუნვაზე ზეგავლენა; წარსულში ქორწინებიდან გამომდინარე დარჩენილი მორალური ვალდებულება და ა. შ.).

ბბ) საერთო მეურნეობაში მონაწილე პირები:

საერთო მეურნეობაში მონაწილე პირებში მოიაზრება ყველა ის პირი, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში და მუდმივად გამქირავებლის საერთო მეურნეობაში არიან ჩართულნი და მასთან ერთად მჭიდრო საცხოვრებელ კავშირში იმყოფებიან.[39] აქ შედიან საერთო მეურნეობაში მცხოვრები ოჯახის წევრები, ქორწინების გარეშე თანამცხოვრები პარტნიორები და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები.[40] თუმცა, საერთო საცხოვრებლის (მაგ., ე. წ. სტუდენტური საერთო საცხოვრებელი) წევრები ჩვეულებრივ არ ითვლებიან სამეურნეო ოჯახის წევრებად, რადგან ისინი საერთო მეურნეობას არ უძღვებიან.[41]

2. ქართული სამართალი:

ქართული სამართალი გერმანულის მსგავსად არის ჩამოყალიბებული. თუმცა, უფლებამოსილი პირების წრე უფრო ვიწროა, რადგან სკ-ის 562 I ბ) მუხლის მიხედვით იგი შემოიფარგლება გამქირავებლითა და მისი ახლო ნათესავებით. მიუხედავად ამისა, შესაძლოა (და მიზანშეწონილია) ქართული სამართლისთვისაც, სამართლებრივი უსაფრთხოების მიზნიდან გამომდინარე, ახლო ნათესაობის ცნება მოწმის მიერ უარის თქმის უფლების არსებობას დაეფუძნოს. ეს უზრუნველყოფს მკაფიო გამიჯვნის კრიტერიუმებს და თავიდან აირიდებს გაურკვევლობებს სამართლებრივი უფლებების ეფექტურად განხორციელების დროს.

ასევე კითხვაზე, ამხანაგური ტიპის საზოგადოებების პარტნიორები პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის რეგულაციების დაცვის სფეროში მოექცევიან თუ არა, საქართველოში, შესაძლოა, გერმანული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინება. საქართველოში ოჯახის სხვა წევრები პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის რეგულაციების მოქმედების ქვეშ ვერ მოექცევიან.

---

37 იხ.: BGH, Urteil vom 2. September 2020 - VIII ZR 35/19 - NJW 2021, 620, juris Rn. 17 ff.; BGH, Urteil vom 27. Januar 2010 - VIII ZR 159/09 - BGHZ 184, 138, juris Rn. 22.

38 *Selk* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 573 BGB, Rn. 25; Staudinger/Rolfs (2021) BGB § 573, Rn. 82 დამატებით წყაროებთან ერთად.

39 *Selk* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 573 BGB, Rn. 25; *Helmut Krenek* in: Spielbauer/Schneider, Mietrecht, 2., neu bearbeitete Auflage, § 573 BGB, Rn. 5; Staudinger/Rolfs (2021) BGB § 573, Rn. 88, დამატებით წყაროებთან ერთად.

40 შდრ. *Helmut Krenek* in: Spielbauer/Schneider, Mietrecht, 2., neu bearbeitete Auflage, § 573 BGB, Rn. 5; Staudinger/Rolfs (2021) BGB § 573, Rn. 88; *Tiedemann* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 573 BGB (Stand: 20.06.2024), Rn. 104.

41 *Tiedemann* in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 573 BGB (Stand: 20.06.2024), Rn. 105.

III. საცხოვრებელი ფართის საჭიროება:

1. გერმანული სამართალი:

ა) საცხოვრებელი ფართის გამოყენება/შერეული გამოყენება:

გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის მიხედვით პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტა არ მოითხოვს, რომ განზრახული გამოყენება მხოლოდ საცხოვრებელი მიზნებისთვის ხორციელდებოდეს. შერეული გამოყენების შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც ფართი გამოიყენება ბინად და ასევე, საადვოკატო ოფისად, საკმარისია, განზრახული გამოყენება უპირატესად პირადი საცხოვრებელი მიზნებისთვის იყოს გათვალისწინებული.[42]

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ უპირატესად სხვა მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში პირადი საჭიროების საფუძველი ავტომატურად გამოირიცხება. გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფი ქმნის პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის ცალკე საფუძველს, რომელიც გამართლებულია იმით, რომ გამქირავებელს გასაქირავებელ ბინაში სურს პირადი საცხოვრებელი ადგილის შექმნა საკუთარი თავისთვის ან მისი ოჯახის ან საერთო მეურნეობაში მონაწილე წევრისთვის,[43] და ასეთი პირადი თავშესაფრის მიზანი განსაკუთრებულ დაცვას იმსახურებს. ამის მიუხედავად, გსკ-ის 573 I პარაგრაფის ზოგადი დებულებიდან გამომდინარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის საფუძვლის პარალელურად თანაბარ მნიშვნელობას ინარჩუნებს (იხ. ზემოთ II. 1 ა) აა) (2)).[44]

თუმცა, შეწონადობის ასპექტები გარკვეულწილად იცვლება, რადგან მნიშვნელოვანია განსხვავება იმ შემთხვევაში, როდესაც გამქირავებელი ერევა დამქირავებლის არსებულ საცხოვრებელ გარემოში, რათა საკუთარი ან მისი ოჯახის წევრის საცხოვრებელი გარემო შექმნას (რომელიც კონსტიტუციურად დაცულია), თუ ეს ხდება ძირითადად პროფესიული მიზეზებით (რომლებიც ასევე გერმანიის კონსტიტუციის მე-12 მუხლის მიხედვით პროფესიული თავისუფლებით არის დაცული).[45] ჩვეულებრივ, სასამართლო პრაქტიკა გსკ-ის 573 I 1 პარაგრაფის მიხედვით ლეგიტიმური ინტერესის არსებობის აღიარებისთვის ასევე საკმარისად მიიჩნევს თუ გამქირავებელს, საცხოვრებლის შერეული გამოყენების შემთხვევაშიც კი, ქირავნობის კანონიერად შეწყვეტის გარეშე არსებითი ზიანი მიადგებოდა. ამიტომ, გამქირავებლის ინტერესს ბინის დაბრუნებასთან დაკავშირებით, როგორც წესი, უპირატესობა ენიჭება დამქირავებლის ინტერესთან შედარებით, თუ გამოყენების სერიოზული სურვილი გონივრულ და დასაბუთებულ მიზეზებზეა დაფუძნებული და თუ გამქირავებელს, ქირავნობის ფართში შესვლის შეზღუდვის შემთხვევაში, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგება. თუმცა, უფრო მაღალი მოთხოვნები უნდა დაწესდეს იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი მიზნებისთვის გამოყენება სრულიად უმნიშვნელო როლს ასრულებს.[46]

თუ ხელშეკრულების შეწყვეტა სახლის დამხმარეების (მზრუნველობის მიმწოდებელი პირები, სახლის თანამშრომლები, სახლის მეთვალყურეები) საცხოვრებელი საჭიროებით არის დასაბუთებული, აღნიშნული შეიძლება გსკ-ის 573 I პარაგრაფის საფუძველზე გამართლებული იყოს, თუ გამქირავებლის ინტერესს აქვს ისეთივე მნიშვნელოვანი წონა, როგორიც გსკ-ის 573 II პარაგრაფში მაგალითად მოყვანილ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს. ეს გულისხმობს, რომ სახლს, დამხმარეების მიერ საქმი-

[42] BGH, Urteil vom 10. April 2024 - VIII ZR 286/22 - NJW-RR 2024, 692, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 29. März 2017 - VIII ZR 45/16 - BGHZ 214, 269, juris Rn. 44 f.

[43] შდრ. BGH, Urteil vom 10. April 2024 - VIII ZR 286/22 - NJW-RR 2024, 692, juris Rn. 25; BGH, Urteil vom 29. März 2017 - VIII ZR 45/16 - BGHZ 214, 269, juris Rn. 44.

[44] BGH, Urteil vom 9. Mai 2012 - VIII ZR 238/11 - NJW 2012, 2342, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 23. Mai 2007 - VIII ZR 113/06 - ZMR 2007, 767, juris Rn. 13.

[45] დეტალურად: BGH, Urteil vom 29. März 2017 - VIII ZR 45/16 - BGHZ 214, 269, juris Rn. 35 ff.

[46] BGH, Urteil vom 10. April 2024 - VIII ZR 286/22 - NJW-RR 2024, 692, juris Rn. 26; BGH, Urteil vom 29. März 2017 - VIII ZR 45/16 - BGHZ 214, 269, juris Rn. 44 f.

ანობის განხორციელებისთვის, არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რათა მათ შეეძლოთ უკვე გაქირავებულ ფართში ცხოვრება.[47] აღნიშნული დებულება განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება მზრუნველობის განმახორციელებელ თანამშრომლებზე.

სამეწარმეო საჭიროებებთან დაკავშირებით, მაგალითად, ინდ. მეწარმის თანამშრომლის საცხოვრებელი საჭიროებით გამოწვეული მოთხოვნების შესახებ, იხილეთ განხილვა ზემოთ II. 1 ა) აა) (2)-ში.

ბ) საცხოვრებელი ფართის საჭიროება:

აა) წინაპირობები:

„ბინის საჭიროება", არ გულისხმობს რომ გამქირავებელი მძიმე ცხოვრებისეულ პირობებში ან სულაც, კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება. თუმცა, ასევე არ არის საკმარისი მხოლოდ გამქირავებლის სურვილი, იცხოვროს საკუთარ ფართში ან გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფში მითითებულ პირებს მისცეს საცხოვრებელი.[48] არამედ აუცილებელი, და ასევე საკმარისია, რომ გამქირავებელმა თავის საცხოვრებელზე მოთხოვნა სერიოზულ, გონივრულ და დასაბუთებულ მიზეზებს დააფუძნოს.[49] ამასთან დაკავშირებით ფედერალური უმაღლესი სასამართლო აღნიშნავს:[50]

„ასეთი განმარტება საჭიროა გერმანიის კონსტიტუციის 14 II 1 მუხლით დაცული როგორც გამქირავებლის, ასევე დამქირავებლის საკუთრების გარანტიის გათვალისწინებით. ამიტომ, სპეციალიზებულმა სასამართლოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ გამქირავებლის გადაწყვეტილებას, გამოიყენოს გაქირავებული ბინა საკუთარი საჭიროებისთვის ან მჭიდროდ განსაზღვრული, პრივილეგირებულ პირთა წრისთვის, და აღნიშნული გამართლება სამართლებრივ დასკვნებს დააფუძნონ (დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა; იხ. BVerfGE 68, 361, 373 f.; BVerfGE 79, 292, 304 f.; BGH, Urteil vom 4. März 2015 - VIII ZR 166/14, BGHZ 204, 216 Rn. 14). თუმცა, დამქირავებლის ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნით, სასამართლოებს უფლება აქვთ შეამოწმონ გამქირავებლის სურვილი საკუთრების პირადი გამოყენებისთვის, რათა განსაზღვრონ, რამდენად სერიოზულად არის აღნიშნული სურვილი მხედველობაში მისაღები, ეფუძნება თუ არა გონივრულ და დასაბუთებულ მიზეზებს ან ადგილი ხომ არ აქვს სამართლის ბოროტად გამოყენებას (BVerfG, NJW 1994, 994 f.; BVerfG, WuM 2002, 21 f.; BVerfG, NJW 2014, 2417 Rn. 28; BGH, Urteil vom 4. März 2015 - VIII ZR 166/14, aaO Rn. 15; BGH, Urteil vom 15. März 2017 - VIII ZR 270/15, NJW 2017, 1474 Rn. 19)."

როგორც შესავალში უკვე აღინიშნა, სასამართლოებმა აღნიშნულის შემოწმებისას არ უნდა შეცვალონ გამქირავებლის პირადი ცხოვრების დაგეგმვისა და სათანადო საცხოვრებლის საჭიროების შესახებ მისი წარმოდგენები თავიანთი მოსაზრებებით.[51] მათ, ძირითადად, პატივი უნდა სცენ იმ საცხოვრებელ საჭიროებას, რომელსაც გამქირავებელი საკუთარი ან მისი ოჯახის წევრებისთვის მისაღებად მიიჩნევს.[52]

გონივრულ და დასაბუთებულ საჭიროებად, როგორც წესი, მიიჩნევა საცხოვრებლის მოთხოვნა, რომელიც ოჯახური მდგომარეობის ცვლილებებით არის გამოწვეული (მაგ., დამატებითი ბინის საჭიროება ოჯახის ან საერთო მეურნეობაში მონაწილე პირის გადასვლით; დიდი ბინის საჭიროება ოჯახის წევრთა რაოდენობის

[47] BGH, Beschluss vom 23. Februar 2021 - VIII ZR 213/20 - NZM 2021, 432, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 29. März 2017 - VIII ZR 45/16 - BGHZ 214, 269, juris Rn. 24; BGH, Urteil vom 29. März 2017 - VIII ZR 44/16 - NJW 2017, 2819, juris Rn. 33.

[48] BVerfG, Beschluss vom 23. April 2014 - 1 BvR 2851/13 - NJW 2014, 2417, juris Rn. 28.

[49] BGH, Urteil vom 10. April 2024 - VIII ZR 286/22 - NJW-RR 2024, 692, juris Rn. 26; BGH, Urteil vom 11. Dezember 2019 - VIII ZR 144/19 - NJW 2020, 1215, juris Rn. 34; BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, juris Rn. 19.

[50] BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, juris Rn. 19; ციტატა მცირედით არის შეცვლილი.

[51] დეტალურად: BGH, Urteil vom 4. März 2015 - VIII ZR 166/14 - BGHZ 204, 216, juris Rn. 14 ff.; BGH, Urteil vom 29. März 2017 - VIII ZR 45/16 - BGHZ 214, 269, juris Rn. 25 ff.

[52] BGH, Beschluss vom 21. August 2018 - VIII ZR 186/17 - NJW-RR 2019, 130, juris Rn. 20.

გაზრდის გამო; პატარა ბინის საჭიროება ოჯახის წევრთა რაოდენობის შემცირების შემდეგ და ა. შ.).[53] მაგრამ ასევე, საკუთარი საცხოვრებელი პირობების შესახებ შეცვლილ წარმოდგენებს, როგორიცაა განცალკევებული საძინებლების მოწყობის სურვილი, სასამართლოებმა პატივი უნდა სცენ.[54] დასაბუთებული მიზეზები ასევე შეიძლება იყოს პროფესიული ან პირადი მიზეზებით განპირობებული საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. მაგალითად, ეს შესაძლებელია მოხუცი გამქირავებლის შემთხვევაში, რომელსაც საცხოვრებელი ადგილის შეცვლით სურს თავისი ქალიშვილის ოჯახთან უფრო ხშირი კონტაქტის დამყარება და ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა.[55]

ზოგადად, საკმარისია დროით შემოფარგლული ბინის საჭიროება.[56] თანამედროვე საზოგადოების მობილობის გათვალისწინებით, პირადი საჭიროების ხანგრძლივობის მიმართ არ უნდა დაწესდეს ზედმეტად მკაცრი მოთხოვნები. ხშირად ერთწლიანი პირადი საჭიროების სურვილი საკმარისია.[57] ასევე, არ არის აუცილებელი, რომ ბინა მუდმივად იქნას გამოყენებული. ბინის მოთხოვნა დროებითი გამოყენებისთვის, მაგალითად, როგორც მეორე ან დასასვენებელი ბინა, საკმარისია.[58]

გამოყენების სურვილი იმდენად „ძლიერი" უნდა იყოს, რომ არსებობდეს პირადი გამოყენების უახლოეს მომავალში განხორციელების კონკრეტული ინტერესი. არასაკმარისია გაურკვეველი ინტერესი, რომელიც მომავალში გამოყენების შესაძლებლობაზეა ორიენტირებული (ე. წ. „სარეზერვო შეწყვეტა").[59] თუმცა, გამოყენების ინტერესის კონკრეტიზაციის მოთხოვნები არ უნდა იყოს ზედმეტად მაღალი. მაგალითად, თუ გამქირავებელს სურს, რომ ბინა მის ქალიშვილს გადასცეს, რათა მან თავის პარტნიორთან ერთად იცხოვროს და ოჯახი შექმნას, არ არის აუცილებელი, რომ ბავშვების ყოლის სურვილი უკვე ორსულობით იყოს დადასტურებული.[60]

შემოწმების ამ ეტაპზე, ანუ სერიოზულ, გონივრულ და დასაბუთებულ მიზეზებზე დაფუძნებული პირადი საჭიროების დადგენისას, გერმანული სამართლის სისტემის მიხედვით არ აქვს მნიშვნელობა, იწვევს თუ არა პირადი საჭიროების გამო ხელშეკრულების შეწყვეტა დამქირავებლისთვის ისეთ მკაცრ შედეგებს, რომლებიც ჩვეულებრივ საცხოვრებელი სივრცის დაკარგვასთან დაკავშირებულ ზეგავლენას სცილდება. ეს საკითხი მხოლოდ მაშინ დგება დღის წესრიგში, თუ დამქირავებელი გსკ-ის 574-ე პარაგრაფით რეგულირებლი „სოციალური მუხლის" საფუძველზე ეწინააღმდეგება პირადი საჭიროებით გამოწვეულ ხელშეკრულების შეწყვეტას. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დადგინდეს, ხელშეკრულების შეწყვეტა დაკავშირებულია თუ არა გაუმართლებელ სირთულეებთან (იხ. ქვემოთ IV.).

ბბ) შეცვლილი პირობები:

ზოგადად, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მხოლოდ ის მიზეზები გაითვალისწინება, რომლებიც მითითებულია ხელშეკრულების შეწყვეტის წერილში (გსკ-ის 574 III და 573 III პარაგრაფები). შემდგომში წარმოშობილი შეწყვეტის მიზეზები, როგორც წესი, მხედველობაში არ მიიღება.

ეს გამომდინარეობს ზოგადი პრინციპიდან, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის მხარდამჭერი გარემოებები მისი გაცხადების მომენტში უნდა

[53] შდრ. Staudinger/Rolfs (2021) BGB § 573 Rn. 100, სასამართლო პრაქტიკის ვრცელი წყაროებით.

[54] BVerfG, Beschluss vom 10. Juli 1992 - 1 BvR 1614/91 - NJW 1992, 2878, juris Rn. 16.

[55] ბოლოს: BGH, Beschluss vom 23. Oktober 2018 - VIII ZR 61/18 - NJW-RR 2019, 134, juris Rn. 19.

[56] BGH, Urteil vom 4. März 2015 - VIII ZR 166/14 - BGHZ 204, 216, juris Rn. 31 ff.; BVerfG, Beschluss vom 23. April 2014 - 1 BvR 2851/13 - NJW 2014, 2417, juris Rn. 29.

[57] BGH, Urteil vom 4. März 2015 - VIII ZR 166/14 - BGHZ 204, 216, juris Rn. 33.

[58] BGH, Beschluss vom 21. August 2018 - VIII ZR 186/17 - NJW-RR 2019, 130, juris Rn. 22.

[59] BGH, Urteil vom 23. September 2015 - VIII ZR 297/14 - NJW 2015, 3368, juris Rn. 22; BGH, Beschluss vom 11. Oktober 2016 - VIII ZR 300/15 - NJW-RR 2017, 75, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 29. März 2017 – VIII ZR 44/16 - NJW 2017, 2819, juris Rn. 22; AG Hamburg, Beschluss vom 20. Dezember 2024 - 49 C 154/24 - juris Rn. 2 ff.

[60] BVerfG, Beschluss vom 20. Februar 1995 - 1 BvR 665/94 - NJW 1995, 1480, juris Rn. 12.

არსებობდეს. ამიტომ, ხელშეკრულების შეწყვეტის წერილში მითითებული მიზეზების გარდა სხვა მიზეზები, როგორც წესი, ხელშეკრულების შეწყვეტის ახალ წერილში უნდა იყოს გაცხადებული.[61]

თუმცა, გსკ-ის 573 III 2 პარაგრაფი შეიცავს გამონაკლისს, როდესაც თავდაპირველი შეწყვეტა ნამდვილი იყო და მას დაემატა ახალი შეწყვეტის საფუძველი ან თავდაპირველი საფუძველი შეიცვალა ახლით.[62] ამიტომ, იმ პირის შეცვლაც შესაძლებელია, რომელიც ბინის გამომყენებელ პირად განიხილებოდა, გამოსახლების დავის პროცესში, თუ თავდაპირველად პირადი საჭიროება პირველად დასახელებულ პიროვნებასთან იყო დაკავშირებული და შემდგომში ეს საჭიროება ახალ პირთან გაჩნდა.[63] მაგალითად, ასეთ შემთხვევად შეიძლება მოიაზრებოდეს გარემოება, როდესაც შეწყვეტა დასაბუთდა გამქირავებლის ქალიშვილის ცხოვრების გეგმებით (ქორწინება, ბავშვის ყოლა და ა. შ.), მაგრამ, მოგვიანებით გამქირავებლის ვაჟი გახდა საცხოვრებლის საჭიროების მქონე. ამ შემთხვევაში უმნიშვნელოა, რომ გამქირავებელი ამჟამად ვაჟის საჭიროებას მიიჩნევს პრიორიტეტულად, ხოლო ქალიშვილისთვის ბინის საჭიროება აღარ არსებობს.

გგ) სერიოზულობა:

პირად საჭიროებაზე დაყრდნობით ხელშეკრულების შეწყვეტა ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საჭიროება არა მხოლოდ დასაბუთებულია, არამედ რეალურად არსებობს. ობიექტურად დასაბუთებული, მაგრამ ფაქტობრივად განუხორციელებელი პირადი საჭიროება ვერ გამოიყენება ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტის საბაბად.

როგორც რამდენჯერმე უკვე აღინიშნა, სასამართლოები პატივს სცემენ გამქირავებლის გადაწყვეტილებას, რომ მომავალში თავად გამოიყენოს გაქირავებული საცხოვრებელი ფართი ან მისი გამოყენება – მკაცრად განსაზღვრულ – პრივილეგირებულ მესამე პირთა წრეს დაუთმოს და აღნიშნულ პრინციპს თავიანთ სამართლებრივ დასკვნებში ეყრდნობიან. თუ დამქირავებელი ეჭვქვეშ აყენებს ასეთი სურვილის სერიოზულობას, სასამართლოებმა უნდა შეამოწმონ, რეალურად ემსახურება თუ არა გამქირავებლის ნება საკუთრების პირად სარგებლობაში გადასვლას.[64] ასეთ შემთხვევაში, საკუთრების რეალური გამოყენების სურვილის არსებობა გამქირავებელმა უნდა დაამტკიცოს (მტკიცების შესახებ ქვემოთ იხ. III. 1. ბ) ეე) (1)).[65]

დდ) სამართლის ბოროტად გამოყენება:

პირად საჭიროებაზე დაყრდნობით ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების გამოყენება, შესაძლოა, სამართლის ბოროტად გამოყენებას წარმოადგენდეს. პრაქტიკაში ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება, როდესაც გამქირავებელი პირად საჭიროებაზე დაყრდნობით არსებითად დასაშვებ შეწყვეტის უფლებას „გადაჭარბებულად" იყენებს ან როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი შემდგომში აღარ არსებობს.

(1) უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა

უფლების ბოროტად გამოყენება სახეზეა, როდესაც გადაჭარბებულად ხდება პირად საჭიროებაზე აპელირება.[66] სასამართლოებმა ეს საკითხი უნდა გადაწყვიტონ მხარეთა ინტერესთა

[61] *Tiedemann* in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 573 BGB (Stand: 20.06.2024) Rn. 228 ff.

[62] BGH, Urteil vom 25. Oktober 2023 - VIII ZR 147/22 - NJW-RR 2024, 566, juris Rn. 39.

[63] *Tiedemann* in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 573 BGB (Stand: 20.06.2024) Rn. 107.

[64] BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 167/17 - NJW-RR 2019, 972, juris Rn. 25; BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, Rn. 19.

[65] BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 167/17 - NJW-RR 2019, 972, juris Rn. 25.

[66] BGH, Urteil vom 4. März 2015 - VIII ZR 166/14 - BGHZ 204, 216, juris Rn. 16; BGH, Beschluss vom 21. August 2018 - VIII ZR 186/17 - NJW-RR 2019, 130, juris Rn. 21; BVerfG, Beschluss vom 20. Februar 1995 - 1 BvR 665/94 - NJW 1995, 1480, juris Rn. 9.

შეწონვის საფუძველზე, ობიექტური კრიტერიუმებითა და კონკრეტული გარემოებების შეფასებით.[67] ამასთან, შეუძლებელია ერთიანი ნორმების დადგენა (მაგალითად, საცხოვრებელი ფართის განსაზღვრა მომხმარებელთა რაოდენობის მიხედვით), რადგან შეფასება არ არის დამოკიდებული მხოლოდ მოთხოვნილ საცხოვრებელ ფართსა და ოთახების რაოდენობაზე.[68] შესაძლოა, ასევე მნიშვნელოვანი იყოს, შესაძლებელია თუ არა შედარებით პატარა საცხოვრებლის დაქირავება იმავე ადგილზე მისაღებ პირობებში ან არსებობს თუ არა რეალური ალტერნატივები.

(2) ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის შემდგომი გაუქმება:

ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების შემდგომი გამოყენება სამართლის ბოროტად გამოყენებად ითვლება (და შეიძლება, გამოიწვიოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება; იხ. ქვემოთ V.), თუ შეწყვეტის საფუძველი ჯერ კიდევ შეწყვეტის ვადის ამოწურვამდე აღარ არსებობს და გამქირავებელი ამის შესახებ დამქირავებელს არ ატყობინებს.

მიმდინარე სასამართლო პრაქტიკის თანახმად, გამქირავებელი, რომელმაც პირადი საჭიროების საფუძვლით ქირავნობის ურთიერთობა შეწყვიტა, ვალდებულია, სამართლის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისთვის, დამქირავებელს აცნობოს, თუ შემდგომში პირადი საჭიროება აღარ იარსებებს. ეს ვალდებულება მოქმედებს მხოლოდ შეწყვეტის ვადის ამოწურვამდე. ეს ვადა, როგორც წესი, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისთვის, მაშინაც კი, თუ მხარეები (სასამართლოს მიერ დამტკიცებული) გამოსახლების შეთანხმების ფარგლებში უფრო გვიან გასვლის თარიღზე შეთანხმდნენ.[69] გერმანიის ფედერალური სასამართლო თავისი 2005 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით (რომელიც შემდგომში კიდევ ერთხელ განამტკიცა)[70] ამას შემდეგნაირად ხსნის:[71]

„აა) ცალმხრივი განკარგვითი განცხადებები, განსაკუთრებით კი გრძელვადიანი ვალდებულებების შეწყვეტა, თუ მათი სამართლებრივი წინაპირობები შესრულებულია, იწვევს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს კანონით განსაზღვრულ ან ინდივიდუალურად შეთანხმებულ დროს. ქირავნობის სამართლებრივად ძალაში შესული შეწყვეტა იწვევს ქირავნობის ურთიერთობის დასრულებას ვადის ამოწურვისთანავე, რის გამოც დამქირავებელი ვალდებულია ამ დროს ქირავნობის ობიექტი გამქირავებელს დაუბრუნოს (გსკ-ის 546-ე პარაგრაფი). თუ იგი აღნიშნულ ვალდებულებას არ ასრულებს, იგი ვალდებულია გამქირავებელს გადაუხადოს შეთანხმებული ქირა, არა როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებიდან გამომდინარე, არამედ კანონიდან გამომდინარე, როგორც ანაზღაურება განგრძობითი დაკავებისთვის (გსკ-ის 546a I პარაგრაფი).

ბ) სანამ ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები ჯერ კიდევ არ დამდგარა, არაფერი მეტყველებს იმის საწინააღმდეგოდ, რომ თავდაპირველად მოქმედი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომში გაუქმება დაშვებული არ იყოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს დამქირავებლის დაცვის საჭიროება სამართლის ბოროტად გამოყენების პრინციპის (გსკ-ის 242-ე პარაგრაფი) გათვალისწინებით. ამგვარ სამართლის ბოროტად გამოყენებად ჩაითვლებოდა, თუ გამქირავებლის მიერ მითითებული პირადი საჭიროება, ჯერ კიდევ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის ამოწურვამდე გაქრებოდა და გამქირავებელი, მხოლოდ

[67] BGH, Urteil vom 4. März 2015 - VIII ZR 166/14 - BGHZ 204, 216, juris Rn. 16, უამრავი დამატებითი წყაროებით.

[68] BGH, Urteil vom 4. März 2015 - VIII ZR 166/14 - BGHZ 204, 216, juris Rn. 19.

[69] BGH, Urteil vom 9. Dezember 2020 - VIII ZR 238/18 - NJW 2021, 1232, juris Rn. 13.

[70] BGH, Urteil vom 9. Dezember 2020 - VIII ZR 238/18 - NJW 2021, 1232, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 167/17 - NJW-RR 2019, 972, juris Rn. 28; BGH, Urteil vom 14. Dezember 2016 - VIII ZR 232/15 - BGHZ 213, 136, juris Rn. 62.

[71] ამონარიდი: BGH, Urteil vom 9. November 2005 - VIII ZR 339/04 - BGHZ 165, 75, juris Rn. 18 ff.; ციტატა ოდნავ არის შეცვლილი.

ფორმალური მიზეზების გამო, მაინც დაჟინებით მოითხოვდა იმ დროს გამართულად შედგენილი ხელშეკრულების შეწყვეტის ძალაში დატოვებას.

გგ) ქირავნობის ურთიერთობის (სამართლებრივი) დასრულების შემდეგ.... ქირავნობის ობიექტზე დამქირავებლის მფლობელობის უფლება ქრება, რომელსაც აქვს არა თავდაპირველი, არამედ მხოლოდ წარმოებული კავშირი სხვის მიერ შექმნილ საცხოვრებელ ფართთან (BVerfGE 89, 1, 7 f.); იმავდროულად, გამქირავებლის, როგორც აღნიშნული საცხოვრებელი ფართის, ჩვეულებრივი მესაკუთრის განკარგვის უფლება სრულად აღდგება, რაც გერმანიის კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებული და გარანტირებულია. თუ დამქირავებელი უარს აცხადებს საცხოვრებელი ფართის დაბრუნებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა კანონიერია და გსკ-ის 574-ე და შემდეგი სოციალური დაცვის ფუქნციის მქონე პარაგრაფების მიხედვით ქირავნობის გაგრძელების საფუძველი არ არსებობს, იგი არღვევს ქირავნობის ობიექტის დაბრუნების ვალდებულებას (გსკ-ის 546 I პარაგრაფი) და შესაბამისად მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს; ქირავნობის ხელშეკრულებით მინიჭებულ საკუთრებასთან გათანაბრებულ მფლობელობის უფლებაზე (BVerfGE 89, 1, 6 ff.) დამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ ვეღარ მიუთითებს. ამ მიზეზით, მოცემულ შემთხვევაში აღარ მოქმედებს კეთილსინდისიერი დამქირავებლის დაცვის მოთხოვნაც. დამქირავებელი, რომელიც ქირავნობის ვადის ამოწურვის შემდეგ ქირავნობის ობიექტს გამქირავებელს არ უბრუნებს, ამ მომენტიდან აღარ ითვლება კეთილსინდისიერ მფლობელად; ამასთან, ბრალეულობას მნიშვნელობა არ აქვს.

დდ) შემდგომი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მხარეთა კეთილსინდისიერების ვალდებულებები, რომლებიც ქირავნობის გაგრძელების ინტერესს გამქირავებლის ფართის დაბრუნების მოთხოვნაზე პრიორიტეტულად დააყენებდნენ, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს. იგივენაირად განმარტა სენატმა 2003 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებაში (BGH, Urteil vom 9. Juli 2003 - VIII ZR 311/02 - NJW 2003, 2604, juris Rn. 13) იმ შემთხვევისათვის, როდესაც გამქირავებლის საცხოვრებელი ფართი თავისუფლდება, რომელსაც კვლავ აქვს პირადი საჭიროება უკვე შეწყვეტილ ქირავნობის ობიექტზე; მოცემულ შემთხვევაშიც საკითხი იგივენაირად უნდა განიმარტოს. იმ მოსაზრებას, რომ გამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ ვალდებულია დამქირავებელს აცნობოს, რომ პირადი საჭიროება აღარ არსებობს, არ ეყრდნობა სამართლებრივი სისტემის პრინციპებს, რადგან ეს გამოიწვევდა ქირავნობის შეწყვეტის სამართლებრივი ეფექტის დაუსაბუთებელ ცვლილებას. არ არსებობს გარემოებები, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ კანონმდებელს სურდა ქირავნობის შეწყვეტის შემდეგ ასეთი ცვლილებით დამქირავებლის სამართლებრივი ინტერესები შეეზღუდა. ცალსახაა, რომ კანონმდებელმა ახლადწარმოშობილი გარემოებების შემთხვევა წინასწარ განჭვრიტა, რადგან ქირის დროულად გადაუხდელობის გამო გამქირავებლის მიერ გაცხადებული ხელშეკრულების შეწყვეტა აღარ ამოქმედდება, თუ ქირის დავალიანება შემდგომში დაფარული იქნება (გსკ-ის 569 III 2 პარაგრაფი). ამიტომ, დამქირავებლის საცხოვრებლის შენარჩუნების ინტერესი შეიძლება გამქირავებლის მხოლოდ იმ შემდგომი ვალდებულებით დაკმაყოფილდეს, რომლის მიხედვითაც გამქირავებელმა უნდა შესთავაზოს მას იმავე საცხოვრებელზე ახალი ქირავნობის ხელშეკრულების დადება...".

(3) სხვა კონსტელაციები:

სამართლის ბოროტად გამოყენებად, რომელიც ურთიერთგამომრიცხავი ქცევის ფორმას იღებს, ასევე შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს შემთხვევა, როდესაც გამქირავებელმა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ან ელოდა რომ მომავალში ექნებოდა პირადი საჭიროება, მაინც დადო უვადო ქირავნობის ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო ვადიანი ქირავნობის ხე-

ლშეკრულების გაფორმება. გერმანიის ფედერალური სასამართლო აღნიშნავს:[72]

„ვადიანი ქირავნობის ხელშეკრულება გსკ-ის 575 I 1 პარაგრაფის შესაბამისად შესაძლებელია დაიდოს, თუ გამქირავებელი აპირებს, რომ ქირავნობის ვადის ამოწურვის შემდეგ საცხოვრებელი ფართი საკუთარი, მისი ოჯახის წევრების ან საერთო მეურნეობაში მონაწილე პირის საჭიროებისთვის გამოიყენოს. ამ გადაწყვეტილების საბოლოოდ მიღება აუცილებელი არ არის; საკმარისია მხოლოდ სერიოზული განზრახვა (BGH, Urteil vom 18. April 2007 - VIII ZR 182/06 - NJW 2007, 2177, juris Rn. 24) – ანუ ისეთი შემთხვევის არსებობა, როდესაც გამქირავებელი ჯერ კიდევ არ არის სრულად დარწმუნებული თავისი პირადი საჭიროების განზრახვაზე – ასევე სერიოზული შესაძლებლობის შემთხვევაში(...). თუ გამქირავებელი ასეთ დროს უვადო ქირავნობის ხელშეკრულებას აფორმებს ისე, რომ დამქირავებელს არ მიუთითებს, რისთვისაც ვადიანი ქირავნობის ხელშეკრულების დადების დროს კანონით ვალდებული იქნებოდა (გსკ-ის 575 I 1) – დაგეგმილ ან, სულ მცირე (სერიოზულად), განზრახულ მომავალ პირად საჭიროებაზე საკუთარი ან გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის შესაბამისად პრივილეგირებული ოჯახის ან საერთო მეურნეობაში მონაწილე პირის სასარგებლოდ, მაშინ იგი ობიექტურად აჩვენებს, რომ არ აპირებს და არც განიხილავს ასეთ ნაბიჯს.

გამქირავებელი საკუთარ წინა ქცევასთან წინააღმდეგობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მოდის, თუ პირად საჭიროებაზე დაყრდნობით ქირავნობის შეწყვეტას იმ მიზეზებზე აფუძნებს, რომელთა საფუძველზეც მას უკვე ხელშეკრულების დადების მომენტში უნდა მიეღო გადაწყვეტილება საცხოვრებელი ფართის, საკუთარი ან მისი ოჯახის/საერთო მეურნეობაში მონაწილე წევრების მიერ გამოყენების შესახებ, ან იმ მიზეზებზე, რომლებიც მან იმ დროს (სერიოზულად) განიხილა. ამგვარი წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად, გამქირავებელმა დამქირავებელს, რომელსაც აქვს და შეიძლება ჰქონდეს უფრო ხანგრძლივი ქირავნობის მოლოდინი, შეკითხვის გარეშე უნდა განუმარტოს, რომ ქირავნობის ვადის შეზღუდვას აპირებს, ან სულ მცირე, განიხილავს მაინც (...).

ამ კონსტელაციების გარდა, გამქირავებლის წინააღმდეგობრივი ქცევა ასევე შესაძლებელია არსებობდეს, თუ ხელშეკრულების დადებისას იგი, თავისი სურვილით ან დამქირავებლის მიერ დასმულ კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, განზრახ არასწორ ინფორმაციას („ცოდნის გაცხადება") აწვდის იმ ფაქტებზე, რომლებიც პირადი საჭიროების შეფასებისთვის არსებითია (BGH, Urteil vom 20. März 2013 - VIII ZR 233/12 - NJW 2013, 1596, juris Rn. 14). ამ დროს გადამწყვეტია თითოეული შემთხვევის გარემოებები, განსაკუთრებით კი იმ კითხვების შინაარსი, რომლებიც დამქირავებელმა დაუსვა. თუმცა, თუ გამქირავებელი გარკვეულ ფაქტებზე გაუფრთხილებლობით, შეცდომით არასწორ ინფორმაციას აწვდის, ან პირადი საჭიროების სიტუაციის განვითარებასთან დაკავშირებით (ბრალით ან ბრალის გარეშე) არასწორი შეფასება აქვს, ეს სამართლებრივად წინააღმდეგობრივი ქცევის საფუძველი ვერ გახდება. გამქირავებლისგან ვერ მოითხოვება, რომ გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის შესაბამისად პრივილეგირებული პირების მომავალი ცხოვრების გეგმების შესახებ წინასწარ მოიპოვოს ინფორმაცია ან საბოლოოდ ჩამოაყალიბოს, თუ როგორ განვითარდება მისი საკუთარი ცხოვრება მომავალ წლებში (...).

ამგვარად, ქირავნობის ხელშეკრულების დადების შემდეგ გამქირავებლის მიერ პირადი საჭიროების გაცხადება, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში არ იყო გადაწყვეტილი და არც განიხილებოდა, და თუ მან ასევე განზრახ არ გააკეთა არასწორი განცხადებები მისთვის ცნობილი, პირადი საჭიროების წარმოქმნისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, სამართლის ბოროტად გამოყენების ბრალდებას ვერ გაამართლებს."

სამართლის ბოროტად გამოყენება ასევე შესაძლებელია იყოს სახეზე, თუ გამქირავებელს

[72] BGH, Urteil vom 4. Februar 2015 - VIII ZR 154/14 - BGHZ 204, 145, juris Rn. 35 ff.; ციტატა ოდნავ შეცვლილია.

აქვს შესაძლებლობა, თავისი საცხოვრებლის საჭიროება დაიკმაყოფილოს (თავისუფალი ან მის ხელთ არსებული) სხვა საცხოვრებელი ფართით, რომელიც არსებითი შეზღუდვების გარეშე შეესაბამება მის მოთხოვნებს.[73] თუმცა, სამართლის ბოროტად გამოყენება არ იკვეთება, თუ გამქირავებელს შეუძლია, გონივრული და გასაგები მიზეზებით დაასაბუთოს, რომ კვლავაც ეცდება პირად საჭიროებაზე დაყრდნობით ქირავნობის შეწყვეტას. ეს შეეხება, მაგალითად, ისეთ შემთხვევებს, როდესაც საცხოვრებელი ფართი სხვა შემთხვევაში სხვადასხვა სართულზე ან დამხმარე შენობებში იქნებოდა გადანაწილებული,[74] ან თუ ალტერნატიულად ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ფართი გამქირავებლისთვის მნიშვნელოვნად არახელსაყრელ ადგილას მდებარეობს (გრძელი გზა სამუშაო ადგილამდე; სუსტი ინფრასტრუქტურა; უცხო სოციალური გარემო და სხვა.).

თუმცა, სამართლის ბოროტად გამოყენების არსებობა არ შეიძლება დავასკვნათ მხოლოდ იმით, რომ გამქირავებელმა თავად შექმნა ქირავნობის შეწყვეტის საფუძველი საცხოვრებელი ფართის შეძენით.[75] პირი, რომელიც ფინანსურ რესურსებს საცხოვრებელი ფართის შესაძენად იყენებს, რათა თავად იქ იცხოვროს, ჩვეულებრივ გონივრულად და გასაგებად აყალიბებს საკუთარი ცხოვრების წესს, მაშინაც კი, თუ მას უბრალოდ „თავის ოთხ კედელზე" სურს ბატონობა.[76] სხვა მიდგომა წინააღმდეგობაში მოვიდოდა საკუთრების უფლებასთან, რომელიც გარანტირებულია გერმანიის კონსტიტუციის 14 I მუხლით, რომლის მიხედვითაც პირს შეუძლია თავისი საკუთრება თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს და ამით საკუთარი ცხოვრება მოაწყოს.[77]

თუ ქირავნობის ხელშეკრულების დადების შემდეგ გაქირავებულ საცხოვრებელ ფართზე საკუთრების უფლება დარეგისტრირდა (ე. წ. საცხოვრებლის საკუთრებაში მიღება), მაშინ გათვალისწინებული უნდა იქნეს გსკ-ის 577a პარაგრაფით დადგენილი შეზღუდვები ქირავნობის შეწყვეტის უფლებაზე, რომელთა ამონარიდი განვიხილეთ I.1. ნაწილში.

გგ) მტკიცების ტვირთი და მტკიცებულების წარდგენა:

(1) ფაქტობრივი წინაპირობები:

ქირავნობის შეწყვეტის პროცესში (განსხვავებით ზიანის ანაზღაურების პროცესისგან, იხ. ქვემოთ VI.), ქირავნობის შეწყვეტის საფუძვლის დასაბუთებისა და მტკიცების ტვირთი ქირავნობის შეწყვეტის მომთხოვნ გამქირავებელს ეკისრება.[78]

ქირავნობის შეწყვეტის საფუძვლად გამქირავებლის მიერ წარმოდგენილი საცხოვრებელი ფართის საკუთარი საჭიროებისთვის გამოყენების სურვილი დამქირავებელს შეუძლია სადავოდ გახადოს თავისი უცოდინრობით. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ საცხოვრებლის გამოყენების განზრახვა ე. წ. შინაგანი ფაქტია, რომლის შესახებ კონკრეტული ცოდნა დამქირავებელს არ შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ, პროცესუალური თვალსაზრისით, მას შეუძლია აღნიშნული სადავო საკითხი მხოლოდ ვარაუდებზე დააფუძნოს.[79] გამონაკლისი არსებობს მხოლოდ

[73] BGH, Urteil vom 4. März 2015 - VIII ZR 166/14 - BGHZ 204, 216, juris Rn. 15; BVerfG, Beschluss vom 20. Februar 1995 - 1 BvR 665/94 - NJW 1995, 1480, juris Rn. 9.

[74] BGH, Urteil vom 11. Dezember 2019 - VIII ZR 144/19 - NJW 2020, 1215, juris Rn. 18.

[75] BGH, Urteil vom 11. Dezember 2019 - VIII ZR 144/19 - NJW 2020, 1215, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, juris Rn. 16.

[76] BGH, Urteil vom 11. Dezember 2019 - VIII ZR 144/19 - NJW 2020, 1215, juris Rn. 17; BVerfG, Beschluss vom 11. November 1993 - 1 BvR 696/93 - NJW 1994, 309, juris Rn. 11 ff.

[77] BVerfG, Urteil vom 14. Februar 1989 - 1 BvR 308/88 - BVerfGE 79, 292, juris Rn. 29 ff.

[78] BGH, Urteil vom 18. Mai 2005 - VIII ZR 368/03 - NJW 2005, 2395, juris Rn. 20; *Tiedemann* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 573 BGB (Stand: 20.06.2024), Rn. 189; LG Berlin, Beschluss vom 27. Oktober 2021 - 65 S 125/21 - WuM 2022, 282, juris Rn. 36; LG Itzehoe, Beschluss vom 12. Februar 2021 - 9 S 39/20 - ZMR 2022, 129, juris Rn. 7.

[79] BVerfG, Beschluss vom 13. Januar 1995 - 1 BvR 1420/94 - NJW-RR 1995, 392, juris Rn. 17.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ვარაუდი ყოველგვარ ფაქტობრივ საფუძველს მოკლებულია, ერთგვარად „ჰაერში ნასროლია".[80]

თუმცა დამქირავებელმა უნდა წარმოადგინოს გარემოებები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ პირადი საჭიროება მხოლოდ საბაბია, (ე. წ. კვალიფიციური) საკამათო საკითხი, რომელიც ეხება იმ ფაქტის დადასტურებას, რომლის დამტკიცების ვალდებულებაც გამქირავებელს ეკისრება.[81] ამით გამქირავებლის მტკიცების ტვირთი არ იცვლება. თუმცა, დამქირავებელს პროცესუალური უფლება აქვს, რომ სასამართლომ განიხილოს მის მიერ წამოყენებული შესაგებლები.[82]

ეს გულისხმობს, რომ სასამართლოებმა უნდა შეამოწმონ წარმოდგენილი ინდიკატორული ფაქტები მათი სისწორის დასადგენად და, წესისამებრ, გამქირავებლის მოსმენით,[83] პირადად შეაფასონ მის მიერ საცხოვრებელი ფართის გამოყენების სურვილის სერიოზულობა. მაგალითად, ცხოვრებისეული გამოცდილება მეტყველებს იმაზე, რომ პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა საცხოვრებლის შეცვლა, არ იღებენ და ახორციელებენ ძალიან მოკლე დროში.[84] ასევე, გამქირავებლის მიერ დამქირავებლისთვის ქირის გაზრდის მოთხოვნა უშუალოდ ქირავნობის შეწყვეტამდე, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს მისი პირადი საჭიროების ნებას.[85] გარდა ამისა, ცხოვრებისეული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დაგეგმილი საცხოვრებლის შეცვლის შესახებ გამქირავებელი, როგორც წესი, სხვა პირებთან საუბრობს,[86] რაც შეიძლება გარე თვალისთვისაც აღქმადი გახდეს მომზადებითა და წინასწარი ღონისძიებებით.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამ საკითხებს ასე განმარტავს:[87]

„აღნიშნული ფაქტების დადგენა (ავტორის შენიშვნა: იგულისხმება რეალურად არსებული პირადი საჭიროება) შესაძლებელია ისეთი გარემოებების განსაზღვრით, რომლებიც ცხოვრებისეული გამოცდილებით იძლევიან ამ ფაქტის არსებობაზე დასკვნის გაკეთების საშუალებას (...). ამასთან დაკავშირებული ეჭვები პროცესუალური წესებით რეგულირდება იმგვარად, რომ სასამართლო შემოიფარგლება თავისუფალი, თეორიული ეჭვების არგამომრიცხავი რწმენით (...) და სერიოზული ეჭვების ("non-liquet") არსებობის შემთხვევაში მტკიცების (მტკიცების ტვირთის) წესებს განსაზღვრავს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა. ამგვარი მტკიცების უფლებით უზრუნველყოფილი შესაძლებლობები გამორიცხავს შინაგან ფაქტებს. ეს ასევე ეხება გამქირავებლის განზრახვას, თავად გამოიყენოს დავის საგნად ქცეული საცხოვრებელი ფართი ქირავნობის შეწყვეტის პროცესში. ხშირად, გამქირავებელი სხვა პირებთან საუბრისას გამოთქვამს სურვილს, მომავალში თავად გამოიყენოს გაქირავებული საცხოვრებელი; ასეთ შემთხვევაში, ამ პირებს შეეძლებათ წარმოადგინონ ინფორმაცია თავიანთი საუბრების შესახებ გამქირავებელთან, რაც სასამართლოს საშუალებას მისცემს შეაფასოს, არსებობს თუ არა სერიოზული განზრახვა საცხოვრებლის თვითმიზნობრივი გამო-

[80] სრულად: LG Berlin, Urteil vom 21. November 2018 - 65 S 142/18, juris Rn. 9.

[81] *Tiedemann* in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 573 BGB (Stand: 20.06.2024), Rn. 191.

[82] BGH, Urteil vom 21. März 2018 - VIII ZR 104/17 - BGHZ 218, 162, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 4. März 2015 - VIII ZR 166/14 - BGHZ 204, 216, juris Rn. 14 ff.; ბრანდენბურგის მიწის საკონსტიტუციო სასამართლო, Beschluss vom 16. März 2000 - 2/00 - juris Rn. 19, vgl. auch BVerfG, Beschluss vom 13. Januar 1995 – 1 BvR 1420/94 - NJW-RR 1995, 392, juris Rn. 13 ff.

[83] შდრ. ასევე: BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 167/17 - NJW-RR 2019, 972, juris Rn. 26; *Tiedemann* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 573 BGB (Stand: 20.06.2024), Rn. 189.

[84] შდრ. BGH, Urteil vom 23. September 2015 - VIII ZR 297/14 - NJW 2015, 3368, juris Rn. 29.

[85] შდრ. *Tiedemann* in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 573 BGB (Stand: 20.06.2024), Rn. 190.

[86] შდრ. BVerfG, Beschluss vom 20. Februar 1995 - 1 BvR 665/94 - NJW 1995, 1480, juris Rn. 12.

[87] BVerfG, Beschluss vom 30. Juni 1993 - 2 BvR 459/93 - NJW 1993, 2165, juris Rn. 26 f.

ყენებისთვის. თუ ასეთი ინფორმაცია არ არსებობს, სასამართლოები ვალდებულნი არიან, შინაგანი რწმენის განსამტკიცებლად სხვა, ძირითადად, გამქირავებლის მიერ წარსადგენი და საჭიროების შემთხვევაში დასამტკიცებელი, ინდიკატორული ფაქტები განიხილონ, რომლებიც მის ასეთ განზრახვაზე მიანიშნებს.“

2) სამართლის ბოროტად გამოყენება:

დამქირავებელს ეკისრება იმ ფაქტების წარმოდგენისა და მტკიცების ტვრითი, რომლებიც მის მიერ წამოყენებულ გამქირავებლის მიერ სამართლის ბოროტად გამოყენების ბრალდებას ამყარებს.[88]

თუ აღნიშნული ფაქტები ისეთ გარემოებებს ეხება, რომელთა შესახებ დამქირავებელს არ შეეძლო სცოდნოდა, მას შეუძლია თავდაპირველად მხოლოდ ზოგადი მტკიცებით შემოიფარგლოს. ამ შემთხვევაში, გამქირავებელს ეკისრება თავისი მეორეული მტკიცების ვალდებულების შესრულება (ამაზე დეტალურად ქვემოთ VI.1)[89] და ზუსტად განმარტოს, როდის და რატომ წარმოიშვა პირადი საჭიროება. თუ გამქირავებელი ასეთ დასაბუთებულ განმარტებას არ წარმოადგენს, მაშინ დამქირავებლის მიერ წამოყენებული პოზიცია უცილობლად დადასტურებულად ითვლება.[90] შესაბამისად, ქირავნობის შეწყვეტისა და გამოსახლების პროცესში გამოყენებული აღნიშნული პრინციპი ანალოგიურად ვრცელდება იმაზე, რაც ქვემოთ (VI. ნაწილში) სამართლის ბოროტად გამოყენებით გამოწვეული ქირავნობის შეწყვეტის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით არის განმარტებული.

2. ქართული სამართალი:

გამომდინარე იქიდან, რომ ქართული კანონმდებლობა მსგავსად არის დარეგულირებული, შესაძლებელია, რომ გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ჩამოყალიბებული ეს პრინციპები ქართულ სამართლზეც გავრცელდეს.

IV. დამქირავებლის შესაგებლის უფლება გერმანულ სამართალში:

გსკ-ის 574-ე პარაგრაფში მოქცეული „სოციალური დათქმის” შესაბამისად, დამქირავებელს შეუძლია შეეწინააღმდეგოს გამქირავებლის მიერ ქირავნობის შეწყვეტას, თუ ქირავნობის ურთიერთობის დასრულება მისთვის ან მისი ოჯახის/საერთო მეურნეობის წევრისთვის გაუმართლებელ სირთულეს შექმნის, ან თუ ვერ მოიძებნება შემცვლელი საცხოვრებელი ფართი სათანადო პირობებით.

1. გაუმართლებელი სირთულე:

გსკ-ის 574 I 1 პარაგრაფის მიხედვით, სირთულე არსებობს მაშინ, როდესაც საცხოვრებლის შეცვლასთან დაკავშირებული უარყოფითი ეფექტები საგრძნობლად აღემატება საცხოვრებლის შეცვლისას ჩვეულებრივ წარმოშობილ დისკომფორტს.[91]

აღნიშნული შესაძლოა მოქმედებდეს, მაგალითად, როდესაც საკითხი ეხება გრძელვადიან ქირავნობას, დამქირავებლის მოწიფულ ასაკს ან მის მძიმე დაავადებას. თუმცა, მხოლოდ ხანგრძლივი ქირავნობის პერიოდი ან დამქირავებლის მოწიფული ასაკი ავტომატურად არ ქმნის სირთულის საფუძველს, რადგან დამქირავებლის ინტეგრაციის დონე გარემოში განსხვავდე-

[88] *Tiedemann* in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 573 BGB (Stand: 20.06.2024), Rn. 191.

[89] გერმანული სასამართლო პრაქტიკა: *Hagenloch*, https://lawlibrary.info/ge/books/GIZ_CivilProcedureCode_Commentary.pdf. 102-ე მუხლი. თავი: 3. b) aa) (3)).

[90] *Tiedemann* in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 573 BGB (Stand: 20.06.2024), Rn. 192.

[91] BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, juris Rn. 28; BGH, Urteil vom 15. März 2017 - VIII ZR 270/15 - NJW 2017, 1474, juris Rn. 25; BGH, Urteil vom 16. Oktober 2013 - VIII ZR 57/13 - NJW-RR 2014, 78, juris Rn. 17.

ბა მისი პიროვნებისა და ჯანმრთელობის ფიზიკურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.[92]

თუ ამ ფაქტორებს ემატება ისეთი დაავადება, რომლის გამო საცხოვრებლის შეცვლამ შესაძლოა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიოს (მაგალითად, შერეული გენეზის დემენციის შემთხვევაში), მაშინ საერთო შეფასების შედეგად ეს შეიძლება სირთულის საფუძველს ქმნიდეს. თუ დამქირავებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა საცხოვრებლის შეცვლას არ ითვალისწინებს, ან საცხოვრებლის შეცვლის შემთხვევაში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითი გაუარესების სერიოზული საფრთხე არსებობს, მაშინ ეს უკვე სირთულის საფუძვლად ითვლება.[93] თუ დამქირავებელი საცხოვრებლის შეცვლასთან დაკავშირებით დასაბუთებულად მიუთითებს მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ საფრთხეებზე, მათ შორის თვითმკვლელობის რისკებსაც, სასამართლომ (თუ თავად არ ფლობს შესაბამის ცოდნას) უნდა დანიშნოს ექსპერტი სიტუაციის სრული შეფასებისთვის. ამ შეფასებისას უნდა დადგინდეს, კონკრეტულად ჯანმრთელობის კუთხით საცხოვრებლის შეცვლისას რა შედეგებია მოსალოდნელი და რა ალბათობით შეიძლება ის გამოვლინდეს.[94]

ორივე მხარის ინტერესთა შეფასებისას, სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ, როგორც გსკ-ის 573 II 2 პარაგრაფის საფუძველზე ქირავნობის შეწყვეტის, ისე გსკ-ის 574-ე პარაგრაფის სოციალური დათქმის განმარტებისას, იგივე საკონსტიტუციო-სამართლებრივი სტანდარტები უნდა იქნას გამოყენებული.[95] ამიტომ, გსკ-ის 574-ე პარაგრაფის ფარგლებში, გამქირავებლის მხრიდან განზრახული ცხოვრებისეული გეგმები, როგორც წესი, პატივსაცემია.[96] თუმცა, ეს პრინციპი ანალოგიურად ვრცელდება დამქირავებლის ცხოვრებისეულ გეგმებზე, რის გამოც სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ დამქირავებლის პირადი შეხედულებები და არ უნდა იმოქმედონ საკუთარი შეხედულებების შესაბამისად.[97] ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე ეხება ასაკოვან ადამიანებს და მათი შემდგომი ცხოვრების დაგეგმვას.[98]

2. სათანადო შემცვლელი საცხოვრებლის უქონლობა:

სირთულის საფუძველი, რომელიც გამოხატულია სათანადო პირობებით შემცვლელი საცხოვრებლის მოძიების შეუძლებლობაში, მხოლოდ იმიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს არსებულად, რომ საცხოვრებლის ბაზარზე რთული მდგომარეობაა.[99] თუმცა, გსკ-ის 574 II პარაგრაფის მიხედვით ბაზრის ასეთი მდგომარეობა სირთულის არსებობის დამატებითი ინდიკატორია. ამიტომ, აღნიშნული მდგომარეობა დამქირავებლის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებულ (და, საჭიროების შემთხვევაში, დადასტურებულ) კონკრეტულ ღონისძიებებთან ერთობლიობაში, შესაძლოა, იწვევდეს რწმენას იმასთან დაკავშირებით, რომ დამქირავებლის (ან მისი ოჯახის ან საერთო მეურნეობაში მონაწილე წევრებისათვის) სათანადო საცხოვრებლის მიღება შესაბამისი პირობებით შეუძლებელია.[100] ამ შემთხვევაში, სასამართლოებმა უნდა განსაზღვრონ, თუ რა სახის შემცვლელი საცხოვრებელი

[92] BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, juris Rn. 30.

[93] BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, juris Rn. 28; BGH, Urteil vom 16. Oktober 2013 - VIII ZR 57/13 - NJW-RR 2014, 78, juris Rn. 20.

[94] BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, juris Rn. 45; BGH, Urteil vom 15. März 2017 - VIII ZR 270/15 - NJW 2017, 1474, juris Rn. 24 und Rn. 29.

[95] BVerfG, Beschluss vom 20. Mai 1999 - 1 BvR 29/99 - NJW-RR 1999, 1097, juris Rn. 15 f.

[96] BVerfG, Beschluss vom 11. November 1993 - 1 BvR 696/93 - NJW 1994, 309, juris Rn. 11; BVerfG, Beschluss vom 20. Februar 1995 - 1 BvR 665/94 - NJW 1995, 1480, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, juris Rn. 41; BGH, Urteil vom 11. Dezember 2019 - VIII ZR 144/19 - NJW 2020, 1215, juris Rn. 33.

[97] BVerfG, Beschluss vom 27. Januar 1994 - 1 BvR 2067/93 - juris Rn. 4 f.

[98] შდრ. BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, juris Rn. 63.

[99] BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, juris Rn. 49 ff.

[100] BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, juris Rn. 51.

შეესაბამება დამქირავებლის ფინანსურ და პირად მდგომარეობას, რა ძალისხმევა უნდა იქნას გაწეული საცხოვრებლის მოსაძებნად და შეესაბამება თუ არა ეს ძალისხმევა აუცილებელ მოთხოვნებს.[101]

შემცვლელი საცხოვრებელი ითვლება შესაბამისად, თუ იგი, არსებულ საცხოვრებელთან შედარებით, დამქირავებლის საჭიროებებს აკმაყოფილებს და მისთვის ფინანსურად ხელმისაწვდომია. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დამქირავებლის ცხოვრების წესს, პირად და ფინანსურ მდგომარეობას. თუმცა, არ არის სავალდებულო შემცვლელი საცხოვრებელი სრულად შეესაბამებოდეს არსებულ საცხოვრებელს ზომით, განლაგებით, ხარისხითა და ფასით.[102] დამქირავებელი უნდა იყოს მზად გარკვეული დათმობებისთვის. თუ დამქირავებლის ოჯახში ცხოვრობენ პირები, რომელთაც საკუთარი შემოსავალი აქვთ, შემცვლელი საცხოვრებლის ძიება, როგორც წესი, უნდა მოიცავდეს ისეთ საცხოვრებლებსაც, რომლით უზრუნველყოფაც ოჯახის მთლიანი შემოსავლით შეიძლება. ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული, მიიღებს თუ არა დამქირავებელი ახალ საცხოვრებელში გადასვლის შემთხვევაში იგივე ან უფრო მეტ სოციალურ დახმარებას (განსაკუთრებით საცხოვრებლის სუბსიდიებს).[103]

V. გამოსახლების ვადა:

როგორც უკვე I.1. ნაწილში იყო განხილული, გსსკ-ის 721-ე პარაგრაფის მიხედვით, შესაძლებელია გამქირავებელს განესაზღვროს გამოსახლების ვადა. სასამართლოს ვალდებულებაა, მხარეთა ინტერესები დააბალანსოს და ამის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება.[104]

ეს საკითხი, როგორც წესი, განსაზღვრული უნდა იყოს გამოსახლების შესახებ გადაწყვეტილებაში, ანუ ძირითადი სამართალწარმოების ფარგლებში. თუმცა, სამართლებრივი ბუნებით, ეს მხოლოდ პროცესუალური (აღსრულებითი) ღონისძიებაა, რაც არ ცვლის ქირავნობის ხელშეკრულების მატერიალურ-სამართლებრივ შეწყვეტას (გსკ-ის 571 II პარაგრაფი) და არ აუქმებს დამქირავებლის მიერ საცხოვრებლის დროული დაბრუნების ვალდებულების დარღვევას.[105] დამქირავებლისთვის გამოსახლების ვადის მინიჭების პერიოდში გამქირავებელს ეზღუდება უფლება, რომ გამოსახლება განახორციელოს ვადის ამოწურვამდე. ამასთან, ეს არ ცვლის იმ გარემოებას, რომ დამქირავებელი ვალდებულია, საცხოვრებლის დაგვიანებული დაბრუნების გამო გსკ-ის 546a პარაგრაფის საფუძველზე გადაიხადოს ან შეთანხმებული, ან ადგილობრივი ბაზრის შესაბამისად დადგენილი ქირის საფასური, როგორც სარგებლობის კომპენსაცია. თუმცა, უფრო ფართო, მაგალითად, საცხოვრებლის დაგვიანებული დაბრუნების გამო, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გსკ-ის 571 II პარაგრაფის შესაბამისად გამორიცხულია.

VI. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა:

ზოგადი ვალდებულებით-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ნორმის (გსკ-ის 280 I პარაგრაფი) დარღვევის მიხედვით, გამქირავებელი ვალდებულია აუნაზღაუროს ზიანი, თუ იგი ქირავნობის შეწყვეტას შეცდომით ისეთ პირად საჭიროებას დააფუძნებს, რომელიც რეალურად არ არსებობს, ან თუ მან დამქირავებელს ქირავნობის ვადის ამოწურვამდე (იხ. III.1.ბ) დდ) (2)) არ აცნობა, რომ პირადი საჭიროება შემდგომში აღარ არსებობდა.[106]

[101] BGH, Urteil vom 11. Dezember 2019 - VIII ZR 144/19 - NJW 2020, 1215, juris Rn. 28.

[102] BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, juris Rn. 50; BGH, Urteil vom 11. Dezember 2019 - VIII ZR 144/19 - NJW 2020, 1215, juris Rn. 26.

[103] BGH, Urteil vom 22. Mai 2019 - VIII ZR 180/18 - BGHZ 222, 133, juris Rn. 50; BGH, Urteil vom 11. Dezember 2019 - VIII ZR 144/19 - NJW 2020, 1215, juris Rn. 26.

[104] *Seibel* in: Zöller, Zivilprozessordnung, 35. Auflage 2024, § 721 ZPO, Rn. 6; ვადის გაგრძელების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით: LG Berlin, Beschluss vom 6. August 2021 - 65 S 92/21 - ZMR 2022, 33, juris Rn. 2.

[105] BGH, Urteil vom 11. Dezember 2020 - V ZR 26/20 - NJW 2021, 1088, juris Rn 8.

[106] BGH, Urteil vom 9. Dezember 2020 - VIII ZR 238/18 - NJW 2021, 1232, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 8. April 2009 - VIII ZR 231/07 - NJW 2009, 2059, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 13. Juni 2012 - VIII ZR 356/11, juris Rn.

ამ ვალდებულების დარღვევის მტკიცების ტვირთი დამქირავებელს ეკისრება, თუმცა, მას ეხმარება ე. წ. მეორეული მტკიცების ვალდებულების პრინციპი.[107] გერმანიის ფედერალური სასამართლო ამ საკითხზე შემდეგ განმარტებას იძლევა:[108]

ა) ზოგადად, ის პირი, რომელიც თავის სასარგებლოდ რაიმე სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე უფლებაზე მიუთითებს, ვალდებულია წარადგინოს და დაამტკიცოს ამ უფლების არსებობის ფაქტობრივი საფუძვლები...

ბ) აღნიშნული მტკიცების ტვირთის განაწილება, განსხვავებით ზოგიერთი სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიულ ლიტერატურაში წარმოდგენილი ზოგიერთი მოსაზრებისაგან, ასევე ვრცელდება ხელშეკრულების პოზიტიური დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზეც. დამქირავებელი, რომელიც ყოფილი გამქირავებლის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას აყენებს პირადი საჭიროების ცრუ მოტივით განხორციელებული ქირავნობის შეწყვეტის საფუძველზე, ვალდებულია დაამტკიცოს, რომ გამქირავებლის მიერ პირადი საჭიროების დასაბუთებისთვის წარმოდგენილი ფაქტები არ შეესაბამება სინამდვილეს. არ არსებობს ობიექტური საფუძველი, რომ ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი პრინციპი შეიცვალოს. შესაბამისად, დამქირავებელმა თავად უნდა დაამტკიცოს, რომ გამქირავებლის მიერ დასახელებული გარემოებები არ შეესაბამება რეალობას, თუ იგი ამ საფუძვლით ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს.

აა) მტკიცების ტვირთის შებრუნების საფუძველი არ არსებობს იმ მხრივ, რომ ზიანის ანაზღაურების პროცესში გამქირავებელს ევალებოდეს ქირავნობის შეწყვეტისას დასახელებული პირადი საჭიროების დამტკიცება, რადგან გამოსახლების პროცესში სწორედ გამქირავებელს აკისრია მტკიცებისა და დასაბუთების ტვირთი პირადი საჭიროების არსებობაზე (...). მტკიცების ტვირთის განსხვავებული განაწილება გამომდინარეობს იმ განსხვავებული მოთხოვნებიდან, რომლებსაც გამქირავებელი და დამქირავებელი სხვადასხვა პროცესში აყენებენ. გამოსახლების პროცესში გამქირავებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ პირადი საჭიროება რეალურად არსებობდა და ამიტომ, მას ჰქონდა ქირავნობის შეწყვეტის უფლება, ხოლო ზიანის ანაზღაურების პროცესში დამქირავებელი ვალდებულია დაამტკიცოს, რომ პირადი საჭიროება მხოლოდ საბაბი იყო და ქირავნობის შეწყვეტა უსაფუძვლოდ მოხდა.

ბბ) ...

გგ) დამქირავებელს არ ეკისრება გაუმართლებელი მტკიცების ტვირთი იმის გამო, რომ ის ვალდებულია გამქირავებლის პირადი საჭიროების არქონა ამტკიცოს. გამქირავებელი, როგორც მტკიცების ტვირთის მქონე მხარე, არ შეიძლება შემოიფარგლოს იმით, რომ მან უბრალოდ უარყოს დამქირავებლის მტკიცება, თითქოს ქირავნობის შეწყვეტის დროს მას საცხოვრებელი ფართის პირადი გამოყენების სერიოზული განზრახვა არ ჰქონია. გერმანიის ფედერალური სასამართლოს დამკვიდრებელი პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო პროცესში მხარეს ეკისრება ე. წ. მეორეული მტკიცების ვალდებულება მაშინ, როდესაც თავდაპირველი მტკიცების ვალდებულება ეკისრება ისეთ მხარეს, რომელსაც უშუალოდ არ მიუწვდება ხელი მნიშვნელოვან ფაქტებზე, ხოლო მის მოწინააღმდეგე მხარეს, გონივრულად, შეუძლია წარმოადგინოს მეტი ინფორმაცია (...). ამ ფარგლებში, პროცესის მხარეს შესაძლებელია, დაეკისროს უარყოფითი ფაქტის (პირადი საჭიროების არქონის) დასაბუთებული უარყოფა იმ პოზიტიური გარემოებებისა და ფაქტების წარმოჩენით, რომლებიც საწინააღმდეგოზე მიანიშნებენ (...).“

თუ გამქირავებელი საცხოვრებლის დატოვების შემდეგ ქირავნობის შეწყვეტისას დასახე-

10; BGH, Urteil vom 10. Juni 2015 - VIII ZR 99/14 - NJW 2015, 2324, juris Rn. 14.

[107] დეტალურად იხ.: *Hagenloch*, https://lawlibrary.info/ge/books/GIZ_CivilProcedureCode_Commentary.pdf. 102-ე მუხლი. თავი: 3. b) aa) (3).

[108] BGH, Urteil vom 18. Mai 2005 - VIII ZR 368/03 - NJW 2005, 2395, juris Rn. 17 ff., ციტატა ამოღებულია.

ლებულ პირად საჭიროებას პრაქტიკაში არ ახორციელებს, საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება, რომ პირადი საჭიროება მხოლოდ საბაბი იყო. ასეთ შემთხვევაში, გამქირავებელი ვალდებულია დეტალურად და დამაჯერებლად განმარტოს, რა მიზეზით გაუქმდა ქირავნობის შეწყვეტისას დასახელებული პირადი საჭიროება. ამ განმარტებაზე მკაცრი მოთხოვნები ვრცელდება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამქირავებელი თავის განმარტებას ამ მოთხოვნებს შეუსაბამებს, დამქირავებელს დაეკისრება ვალდებულება დაამტკიცოს, რომ გამქირავებელს ქირავნობის შეწყვეტამდე უკვე არ ჰქონდა საცხოვრებლის პირადი გამოყენების ნამდვილი განზრახვა.[109]

თუ ქირავნობის ურთერთობის შემწყვეტ გამქირავებელს ხელი მიუწვდებოდა სხვა შესაფერის ბინაზე, რომელიც მის საცხოვრებელ საჭიროებას არსებითი შეზღუდვების გარეშე დააკმაყოფილებდა, ეს შესაძლოა მიანიშნებდეს იმაზე, რომ ქირავნობის შეწყვეტის საფუძვლად დასახელებული პირადი საჭიროება მხოლოდ მოჩვენებითი იყო.[110] ასეთ შემთხვევაშიც, გამქირავებელი ვალდებულია დეტალურად და დამაჯერებლად განმარტოს, თუ რატომ არ ისურვა მან აღნიშნული საცხოვრებლის გამოყენება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მოიცავს ე. წ. ქირავნობის შეწყვეტის შედეგად წარმოშობილ ზიანს.[111] ამ კატეგორიაში შეიძლება შედიოდეს: საცხოვრებლის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯები, საყოფაცხოვრებო ნივთების დროებითი შენახვის ხარჯები, დროებითი საცხოვრებლის ხარჯები, ჩაშენებული სამზარეულოს გადატანის ან გადაკეთების ხარჯები.[112] ასევე, მაკლერის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაც,[113] თუმცა არა იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელმა ქირავნობის შეწყვეტა გამოიყენა საბაბად საცხოვრებლის დაქირავების ნაცვლად უძრავი ქონების შესაძენად.[114]

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება მოიცავდეს ქირის სხვაობას ახალ საცხოვრებელსა და იმ საცხოვრებელს შორის, რომელიც უსაფუძვლოდ შეწყვეტილი ქირავნობის შედეგად დატოვა დამქირავებელმა.[115] თუმცა, დამქირავებელმა უნდა გაითვალისწინოს სარგებლის დაბალანსების პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ თუ ახალი საცხოვრებელი ობიექტურად მნიშვნელოვნად უკეთესია, ქირის სხვაობა შესაძლოა სრულად არ ანაზღაურდეს.[116]

გამქირავებლის პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს ის ფაქტი, რომ დამქირავებელი პირად საჭიროებაზე დაყრდნობით მიღებული ქირავნობის შეწყვეტის საფუძველზე ნებაყოფლობით გადავიდა საცხოვრებლიდან.[117] საკმარისია, რომ დამქირავებელს არ ჰქონდა საფუძველი, გამქირავებლის განცხადებებში დაეჭვებულიყო, რის გამოც მან გამქირავებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის (რაც მისთვის ისედაც რთულად შესამოწმებელი იყო) გადამოწმებაზე უარი თქვა.[118]

[109] BGH, Beschluss vom 11. Oktober 2016 - VIII ZR 300/15 - NJW-RR 2017, 75, juris Rn. 25; BGH, Urteil vom 18. Mai 2005 - VIII ZR 368/03 - NJW 2005, 2395, juris Rn. 23.

[110] BGH, Urteil vom 29. März 2017 - VIII ZR 44/16 - NJW 2017, 2819, juris Rn. 32; BGH, Beschluss vom 23. August 2016 - VIII ZR 178/15 - NJW-RR 2017, 72, juris Rn. 16.

[111] BGH, Urteil vom 9. Dezember 2020 - VIII ZR 371/18 - NJW-RR 2021, 201, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 2. November 2016 - XII ZR 153/15 - NJW 2017, 1104, juris Rn 11.

[112] BGH, Beschluss vom 20. Oktober 2020 - VIII ZR 371/18 - NZM 2020, 1038, juris Rn. 6.

[113] კომერციული ფართის დაქირავებასთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 15. März 2000 - XII ZR 81/97 - NJW 2000, 2342, juris Rn. 25 f.

[114] BGH, Urteil vom 9. Dezember 2020 - VIII ZR 371/18 - NJW-RR 2021, 201, juris Rn. 26 ff.; BGH, Urteil vom 9. Dezember 2020 - VIII ZR 238/18 - NJW 2021, 1232, juris Rn. 25 ff.

[115] LG Kassel, Urteil vom 23. November 2023 - 1 S 222/22 - WuM 2024, 401, juris Rn. 131.

[116] LG Kassel, Urteil vom 23. November 2023 - 1 S 222/22 - WuM 2024, 401, juris Rn. 131; კომერციული ფართის დაქირავებასთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 15. März 2000 - XII ZR 81/97 - NJW 2000, 2342, juris Rn. 30.

[117] LG Saarbrücken, Urteil vom 19. Dezember 1997 - 13 BS 135/97 - NZM 1998, 304, juris Rn. 6; LG Kassel, Urteil vom 23. November 2023 - 1 S 222/22 - WuM 2024, 401, juris Rn. 111.

[118] LG Kassel, Urteil vom 23. November 2023 - 1 S 222/22 - WuM 2024, 401, juris Rn. 111 ff.

VII. აღსრულება/წინმსწრები გადაწყვეტილება გამოსახლებაზე:

გერმანულ და ქართულ სამართალს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს სასამართლოს მიერ გამოსახლების განჩინების აღსრულების პროცესში.

ქირავნობის შეწყვეტის პროცესში მნიშვნელოვანია გამქირავებლისა და დამქირავებლის ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა (რომელიც კონსტიტუციურ-სამართლებრივი საკუთრების გარანტიით არის დაცული), ასევე სოციალური სირთულეების თავიდან აცილება. ამ პრინციპს ასევე განგრძობადი მოქმედება აქვს გამოსახლების გადაწყვეტილების აღსრულების პროცესშიც.

აღსრულების პროცესის მაღალი სამართლებრივი სტანდარტი ემსახურება იმ მიზანს, რომ გერმანიაში გამოსახლების გადაწყვეტილების აღსრულება (ისევე როგორც ყველა იძულებითი აღსრულება) ხორციელდება სასამართლო პროცედურის ფარგლებში, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს ემყარება. გამოსახლებისთვის ერთადერთი საფუძველი, ე. წ. იძულებითი გამოსახლება, მხოლოდ იმ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდება, რომელიც გამოსახლებაზე უშუალოდ იღებს გადაწყვეტილებას. გერმანიაში საპოლიციო (საჯარო სამართლებრივი) გამოსახლება არასდროს არსებობდა, რომელიც გერმანულ-სამართლებრივი პრინციპებისთვის, კერძოდ, მფლობელობის უფლების კონსტიტუციით უზრუნველყოფილი დაცვის სტანდარტისათვის უცხო იქნებოდა. იძულებითი გამოსახლების პროცესი გერმანიაში არსებითად შემდეგნაირად არის მოწესრიგებული:

იძულებითი გამოსახლების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს აღსრულებადი სასამართლო გადაწყვეტილება (გსსკ-ის 704-ე პარაგრაფი). ასეთი გადაწყვეტილება სახეზეა, როდესაც გადაწყვეტილება ან უკვე საბოლოოდ ძალაშია შესული, ან სასამართლომ ის წინასწარ აღსასრულებლად მიაქცია. გადაწყვეტილება წინასწარ აღსასრულებლად მიექცევა, თუ საცხოვრებელი ფართის ქირავნობის დავებზე პირველი ინსტანციის უფლებამოსილმა სასამართლომ (სასამართლო მოწყობის შესახებ კანონის 23 IIa პარაგრაფი) დამქირავებელს დაქირავებული სახლის დაცლა მოსთხოვა (გსსკ-ის 708 VII პარაგრაფი). გსსკ-ის 711-ე პარაგრაფის მიხედვით, წინასწარ აღსასრულებელი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსახლების აღსრულება შესაძლებელია უზრუნველყოფის (საგარანტიო თანხის შეტანის) გზით შეჩერდეს. ასეთი სახის გამოსახლება, სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოოდ ძალაში შესვლამდე, გერმანიაში იშვიათია, რადგან გსსკ-ის 717 II პარაგრაფის თანახმად, თუ ჯერ კიდევ ძალაში არ შესული გადაწყვეტილება გაუქმდება, ამით ისპობა კიდეც გამოსახლების საფუძველი და მაშინ გამქირავებელი, მიუხედავად მისი ბრალისა, ვალდებულია ზიანი აანაზღაუროს.

წინმსწრები გადაწყვეტილების საფუძველზე (ქართულ სამართალში აღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტს მიემართება) გამოსახლება გერმანიაში დასაშვებია მხოლოდ გსსკ-ის 940a პარაგრაფით განსაზღვრული (მფლობელობის მოპოვება აკრძალული თვითნებობით; სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხე) ფარგლებით გათვალისწინებული ვიწრო წინაპირობების შემთხვევაში. პირად საჭიროებაზე დაყრდნობით გამოსახლებაში არ მოიაზრება:

გერმანიაში გამოსახლებას ახორციელებს სასამართლო აღმასრულებელი. ეს არის შესაბამისად გადამზადებული სასამართლო მოხელე, რომელიც თავის საქმიანობაში გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობს, თუმცა მისი გადაწყვეტილებები სასამართლო კონტროლს ექვემდებარება.

სასამართლოს აღმასრულებელი აღსრულების მომთხოვნი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს იძულებით გამოსახლებას, რითაც გსსკ-ის 885-ე და 885a პარაგრაფის შესაბამისად, დამქირავებელს საცხოვრებელზე მფლობელობა ჩამოერთმევა (კანონით განსაზღვრული ფორმულირება) და მისი მოძრავი ქონება გატანას ექვემდებარება. აღნიშნული მოთხოვნის შესრულების მიზნით, აღმასრულებელი ეკონტაქტება გადაზიდვის კომპანიას, მიმარ-

თავს საკეტების სპეციალისტს, რათა საცხოვრებელი გახსნას (გსსკ-ის 758 II პარაგრაფი). თუ აღმასრულებელს წინააღმდეგობას გაუწევენ, აღმასრულებელს უფლება აქვს ძალა გამოიყენოს და აღსრულების პოლიციის დახმარება მოითხოვოს (გსსკ-ის 758 III პარაგრაფი). კანონით დაშვებულია ე. წ. გამარტივებული გამოსახლება, რის მიხედვითაც დამქირავებელს ბინიდან გამოასახლებენ (მაგალითად, გასაღებების ჩაბარებით ან საცხოვრებლის საკეტის შეცვლით), თუმცა მისი ქონება საცხოვრებელში დარჩება.

სასამართლოს აღმასრულებელი ვალდებულია მოვალეს გამოსახლების თარიღი არანაკლებ სამი კვირით ადრე აცნობოს (სასამართლო მოწყობის შესახებ კანონის 128 II პარაგრაფი). ეს საშუალებას აძლევს დამქირავებელს, მიმართოს სასამართლოს აღსრულებისგან დაცვის მოთხოვნით (გსსკ-ის 765a პარაგრაფი):

გსსკ-ის 765a პარაგრაფი: აღსრულებისგან დაცვა

„(1) მოვალის განცხადების საფუძველზე, აღმასრულებელ სასამართლოს შეუძლია აღსრულების ღონისძიება სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს, თუ აღნიშნული ღონისძიება, კრედიტორის დაცვის საჭიროების სრული გათვალისწინებით, წარმოადგენს განსაკუთრებულ შემთხვევას, რომელიც ისეთი სირთულის შემცველია, რომ კეთილსინდისიერებასთან შეუთავსებელია...“.

აღნიშნული აღსრულებისგან დაცვის მექანიზმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გამოსახლება დამქირავებლის ჯანმრთელობისთვის ან სიცოცხლისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, მათ შორის თვითმკვლელობის რისკების არსებობის შემთხვევაში. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან შესაბამისობით[119], გერმანიის ფედერალური სასამართლო ამ პროცესის პრინციპებს შემდეგნაირად აყალიბებს:[120]

„თუ მოვალე ვალდებულია უძრავი ქონება გადასცეს, დატოვოს ან გაათავისუფლოს, გსსკ-ის 885 I 1 პარაგრაფის თანახმად, სასამართლოს აღმასრულებელი ვალდებულია ჩამოაშოროს მას მფლობელობა და გადასცეს იგი კრედიტორს. მოვალის განცხადების საფუძველზე, აღმასრულებელ სასამართლოს შეუძლია გსსკ-ის 765a I 1 პარაგრაფის მიხედვით აღსრულების ღონისძიება სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს, თუ აღნიშნული ღონისძიება, კრედიტორის დაცვის საჭიროების სრული გათვალისწინებით, წარმოადგენს განსაკუთრებულ შემთხვევას, რომელიც ისეთი სირთულის შემცველია, რომ კეთილსინდისიერებასთან შეუთავსებელია.

1. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის ფუნდამენტური უფლება (გერმანიის კონსტიტუციის 2 II 1 მუხლი) ავალდებულებს აღმასრულებელ სასამართლოს, რომ გსსკ-ის 765a I 1 პარაგრაფის პირობების შეფასებისას გაითვალისწინოს ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპები და აღსრულების პროცესში მოვალისთვის მინიჭებული კონსტიტუციური უფლებები. ამ პრინციპების გათვალისწინებით, გარემოებების სრული შეფასების საფუძველზე თითოეულ შემთხვევაში აღნიშნული შეიძლება ნიშნავდეს, რომ აღსრულება ხანგრძლივი ვადით, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში – განუსაზღვრელი ვადით შეჩერდეს. თუ აუცილებელი ინტერესთა ბალანსირებით დგინდება, რომ აღსრულებასთან წინააღმდეგობაში მყოფი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე მიმართული ინტერესები კონკრეტულ შემთხვევაში აშკარად აღემატება იმ ინტერესებს, რომელთა უზრუნველყოფასაც აღსრულება ემსახურება, არსებული ჩარევა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს პროპორციულობის პრინციპს და არღვევდეს გერმანიის კონსტიტუციის 2 II 1 მუხლის საფუძველზე მოვალის ფუნდამენტურ უფლებას (...).

.... ამას გარდა, გამოსახლების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკები, არამედ ის საფრთხეებიც, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას იძულებითი გამოსახლების შემდეგ (...).

[119] BVerfG, Beschluss vom 22. Mai 2024 - 2 BvR 51/24 - NJW-RR 2024, 881, juris Rn. 50 ff.

[120] BGH, Beschluss vom 1. Juni 2023 - I ZB 108/22 - NJW-RR 2023, 1228, juris Rn. 13 ff.; ციტატა ამოღებულია.

2. აღმასრულებელ სასამართლოს ევალება პროცესის ორგანიზებისას მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა აღმოფხვრას იძულებითი აღსრულების შედეგად შესაძლო კონსტიტუციური დარღვევები და დაიცვას სახელმწიფო ორგანოების ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის დაცვის ვალდებულებიდან (...). სასამართლომ უნდა დაადგინოს, იწვევს თუ არა აღსრულების ღონისძიება რეალურ საფრთხეს მოვალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის; ამასთან დაკავშირებული შეფასებები ფაქტობრივად უნდა დასაბუთდეს (...).“

თუ იძულებითი გამოსახლება დამქირავებლისთვის უსახლკარობის საფრთხეს ქმნის, სასამართლოს აღმასრულებელმა სასამართლო მოწყობის შესახებ კანონის 130 III პარაგრაფის საფუძველზე უნდა აცნობოს უსახლკაროთა განთავსებაზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსახლების თარიღის შესახებ. ამ შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მოითხოვონ, რომ დამქირავებელი დროებით დარჩეს იმავე საცხოვრებელში (თავისი ხარჯებით). ასეთი ჩარევის უფლებამოსილება ეფუძნება იმ პრინციპს, რომ არანებაყოფლობითი უსახლკარობა ადმინისტრაციული სასამართლოების დადგენილი პრაქტიკის მიხედვით საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დარღვევად მიიჩნევა.[121] ამის თავიდან ასაცილებლად, კომპეტენტური ორგანოები ვალდებულნი არიან, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის კანონმდებლობის (პოლიციური სამართლის) შესაბამისად იმოქმედონ. როგორც ultima ratio, მათ შეუძლიათ გამქირავებელს დააკისრონ, დამქირავებლის დროებითი განთავსების ვალდებულება. აღნიშნულის წინაპირობა არის ის, რომ კომპეტენტურ ორგანოს არ გააჩნდეს სხვა გზა, რათა უზრუნველყოს შესაბამისი პირი საცხოვრებლით, რომელიც დროებით დაიცავს მას ამინდის ზემოქმედებისგან და დააკმაყოფილებს მის აუცილებელ ცხოვრებისეულ მოთხოვნებს.[122]

[121] ბადენ-ვიურტემბერგის ადმინისტრაციული უმაღლესი სასამართლო, Beschluss vom 23. Juli 2024 - 1 S 816/24 - juris Rn. 23; Sächsisches Oberverwaltungsgericht, Beschluss vom 11. August 2022 - 6 B 198/22 - juris Rn. 9; VG Bayreuth, Beschluss vom 13. September 2023 - B 1 K 22.801 - juris Rn. 20; VG München, Beschluss vom 24. Oktober 2002 - M 22 E 02.2459 - juris Rn. 50.

[122] ბოლოს: VG Köln, Beschluss vom 4. April 2024 -22 L 485/24 - juris Rn 14 ff., დამატებითი წყაროებით.

წარმომადგენლის ცოდნის შერაცხვა სკ-ის 106 I მუხლის საფუძველზე

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ულრიხ ჰაგენლოხი
დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი (პენსიონირებული)

I. შესავალი:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მთელ რიგ დანაწესებში სამართლებრივ შედეგებს ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოებების ცოდნასთან აკავშირებს. მაგალითად, აღსანიშნავია მოტყუების ქმედება შეცილებად გარიგებებში, უფლების კეთილსინდისიერად მოპოვების დანაწესები, ვადების დენის დაწყება, აგრეთვე ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებული მითითებისა და ინფორმირების ვალდებულებები.

ასეთი ცოდნის არსებობა სპეციფიკურ სამართლებრივ პრობლემებს არ წარმოქმნის (თუმცა, შესაძლოა წარმოქმნას სირთულეები ფაქტობრივი მტკიცების კუთხით), თუ ფიზიკური პირის ცოდნა გადამწყვეტია და ის თავად ახორციელებს სამართლებრივად რელევანტურ ქმედებებს, მაგალითად, თვითონ გამოხატავს ნებას ან აწარმოებს სახელშეკრულებო მოლაპარაკებებს. თუმცა, განსხვავებული მდგომარეობაა, როდესაც საქმე ეხება იურიდიული პირის ცოდნას ან კანონით გათვალისწინებული თუ გარიგებისმიერი წარმომადგენლის მიერ მოპოვებული ცოდნის შერაცხვას წარმოდგენილისათვის.

იურიდიული პირი სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს ფიზიკური პირების (მისი ხელმძღვანელობითი ორგანოების) მეშვეობით, რომელთა ქმედებებიც შეერაცხება ამ იურიდიულ პირს მისი კორპორატიული სტრუქტურის გათვალისწინებით. ეს ეხება, როგორც სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ქმედებებს (მაგ., ნების გამოხატვა), ისე სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ცოდნის შერაცხვას.[1] თუმცა, იურიდიული პირები ხშირად დეცენტრალიზებულად არიან ორგანიზებულნი, რის გამოც საკითხავია, თუ როგორ უნდა გადაწყდეს შემთხვევა, როდესაც, ერთი მხრივ, მმართველი ორგანოს და მეორე მხრივ, წარმომადგენლობითი ორგანოს ცოდნა ერთმანეთს აცდენილია.

II. ცოდნის შერაცხვა სკ-ის 106 I მუხლის საფუძველზე

1. ცოდნის შერაცხვა სკ-ის 106-ე მუხლის საფუძველზე

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში დაფიქსირებულია (სამეწარმეო საქმიანობით

[1] MüKoBGB/*Schubert*, 9. Aufl. 2021, BGB § 166, Rn. 12.

დაკავებული) იურიდიული პირებისათვის ცოდნის შერაცხვის (Wissenszurechnung)[2] წესები მხოლოდ სპეციალური შემთხვევებისათვის. ასეთი ნორმაა, მაგალითად, (სადავო სამართალურთიერთობის დროს მოქმედი მეწარმეთა შესახებ კანონის) 53 III მუხლი.

ა) ცოდნის შერაცხვის პრინციპი

ყველა სხვა შემთხვევისათვის მოქმედებს ცოდნის შერაცხვის ზოგადი წესი. ეს არის ცოდნის შერაცხვა წარმომადგენლობის ხაზის საფუძველზე, რაც ემყარება საქართველოს სკ-ის 106 I მუხლს.

სკ-ის 106 I მუხლი შექმნილია გსკ-ის 166 I პარაგრაფის ანალოგიით, რომელსაც საფუძვლად უდევს რეპრეზენტაციის პრინციპი.[3] მოცემული დანაწესის მიხედვით, წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგებების შემთხვევაში, ზოგადად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმომადგენლის პიროვნებას: ნების ნაკლისა და ცოდნის შემთხვევაში, გადამწყვეტია არა ნაკლი, რომელიც წარმოდგენილს პირადად მოუვიდა ან მისი პირადი ცოდნა, არამედ წარმომადგენლის ნების ნაკლი და ცოდნა.[4] მხოლოდ წარმომადგენლის ქმედების შედეგები ვრცელდება უშუალოდ წარმოდგენილ პირზე. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სკ-ის 106 II მუხლით (=გსკ-ის 166 II პარაგრაფი) გათვალისწინებული შემთხვევები, რომლებიც აქ არ იქნება განხილული.

ეს საკანონმდებლო კონცეპტი ლოგიკურია: წარმომადგენელი არის ის პირი, რომელიც უშუალოდ მოქმედებს სამართლებრივ ურთიერთობაში, უფრო ახლოს არის და პირდაპირი შეხება აქვს იმ სამართლებრივ გარემოებებთან, რომლებიც მნიშვნელოვანია ამ ურთიერთობის კონსტრუირებისათვის და, შესაბამისად, სწორედ მისი პიროვნებიდან გამომდინარე ფაქტორები უნდა იყოს გადამწყვეტი ამ ურთიერთობაში. ამ რეგულაციის გარეშე, მაგალითად, კეთილსინდისიერ წარმოდგენილს ექნებოდა შესაძლებლობა კეთილსინდისიერად მოეპოვებინა საკუთრება სკ-ის 185-ე ან 187-ე მუხლების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ მისი წარმომადგენელი, რომელმაც უშუალოდ დადო გარიგება, არაკეთილსინდისიერი იყო და იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. ეს სამოქალაქო ბრუნვაში იქნებოდა წარმომადგენლის პირდაპირი წაქეზება არაკეთილსინდისიერი ქცევისაკენ.[5]

გსკ-ის 166-ე პარაგრაფის ანალოგიით შექმნილ სკ-ის 106-ე მუხლში საუბარია მხოლოდ ნების ნაკლის შერაცხვაზე. ამ მხრივ, ფორმულირება ფორმალურად განსხვავდება გსკ-ის 166-ე პარაგრაფისაგან, რომლის ტექსტი ფაქტობრივ ცოდნასაც მოიცავს.[6]

---

[2] იხ. ზოგადად ცოდნის შერაცხვასთან დაკავშირებით *რუსიაშვილი/სირდაძე/ეგნატაშვილი,* სანივთო სამართალი, თბილისი 2019, 92-ე და მომდევნო გვერდი.

[3] Staudinger/*Schilken* (2024) BGB § 166, Rn. 1; Staudinger/*Schilken* (2024) Vorbemerkungen zu §§ 164–181, Rn. 11; *Weinland* in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 166 BGB (Stand: 01.10.2024), Rn. 1; OLG Frankfurt, Urteil vom 30. August 2000 - 9 U 6/00 - WM 2001, 353, juris Rn. 22.

[4] Staudinger/*Schilken* (2024) Vorbemerkungen zu §§ 164-181, Rn. 32.

[5] გამორიცხულია ასევე ორმაგი შერაცხვაც, როდესაც, ალტერნატიულად, როგორც წარმოდგენილის, ისე წარმომადგენლის არაკეთილსინდისიერება ჩაშლიდა საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვებას, რადგან ეს მნიშვნელოვნად გაართულებდა სამოქალაქო ბრუნვაში წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობას და გარკვეული სანქცია იქნებოდა ამისათვის, რაც ეწინააღმდეგება ამ ინსტიტუტის არსსა და კანონმდებლის ჩანაფიქრს, საფუძვლის გარეშე არ შეუშალოს ხელი ამ ფორმით შრომის გადანაწილებას.

[6] *166-ე პარაგრაფი: ნების ნაკლი; სავარაუდო ცოდნა. (1) თუ ნების გამოვლენის სამართლებრივ შედეგებზე გავლენას ახდენს ნების ნაკლი ან განსაზღვრული გარემოებების ცოდნა, ან სავარაუდო ცოდნა, მხედველობაში მიიღება არა მარწმუნებლის, არამედ წარმომადგენლის პიროვნება. (2) თუ გარიგებით მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (მინდობილობა) შემთხვევაში, წარმომადგენელი მოქმედებდა მარწმუნებლის მიერ მიცემული მითითებების მიხედვით, მაშინ ამ უკანასკნელს არ შეუძლია მიუთითოს წარმომადგენლის მიერ ისეთი გარემოებების არცოდნაზე, რომელთა შესახებაც მან თავად იცოდა. ანალოგიური წესი გამოიყენება იმ გარემოებების მიმართ, რომელთა შესახებაც მარწმუნებელს უნდა სცოდნოდა იმდენად, რამდენადაც სავარაუდო ცოდნა უთანაბრდება თავად ცოდნას.*

თუმცა, „ცოდნის შერაცხვის" გამოტოვება ვერ იქნება ქართველი კანონმდებლის შეგნებული გადაწყვეტილება, რადგან ქართულ კანონმდებლობაში სხვა დანაწესი, რომელიც ზოგადად მოაწესრიგებდა იმას, თუ ვისი ცოდნაა გადამწყვეტი სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში წარმომადგენლის მეშვეობით მოქმედებისას, არ არსებობს. ამგვარი დანაწესის გარეშე კი, როგორც ზემოთ ვახსენეთ, არაკეთილსინდისიერ თუ ზოგადად რაიმე საზიანო ცოდნის მქონე წარმომადგენელი ყოველთვის შეძლებდა ამოფარებოდა ამ ცოდნის არმქონე წარმოდგენილს, რაც დაუშვებელია. ეს კი სრულებით შეუთავსებელი იქნებოდა სამართლიანობისა თუ კეთილსინდისიერების პრინციპებთან. ამიტომაც, სკ-ის 106-ე მუხლი, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა გავრცელდეს ტელეოლოგიური განვრცობითი გამოყენებით (ტელეოლოგიური ექსტენსიის მეშვეობით), ასევე ცოდნის შერაცხვაზეც და მის შესაბამისად, სამართლებრივ ურთიერთობებში გადამწყვეტი უნდა იყოს წარმომადგენლის და არა წარმოდგენილის ცოდნა.

ბ) წარმომადგენლობის სახეები:

გერმანული დოქტრინის შესაბამისად განმარტებული სკ-ის 106-ე მუხლი მოიცავს არა მხოლოდ გარიგებისმიერ, არამედ ასევე კანონისმიერი წარმომადგენლობის შემთხვევასაც, რომელსაც განეკუთვნება იურიდიული პირის ორგანული წარმომადგენლობაც (ორგანოს მეშვეობით წარმომადგენლობა).[7] ამგვარად, სკ-ის 106 I მუხლი მოიცავს ასევე იმ შემთხვევასაც, როდესაც წარმოდგენილი მოგვიანებით იწონებს თავდაპირველად უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის ქმედებებს.[8] გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო გსკ-ის 166 I პარაგრაფთან დაკავშირებით აღნიშნავს:[9]

„სააპელაციო სასამართლო სწორად მიიჩნევს, რომ პირმა, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებში ნების გამოხატვის მიზნით იყენებს წარმომადგენელს [წარმომადგენლის მეშვეობით გამოხატავს ნებას] ან შემდგომში იწონებს მისი სახელით მოქმედი არაუფლებამოსილი წარმომადგენლის ქმედებებს, უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ ადრესატის დაცვის ღირსი ინტერესის გათვალისწინებით, ვერ მიუთითებს საკუთარ არცოდნაზე, რადგან გსკ-ის 166 I პარაგრაფის თანახმად, წარმომადგენლის ცოდნა მას, როგორც საკუთარი ისე შეერაცხება (BGHZ 55, 307, 311; ასევე BGHZ 83, 293, 296). გსკ-ის 164-ე და შემდგომი პარაგრაფები, განსაკუთრებით კი, გსკ-ის 166-ე პარაგრაფი, სრულად ვრცელდება არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ქმედების შემდგომი მოწონების შემთხვევებზე იმგვარად, თითქოს წარმომადგენელს ხელშეკრულების დადების მომენტში ჰქონდა შესაბამისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება (RGZ 68, 374, 376; BGHZ 83, 293, 296; Urteil vom 20. Januar 1989 - V ZR 137/87 - … NJW-RR 1989, 650 unter II 3; Urteil vom 8. November 1991 - V ZR 260/90, NJW 1992, 899 unter II 3).“

კანონის მიზნიდან დამატებით ასევე გამომდინარეობს, რომ სკ-ის 106 I მუხლისა და გსკ-ის 116 I პარაგრაფის მოქმედების არეალი (ანალოგიით) შესაძლოა გავრცელდეს ასევე საკუთარი პასუხისმგებლობით მოქმედ პირებზეც, რომლებსაც არ აქვთ წარმომადგენლობის უფლებამოსილება. თუმცა, ნების გადამტანის (შიკრიკის) ქმედება არ ექცევა აღნიშნული რეგულაციის ქვეშ, რადგან ის მხოლოდ სხვისი ნების გადამცემია.[10]

---

7 BeckOK BGB/*Schäfer*, 65. Ed. 1.2.2023, BGB § 166 Rn. 18; Staudinger/*Schilken* (2024) BGB § 166, Rn. 3; *Finkenauer* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 166 BGB, Rn. 2; ორგანოს მიერ განხორციელებული წარმომადგენლობის შემთხვევაში: BGH, Urteil vom 8. Dezember 1989 - V ZR 246/87 - BGHZ 109, 327, juris Rn 13; კანონისმიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში: BGH, Urteil vom 31. Januar 1996 - VIII ZR 297/94 - NJW 1996, 1205, juris Rn. 13; BGH, Beschluss vom 2. November 2016 - XII ZB 583/15 - NJW 2017, 561, juris Rn. 12; გარიგებისმიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში: BGH, Urteil vom 16. Dezember 2009 - XII ZR 146/07 - BGHZ 184, 35, juris Rn. 22.

8 BGH, Urteil vom 16. Dezember 2009 - XII ZR 146/07 - BGHZ 184, 35, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 29. März 2000 - VIII ZR 81/99 - NJW 2000, 2272, juris Rn. 22; Staudinger/Schilken (2024) BGB § 166, Rn. 3.

9 BGH, Urteil vom 29. März 2000 - VIII ZR 81/99 - NJW 2000, 2272, juris Rn. 22.

10 Staudinger/*Schilken* (2024) BGB § 166, Rn. 4a.

გ) შესარაცხი გარემოება:

სკ-ის 106 I მუხლისა და გსკ-ის 116 I პარაგრაფში გაცხადებული რეპრეზენტაციის პრინციპი შესარაცხი გარემოებების ტიპის განსაზღვრისას, როგორც წესი, ექსტენსიურ ან ანალოგიურ განმარტებას მოითხოვს.[11]

ამგვარად, მოცულია არა მხოლოდ ის ცოდნა, რომელიც ნების გამოხატვის კონტექსტში იძენს მნიშვნელობას (მაგალითად, კეთილსინდისიერების ელემენტი უფლების კეთილსინდისიერად მოპოვებისას[12], მოტყუების ქმედება), არამედ ნებისმიერი სხვა სამართლებრივად რელევანტური ცოდნაც, მაგალითად, როდესაც ეს ცოდნა უფლებების დაკარგვას ან მათ გამორიცხვას იწვევს.[13] მოცემულ კონტექსტში შეგვიძლია მივუთითოთ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეხება უფლების უსაფუძვლოდ მოპოვების შესახებ ცოდნას (იხ. სკ-ის 984 I მუხლი; გსკ-ის 819 I პარაგრაფი):[14]

„გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გსკ-ის 166 I პარაგრაფი, რომელიც აწესრიგებს წარმომადგენლის ცოდნის წარმოდგენილისათვის შერაცხვას, გსკ-ის 819 I პარაგრაფის ფარგლებში, სულ მცირე, ანალოგიით უნდა იქნას გამოყენებული (BGH, Urteile vom 25. März 1982 - VII ZR 60/81, BGHZ 83, 293, 295 f; ...). გსკ-ის 166 I პარაგრაფის შესაბამისად, პირმა, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში წარმომადგენლის მეშვეობით გამოხატავს ნებას, უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ ადრესატის დაცვის ღირსი ინტერესის გათვალისწინებით, წარმომადგენლის ცოდნა მას, როგორც საკუთარი, ისე შეერაცხება. ის ვერ მიუთითებს საკუთარ არცოდნაზე. ამ ნორმაში გამოკვეთილი ზოგადი სამართლებრივი პრინციპიდან გამომდინარე, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ დამოუკიდებლად წარმომადგენლობითი ურთიერთობის არსებობისგან, პირს, რომელიც სხვას გარკვეული დავალებების საკუთარი პასუხისმგებლობით განხორციელებას ავალებს, მოცემულ პროცესში ამ უკანასკნელის მიერ მოპოვებული ცოდნა, როგორც საკუთარი, ისე უნდა შეერაცხოს (...)“.

აღნიშნული ნორმის მიზნობრიობიდან გამომდინარე, ასევე ნების გამოხატვის განმარტებისას წარმომადგენლის პიროვნება გადამწყვეტია, მათ შორის, ფორმასავალდებულო გარიგების შემთხვევაშიც. მოცემულ კონტექსტში ფედერალური უმაღლესი სასამართლო განმარტავს:[15]

„წარმომადგენლის ქმედებების შერაცხვა (გსკ-ის 166 I პარაგრაფი) ... გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა ასევე ხელშეკრულების განმარტებისას, როგორც წარმომადგენლის მიერ გამოხატული ნების (BGH, Urteil vom 7. Dezember 1983 - IVa ZR 52/82, WM 1984, 240...), ისე მის მიერ მიღებული ნების შინაარსის [რომლის ადრესატიც ის არის] (BGHZ 82, 219, 222) ნაწილში სწორედ წარმომადგენლის ნების მიმართულება და გაცნობიერების უნარი. ... ასევე, ფორმასავალდებულო გარიგებების შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ მისი განმარტება არ შეიძლება მხარეთა ურთიერთმფარავი ნების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, მხარეთა საერთო წარმოდგენები ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით გადამწყვეტია მაშინაც კი, როდესაც ის დოკუმენტში არ ასახულა; ამის შედეგად წარმოშობილი დამოწმების ნაკლი შესაძლებელია გამოსწორდეს კანონის შესაბამისი ნორმების საფუძველზე (BGH, Urteil vom 10. Juli 1981 - V ZR 51/80, NJW 1982, 31 unter II m.w.N.). d) ასევე, ის გარემოება, რომ აღნიშნული ხელშეკრულება საჭიროებდა დოკუმენტურ დამოწმე-

[11] მიჯნა ექსტენსიურ გამოყენებასა და ანალოგიას შორის მყარად დადგენილი არ არის. როგორც გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში, ისე იურიდიულ ლიტერატურაში, უმეტესწილად (და სრულებით სამართლიანად) აღნიშნულ ცნებებს შორის მკაფიო განსხვავება და გამიჯვნა არ ხდება.

[12] BGH, Urteil vom 7. Mai 1991 - VI ZR 259/90 - BGHZ 114, 305, juris Rn. 22; Staudinger/*Schilken* (2024) BGB § 166, Rn. 9.

[13] *Finkenauer* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 166 BGB, Rn. 10; Staudinger/*Schilken* (2024) BGB § 166, Rn. 8 ff.

[14] BGH, Urteil vom 23. Januar 2014 - III ZR 436/12 - NJW 2014, 1294, juris Rn. 11.

[15] BGH, Urteil vom 29. März 2000 - VIII ZR 81/99 - NJW 2000, 2272, juris Rn. 25 f.

ბას (გერმანიის შპს-ის შესახებ კანონის 15 III პარაგრაფი), გავლენას ვერ მოახდენს გსკ-ის 166-ე პარაგრაფში გაწერილ შერაცხვის პრინციპზე. კერძოდ, ფედერალური უმაღლესი სასამართლოს 1986 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებაში (V ZR 126/84, NJW-RR 1986, 1019) აღნიშნული პრინციპი სრულად არის გაზიარებული. მართალია, ამ გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია, რომ დამოწმებასავალდებულო ხელშეკრულებათა განმარტებისას, გაფრთხილებისა და დაცვის ფუნქციიდან გამომდინარე, გსკ-ის 313-ე პარაგრაფის მიხედვით, უმნიშვნელოა, თუ რა შინაარსი განსაზღვრა წინარე მოლაპარაკებების ეტაპზე მიღწეულ შეთანხმებაში იმ პირმა, რომელიც ხელშეკრულების ერთი მხარის დავალებით მოქმედებდა; გადამწყვეტია მხოლოდ ის, თუ როგორ გაიგეს ან უნდა გაეგოთ თავად მხარეებს დოკუმენტში ასახული ნების გამოხატვა (...). მიუხედავად ამისა, ხსენებულ საქმეში პირადად წარმოდგენილმა აწარმოა წინარე მოლაპარაკებები, რომლებიც წინ უსწრებდა დამოწმებასავალდებულო ხელშეკრულების დადებას, რის გამოც, მას მხოლოდ მაშინ უნდა შერაცხვოდა მის მიერ წინარე მოლაპარაკებებისათვის შერჩეული წარმომადგენლის წარმოდგენები, თუ მან ამ წარმოდგენების შესახებ იცოდა. მოცემულ შემთხვევაში განსახილველი ფაბულა ამ შემთხვევასთან იმიტომ არ არის შედარებადი, რომ ფორმასავალდებულო ხელშეკრულება დაიდო არა უშუალოდ მოსარჩელის მიერ პირადად, არამედ მისი, თუნდაც არაუფლებამოსილი, წარმომადგენლის მიერ. თუ მხარე ხელშეკრულების დადებისას წარმომადგენელს იყენებს, ნოტარიუსის მხრიდან ახსნა-განმარტების ადრესატი (გერმანიის) დამოწმების შესახებ კანონის 6 II და 17 პარაგრაფების მიხედვით, არის მხოლოდ წარმომადგენელი. შესაბამისად, გაფრთხილებისა და დაცვის ფუნქცია, რომელსაც ემსახურება ფორმასავალდებულოობა ... პირდაპირ ვრცელდება მხოლოდ წარმომადგენელზე (BGHZ 125, 218, 225), მიუხედავად იმისა, მოქმედებდა იგი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით თუ მის გარეშე."

შერაცხვადია ასევე ის ცოდნაც, რომელიც განაპირობებს მარწმუნებლისათვის მითითებისა და გაფრთხილების ვალდებულებების წარმოშობას მისი კონტრაჰენტის მიმართ.[16] ეს განპირობებულია იმით, რომ სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირის დაცვის საჭიროება არ შეიძლება იყოს დამოკიდებული იმაზე, აქვს თუ არა მას უშუალო კონტაქტი მარწმუნებელთან თუ მის წარმომადგენელთან. გადამწყვეტია მხოლოდ ის, რომ მისი კონტრაჰენტისათვის (შესაბამის შემთხვევაში, წარმომადგენლის მეშვეობით) ცნობილია ან უნდა იყოს ცნობილი ის გარემოებები, რომლებიც მისთვის მითითებისა და გაფრთხილების ვალდებულებების დაკისრების საფუძველია. ასევე, სკ-ის 106 I მუხლისა და გსკ-ის 166 I პარაგრაფის პრინციპები გავრცელებადია გარიგების დარ ქმედებებსა და რეალაქტებზე[17].

წარმომადგენლის პიროვნება გადამწყვეტია, როდესაც საქმე ეხება საკითხს, სახეზეა თუ არა მომხმარებელთა დაცვის სამართლის მიხედვით გათვალისწინებული გამოხმობის უფლებისათვის აუცილებელი სიტუაციური წინაპირობები. შესაბამისად, გამოხმობის უფლება მოცემულია მაშინაც კი, როდესაც წარმომადგენელმა, წარმოდგენილის ცოდნის გარეშე, მოამზადა და დადო გარიგება ისე, რომ იგი ექვემდებარება საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრულ წინაპირობებს.[18] მეორე მხრივ, სამომხმარებლო დაცვის რეგულაციების გამოყენებისათვის აუცილებელი პიროვნული წინაპირობების არსებობა, მაგალითად, წარმოადგენს თუ არა პირი

[16] BGH, Urteil vom 19. März 2013 - XI ZR 46/11 -NJW 2013, 201, juris Rn. 25; BGH, Urteil vom 6. Mai 2008 - XI ZR 56/07 - BGHZ 176, 281, juris Rn. 17 f.

[17] Staudinger/*Schilken* (2024) BGB § 166, Rn. 11; შდრ. ცოდნის შერაცხვა აკრძალული თვითნებობის შემთხვევაში: BGH, Urteil vom 7. Mai 1991 - VI ZR 259/90 - BGHZ 114, 305, juris Rn. 36 i.V.m. Rn. 22.

[18] გერმანულ სამართალთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 12. Dezember 2005 - II ZR 327/04 - NJW 2006, 497, juris Rn. 17 f.; BGH, Urteil vom 14. Februar 2006 - XI ZR 255/04 - NJW 2006, 1340, juris Rn. 14; EuGH, Urteil vom 25. Oktober 2005 - C-229/04 - Slg 2005, I-9273-9314, Rn. 45; ამომწურავი განხილვა: Staudinger/*Schilken* (2024) BGB § 166, Rn. 9.

მომხმარებელს ან მეწარმეს, განისაზღვრება წარმოდგენილის იდენტობის მიხედვით.[19] თუ გამყიდველი არ არის დაკავებული სამეწარმეო საქმიანობით, მხოლოდ იმის გამო, რომ მან გარიგების განხორციელებაში მეწარმე ჩართო (როგორც შუამავალი), მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის მიხედვით მეწარმე ვერ გახდება.

ზოგადად, სკ-ის 106 I მუხლი და გსკ-ის 166 I პარაგრაფი იმ შემთხვევაშიც უნდა იქნას გამოყენებული, როდესაც მოპოვებული ცოდნის საფუძველზე იწყება კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების ათვლა და წარმომადგენელს უფლება აქვს, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დამოუკიდებლად და პირადი პასუხისმგებლობით მოახდინოს რეაგირება. ეს, მაგალითად, ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მოტყუებით დადებული გარიგების შეცილების ვადის დენის დაწყება დამოკიდებულია წარმომადგენლის მიერ მოპოვებულ ცოდნაზე, თუკი მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მოიცავს შეცილების უფლებამოსილებასაც.[20] თუმცა, შესაძლოა, რომ სამართლებრივი ნორმის ბუნებამ გარკვეულ შემთხვევებში მესამე პირის ცოდნის წარმომადგენლისათვის შერაცხვის შესაძლებლობა შეზღუდოს (იხილეთ ქვემოთ II. 3).[21]

2. ცოდნის შერაცხვა შრომის გადანაწილების პირობებში

ა) ამოსავალი პრინციპები

წარმომადგენლის ცნება სკ-ის 106 I მუხლისა და გსკ-ის 166 I პარაგრაფის მიხედვით, პირველ რიგში, მოიცავს ხელშეკრულების დადებისას წარმომადგენელს ანუ იმ პირს, რომელიც გამოხატავს ნებას ან იღებს ამ ნებას წარმოდგენილისათვის.[22] თუმცა, შრომის გადანაწილებისა ან/და დეცენტრალიზებული ორგანიზაციული სტრუქტურების შემთხვევაში, აღნიშნული ნორმების მიზანი მოითხოვს, რომ მათი მოქმედების სფერო გავრცელდეს ე. წ. „ცოდნაში წარმომადგენლებზეც" (Wissensvertreter[23]). ეს მიდგომა გერმანიაში ზოგადად აღიარებულია; თუმცა განსხვავებული შეხედულებები არსებობს (რაც პრაქტიკული კუთხით უმნიშვნელოა) იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენს თუ არა ეს ტელეოლოგიურ განმარტებას თუ გსკ-ის 166 I პარაგრაფის ანალოგიით გამოყენებას.

სკ-ის 106 I მუხლითა და გსკ-ის 166 I პარაგრაფით გათვალისწინებული შერაცხვის უკან მდგომი ერთ-ერთი ძირითადი იდეა ისაა, რომ არცერთმა მარწმუნებელმა/მეპატრონემ არ უნდა მიიღოს სარგებელი იმით, რომ თავად არ მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში, არამედ მესამე პირებს იყენებს, რამაც შეიძლება ცოდნის დანაწევრება/გახლეჩა გამოიწვიოს (როგორც მასსა და მესამე პირებს შორის, ასევე რამდენიმე მესამე პირს შორის).[24] უფრო თვალსაჩინოდ რომ განვმარტოთ: სამართლებრივი ურთიერთობების სხვა მონაწილეებს [წარმოდგენილის მხარეზე] დეცენტრალიზებული ორგანიზაციული სტრუქტურისა თუ შრომის გადანაწილების შედეგად არ უნდა მიადგეთ ობიექტურად გაუმართლებელი ზიანი; ანუ, გამარტივებულად რომ ვთქვათ, ისინი არ უნდა აღმოჩნდნენ იმაზე უარეს მდგომარეობაში, ვიდრე, მხოლოდ ერთ-ერთ ფიზიკურ პირთან საქმის დაჭერის შემთხვევაში, რომლის პიროვნებაშიც იქნებოდა კონცენტრირებული ორგანიზაციული ერ-

[19] Staudinger/*Schilken* (2024) BGB § 166, Rn. 9.

[20] BGH, Urteil vom 4. Mai 1983 - VIII ZR 94/82 - BGHZ 87, 227, juris Rn. 23; Staudinger/Singer (2021) BGB § 121, Rn. 4; Staudinger/*Schilken* (2024) BGB § 166 Rn. 19; *Arnold* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 121 BGB, Rn. 2; *D. Baetge* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 121 BGB (Stand: 08.11.2024), Rn, 11; siehe auch OLG Köln, Beschluss vom 20. Januar 2023 - I-3 U 111/22 - juris Rn. 8.

[21] MüKoBGB/Schubert, 9. Aufl. 2021, BGB § 166 Rn. 49.

[22] Staudinger/Schilken (2024) BGB § 166, Rn. 3; *Finkenauer* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 166 BGB Rn. 2 und Rn. 15; *Weinland* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 166 BGB (Stand: 01.10.2024), Rn. 12.

[23] „ცოდნაში წარმომადგენელი" – პირი, რომლის მეშვეობითაც მეპატრონეს ცოდნა უნდა შეერაცხოს.

[24] BGH, Urteil vom 25. Mai 2023 - IX ZR 116/21 - NJW-RR 2023, 1413, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 14. Januar 2016 - I ZR 65/14 - NJW 2016, 3445, juris Rn. 61.

თეულის ფარგლებში არსებული მთლიანი ცოდნა.[25] სწორედ ამ მიზეზით, სკ-ის 106 I მუხლისა და გსკ-ის 166 I პარაგრაფი ვრცელდება არა მხოლოდ ხელშეკრულების დადებისას წარმომადგენელზე, არამედ ე. წ. „ცოდნაში წარმომადგენელზეც".

ამასთან დაკავშირებით გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ამბობს:[26]

„გსკ-ის 166 I პარაგრაფი ანალოგიით უნდა იქნას გამოყენებული ე. წ. „ცოდნაში წარმომადგენლებზეც", როგორც ეს ფედერალური უმაღლესი სასამართლოს (BGH) პრაქტიკითაა დადგენილი (შდრ. BGH, Urteil vom 24. Januar 1992 - V ZR 262/90, BGHZ 117, 104, 106 f mwN; vom 25. Oktober 2018 - IX ZR 168/17, ZIP 2019, 35 Rn. 13). „ცოდნაში წარმომადგენლად" ითვლება პირი, რომელიც მეპატრონის სამუშაო ორგანიზაციის მიხედვით უფლებამოსილია, საკუთარი პასუხისმგებლობით, სამართლებრივ ურთიერთობებში მისი რეპრეზენტანტის ფუნქცია შეასრულოს, მოიპოვოს ამ პროცესში შესაბამისი ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში გადასცეს მას. მეპატრონე სამართლებრივ ურთიერთობებში მას წარმომადგენლის მსგავსად უნდა იყენებდეს (BGH, Urteil vom 10. Februar 1971 - VIII ZR 182/69, BGHZ 55, 307, 311; vom 24. Januar 1992, aaO S. 107; vom 13. Dezember 2012 - III ZR 298/11, NJW 2013, 448 Rn. 23); ამ მიზნით მისი გარიგებაში წარმომადგენლად ან „ცოდნაში წარმომადგენლად" ფორმალურ-გაცხადებული დანიშვნა აუცილებელი არ არის (BGH, Urteil vom 2. Februar 1996 - V ZR 239/94, BGHZ 132, 30, 35 და იქ მითითებული ლიტერატურა). „ცოდნაში წარმომადგენლისთვის" ცოდნის შერაცხვა საბოლოოდ იმ მოსაზრებას ემყარება, რომ მეპატრონემ ორგანიზაციული საფუძვლით გამოწვეული ცოდნის დანაწევრებით სარგებელი არ უნდა მიიღოს (BGH, Urteil vom 14. Januar 2016 - I ZR 65/14, NJW 2016, 3445 Rn. 61).

ბ) „ცოდნაში წარმომადგენელ" პირთა წრე

აა) მესამე პირის ცოდნა:

შესაბამისად, „ცოდნაში წარმომადგენლებად" შეიძლება ჩაითვალონ როგორც მესამე პირები, რომლებსაც მეპატრონე სამოქალაქო ბრუნვაში საკუთარი საჭიროებებისა და ინტერესების განსახორციელებლად იყენებს, მაგალითად, ადვოკატები ან ინკასო-კომპანიები[27], ასევე ორგანიზაციული ერთეულის ის წევრები, რომლებიც შესაბამისი ფუნქციებით არიან დატვირთულნი, მაგალითად, შესყიდვებისა და გაყიდვების დეპარტამენტის თანამშრომლები, იურიდიული განყოფილების თანამშრომლები, ბანკების საფინანსო მრჩევლები ან სადაზღვევო კომპანიების შტატგარეშე-მუშაკები.

თუ მეპატრონემ კონკრეტული საქმიანობის სფეროები აუთსორსინგის გზით გადაუნაწილა და დაავალა მესამე პირებს, მას მაშინაც კი შეერაცხება იმ მომსახურების შემსრულებლის ცოდნა, როდესაც ეს უკანასკნელი სამართლებრივად დამოუკიდებლად მოქმედებს. ეს წესი ძალაშია, მაგალითად, მაშინაც, როდესაც ბანკი სესხის ხელშეკრულების მომზადების პროცესში უშუალო კლიენტურასთან კომუნიკაციაზე უარს ამბობს და ამ ფუნქციას დამოუკიდებელ საფინანსო მედიატორს გადააბარებს.[28] ასევე, „ცოდნაში წარმომადგენლად" შეიძლება ჩაითვალოს მეუღლე ან სხვა პარტნიორი, თუ პარტნიორულ ურთიერთობებში გარკვეული ეკონომიკური ან ფინანსური საკითხების მართვა ერთ-ერთ პარტნიორს აქვს მინდობილი.[29] თუმცა, ყოველთვის აუცილებელია, რომ მეპატრონე სამართლებრივ ურთიერთობებში მესამე პირს წარმომადგენლად ან მსგავსი ფუნქციით იყენებდეს.

[25] იხ. ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმართებით: BGH, Urteil vom 2. Februar 1996 - V ZR 239/94 - BGHZ 132, 30, juris Rn. 20.

[26] BGH, Urteil vom 25. Mai 2023 - IX ZR 116/21 - NJW-RR 2023, 1413, juris Rn. 12.

[27] BGH, Urteil vom 25. Mai 2023 - IX ZR 116/21 - NJW-RR 2023, 1413, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 3. April 2014 - IX ZR 201/13 - NJW 2014, 1963, juris Rn. 38; BGH, Urteil vom 10. Januar 2013 - IX ZR 13/12 - NJW 2013, 611, juris Rn. 26.

[28] OLG Karlsruhe, Beschluss vom 15. November 2018 - 9 U 145/16 - juris Rn. 50.

[29] BGH, Urteil vom 13. Dezember 2012 - III ZR 298/11 - NJW 2013, 448, juris Rn. 19.

ამ პრინციპებს გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო შემდეგნაირად აჯამებს:[30]

„ცოდნაში წარმომადგენლად" მიიჩნევა ის პირი, რომელიც მეპატრონის სამუშაო ორგანიზაციის მიხედვით უფლებამოსილია, სამართლებრივ ურთიერთობებში მისი წარმომადგენლის ფუნქციით დამოუკიდებლად [საკუთარი პასუხისმგებლობით] შეასრულოს კონკრეტული ამოცანები, მიიღოს და საჭიროების შემთხვევაში გაავრცელოს შესაბამისი ინფორმაცია. მას არ სჭირდება სპეციალურად სამართლებრივი წარმომადგენლის ან „ცოდნაში წარმომადგენლის" სტატუსით დანიშვნა (...). თუმცა, მეპატრონე სამართლებრივ ურთიერთობებში უნდა იყენებდეს მას წარმომადგენლის მსგავსი ფუნქციით (BGHZ 55, 307, 311; BGH, Urt. v. 22. Juni 1987, III ZR 263/85, BGHR BGB § 166 Abs. 1 - Treuhand 1). თუ ცოდნის მატარებელმა პირმა მეპატრონეს მხოლოდ შიდა კონსულტაცია გაუწია, გსკ-ის 166 I პარაგრაფის ანალოგიით გამოყენება გამორიცხულია (Senatsurt. v. 23. Oktober 1963, V ZR 256/62, WM 1964, 94, 97; BGH, Urt. v. 18. Januar 1974, I ZR 17/73, WM 1974, 312, 313)."

ბბ) ცოდნა, რომელიც აქვს იურიდიული პირის ხელმძღვანელ ორგანოს

იურიდიული პირებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი ორგანოების ცოდნა ყოველთვის შეერაცხება წარმოდგენილს (გსკ-ის 166 I პარაგრაფის შესაბამისად[31]), გამონაკლისის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ინფორმაცია კერძო გარემოებებში იქნა მოპოვებული (ამ საკითხზე ქვემოთ, პუნქტი გ)). აღნიშნული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მმართველ ორგანოებს საერთოდ არ აქვთ ინფორმაცია მათი ხელშეკრულების დამდები წარმომადგენლის კონკრეტული ქმედების შესახებ ან ამ ქმედებებში მონაწილეობა არ მიუღიათ;[32] ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ რამდენიმე (მათ შორის, ერთობლივი წარმომადგენლობის უფლებამოსილებით აღჭურვილ) მმართველ ორგანოს შორის მხოლოდ ერთს აქვს კონკრეტული ფაქტის შესახებ ცოდნა[33].[34] განსხვავებული სამართლებრივი შეფასება, გამონაკლის შემთხვევებში, დასაშვებია, როდესაც ხელმძღვანელ ორგანოს კანონით დაკისრებული კონფიდენციალურობის ვალდებულება (მაგალითად, სააქციო საზოგადოების დირექტორატის წევრისათვის, (გერმანიის) სააქციო

---

[30] BGH, Urteil vom 24. Januar 1992 - V ZR 262/90 - BGHZ 117, 104, juris Rn. 11 და იქ მითითებული ლიტერატურა.

[31] გერმანული სასამართლო პრაქტიკა აქ, დეტალური დასაბუთების გარეშე, იყენებს გსკ-ის 166 I, 31 პარაგრაფებს (შედარებადია სკ-ის 37-ე მუხლთან).

[32] ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებთან მიმართებით: BGH, Urteil vom 8. Februar 2024 - IX ZR 107/22 - NJW-RR 2024, 594, juris Rn. 29; BGH, Urteil vom 30. Juni 2011 - IX ZR 155/08 - BGHZ 190, 201, juris Rn. 16.

[33] BGH, Urteil vom 8. Dezember 1989 - V ZR 246/87 - BGHZ 109, 327, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 6. April 1964 - II ZR 75/62 - BGHZ 41, 282, juris Rn. 20; BeckOK BGB/*Schäfer*, 65. Ed. 1.2.2023, BGB § 166 Rn. 23; MüKoBGB/*Leuschner*, 9. Aufl. 2021, BGB § 31 Rn. 26.

[34] ცალკეულ შემთხვევებში, იურიდიული პირისათვის ცოდნის შერაცხვისათვის ანალოგიით გამოიყენება ასევე სკ-ის 37-ე მუხლი (რომელიც მოქმედებს ყველა იურიდიული პირის მიმართ, იხ. MüKoBGB/Leuschner, 10. Aufl. 2025, BGB § 31 Rn. 3, 6 და იქ მითითებული ლიტერატურა). თუმცა ეს, ძირითადად, ეხება იმ მოცემულობას, როდესაც იურიდიულ პირს რამდენიმე დირექტორი (ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი) ჰყავს, რომელთაგან გარიგების დადების აქტში ის პირი არ იყო ჩართული, რომელსაც ჰქონდა უარყოფით სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებული ცოდნა (BeckOK BGB/Schäfer, 65. Ed. 1.2.2023, BGB § 166 Rn. 23; MüKoBGB/Leuschner, 9. Aufl. 2021, BGB § 31 Rn. 26). იმისათვის, რომ არ მოხდეს, ამ ,,მრავალთავიანი" სტრუქტურიდან გამომდინარე, იურიდიული პირის პრივილეგირება ფიზიკურ პირთან შედარებით (BGH NJW 1996, 1339; BGH 2001, 359), დასაშვებია ცოდნის შერაცხვა სკ-ის 37-ე მუხლის ანალოგიით, რომელიც ზოგადად ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირზე აკეთებს აქცენტს და არა მხოლოდ იმ წარმომადგენელზე, რომელმაც უშუალოდ დადო გარიგება (განსხვავებით სკ-ის 106-ე მუხლისაგან).

საზოგადოების შესახებ კანონის 93 I 3 პარაგრაფის მიხედვით)[35] უკრძალავს მას სამსახურებრივად მიღებული ინფორმაციის ხელშეკრულების დამდები წარმომადგენლისთვის გადაცემას.[36]

ხელმძღვანელი ორგანოს ცოდნის შერაცხვას საფუძვლად უდევს ის პრინციპი, რომ სამოქალაქო ბრუნვის დაცვის მიზნით დეცენტრალიზებულ ორგანიზაციულ ერთეულში უნდა არსებობდეს ისეთი სტრუქტურები, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, უზრუნველყოფენ ცოდნის გადაცემას.[37]

ეს ე. წ. ინფორმაციის ვალდებულება, უპირველესად, მოიცავს იმას, რომ სამართლებრივად მნიშვნელოვანი და წესების დაცვით მოპოვებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ გადაეცეს გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს და მათ მიერ იქნას აღქმული. აღნიშნული ვალდებულება ასევე მოიცავს, საჭიროების შემთხვევაში, სამართლებრივი მნიშვნელობის ქმედებების წამოწყებამდე, ორგანიზაციის ფარგლებში კომპეტენტურ ორგანოებში ან არსებულ დოკუმენტაციაში, შესაბამისი სფეროსათვის მნიშვნელოვანი, არსებითი გამოკვლევის ჩატარებას.[38] თუ ასეთი ორგანიზაციული სტრუქტურა არ არსებობს ან არამართებულად არ გამოიყენება, ამის შედეგად წარმოქმნილმა ცოდნის დანაწევრებამ არ უნდა დააზიანოს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები, რის გამოც აქ ცოდნის შერაცხვა დასაშვებია.

გ) ცოდნის შერაცხვის ფარგლები

ცოდნის შერაცხვის ეს პრინციპები არ მოქმედებს შეუზღუდავად იმ ორგანიზაციულ ერთეულებზე, რომლებიც კონკრეტული პიროვნული ურთიერთობებით და/ან განსაკუთრებული (მათ შორის, შიდა ორგანიზაციული) კონფიდენციალურობის რეჟიმით ხასიათდება, მაგალითად, სამართლებრივი კონსულტაციის სფეროში მოქმედ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობაში ადვოკატთა გაერთიანების ფარგლებში, საწარმოს მონაცემთა დაცვის ოფიცრის ან თანასწორობის საკითხებში პასუხისმგებელი პირის შემთხვევაში[39], ასევე ისეთი თანამდებობის პირების მიმართ, რომლებიც სპეციფიკური, პიროვნებასთან დაკავშირებული ფუნქციით გამოირჩევიან, როგორიცაა, მაგალითად, ნოტარიუსი.[40] ასეთ განსაკუთრებულ ვითარებებში სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს არ შეუძლიათ ავტომატურად მიენდონ იმ ფაქტს, რომ ხსენებული პირი თავის ცოდნას შესაბამის პირს გადასცემს, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში ცოდნის ამგვარი გაზიარება შესაძლოა დაუშვებელიც კი იყოს. პირად სიტუაციაში მოპოვებული ცოდნა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შერაცხვადი, როდესაც სამოქალაქო ბრუნვის დაცვის ასპექტებიდან გამომდინარე („საფრთხის აღკვეთის მოვალეობა"), საგამონაკლისო შემთხვევის სახით, წარმოიშობა ვალდებულება, რომ ინფორმაცია ორგანიზაციული ერთეულის ფარგლებში შესაბამის კომპეტენტურ თანამშრომლებს გადაეცეს.[41] ასევე, სამსახურებრივი

---

35 დირექტორატის წევრებს ევალებათ კონფიდენციალურობის დაცვა იმ საიდუმლო მონაცემებისა და კომერციული ან საწარმოს საიდუმლოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ ხელმძღვანელობითი საქმიანობის ფარგლებში გახდა ცნობილი.

36 იხ. BGH, Urteil vom 26. April 2016 - XI ZR 108/15 - NJW 2016, 2569, juris Rn. 32 – სამეთვალყურეო საბჭოსთან მიმართებით.

37 BGH, Urteil vom 19. März 2021 - V ZR 158/19 - NJW-RR 2021, 1068, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 2. Februar 1996 - V ZR 239/94 - BGHZ 132, 30, juris Rn. 20 ff.

38 BGH, Urteil vom 19. März 2021 - V ZR 158/19 - NJW-RR 2021, 1068, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 14. Januar 2016 - I ZR 65/14 - NJW 2016, 3445, juris Rn. 61; Urteil vom 26. Mai 2020 - VI ZR 186/17 - NJW 2020, 2534, juris Rn. 26.

39 BGH, Urteil vom 19. März 2021 - V ZR 158/19 - NJW-RR 2021, 1068, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 14. Januar 2016 - I ZR 65/14 - NJW 2016, 3445, juris Rn. 61; Urteil vom 26. Mai 2020 - VI ZR 186/17 - NJW 2020, 2534, juris Rn. 26.

40 *Weinland* in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 166 BGB (Stand: 01.10.2024), Rn 55.1.

41 ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მოპოვებულ პირად ცოდნასთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 14. Januar 2016 - I ZR 65/14 - NJW 2016, 3445, juris Rn. 61; BGH, Urteil vom 26. Juni 2007 - XI ZR 277/05 - NJW 2007, 2989, juris Rn. 14.

მოვალეობის შესრულებისას მოპოვებული ცოდნა, რომელიც უშუალოდ არ უკავშირდება თანამშრომლის საქმიანობის სფეროს (მაგალითად, კოლეგების ქცევის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია ან „შემთხვევითი" ცნობები, რომლებიც კაფეტერიაში ყურმოკრული საუბრებიდან ან კოლეგებთან არაფორმალური ურთიერთობებიდან გამომდინარეობს), მხოლოდ მაშინ აქცევს მას მეპატრონის „ცოდნაში წარმომადგენლად", თუ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, მას ეკისრება ვალდებულება, რომ მიღებული ინფორმაცია ხელმძღვანელ ორგანოს ან ორგანიზაციის შიდა კომპეტენტურ ერთეულს გაუზიაროს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია შრომითი ურთიერთობების ფარგლებში, სადაც მნიშვნელოვანი საფუძვლით გათავისუფლების მიზეზის ცოდნა სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს (ამ საკითხზე ქვემოთ II. 3. გ) აა)).

ორგანოს წარმომადგენლის მიერ თანამდებობის დატოვება ან მისი ადგილზე არყოფნა არ გამორიცხავს „ჩვეულებრივად, დოკუმენტურად დაფიქსირებული ცოდნის" განგრძობად შერაცხვას.[42] ეს პრინციპი ეფუძნება იმას, რომ შრომის დანაწილებული განხორციელებისას სამოქალაქო ბრუნვის დაცვა საჭიროებს ისეთ სტრუქტურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი ცოდნის ხელმისაწვდომობას და არ აქცევენ მას კონკრეტული პირების არსებობაზე დამოკიდებულად, არამედ ეყრდნობიან სწორად ორგანიზებულ და ხელმისაწვდომ დოკუმენტაციას, რომელიც კომპეტენტურ თანამშრომლებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მოიძიონ („ინფორმაციის მოთხოვნის ვალდებულება; ინფორმაციის მოძიების ვალდებულება").

პრობლემურია სხვადასხვა „ცოდნაში წარმომადგენლის" ფაქტობრივი აღქმების „მოზაიკური" შერაცხვა იმ სამართლებრივ შედეგებთან მიმართებით, რომლებიც ნეგატიურ მოვლენასთან დაკავშირებულ შეფასებით მსჯელობას მოითხოვენ. მაგალითად, ქცევის ამორალურობის შესახებ დასკვნა არ გამომდინარეობს ორგანიზაციულ ჯაჭვში ჩაბმული ცალკეული სუბიექტების ცოდნის შეერთებით, ხელშეკრულების დამდები თუ „ცოდნაში წარმომადგენლების" კოგნიტური ელემენტების ერთმანეთთან დაკავშირების ფორმითა და შემდეგ ამგვარად კომბინირებული პაზლის ერთიან გასაკიცხ ფაქტში გაერთიანებით.[43] განსხვავებული მიდგომა აქვს გერმანიის ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს თაღლითური მოტყუების შემთხვევებში, რამდენადაც თაღლითური ქმედებისთვის საკმარისია არაპირდაპირი განზრახვა. ასეთ შემთხვევაში, „გახლეჩილი ბოროტი განზრახვის" (სხვადასხვა თანამშრომლის ცოდნის კომბინაციით წარმოქმნილი თაღლითური განზრახვის) დადგენა განიხილება, როგორც „რისკების სწორი გადანაწილება" და არა, როგორც მორალურად გაკიცხვადი შეფასება.[44]

3. სკ-ის 106 I მუხლის მიმართება ვადის ათვლასთან

როგორც უკვე აღნიშნულია, სკ-ის 106 I მუხლი და გსკ-ის 166 I პარაგრაფი პრინციპულად შეიძლება იყოს გამოყენებული იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტობრივი გარემოებების ცოდნა იწვევს კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილი ვადების დენის დაწყებას. შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათმა და/ან კანონით განსაზღვრულმა ხანდაზმულობის ნორმებმა შეიძლება განაპირობოს განსხვავებული პერსპექტივა, განსაკუთრებით, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში, ხანდაზმულობის [ზოგად] სამართალსა თუ მნიშვნელოვანი საფუძვლით მოშლის სამართალში.

---

42 თანამდებობის დატოვების შემთხვევასთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 8. Dezember 1989 - V ZR 246/87 - BGHZ 109, 327, juris Rn. 13.

43 BGH, Urteil vom 25. November 2021 - VII ZR 243/20 - juris Rn. 22; BGH, Urteil vom 8. März 2021 - VI ZR 505/19 - NJW 2021, 1669, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 28. Juni 2016 - VI ZR 536/15 - NJW 2017, 250, juris Rn. 13, 22 f., 27 და იქ მითითებული ლიტერატურა.

44 ამ მიმართულებით: BGH, Urteil vom 8. Dezember 1989 - V ZR 246/87 - BGHZ 109, 327, juris Rn. 16, თუმცა არაცალსახაა იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმძღვანელმა ორგანომ, რომელიც გარიგებაში არ მონაწილეობდა იცის გაყიდული უძრავი ქონების ნაკლის შესახებ, მაგრამ უშუალოდ ნასყიდობაში საკუთარი პასუხისმგებლობით ჩართულ თანამშრომლებს ამის შესახებ ცოდნა არ აქვთ.

ა) საოჯახო-სამართლებრივი და მემკვიდ-რეობით-სამართლებრივი მოთხოვნები

საოჯახო- და მემკვიდრეობით-სამართლებ-რივი მოთხოვნების შემთხვევაში, შესაბამისი უფლებების პიროვნული (ზოგიერთ შემთხვევა-ში, უაღრესად პიროვნული) ხასიათი გარკვეულ ზღვარს უდებს სკ-ის 106 I მუხლისა და გსკ-ის 166 I პარაგრაფის გამოყენებას. მაგალითად, სა-მკვიდროს მიღების ვადის დაწყება ქართული სამართლის მიხედვით (სკ-ის 1434-ე მუხლის პი-რველი წინადადება) ან სამკვიდროზე უარის თქ-მის ვადის დაწყება გერმანული სამართლის მი-ხედვით (გსკ-ის 1944 II პარაგრაფი), ისევე რო-გორც, სამკვიდროს მიღების ან მასზე უარის შე-ცილების ვადის დასაწყისი (სკ-ის 1450-ე მუხლი; გსკ-ის 1954 III პარაგრაფი), ხდება მხოლოდ მა-შინ, როდესაც თავად შეცილების უფლების მქო-ნე პირი ან მის მიერ სპეციალურად სამემკვიდ-რეო საკითხებში უფლებამინიჭებული წარმომა-დგენელი (და არა სხვა რომელიმე პირის „ცოდ-ნაში წარმომადგენლობის" უფლებამოსილე-ბით), შეიტყობს შეცილების საფუძვლის ან სამ-კვიდროს გახსნისა, ან მისი სამართლებრივი სა-ფუძვლის ან უარის თქმის საფუძვლის შესა-ხებ.[45]

გსკ-ის 1600b პარაგრაფის მიხედვით, მამო-ბის შეცილების უფლება პიროვნული ხასიათი-საა, რის გამოც შეცილების ვადის დენა იწყება მხოლოდ მაშინ, თუ შეცილების უფლების მქონე პირი თავად ან (თუკი ის ქმედუუნაროა) მისი კა-ნონიერი წარმომადგენელი ან სპეციალურად დანიშნული გარიგებისმიერი წარმომადგენელი შეიტყობს იმ გარემოებების შესახებ, რომლე-ბიც მისი მამობის დადგენის საწინააღმდეგოდ მეტყველებს.[46] იგივე მოქმედებს ქართულ სამა-რთალში სკ-ის 1190 VII მუხლით გათვალისწინე-ბული პროცედურის შემთხვევაში.

ბ) ხანდაზმულობა:

აა) უფლებამოსილი პირის ცოდნა:

თუ ხანდაზმულობის ვადის დაწყება ცოდნა-სთან (ან უხეში გაუფრთხილებლობით უცოდინ-რობასთან) არის დაკავშირებული, როგორც, მა-გალითად, სკ-ის 1008-ე მუხლში („დაზარალებუ-ლი"), სკ-ის 130-ე მუხლში ან გსკ-ის 199 I 2 პარა-გრაფში) ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ცოდნა უნდა ჰქონდეს კრედიტორს, როგორც "უფლებამოსილ პირს".[47]

ამ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს პრიორიტეტი ენიჭებათ სკ-ის 106 I მუხლსა და გსკ-ის 166 I პარაგრაფთან მიმართებით და, გა-ბატონებული მოსაზრებით, თავიდანვე გამორი-ცხავს ამ დანაწესების პირდაპირ (და, სავარაუ-დოდ, ანალოგიურ) გამოყენებას.[48] იურიდიული პირებისა და ქმედუუნარო ფიზიკური პირების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენის და-საწყებად, როგორც წესი, საჭიროა წარმომად-გენელი ორგანოს ან კანონისმიერი წარმომად-გენლის ცოდნა. ამასთან, წარმომადგენელი ორ-განოს ან კანონიერი წარმომადგენლის ცოდნას უთანაბრდება მის მიერ კონკრეტული შემთხვე-ვის დამუშავებისათვის დანიშნული პირის, მაგა-ლითად, ადვოკატის ან იურიდიული განყოფი-ლების თანამშრომლის ცოდნა.[49]

ადმინისტრაციული ორგანოებისა და საჯა-რო სამართლის იურიდიული პირების შემთხვე-ვაში, გადამწყვეტია იმ კომპეტენტური მოხე-ლის ცოდნა, რომელიც იმ განყოფილებაში მუ-შაობს, რომელსაც გააჩნია სამოქალაქოსამართ-ლებრივი მოთხოვნების იძულების წესით განხო-

[45] OLG Rostock, Beschluss vom 10. November 2009 - 3 W 53/08 - FamRZ 2010, 1597, juris Rn. 3; KG Berlin, Beschluss vom 16. März 2004 - 1 W 458/01 - NJW-RR 2004, 801, juris Rn. 13.

[46] BGH, Beschluss vom 2. November 2016 - XII ZB 583/15 - NJW 2017, 561, juris Rn. 11 ff.

[47] BGH, Urteil vom 14. Januar 2016 - I ZR 65/14 - NJW 2016, 3445, juris Rn. 60; BGH, Urteil vom 23. Januar 2014 - III ZR 436/12 - NJW 2014, 1294, juris Rn. 15.

[48] BGH, Urteil vom 14. Januar 2016 - I ZR 65/14 - NJW 2016, 3445, juris Rn. 60; BGH, Urteil vom 23. Januar 2014 - III ZR 436/12 - NJW 2014, 1294, juris Rn. 15.

[49] BGH, Urteil vom 14. Januar 2016 - I ZR 65/14 - NJW 2016, 3445, juris Rn. 60; BGH, Urteil vom 23. Januar 2014 - III ZR 436/12 - NJW 2014, 1294, juris Rn. 15; OLG Dresden, Beschluss vom 9. Mai 2022 - 4 W 230/22 - MedR 2023, 399, juris Rn. 7; Schmidt-Räntsch in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 199 BGB, Rn. 14.

რციელებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.[50] ეს შეიძლება იყოს ზემო ინსტანციის უწყება (მაგალითად, თუ პერსონალთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მასზეა გადანაწილებული) ან ცენტრალიზებული უწყება, რომელიც სხვადასხვა განყოფილებების კონკრეტულ საკითხებს განიხილავს (მაგალითად, განსაზღვრული რეგიონის პოლიციის თანამშრომლების მონაწილეობით მომხდარი ზიანის შემთხვევები). შესაბამის ორგანიზაციულ ერთეულში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს „რეგრესის განყოფილების" ან მოთხოვნების განხორციელებაზე პასუხისმგებელი იურიდიული განყოფილების ცოდნას, მაგრამ არა „შესრულების განყოფილების" (რომელიც არსებითად იღებს საკითხთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას) ცოდნას.[51]

თუ მოთხოვნა თავად ხელმძღვანელი ორგანოს წინააღმდეგ არის მიმართული, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ სტრუქტურული ერთეულის ცოდნას, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს მოთხოვნის განხორციელების შესახებ, მაგალითად, თუ მოთხოვნა მიმართულია კაპიტალური სამეწარმეო საზოგადოების ან კოოპერატივის დირექტორატის ან კონკრეტული დირექტორის წინააღმდეგ, შესაბამისი ორგანო არის პარტნიორთა კრება, საერთო კრება ან სამეთვალყურეო საბჭო.[52] ამასთან დაკავშირებით ანალოგიურად მოქმედებს ის, რაც ქვემოთ მნიშვნელოვანი მიზეზით მოშლის წინაპირობების შესახებ იქნება გამოთქმული.[53]

ამასთან დაკავშირებით გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო ამბობს შემდეგს:[54]

„ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დაწყების სუბიექტური წინაპირობების შეფასებისას, როგორც წესი, უნდა გავითვალისწინოთ კრედიტორის პიროვნება. კანონისმიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში, წარმოდგენილ პირს უნდა შეერაცხოს მისი კანონისმიერი წარმომადგენლის ცოდნა. ამის საპირისპიროდ, გარიგებისმიერი წარმომადგენლის ცოდნა, როგორც წესი, ხანდაზმულობის ვადის დაწყების კონტექსტში უმნიშვნელოა. გსკ-ის 166-ე პარაგრაფის დანაწესი, ხანდაზმულობის დანაწესების მიზნებიდან გამომდინარე, მოცემულ სფეროზე არ ვრცელდება, (BGH, Urteil vom 23. Januar 2014 - III ZR 436/12, NJW 2014, 1294 Rn. 15). თუმცა, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, მოთხოვნის წარმდგენს ეკრძალება საკუთარ უცოდინრობაზე დაყრდნობა იმ შემთხვევაში, თუ იგი ე. წ. „ცოდნაში წარმომადგენელს" იყენებს, რომელსაც კონკრეტული საკითხების, განსაკუთრებით კი, მოთხოვნის საკუთარი პასუხისმგებლობით მართვისა და განხორციელების დავალება აქვს მიცემული. ასეთ შემთხვევაში, მოთხოვნის წარმდგენს უნდა შეერაცხოს მესამე პირის ცოდნა გსკ-ის 166 I პარაგრაფის ანალოგიით გამოყენების საფუძველზე (დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა; შდრ. მხოლოდ: BGH, Urteil vom 23. Januar 2007 - XI ZR 44/06, BGHZ 171, 1 Rn. 35; Urteil vom 23. Januar 2014 - III ZR 436/12, NJW 2014, 1294 Rn. 16). რადგან აღნიშნული ცოდნის შერაცხვა ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ მეპატრონემ არ უნდა ნახოს სარგებელი საქმიანობის ორგანიზაციული სპეციფიკით განპირობებული ცოდნის დანაწევრების საფუძველზე, შესაძლებელია

[50] BGH, Urteil vom 20. Oktober 2011 - III ZR 252/10 - NJW 2012, 447, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 12. Mai 2009 - VI ZR 294/08 - NJW-RR 2009, 1471, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 4. Februar 1997 - VI ZR 306/95 - BGHZ 134, 343, juris Rn. 10.

[51] BGH, Urteil vom 20. Oktober 2011 - III ZR 252/10 - NJW 2012, 447, juris Rn. 12.

[52] BGH, Urteil vom 12. März 2020 - IX ZR 125/17 - BGHZ 225, 90, juris Rn. 54; Staudinger/Jacoby (2024) BGB § 199, Rn. 61; *Schmidt-Räntsch* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 199 BGB, Rn. 14; ასეთი ორგანო ვერ იქნება შპს-ის პარტნიორი, რადგან არ არსებობის პარტნიორის ცოდნის შპს-ისათვის შერაცხვის ნორმა (არც სკ-ის 37-ე და არც 106-ე მუხლი აქ არ გამოდგება). შპს-ის შეიძლება შეერაცხებოდეს მხოლოდ მთლიანად პარტნიორთა კრების ცოდნა, გამომდინარე მისი კომპეტენციიდან, გადადგას შესაბამისი ნაბიჯები შპს-ის უფლების განსახოციელებლად.

[53] ამ პარალელთან დაკავშირებით: *Schmidt-Räntsch* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 199 BGB, Rn. 58.

[54] BGH, Urteil vom 14. Januar 2016 - I ZR 65/14 - NJW 2016, 3445, juris Rn. 60 f.

მხოლოდ საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში მოპოვებული ცოდნის შერაცხვა, ხოლო პირადი [ურთიერთობის საფუძველზე მოპოვებული] ცოდნა არ შეერაცხება, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც მეპატრონე, სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ვალდებულია უზრუნველყოს ინფორმაციის გაცვლის ორგანიზება, რაც პირად ცოდნასაც მოიაზრებს (შდრ. BGH, Urteil vom 26. Juni 2007 - XI ZR 277/05, NJW 2007, 2989 Rn. 14;...).

ბბ) ინტერესთა კონფლიქტი წარმომადგენლის მხარეზე

წარმომადგენლის ცოდნის შერაცხვას წარმოდგენილისათვის თავისი ზღვარი აქვს და სასამართლო პრაქტიკით გამოკვეთილია გამონაკლისები, როდესაც ამ ცოდნის შერაცხვა არ ხდება.[55]

მოთხოვნის ხანდაზმულობის შემთხვევებში, ეს, პირველ რიგში, ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც მოთხოვნა თავად წარმოდგენილის წინააღმდეგაა მიმართული.[56] წარმოდგენილის მოთხოვნის ხანდაზმულობა წარმომადგენლის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, არ იწყება ამ მოვალე წარმომადგენლის მიერ ცოდნის მოპოვების მომენტიდან, რადგან, აქ ნათელია, რომ ამ მომენტში ის არანაირ ნაბიჯებს არ გადადგამს (საკუთარი თავის წინააღმდეგ) მის განსახორციელებლად და ხანდაზმულობის ინსტიტუტის მიზანი, რომ ვადის დენა აითვალოს მოთხოვნის რეალურად განხორციელების შესაძლებლობის მომენტიდან, აქ შესრულებულად ვერ ჩაითვლება.[57] წარმომადგენლის მიერ ცოდნის მოპოვება მის წინააღმდეგ მიმართული წარმოდგენილის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყებას არ იწვევს არც მაშინ, როდესაც საქმე ეხება წარმომადგენლისა და მესამე პირის მიერ ერთობლივად ჩადენილ დელიქტს, საიდანაც წარმომდგარი მოთხოვნა მიმართულია, როგორც წარმომადგენლის, ისე, მესამე პირის წინააღმდეგ. ამგვარად, თუ წარმომადგენელი და მესამე პირი ერთობლივი დელიქტური ქმედებით აყენებენ წარმოდგენილს ზიანს და, აქედან გამომდინარე, ამ უკანასკნელს აქვს მოთხოვნა, როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ, ამ მოთხოვნის ხანდაზმულობა ვერ დაიწყება წარმომადგენლის მიერ ცოდნის მოპოვებასთან ერთად. ნათელია, რომ ის ამ მომენტში საკუთარი თავის წინააღმდეგ არ წავა. შერაცხვა გამორიცხულია ასევე მაშინ, როდესაც, მართალია, წარმომადგენელი თავად არ არის მოთხოვნის ადრესატი და ეს ადრესატი მხოლოდ მესამე პირია, თუმცა ცალსახაა, რომ ის ამ მოთხოვნასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოდგენილისათვის გადასაცემად არ იზრუნებს.[58]

ქვემოთ მოყვანილი იქნება გერმანული სასამართლოების პრაქტიკა წარმომადგენლის ცოდნის წარმოდგენილისათვის შერაცხვის გამორიცხვასთან დაკავშირებით:

ერთკაცა შპს-სთან მიმართებით, რომლის ერთდერთი პარტნიორი ამავდროულად დირექტორი იყო და საქმე ეხებოდა მისი ქმედებებით, რომელთა გამოც ის თავადაც იყო პასუხისმგებელი საზოგადოების წინაშე, გამოწვეული მოთხოვნის ხანდაზმულობის დაწყების მომენტზე, გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ[59] თქვა შემდეგი:

10 ბ): „საზოგადოებას ვერ შეერაცხება ცოდნა მოთხოვნის წარმომშობი გარემოებების შესახებ მისი დირექტორის გავლით, თუ ეს დირექტორი თავად არის ამ მოთხოვნის მოვალე. მართალია, კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში გადამწყვეტია მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოების ცოდნა მოთხოვნის წინაპირობებთან და-

[55] BGH, Urteil vom 25. Oktober 2018 - IX ZR 168/17 - NJW-RR 2019, 116, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 23. Januar 2014 - III ZR 436/12 - BGH NJW-RR 2013, 1321, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 15. März 2011 - II ZR 301/09 - NJW-RR 2011, 832, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 9. Februar 2009 - II ZR 292/07 - BGHZ 179, 344, juris Rn. 34; MüKoBGB/*Schubert*, 9. Aufl. 2021, BGB § 166 Rn. 76.

[56] MüKoBGB/*Schubert*, 9. Aufl. 2021, BGB § 166 Rn. 76; BGH NJW-RR 2019, 116; BGH MDR 2014, 330; BGH NJW-RR 2013, 1321; BGH 2011, 832.

[57] MüKoBGB/*Schubert*, 9. Aufl. 2021, BGB § 166 Rn. 76.

[58] BGH NJW 2013, 2015.

[59] BGH , Urt. v. 15. 3. 2011 − II ZR 301/09 (OLG Hamm), NJW-RR 2011, 832.

კავშირებით, თუმცა, თუ საზოგადოების ეს ორგანო თავად არის მოვალე, მაშინ ის ვერ მიანიჭებს საზოგადოებას შესაბამის ცოდნას" (შდრ. § 852 BGB aF BGH, Urteil vom 9. Februar 2009 - II ZR 292/07, BGHZ 179, 344 Rn. 34;). ეს ეხება არა მხოლოდ დელიქტების შემთხვევას, როგორც ეს საფუძვლად ედო სენატის მიერ გსკ-ის (ძვ. რედაქციის) 852-ე პარაგრაფთან დაკავშირებით გამოტანილ გადაწყვეტილებებს. ამის საპირისპიროდ, ზოგადად, არ არის მოსალოდნელი, რომ მოვალე იზრუნებს იმაზე, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული იქნას მოთხოვნები და, მაგალითად, ხელს შეუწყობს კრების გადაწყვეტილების მიღებას ... პარაგრაფის მიხედვით. შპს-ის ერთადერთი დირექტორის შემთხვევაში, ზემოთ თქმულს ემატება ის გარემოებაც, რომ მას, როგორც შპს-ის წარმომადგენელს, არ შეუძლია საკუთარი თავის წინააღმდეგ განახორციელოს სამართლებრივი პასუხისგებლობის ღონისძიებები, რომლებიც შეაჩერებდა ხანდაზმულობას (გსკ-ის 204 I პარაგრაფი)."

გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ სხვა შემთხვევაში[60] ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი აყენებდა მოთხოვნას მეორე წევრის წინააღმდეგ ფულის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით. ფული მისი ანგარიშიდან გადარიცხა ამ ანგარიშის მმართველმა პირმა, რომელიც ამავდროულად იყო ასევე მოპასუხის ანგარიშების მმართველი. საკითხავი იყო, შეერაცხებოდა თუ არა ამ საერთო მმართველის ცოდნა მოსარჩელეს, რაც გერმანულმა სასამართლომ ამ შემთხვევაშიც უკუაგდო:

„გსკ-ის 166 I პარაგრაფის მიხედვით კრედიტორისათვის მოთხოვნის წარმომშობი გარემოებების (გსკ-ის 199 I № 2 პარაგრაფის გაგებით) შესახებ მისი წარმომადგენლის ცოდნის შერაცხვა გამორიცხულია მაშინ, როდესაც ეს მოთხოვნა, მართალია, არ არის თავად ამ წარმომადგენლის წინააღმდეგ მიმართული, თუმცა მის წინააღმდეგ მიმართულ სხვა მოთხოვნასთან ისეთ მჭიდრო კავშირშია, რომ ჩნდება ეჭვი, წარმომადგენელი რომ არ შეუწყობს ხელს მოთხოვნის ჯეროვან განხორციელებას".

სხვა შემთხვევაში[61] სადავო იყო, მოხდა თუ არა შპს-ის ქონების გადაქაჩვა მისი ერთადერთი პარტნიორის მხრიდან „დობილ"/მჭიდროდ აფილირებულ კომპანიაში შესაბამისი კომპენსაციის გარეშე და განაპირობებდა თუ არა ეს ამ პარტნიორის პასუხისგებლობას „საზოგადოების არსებობის მომსპობი ჩარევის" (Existenzvernichtung) სამართლებრივი ინსტიტუტის საფუძველზე.

25 ბბ): „[მოთხოვნის ხანდაზმულობის განმსაზღვრელი] ორი ნორმა ხანდაზმულობის დაწყებას სუბიექტურ წინაპირობებს უკავშირებს, რომლებიც უნდა შესრულდეს მოთხოვნის მფლობელის მხარეზე და მის პიროვნებას უკავშირდება. რადგან მოთხოვნის მფლობელი მოცემულ შემთხვევაში არის შპს, გადამწყვეტია მისი დირექტორის, როგორც მისი კანონიერი წარმომადგენლის ცოდნა. თუმცა ამ ცოდნის შერაცხვა გამოირიცხება, თუ თავად ეს დირექტორიც შეიძლება ჩაითვალოს ზიანის მომყენებლად, რადგან ის თავადაც ჩართული იყო 16.11.2000-ში [საზოგადოებისათვის ზიანის მომტანი] ხელშეკრულების დადებაში."

გ) ვადა მნიშვნელოვანი საფუძვლით მოშლისას

ხანდაზმულობის ვადის დაწყებასთან დაკავშირებულ თემატიკას წარმოადგენს იმ გარემოებების ცოდნის საკითხი, რომლებიც მნიშვნელოვანი მიზეზით ხელშეკრულების მოშლის ვადის დაწყებისთვის არის რელევანტური. მოცემული თემა აქტუალობას იძენს, განსაკუთრებით, შრომითი ხელშეკრულებებისა და იურიდიული პირების ხელმძღვანელი ორგანოების სასამსახურო ხელშეკრულებების ვადის დაუცველად მოშლის შემთხვევაში.

[60] BGH, Urteil vom 23.1.2014 – III ZR 436/12, NJW 2014, 1294.

[61] BGH , Urteil vom 21. 2. 2013 – IX ZR 52/10, NJW-RR 2013, 1321.

აა) „უფლებამოსილი" პირის ცოდნა

მნიშვნელოვანი მიზეზით ხელშეკრულების მოშლის ვადის დაწყებისთვის (სკ-ის 399 III მუხლი და გსკ-ის 626 III პარაგრაფი) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ პირის ან ორგანოს ცოდნას, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია გააჩნია, ანუ რომელიც „უფლებამოსილი პირია" სკ-ის 399 II მუხლისა და გსკ-ის 626 II პარაგრაფის მიხედვით.[62]

თუ „უფლებამოსილი პირი" არის იურიდიული პირის კანონით განსაზღვრული ხელმძღვანელი ორგანო (მაგალითად, დირექტორატი ან დირექტორი და ა. შ.). მაშინ, როდესაც წარმომადგენლობა ერთობლივ ხასიათს ატარებს, საკმარისია ხელმძღვანელი ორგანოს ერთ-ერთი წევრის ცოდნა.[63] თუ ეს წინააღმდეგობაში არ მოდის კომპეტენციის განაწილების იმპერატიულ ნორმებთან,[64] მოშლის უფლებამოსილება აქვთ ასევე იმ პირებს, რომლებზეც მოახდინა ხელმძღვანელმა ორგანომ შესაბამისი კომპეტენციის დელეგირება, მაგალითად, პერსონალის მართვის სამსახურის ხელმძღვანელს, შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის შემთხვევაში.[65]

სხვა პირების ცოდნას, ზოგადად, სამართლებრივი მნიშვნელობა არ ენიჭება, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ ზედამხედველობის ან კონტროლის ფუნქციები აქვთ მინიჭებული.[66]

გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება დასაშვები იყოს განსხვავებული მიდგომა, როდესაც ხელმძღვანელი ორგანო არღვევს მისთვის დაკისრებულ ინფორმაციის ორგანიზების ვალდებულებებს (ზემოთ, II. 2. ბ) ბბ)), რის შედეგადაც ვერც თავად ეს ორგანო და ვერც ხელშეკრულების მოშლის [თანამშრომლის სამსახურიდან გაშვების] კომპეტენციით აღჭურვილი პირები, ვერ გაეცნენ გათავისუფლებისთვის რელევანტურ გარემოებებს. თუმცა, მოცემული ტიპის სიტუაცია მხოლოდ მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც შესაბამისმა ზედა რგოლის ხელმძღვანელმა პირმა, რომელიც იკავებს საკვანძო პოზიციას და შესაბამის ფუნქციას ასრულებს (არა მხოლოდ – „ჯგუფის ხელმძღვანელი" ან „მიმართულების ხელმძღვანელი"), შესაძლოა იცოდეს დასაქმებულის [ხელშეკრულების მოშლის გამამართლებელი] ქმედებების შესახებ და ჰქონდეს, როგორც ფაქტობრივად, ისე სამართლებრივად, გარემოების სრულად და საფუძვლიანად შესწავლის შესაძლებლობა.[67] ასეთი პირები შეიძლება იყვნენ, მაგალითად, საწარმოს ფილიალის ხელმძღვანელი ან დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომლებიც ფლობენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების კომპეტენციას.

თუ გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია სხვა ორგანოს (პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო და სხვა) აქვს მინიჭებული, ამ ორგანოს ცოდნაა გადამწყვეტი.[68] ეს განსაკუთრებით ეხება სამეწარმეო საზოგადოების ან კოოპერატივის ხელმძღვანელი ორგანოს წევრების სასამსახურო ხელშეკრულებების ვადის დაუცველად მოშლას. რადგან აღნიშნული ორგანოები კოლეგიური ორგანოებია და თავიანთ ნებას ფორმალური გადაწყვეტილების მიღების გზით

---

62 BGH, Urteil vom 2. Juli 2019 - II ZR 155/18 - ZIP 2019, 1716, juris Rn. 29; BGH, Urteil vom 9. April 2013 - II ZR 273/11 - NJW 2013, 2425, juris Rn. 12; BAG (Bundesarbeitsgericht), Urteil vom 5. Mai 2022 - 2 AZR 483/21 - BAGE 178, 37, juris Rn. 12; ზოგადი მოსაზრება.

63 BGH, Urteil vom 5. April 1990 - IX ZR 16/89 - NJW-RR 1990, 1330, juris Rn. 18; BAG, Urteil vom 5. Mai 2022 - 2 AZR 483/21 - BAGE 178, 37, juris Rn. 12; BAG, Urteil vom 27. Februar 2020 - 2 AZR 570/19 - BAGE 170, 84, juris Rn. 32.

64 როგორც სამეწარმეო- და კოოპერატიულ-სამართლებრივი კომპეტენციების განაწილების შემთხვევაში ხელმძღვანელ ორგანოსა და დამსაქმებელ ორგანოს ურთიერთობაში, ანუ, პარტნიორთა კრების/საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს შემთხვევაში.

65 BAG, Urteil vom 5. Mai 2022 - 2 AZR 483/21 - BAGE 178, 37, juris Rn. 12; BAG, Urteil vom 27. Februar 2020 - 2 AZR 570/19 - BAGE 170, 84, juris Rn. 32.

66 BAG, Urteil vom 5. Mai 2022 - 2 AZR 483/21 - BAGE 178, 37, juris Rn. 12; BAG, Urteil vom 27. Februar 2020- 2 AZR 570/19 - BAGE 170, 84, juris Rn. 32.

67 BAG, Urteil vom 27. Februar 2020- 2 AZR 570/19 - BAGE 170, 84, juris Rn. 32; BAG, Urteil vom 20. Oktober 2016 - 2 AZR 395/15 - BAGE 157, 69, juris Rn. 47.

68 BGH, Urteil vom 10. September 2001 - II ZR 14/00 - NJW-RR 2002, 173, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 15. Juni 1998 - II ZR 318/96 - BGHZ 139, 89, juris Rn. 6.

აყალიბებენ, საზოგადოებისა თუ კოოპერატივისთვის ცოდნის შერაცხვისათვის არსებითია, მონაწილეობდნენ თუ არა ისინი ორგანოს წევრების რანგში კოლექტიური ნების ფორმირებაში. შესაბამისად, ცოდნა სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი კოლეგიური ორგანოს სხდომაზე საკითხი ოფიციალურად იქნება წარმოდგენილი.[69] შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრისათვის დირექტორის კონკრეტული ქმედებების შესახებ ცოდნა საკმარისი არ არის მოშლის ვადის დენის დასაწყებად. ამისათვის აუცილებელია, რომ საკითხი სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე განხილვისა და კოლექტიური ნების ფორმირების საგანი გახდეს.

ბბ) შეუსაბამო დაყოვნება:

არასაგნობრივი დაყოვნების თავიდან ასაცილებლად და მნიშვნელოვანი საფუძვლით (რომლის ბუნებიდან გამომდინარეც, მყისიერი რეაგირებაა აუცილებელი) მნიშვნელოვანი საფუძვლით მოშლის მიზნის ჩაშლის თავიდან ასაცილებლად, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს სხდომა დაუყოვნებლივ უნდა იქნას მოწვეული. ამიტომაც, აღნიშნული ვადის დენა იწყება მაშინ, როდესაც კოლეგიალური ორგანოს სხდომის მოწვევის უფლების მქონე წევრს გააჩნია საკმარისი ცოდნა მოშლის საფუძვლის შესახებ. თუ სხდომის მოწვევა არ ხდება, გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, მოშლის ვადის გამოთვლისას, ისეთ მდგომარეობაში უნდა იქნას ჩაყენებული, თითქოს სხდომა სამართლიან და გონივრულ ვადაში იყო მოწვეული.[70] ამგვარად, შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც სხდომაზე ხდება ვადის დაუცველად მოშლის გაცხადება, თუმცა მისი გაცხადების დრო უკვე გაშვებულია, რადგან სხდომის მოწვევა დაგვიანებით მოხდა.

გგ) შემაჯამებელი მაგალითი:

ამ პრინციპებს გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლო შემდეგნაირად აჯამებს:[71]

„ორკვირიანი ვადის ათვლის დაწყებისათვის საჭირო ცოდნა (გსკ-ის 626 II პარაგრაფის გაგებით, ავტორთა შენიშვნა: სკ-ის 399 I 1 მუხლისაგან განსხვავებით, გსკ-ის 626 II პარაგრაფი მკაცრად განსაზღვრულ ორკვირიან ვადას ითვალისწინებს) დამოკიდებულია მხოლოდ იმ კომპეტენტური და უფლებამოსილი ორგანოს ცოდნის ხარისხზე, რომელიც უფლებამოსილია და მზად არის მიიღოს გადაწყვეტილება ვადის დაუცველად მოშლის საკითხთან დაკავშირებით (BGH, Urteil vom 15. Juni 1998 - II ZR 318/96, BGHZ 139, 89, 92; Urteil vom 10. Januar 2000 - II ZR 251/98, ZIP 2000, 508, 510; Urteil vom 10. September 2001 - II ZR 14/00, ZIP 2001, 1957, 1958; Urteil vom 9. April 2013 - ZIP 2013, 971 Rn. 12). შესაბამისად, კოოპერატივის შემთხვევაში, ვადის ათვლა იწყება მაშინ, როდესაც გენერალურმა ან წარმომადგენელთა კრებამ შეიტყო მოშლის საფუძვლის შესახებ (BGH, Urteil vom 18. Juni 1984 - II ZR 221/83, ZIP 1984, 947, 949 f.; Urteil vom 12. Februar 2007 - II ZR 308/05, ZIP 2007, 674 Rn. 6). მოშლის უფლების დამაფუძნებელი არსებითი ფაქტების შესახებ ზუსტი და სრულყოფილი ცოდნა სახეზეა მაშინ, როდესაც დადგენილია ყველაფერი, რაც შეიძლება განხილულ იქნას, როგორც შრომითი ურთიერთობის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი და საკმარისი საფუძველი (BGH, Urteil vom 24. November 1975 - II ZR 104/73, WM 1976, 77, 78; Urteil vom 9. April 2013 - II ZR 273/11, ZIP 2013, 971 Rn. 15). მხოლოდ ცოდნის ვალდებულების არსებობა ან უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნა საკმარისი არ არის (BGH, Urteil vom 9. April 2013 - II ZR 273/11, ZIP 2013, 971 Rn. 15; ...). მხოლოდ მაშინ, როდესაც ფაქტები არსებითად უკვე

[69] საერთო კრებისათვის: BGH, Urteil vom 15. Juni 1998 - II ZR 318/96 - BGHZ 139, 89, juris Rn. 6.

[70] BGH, Urteil vom 15. Juni 1998 - II ZR 318/96 - BGHZ 139, 89, juris Rn. 7.

[71] BGH, Urteil vom 2. Juli 2019 - II ZR 155/18 - ZIP 2019, 1716, juris Rn. 30 ff.

ცნობილია და დამატებითი გამოკვლევებია საჭირო, როგორიცაა, მაგალითად, ეჭვის საფუძველზე გათავისუფლებისას დასაქმებულის მოსმენა ან გათავისუფლების წინააღმდეგ მეტყველი ფაქტების დადგენა, ეს ქმედებები დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს (BGH, Urteil vom 24. November 1975 - II ZR 104/73, WM 1976, 77, 78; Urteil vom 2. Juli 1984 - II ZR 16/84, ZIP 1984, 1113, 1114; Urteil vom 9. April 2013 - II ZR 273/11, ZIP 2013, 971 Rn. 15).

ბ) მოპასუხის წარმომადგენელთა კრებას მხოლოდ 2015 წლის 7 აგვისტოს სხდომაზე მიეწოდა ინფორმაცია იმ ფაქტებზე, რომლებიც ხელშეკრულების მოშლის (გათავისუფლების) საფუძველს წარმოადგენდნენ. მოსარჩელეს მოშლის შესახებ შეტყობინება 2015 წლის 14 აგვისტოს ჩაბარდა.

გ) მოპასუხე საკასაციო სარჩელში დაფიქსირებული საპირისპირო შეხედულების მიუხედავად, არ უნდა იქნას გამონაკლისი სახით ჩაყენებული ისეთ მდგომარეობაში, თითქოს წარმომადგენელთა კრებას გათავისუფლების საფუძვლების შესახებ ინფორმაცია 2015 წლის 7 აგვისტომდე ჰქონდა.

აა) ასეთი ვადამდელი ჩათვლა/ვადის ათვლის მომენტის გადმოწევა შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივის სამეთვალყურეო საბჭო, მას შემდეგ, რაც გათავისუფლების საფუძვლების შესახებ შეიტყო, კრებას გონივრულად მოკლე ვადაში არ მოიწვევდა (BGH, Urteil vom 18. Juni 1984 - II ZR 221/83, ZIP 1984, 947, 949; Urteil vom 12. Februar 2007 - II ZR 308/05, ZIP 2007, 674 Rn. 7; für die GmbH Urteil vom 15. Juni 1998 - II ZR 318/96, BGHZ 139, 89, 92 f.).

ββ) სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია მოპასუხის სამეთვალყურეო საბჭოს ასეთი ცოდნა. ... სამეთვალყურეო საბჭოს უმოქმედობა, მიუხედავად იმისა, რომ მან გათავისუფლების ფაქტობრივი გარემოებების შესახებ იცოდა, კოოპერატივს ... მხოლოდ იმგვარად შეიძლება შეერაცხოს, რომ გამორიცხვის ვადის დასაწყისი განისაზღვროს იმ მომენტით, როდესაც იქნებოდა გენერალური ან წარმომადგენელთა კრება ინფორმირებული, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საკუთარი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში. ამასთან, არ უნდა იქნას გამოყენებული ზედმეტად მკაცრი შეფასების კრიტერიუმები. განსაკუთრებით, ვადის ათვლა არ უნდა დაიწყოს იმ ჰიპოთეტური მომენტიდან, როდესაც გენერალური ან წარმომადგენელთა კრება ინფორმირებული გახდებოდა, სამეთვალყურეო საბჭოს მაქსიმალური სისწრაფით რომ ემოქმედა (BGH, Urteil vom 18. Juni 1984 - II ZR 221/83, ZIP 1984, 947, 949).

წარმომადგენელთა კრების მოწვევის უმნიშვნელო დაყოვნება არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მოსარჩელეს შექმნოდა სამართლებრივი დაცვის ღირსი ნდობა სასამსახურო ხელშეკრულების გაგრძელების მიმართ. ვინაიდან მოსარჩელე უკვე წინმსწრებად/დროებით იქნა გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან, მას უნდა გაეთვალისწინებინა საბოლოო გათავისუფლებისა და შრომითი ხელშეკრულების უვადო შეწყვეტის შესაძლებლობა (შდრ. BGH, Urteil vom 18. Juni 1984 - II ZR 221/83, ZIP 1984, 947, 950; Urteil vom 12. Februar 2007 - II ZR 308/05, ZIP 2007, 674 Rn. 7).“

პიროვნული ზიანის ანაზღაურება გერმანიასა და საქართველოში

ნაწილი III: შემოსავლის დაკარგვით მიყენებული ზიანი*

ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზამბახიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე

ულრიხ ჰაგენლოხი
დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი (პენსიონირებული)

A. შემოსავლის ზიანი გერმანიაში:

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) 842-ე პარაგრაფის თანახმად, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დელიქტური ქმედებისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება იმ ზიანზე, რომელიც ქმედებამ მიაყენა დაზარალებულის შემოსავალს ან პროფესიულ წინსვლას. მსგავსი შინაარსის დებულება გვხვდება საგზაო მოძრაობის კანონის მე-11 პარაგრაფის 1-ლ წინადადებაში, საგზაო მოძრაობის კანონის შესაბამისად პასუხისმგებლობის შემთხვევაში. საგზაო მოძრაობის კანონის ეს დამფუძნებელი ნორმა ქვემოთ ცალკე აღარ იქნება განხილული.

უკვე არსებული შემოსავლის წყაროების დაკარგვა განიხილება, როგორც შემოსავლის ზიანი (ვიწრო გაგებით); მომავალი შემოსავლის შესაძლებლობების დაკარგვა კი – როგორც პროფესიული წინსვლის ზიანი, მაგალითად, მოსწავლის ან სტუდენტის დაზიანების შემთხვევაში ან როდესაც ზიანის გამომწვევი მოვლენა ხელს უშლის კარიერულ წინსვლას (დაწინაურებას). თუმცა, ცნება „შემოსავლის ზიანი" ასევე გამოიყენება, როგორც საერთო ტერმინი შემოსავლის დაკარგვის ორივე ფორმისთვის. ქვემოთ, ძირითადად, მხოლოდ ფართო გაგებით შემოსავლის ზიანზე იქნება საუბარი, რადგან პროფესიული წინსვლის შესაძლებლობის დაკარგვის შემთხვევაში არსებითად სამართლებრივი თავისებურებები არ არსებობს. მისი სპეციფიკური პრობლემები, ძირითადად, მოვლენათა ჰიპოთეტური განვითარების (რა მოხდებოდა დამაზიანებელი მოვლენის გარეშე) სფეროში მდგომარეობს.

გსკ-ის 842-ე პარაგრაფი არის *lex specialis* გსკ-ის 249-ე და შემდგომი პარაგრაფებით მოწესრიგებულ ზიანის სამართლის ზოგად დებულებებთან შედარებით. ნორმა არსებითად (ყოველ შემთხვევაში, მეტწილად) მხოლოდ იმას განმარტავს, რაც ისედაც გამომდინარეობს ზიანის სამართლის ზოგადი პრინციპებიდან, ანუ ყოველგვარი ეკონომიკური დანაკლისის სრული ანაზღაურების მოთხოვნიდან.[1] ეს ნორმატიული მიზანი ამავე დროს გულისხმობს, რომ გსკ-ის 842-

* გერმანულიდან თარგმნა *დავით მაისურაძემ.*

[1] *Wilhelmi* in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 842 BGB, Rn. 1; Staudinger/Vieweg/Lorz (2023) BGB §

ე პარაგრაფი არის არა მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა, არამედ ნორმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ოდენობის შესახებ.[2]

I. შემოსავლის ზიანის ძირითადი მახასიათებლები:

1. მატერიალურსამართლებრივი მახასიათებლები:

გსკ-ის 842-ე პარაგრაფის თანახმად, სხეულის დაზიანების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება (ქონებრივ) ზიანზე, რომელიც დაზარალებულმა განიცადა მისი შრომის უნარის დაკარგვის ან შემცირების შედეგად; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: იმ ქონებრივ დანაკარგზე, რასაც მისი პიროვნების სრულყოფილად ფუნქციონირების შეუძლებლობა იწვევს.[3]

თუმცა, შრომისუნარიანობას, როგორც ასეთს, არ აქვს ქონებრივი ღირებულება.[4] შესაბამისად, მისი დაკარგვა თავისთავად არ წარმოადგენს ზიანს სამართლებრივი გაგებით, თუნდაც „ნორმატიული" თვალსაზრისით.[5] ამიტომ, ვინც მხოლოდ თავისი ქონებით ან პენსიით ცხოვრობს ან მუშაობის სურვილი არ აქვს, მხოლოდ და მხოლოდ შრომის უნარის დაკარგვით არ განიცდის ანაზღაურებას დაქვემდებარებულ ზიანს.[6] ეს თანაბრად ეხება ბავშვებს, პენსიონერებს, სტუდენტებს და უმუშევრებს, რომლებიც ვერ ითხოვენ სოციალურ შეღავათებს (როგორიცაა უმუშევრობის შემწეობა III სოციალური კოდექსის 136-ე და შემდგომი პარაგრაფების შესაბამისად). ეს უნდა გავმიჯნოთ იმ საკითხისგან, შეიძლება თუ არა დაშავებულებმა, რომლებსაც დაზიანების დროს ჯერ კიდევ არ ჰქონიათ შემოსავალი, დაზიანების გამო მომავალშიც ვერ დაიწყონ ანაზღაურებადი საქმიანობა, რაც დაზიანების არარსებობისას სხვაგვარად იქნებოდა. ეს საკითხი პროფესიული წინსვლის დაკარგვის კონტექსტში განიხილება.

შესაბამისად, შემოსავლის ანაზღაურებადი ზიანი მხოლოდ მაშინ დგება, როდესაც შრომისუნარიანობის გაუარესება წარმოშობს კონკრეტულ ეკონომიკურ ზიანს, ანუ იწვევს ქონების დაკარგვას. უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ 1970 წლის ფუნდამენტურ გადაწყვეტილებაში ამასთან დაკავშირებით განაცხადა:[7]

aa) შრომა და შრომის უნარი არის ადამიანის თვისებები, რომლებიც, პასუხისმგებლობის სამართლის თვალსაზრისით, პირველ რიგში, უკავშირდება ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ჯანმრთელობის სამართლებრივ სიკეთეებს. გსკ-ის 823-ე და საგზაო მოძრაობის კანონის მე-11 პარაგრაფის (და შესაბამისი სხვა ნორმების) თანახმად, ამ სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფა თავისთავად არ იწვევს ზიანის ანაზღაურების რაიმე ვალდებულებას ქონებრივი სამართლის მიხედვით (განსხვავებით „ტკივილის" კომპენსაციისგან გსკ-ის 847-ე პარაგრაფის მიხედვით). ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ამ სამართლებრივი სიკეთეების ხელხოფით ქონებრივი ზიანი წარმოიშობა (იხ. საგზაო მოძრაობის კანონის მე-11 პარაგრაფი). შესაბამისად, შემოსავლის მიღების შესაძლებლობა თავისთავად არ არის ქონებრივი ღირებულება (...). ავტომობილის ნივთობრივი და გამოყენებითი ღირებულება, ხშირად ასევე სახლის საყოფაცხოვრებო ღირებულება (BGHZ 40, 350; BGH LM § 906

842, Rn. 3; *Rüßmann* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 842 BGB (Stand: 01.02.2023), Rn. 1.

2 გაზრდილ საჭიროებებთან დაკავშირებით შდრ.: *Lakerbaia/Hagenloch*, Ersatz von Personenschäden in Georgien und Deutschland, Teil II: Ersatz der Kranken- und Heilbehandlung sowie der vermehrten Bedürfnisse unter B. IV. 1, zur Veröffentlichung in www.lawjournal.ge vorgesehen.

3 BGH, Urteil vom 8. Oktober 2024 - VI ZR 250/22 - openJur 2024, 9924, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 25. Juni 2013 - VI ZR 128/12 - BGHZ 197, 316, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 27. Oktober 2015 - VI ZR 183/15 - NJW 2016, 1386, juris Rn. 10.

4 BGH, Urteil vom 19. September 2017 - VI ZR 530/16 - NJW 2018, 864, juris Rn. 13.

5 BGH, Urteil vom 25. Juni 2013 - VI ZR 128/12 - BGHZ 197, 316, juris Rn. 12; BGH, Urteile vom 8. April 2008 - VI ZR 49/07 - BGHZ 176, 109, juris Rn. 9.

6 BGH, Urteil vom 25. Juni 2013 - VI ZR 128/12 - BGHZ 197, 316, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 8. April 2008 - VI ZR 49/07 - BGHZ 176, 109, juris Rn. 9.

7 BGH, Urteil vom 5. Mai 1970 - VI ZR 212/68 - BGHZ 54, 45, juris Rn. 12 f.

BGB No. 17 = NJW 1963, 2020) შეიძლება შეფასდეს ობიექტური სტანდარტებით. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, შეიძლება განისაზღვროს საბაზრო ფასი, ხშირად ობიექტური, საერთო ღირებულებაც კი დაზიანებული ქონებრივი ობიექტისა. ...მეორე მხრივ, კასატორის მიერ ავტომობილის გამოყენებითი ღირებულებისა და ადამიანის შრომის ღირებულების გათანაბრება თავიდანვე საეჭვოა (...). ...

მოსარჩელე ვერ დაეყრდნობა ავტომობილის გამოყენების შეწყვეტის შესახებ არსებულ სასამართლო პრაქტიკას, რათა დაასაბუთოს, რომ მისი შრომისუნარიანობის დაკარგვა, როგორც ასეთი, ქონებრივი ზიანია.[8] აქაც, ავტომობილის გამოყენების შესაძლებლობის დაკარგვა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ანაზღაურებას დაქვემდებარებულ ქონებრივ ზიანს. უფრო მეტიც, აუცილებელია, რომ დაზარალებულს ავტომობილის შეკეთების დროსაც კი სურდეს და შეეძლოს მისი გამოყენება. გამოყენების შესაძლებლობის მხოლოდ აბსტრაქტული დაკარგვის შემთხვევაში სენატმა ანაზღაურებაზე პირდაპირ თქვა უარი (BGHZ 45, 212, 219; 1968 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება - VI ZR 40/67 -, VersR 1968, 803).“

მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებაში უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ეს სასამართლო პრაქტიკა დააკონკრეტა იმით, რომ ზიანის სამართალით (სოციალური დაზღვევის სამართლისა და შეზღუდული პროფესიული უნარების დაზღვევისგან განსხვავებით) ასევე აკრძალულია ქონებრივი ზიანის აბსტრაქტულად განსაზღვრა სამედიცინო თვალსაზრისით დადგენილი შრომისუუნარობის ხარისხის მიხედვით.[9]

ამგვარად გაგებული შემოსავლის ზიანი მოიცავს, ერთი მხრივ, ყველა ეკონომიკურ შეზღუდვას, რომელსაც დაზარალებული განიცდის, რადგან და რამდენადაც მას არ შეუძლია გამოიყენოს თავისი შრომა დაზიანების გამო.[10] როგორც სხვაგან უკვე იყო ნახსენები,[11] შემოსავლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, პრინციპში, ასევე ვრცელდება იმაზე, რომ აღდგეს პროფესიული ცხოვრების წესი, რომელიც მაქსიმალურად მიახლოებული იქნება იმასთან, რაც იარსებებდა დამაზიანებელი მოვლენის გარეშე.[12] ეს შეიძლება ეხებოდეს, მაგალითად, შრომისუნარიანობის სრულად აღდგენის ღონისძიებებს, შშმ პირთათვის სახელოსნოში მუშაობის ხარჯებს ან სამუშაო ადგილის ადაპტირებას. თუმცა ამ მხრივ გარკვეული პრობლემები წარმოიშობა გაზრდილი საჭიროებების ანაზღაურებასთან დაკავშირებით გსკ-ის 843-ე პარაგრაფის გაგებით.[13]

არ არსებობს სამართლებრივი განსხვავებები დამოკიდებული დასაქმებულის შემოსავლის ზიანსა და თვითდასაქმებულის შემოსავლის ზიანს შორის. თუმცა, არსებითი განსხვავებებია ზიანის ფაქტობრივ განსაზღვრაში.

---

8 ავტორთა შენიშვნა: ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით: *ჰაგენლოხი,* მატერიალური ზიანის გამოთვლა ავტოსაგზაო შემთხვევების დროს გერმანიაში, 7/2023; lawjournal.ge, გვ. 1, 30-ე და მომდევნო, https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-7-2023.pdf; *Hagenloch*, Berechnung des materiellen Schadens bei Verkehrsunfällen in Deutschland, Heft 3-2023 DE lawjournal.ge, Seite 1, 25 ff., https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-3-2023-DE-1.pdf.

9 BGH, Urteil vom 7. Dezember 1976 - VI ZR 7/75 - BGHZ 67, 372, juris Rn. 9.

10 BGH, Urteil vom 30. Juni 2015 - VI ZR 379/14 - BGHZ 206, 136, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 25. Juni 2013 - VI ZR 128/12 - BGHZ 197, 316, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 8. April 2008 - VI ZR 49/07 - BGHZ 176, 109, juris Rn. 9; BGH, Beschluss vom 20. Oktober 2009 - VI ZB 53/08 - NJW-RR 2010, 946, juris Rn. 7.

11 *Lakerbaia/Hagenloch*, Ersatz von Personenschäden in Georgien und Deutschland, Teil II: Ersatz der Kranken- und Heilbehandlung sowie der vermehrten Bedürfnisse, unter B. III. 1. a) und 3. c), zur Veröffentlichung in www.lawjournal.ge vorgesehen.

12 BGH, Urteil vom 30. Juni 2015 - VI ZR 379/14 - BGHZ 206, 136, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 27. Januar 2015 - VI ZR 54/14 - BGHZ 204, 44, juris Rn. 18; შდრ. ასევე: BGH, Urteil vom 17. September 2019 - VI ZR 437/18 - VersR 2020, 59, juris Rn. 15.

13 შდრ. მაგ.: BGH, Urteil vom 30. Juni 2015 - VI ZR 379/14 - BGHZ 206, 136, juris Rn. 16 ff.; BGH, Urteil vom 27. Januar 2015 - VI ZR 54/14 - BGHZ 204, 44, juris Rn. 18; OLG Oldenburg, Urteil vom 5. Juni 2013 - 5 U 76/12 - juris Rn. 73.

2. საპროცესოსამართლებრივი ასპექტები:

საადვოკატო და სასამართლო პრაქტიკისთვის, ძირითადი პრობლემები შემოსავლის ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, როგორც წესი, ნაკლებად ეხება მატერიალურსამართლებრივ წინაპირობებს, უფრო მეტად კი – ფაქტების დადგენასა და მოთხოვნის წაყენების საპროცესო ფორმას.

ცხადია, რომ, უპირველეს ყოვლისა, სამომავლო ზიანის განვითარების დადგენა განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაზარალებული ზიანის მიყენების დროს არ იყო დასაქმებული ან მხოლოდ ცოტა ხნის წინ დაიწყო მუშაობა და, შესაბამისად, ძალიან ცოტა მინიშნება არსებობს პროფესიული და შემოსავლის სიტუაციის ჰიპოთეტური განვითარების შესახებ. ეს განუყოფლად არის დაკავშირებული იმასთან, დაზარალებულმა გსკ-ის 843-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილით[14] გათვალისწინებული ფულადი რენტის მოთხოვნა სარჩელის ფორმით უნდა წააყენოს თუ მას შეუძლია, მომავალი ზიანის განვითარების გაურკვევლობის გამო, თავისი სამართლებრივი ინტერესი (მიუხედავად მისი ზოგადი სუბსიდიარობისა) სასამართლოში აღიარებითი სარჩელის შეტანით დაიცვას.

რამდენადაც დაზარალებულისთვის შესაძლებელია და მისაღებია ზიანის ოდენობის დადგენა, მან, როგორც წესი, უნდა მიმართოს სასარჩელო წარმოებას; ამ შემთხვევაში აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია აღიარებითი ინტერესის არარსებობის გამო.[15] შეცვლილი ფაქტობრივი გარემოებების შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მინიჭებული ფულადი რენტა ექვემდებარება ცვლილებას გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 323-ე პარაგრაფის[16] შესაბამისად (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ შეიცავს მსგავს დებულებას). თუ სამომავლო ზიანის დადგენა საკმარისი სიზუსტით ვერ ხერხდება, დაზარალებულმა უნდა შეიტანოს აღიარებითი სარჩელი. თუ დაზარალებული სამომავლო ზიანის ნაწილს (შეფასების შეუძლებლობის გამო) ითხოვს დასაშვები აღიარებითი სარჩელით, მას შეუძლია გაავრცელოს იგი სამომავლო ზიანის იმ ნაწილზეც, რომელიც შეფასებადია. თუმცა ამის წინაპირობა ისაა, რომ ზიანის განვითარება ჯერ არ დასრულებულა.[17]

---

[14] **843-ე პარაგრაფი: ფულადი სარჩო ან ერთჯერადად გადასახდელი კომპენსაცია**

(1) თუ სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შედეგად დაზარალებულმა დაკარგა შრომისუნარიანობა, ან მისი შრომისუნარიანობა შემცირდა, ანდა თუ იზრდება მისი მოთხოვნები, მაშინ დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ფულადი სარჩოს გადახდით.

(2) სარჩოს მიმართ გამოიყენება 760-ე პარაგრაფის ნორმები. ვალდებულია თუ არა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი, წარადგინოს უზრუნველყოფა, ამასთან, რა სახითა და მოცულობით, განისაზღვრება გარემოებების მიხედვით.

(3) სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის ერთჯერადად გადახდა, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი.

(4) მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხება იმით, რომ სხვა პირი ვალდებულია, არჩინოს დაზარალებული

[15] BGH, Urteil vom 7. August 2024 - VIa ZR 277/22 - openJur 2024, 8700, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 18. Dezember 2023 - VIa ZR 1083/22 - MDR 2024, 364, juris Rn. 10.

[16] *323-ე პარაგრაფი: გადაწყვეტილებების შეცვლა*

(1) თუ გადაწყვეტილება მოიცავს მომავალ პერიოდში განსახორციელებელ, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, მხარემ შეიძლება მოითხოვოს მისი ცვლილება. სარჩელი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ეყრდნობა იმ ფაქტებს, რომლებიც ადასტურებს მნიშვნელოვანი ცვლილების არსებობას იმ ფაქტობრივ ან სამართლებრივ პირობებში, რომელთა საფუძველზეც იყო მიღებული გადაწყვეტილება.

(2) სარჩელი შეიძლება დაეყრდნოს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებიც მოსამზადებელი სხდომის შემდეგ წარმოიშვა და რომელთა წარდგენა ვერ მოხერხდა ან შეუძლებელი იყო საჩივრის მეშვეობით.

(3) ცვლილება დასაშვებია მხოლოდ სარჩელის რეგისტრაციის მომენტიდან.

(4) თუ არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილება ფაქტობრივ ან სამართლებრივ პირობებში, გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს მხოლოდ მისი ძირითადი პრინციპების დაცვით.

[17] BGH, Urteil vom 7. August 2024 - VIa ZR 277/22 - openJur 2024, 8700, juris Rn. 7; BGH, Urteil vom 5. Oktober 2021 - VI ZR 136/20 - NJW-RR 2022, 23, juris Rn. 28; BGH, Urteil vom 12. Juli 2005 - VI ZR 83/04 - NJW 2006, 1271, juris Rn. 57.

II. დამოკიდებული დასაქმებულების შემოსავლის ზიანი:

1. ხელფასის დაკარგვა:

დამოკიდებული დასაქმებულების ზიანი მდგომარეობს იმაში, რომ მათ, დაზიანებით გამოწვეული შრომისუუნარობის გამო, არ შეუძლიათ შეასრულონ მათზე დაკისრებული სამუშაო ან მომსახურება და, ამით, ზოგადი შრომითი და მომსახურების სამართლებრივი ურთიერთობების შესაბამისად, მოვალეობის შეუსრულებლობის გამო კარგავენ ხელფასის ან ჯამაგირის მიღების უფლებას, ან „თავისთავად" კარგავენ შემოსავალს ავადმყოფობის შემთხვევაში ანაზღაურების გაგრძელების შესახებ სპეციალური რეგულაციების გარეშეც. ეს ზიანი არ იქვითება სარგებლის გათანაბრების პრინციპების შესაბამისად, რადგან დამსაქმებელი ან დამკვეთი, შესაძლოა, იძულებული იყოს განაგრძოს ხელფასის ან ჯამაგირის გადახდა, მიუხედავად ავადმყოფობით (დაზიანებით) გამოწვეული სამუშაო ან სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობისა, ან სოციალური დაზღვევის ინსტიტუტები ვალდებულნი იყოს უზრუნველყონ კომპენსაცია დაკარგული ანაზღაურებისთვის (ე.წ. ანაზღაურების შემცვლელი შეღავათები).[18]

ა) შრომისუუნარობა:

შემოსავლის ზიანის ანაზღაურების უფლება დაკავშირებულია არა უშუალოდ დაზიანებით გამოწვეულ დაავადებასთან, არამედ მასზე დაფუძნებულ შრომისუუნარობასთან. ეს უკანასკნელი შრომის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით განისაზღვრება შემდეგნაირად:[19]

a) შრომისუუნარობა არსებობს, როდესაც დასაქმებული ავადმყოფობის გამო ობიექტურად ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს, ან არ უნდა ასრულებდეს, რადგან ექიმის პროგნოზით, განკურნება ამით შეფერხდება ან გადაიდება (BAG 26. ოქტომბერი 2016 - 5 AZR 167/16 - Rn. 14, BAGE 157, 102; 9. აპრილი 2014 - 10 AZR 637/13 - Rn. 21, BAGE 148, 16). ყოველ შემთხვევაში, თუ დასაქმებული ობიექტურად ვერ ასრულებს შესრულებულ სამუშაოს, მისთვის სამუშაოს შესრულება შეუძლებელი ხდება გსკ-ის 275-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის შესაბამისად (შდრ. BAG 23. თებერვალი 2022 - 10 AZR 99/21 - Rn. 43, BAGE 177, 163).

b) შრომისუუნარობა ასევე არსებობს, როდესაც დასაქმებული ავადმყოფობის გამო სამართლებრივი მიზეზების გამო ვერ ასრულებს სამუშაოს, მაგალითად, თუ მისთვის ავადმყოფობის გამო დასაქმების აკრძალვა არსებობს (...). იგივე ეხება იმ შემთხვევას, როდესაც დასაქმებულს გადამდები ინფექციური დაავადების გამო ... ოფიციალურად დაწესებული აქვს იზოლაცია (კარანტინი) ან განცალკევება (...).

შრომისუუნარობა ასევე არსებობს, როდესაც სამუშაოს შესრულება სამედიცინო თვალსაზრისით არ არის გამართლებული, მაგალითად, რადგან განკურნება ექიმის პროგნოზით ამით შეფერხდება ან გადაიდება, ან სამუშაო დატვირთვა ჯანმრთელობისთვის სამედიცინო თვალსაზრისით მიუღებელი ჩანს.[20]

შრომისუნარიანობის ხელყოფა დამზიანებელს პასუხისმგებლობად შეერაცხება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც შრომისუუნარობა ობიექტურად დგინდება. საკმარისი შეიძლება იყოს, რომ დაზარალებული ენდობა შესაბამის სამედიცინო პროგნოზს, გერმანიაში, ე. წ. შრომისუუნარობის ცნობის სახით („Krankenschein"). მაგალითად, თუ ასეთი შრომისუუნარობის ცნობის გამცემი ექიმი ხელზე მიყენებულ დაზიანებას აფასებს ისე, რომ დაზარალებულმა კლავიატურაზე შესასრულებელი პროფესიული საქმიანობა სამედიცინო მიზეზების გამო არ უნდა შეასრულოს (თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში განკურნების პროცესი გაჭიანურდება) და დაზარალებული ენდობა

[18] დაწვრილებით: *Rusiashvili/Hagenloch*, Gesetzlicher Forderungsübergang zu Gunsten des Schadensversicherers und anderer Leistungsträger in Georgien und Deutschland, S. 1., 4; https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-8-2024-DE.pdf.

[19] BAG, Urteil vom 20. März 2024 - 5 AZR 235/23 - NZA 2024, 977, juris Rn. 12 ff.

[20] BGH, Urteil vom 8. Oktober 2024 - VI ZR 250/22 - openJur 2024, 9924, juris Rn. 9.

ამას, დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი დამზიანებელს შეერაცხება მაშინაც კი, თუ ობიექტურად სამუშაოს გაგრძელების შემთხვევაში განკურნების პროცესი არ გაჭიანურდებოდა. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია:[21]

„b) იმის შეფასებისას, არსებობს თუ არა ასეთი დაზიანებით გამოწვეული შრომისუნარიანობის შეზღუდვა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაზარალებულის კონკრეტული მდგომარეობა, განსაკუთრებით მისი შემეცნებისა[22] და მასზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობები, გსკ-ის 249-ე პარაგრაფის ფარგლებში ზიანის სუბიექტურად შეფასების მუდმივი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად (შდრ. მხოლოდ სენატი, გადაწყვეტილებები 2022 წლის 13 დეკემბერი - VI ZR 324/21, NJW 2023, 1057 Rn. 11; 2020 წლის 26 მაისი - VI ZR 321/19, VersR 2020, 987 Rn. 11; ...). დაზარალებული დასაქმებული გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა გამოიყენოს თუ არა თავისი (დარჩენილი) შრომისუნარიანობა სამუშაოზე, ან თავი უნდა შეიკავოს თუ არა ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე, ხშირად დამოკიდებულია მის მკურნალ ექიმზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხავია, შეაფერხებს ან გააჭიანურებს თუ არა ექიმის პროგნოზით განკურნებას სამუშაოს განახლება. ამ სიტუაციაში იგი ზიანის მიმყენებლის მიერ გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად აღმოჩნდა. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაზარალებული შრომის სამართლის მიხედვით ვალდებულია, თავი შეიკავოს ყველაფრისგან, რაც მის გამოჯანმრთელებას აფერხებს, და იგი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს, თუ ჯანმრთელობისთვის საზიანო ქცევით საფრთხეს უქმნის თავის წარმატებულ განკურნებას (შდრ. მხოლოდ BAG გადაწყვეტილება 2006 წლის 2 მარტი - 2 AZR 53/05, NZA-RR 2006, 636 Rn. 23 f.). ასევე, ზიანის ანაზღაურების სამართლის მიხედვით, დაზარალებული გსკ-ის 254-ე პარაგრაფის ფარგლებში, როგორც წესი, ვალდებულია, თავი შეიკავოს ყველაფრისგან, რაც მის გამოჯანმრთელებას საფრთხეს უქმნის ან წარმატებულ განკურნებას აფერხებს. თუ დაზარალებული არ დაიცავდა მკურნალი ექიმის რეკომენდაციას და, შესაბამისად, მისი დაზიანება გაუარესდებოდა ან განკურნება გაჭიანურდებოსა, მას, შესაძლოა, დაერღვია ზიანის შემცირების ვალდებულება.

c) ამ ფონზე, გსკ-ის 842-ე და საგზაო მოძრაობის კანონის მე-11 პარაგრაფის შესაბამისად დაკარგული ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნისთვის სულაც არ არის აუცილებელი, რომ ობიექტურად არსებობდეს დაზიანებით გამოწვეული შრომისუნარიანობის შეზღუდვა, რაც წინამდებარე შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი დავების თანახმად, არ იყო სახეზე. მოთხოვნა ასევე შეიძლება იყოს განხილული, თუ ექიმის კონსულტაციის საფუძველზე დაზარალებული თვლიდა, რომ არსებობდა ასეთი შეზღუდვა (შდრ. სენატი, გადაწყვეტილება 1963 წლის 30 აპრილი - VI ZR 125/62, VersR 1963, 872, 873). დაზარალებულმა შესაძლოა განიცადოს უბედური შემთხვევის შედეგად ადეკვატურად და კაუზალურად გამოწვეული და გსკ-ის 842-ე, საგზაო მოძრაობის კანონის მე-11 პარაგრაფის შესაბამისად ასანაზღაურებელი ხელფასის ზიანი, თუ იგი მართებულად ენდობოდა ექიმის მიერ დადასტურებულ შრომისუუნარობას და, შესაბამისად, არ მიდიოდა სამუშაოზე (შდრ. ასევე სენატი, გადაწყვეტილებები 2001 წლის 16 ოქტომბერი - VI ZR 408/00, BGHZ 149, 63, 67, juris Rn. 12 და 2020 წლის 23 ივნისი - VI ZR 435/19, NJW 2020, 3176 Rn. 21).“

თუმცა, პასუხისმგებლობის ასეთი შერაცხვა მოითხოვს, რომ სხეულის დაზიანება მაინც იყოს წარმოდგენილი; ესე იგი, „მხოლოდ” ობიექტურად არსებული (თუნდაც ექიმის მიერ მცდარად დიაგნოზირებული) შრომისუუნარობის გამოწვევა არ კმარა. თუ, მეორე მხრივ, არსებო-

[21] BGH, Urteil vom 8. Oktober 2024 - VI ZR 250/22 - openJur 2024, 9924, juris Rn. 10 f.

[22] ავტორთა შენიშვნა: იხ. *ჰაგენლოხი*, მატერიალური ზიანის გამოთვლა ავტოსაგზაო შემთხვევების დროს გერმანიაში, 7-2023 lawjournal.ge, გვ. 1, 6; https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-7-2023.pdf; *Lakerbaia / Hagenloch*, Ersatz von Personenschäden in Georgien und Deutschland Teil II: Ersatz der Kranken- und Heilbehandlung sowie der vermehrten Bedürfnisse, unter B. III. 2. b), zur Veröffentlichung in www.lawjournal.ge vorgesehen.

ბდა მხოლოდ სხეულის დაზიანების (ობიექტურად დაუსაბუთებელი) ეჭვი, არ არსებობს კანონით გათვალისწინებული ქმედება და, შესაბამისად, არ არსებობს საფუძველი პასუხისმგებლობის შერაცხვისთვის.[23] ეს უკანასკნელი, შესაბამისად, შემოიფარგლება იმ ვითარებებით, როდესაც ექიმი მართებულად ადასტურებს დაზიანებას, მაგრამ არასწორად აკეთებს დასკვნას, რომ დაზარალებული დაზიანების გამო შრომისუუნაროა და ეს დაზარალებული (როგორც წესი) შეიძლება ენდოს ექიმის დიაგნოზს.

b) ხელფასის გადახდის გაგრძელება დაკარგული ხელფასის დროს:

დამოკიდებულ დასაქმებულს, რომელმაც დაზიანება მიიღო, გერმანიაში შრომისუუნარობის განმავლობაში თავდაპირველად ხელფასის გაგრძელების შესახებ კანონის (EFZG) შესაბამისად მისი დამსაქმებელი უხდის ხელფასს, ხოლო შემდეგ ავადმყოფობის შემწეობას იღებს სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებიდან. მისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება ამ შეღავათებს, გადადის დამსაქმებელზე ხელფასის გაგრძელების შესახებ კანონის მე-6 პარაგრაფის შესაბამისად, ან სოციალური უზრუნველყოფის ფონდებზე X სოციალური კოდექსის (SGB X) 116-ე პარაგრაფის შესაბამისად. თუმცა მოთხოვნის კანონისმიერი გადასვლა გავლენას არ ახდენს სამოქალაქოსამართლებრივ მოთხოვნაზე ზიანის ანაზღაურების შესახებ არც არსებითად და არც ოდენობით. ამგვარადვე, მესამე პირთა მიერ გაწეული ეს შეღავათები არ გაქვითავენ დაზარალებულის ზიანს სარგებლის გათანაბრების პრინციპების შესაბამისად. იგივე ეხება ხელფასის გაგრძელებას საჯარო მოხელეებისთვის, მოსამართლეებისა და ჯარისკაცებისთვის.[24]

c) ფაქტების დადგენა:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სირთულეები ზიანის ოდენობის დადგენისას, როგორც წესი, ფაქტების დადგენის ეტაპზე იკვეთება. რაც უფრო დიდხანს გრძელდება შრომისუუნარობა, მით უფრო გაურკვეველი ხდება პროგნოზები ჰიპოთეტური კაუზალური მსვლელობის შესახებ. ამიტომ, უნდა მოიძებნოს გონივრული ბალანსი, ერთის მხრივ, დაზარალებულზე დაკისრებულ მტკიცების ტვირთსა და მეორეს მხრივ, ეფექტური (არა გადაჭარბებული მოთხოვნებით მტკიცების ტვირთზე) სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის კონსტიტუციურ მოთხოვნას შორის. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის სფეროშია, რომ ამ რთულ მტკიცებით მდგომარეობაში დაზარალებული მან ჩააყენა თავისი დელიქტური ქმედებით. აუცილებელი პროგნოზირება შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს იმით, რომ ასევე უნდა გადაწყდეს, იყო თუ არა შესაძლებელი და გონივრული დაზარალებულისთვის სხვა (მისთვის, დარჩენილი დაზიანების შედეგების მიუხედავად, შესაძლებელი) სამუშაო საქმიანობის განხორციელება.

aa) მტკიცების სტანდარტების შემსუბუქება:

ამ პროგნოზირების გადაწყვეტილებებში სასამართლოებს აქვთ გარკვეული შეფასების დისკრეცია.

გერმანულ კანონმდებლობაში, ამ მხრივ, კანონით არის გათვალისწინებული მტკიცების სტანდარტების შემსუბუქება, რათა არ იყოს საჭირო სრული დარწმუნება ჰიპოთეტური კაუზალური მსვლელობის შესახებ, არამედ საკმარისი იყოს გარკვეული ალბათობა. ამრიგად, გსკ-ის 252-ე პარაგრაფის მე-2 წინადადებაში (სკ-ის 411-ე მუხლის ტექსტისგან განსხვავებით) ნათ-

[23] იხ.: *Lakerbaia/Hagenloch*, Ersatz von Personenschäden in Georgien und Deutschland, Teil II: Ersatz der Kranken- und Heilbehandlung sowie der vermehrten Bedürfnisse, unter B. III. 3. a), zur Veröffentlichung in www.lawjournal.ge vorgesehen; BGH, Urteil vom 17. September 2013 - VI ZR 95/13 - NJW 2013, 3634, juris Rn, 8, 14.

[24] ამასთან დაკავშირებით, დეტალებისთვის იხ. *Rusiashvili/Hagenloch*, Gesetzlicher Forderungsübergang zu Gunsten des Schadensversicherers und anderer Leistungsträger in Georgien und Deutschland, S. 1., 4, https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-8-2024-DE.pdf.

ქვამია, რომ მოგება, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო საქმის ჩვეული მსვლელობის ან განსაკუთრებული გარემოებების, კერძოდ, მიღებული ზომებისა და მომზადების შესაბამისად, ითვლება დაკარგულად. გარდა ამისა, მოსამართლეს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე პარაგრაფის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, ეძლევა შეფასების შესაძლებლობა.[25]

თუ გარემოებები საპირისპიროზე არ მიანიშნებენ, როგორც წესი, გადამწყვეტი იქნება, რა პროფესიულ განვითარებას მიაღწევდა დაზარალებული თავისი შესაძლებლობების, ნიჭისა და მიდრეკილებების შესაბამისად, დაზიანების გამომწვევი მოვლენა რომ არ მომხდარიყო.[26] თუ საქმე ეხება ბავშვს, რომელსაც ჯერ არ დაუწყია სასკოლო განათლება ან ჯერ არ წარმოუჩენია თავისი აკადემიური წარმატებები, პროგნოზი უნდა იყოს ორიენტირებული დების ან ძმების ან მსგავსი ოჯახური და სოციალური პირობების მქონე ბავშვების სასკოლო და პროფესიულ განვითარებაზე, ასევე მშობლების განათლებასა და პროფესიაზე და მათ გეგმებზე ბავშვის მიმართ.[27] კონკრეტული მინიშნებების არარსებობისას არ ივარაუდება, რომ ბავშვები და მოზარდები, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა, მოგვიანებით დაიწყონ სამუშაო საქმიანობა, ამ შესაძლებლობებს ხანგრძლივად არ გამოიყენებდნენ.[28]

ამ პროგნოზებს არ უნდა წავუყენოთ გადაჭარბებული მოთხოვნები.[29] ეს განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდა დაზარალებულებს, რომლებსაც ჯერ არ უმუშავიათ.[30] შეფასების უზუსტობის დარჩენილი რისკები შეიძლება, საჭიროების შემთხვევაში, ზიანის ოდენობის შესაბამისი შემცირებით იქნეს დაბალანსებული.[31]

მტკიცების ტვირთზე ზედმეტად მკაცრი მოთხოვნები დაარღვევდა დაზარალებულის კონსტიტუციურ უფლებას ეფექტურ სამართლებრივ დაცვაზე. აქედან გამომდინარე, გსკ-ის 252-ე პარაგრაფის მე-2 წინადადებაში მითითებული მტკიცების გამარტივება[32] არა მხოლოდ გონივრულია, არამედ, სულ მცირე, ძირითადად, კონსტიტუციურად არის საჭირო (თუნდაც კონკრეტული საკანონმდებლო ნორმის გარეშე).

თუმცა სასამართლოსთვის მინიჭებული პროგნოზირების უფლებამოსილება არ ათავისუფლებს დაზარალებულს საპროცესო ვალდებულებისგან, წარმოადგინოს (რამდენადაც მისთვის ეს კონკრეტულ სიტუაციაშია შესაძლებელი) და, საჭიროების შემთხვევაში, ასევე დაამტკიცოს ასეთი პროგნოზირების ფაქტობრივი საფუძვლები.[33] ეს ამავე დროს ნიშნავს, რომ სასამართლოს არ შეუძლია თავისი პროგნოზი რაიმე საშუალო მაჩვენებელს დააფუძნოს, არამედ უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის ინდივიდუალური გარემოებები.

---

25 იხ.: *ჰაგენლოხი,* სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, გვ. 444-ე და შემდგომნი.; http://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf.

26 OLG Oldenburg, Urteil vom 5. Juni 2013 - 5 U 76/12 - juris Rn. 84.

27 OLG Oldenburg, Urteil vom 5. Juni 2013 - 5 U 76/12 - juris Rn. 84.

28 BGH, Urteil vom 10. Juli 2007 - VI ZR 192/06 - VersR 2007, 1536, juris Rn. 26; OLG Oldenburg, Urteil vom 5. Juni 2013 - 5 U 76/12 - juris Rn. 85.

29 BGH, Urteil vom 9. November 2010 - VI ZR 300/08 - NJW 2011, 1146, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 6. Juni 2000 - VI ZR 172/99 - NJW 2000, 3287, juris Rn. 11.

30 BGH, Urteil vom 9. November 2010 - VI ZR 300/08 - NJW 2011, 1146, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 6. Juni 2000 - VI ZR 172/99 - NJW 2000, 3287, juris Rn. 11; OLG Düsseldorf, Urteil vom 10. August 2021 - 1 U 68/19 - juris Rn. 47; OLG Oldenburg, Urteil vom 5. Juni 2013 - 5 U 76/12 - juris Rn. 85.

31 BGH, Urteil vom 9. November 2010 - VI ZR 300/08 - NJW 2011, 1146, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 6. Juni 2000 - VI ZR 172/99 - NJW 2000, 3287, juris Rn. 11.

32 მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსში არის მოწესრიგებული ეს წესი, სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურის აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, არ ატარებს არსებით სამართლებრივ ხასიათს, არამედ შეიცავს პროცედურულ შემსუბუქებას მტკიცების ტვირთისა; BGH, Urteil vom 24. April 2012 - XI ZR 360/11 - NJW 2012, 2266, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 13. Januar 2004 - XI ZR 355/02 - NJW 2004, 1868, juris Rn. 37; არსებულ მოსაზრებასთან დაკავსირებით შდრ.: Staudinger/Höpfner (2021) BGB § 252, Rn. 4.

33 BGH, Urteil vom 9. November 2010 - VI ZR 300/08 - NJW 2011, 1146, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 10. Juli 2007 - VI ZR 192/06 - VersR 2007, 1536, juris Rn. 26; KG Berlin, Urteil vom 23. August 2023 - 25 U 141/19 - RuS 2024, 422, juris Rn. 81; OLG Düsseldorf, Urteil vom 10. August 2021 - 1 U 68/19 - RuS 2021, 602, juris Rn. 62.

ამ ზოგადი მოთხოვნებიდან გამომდინარეობს შემდეგი პრინციპები უკვე დასაქმებული დაზარალებულისთვის:[34]

„1. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე პარაგრაფის შესაბამისად, ზიანის შეფასების ფარგლებში, უნდა ვივარაუდოთ დაზარალებულის სავარაუდო საშუალო წარმატება მის საქმიანობაში და ამ საფუძველზე შევაფასოთ დაკარგული შემოსავლების შემდგომი პროგნოზი, თუ არ არსებობს რაიმე მინიშნება, რომელიც უპირატესად წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე მიუთითებს.

2. ეს, რა თქმა უნდა, მოითხოვს, რომ დაზარალებულმა შეასრულოს მტკიცების ტვირთი და, რამდენადაც ეს მისთვის შესაძლებელია, მიუთითოს იმ ფაქტორებზე, რომლებიც გადამწყვეტია მისი პროფესიული წარმატებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, სასკოლო და პროფესიული განათლების ქულები და, ამ საფუძველზე, მის განვითარებაში რაიმე განსაკუთრებულის არარსებობა.

3. თუ დაზარალებულის ნიჭისა და შესაძლებლობების შესახებ რაიმე დასკვნის გაკეთება მხოლოდ იმიტომაა შეუძლებელი, რომ მან არ შეასრულა მტკიცების ტვირთი და ამის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ იძლევა, თუმცა ეს მისთვის ადვილად შესაძლებელი იქნებოდა, მაშინ ეს არ შეიძლება გახდეს იმის მიზეზი, რომ უპირატესი ალბათობით დადგინდეს, რომ, ყოველ შემთხვევაში, საშუალო პროფესიული წარმატება იქნებოდა მიღწეული. ამ მხრივ, ზიანის შეფასების ფარგლებში, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ ჰიპოთეტური შემოსავალი სტატისტიკური შემოსავლების განაწილების ქვედა დიაპაზონში შესწავლილი პროფესიისთვის.“

თუ დამოკიდებული დასაქმებული აცხადებს, რომ ზიანის მიყენების შედეგად მან დაკარგა მისი შრომის შედეგებზე დამოკიდებული ანაზღაურების კომპონენტები (ბონუსები, ტანტიემი), ზიანის ოდენობის დადგენისას გამოიყენება თვითდასაქმებულის საქმიანობის შეჩერების დროს ზიანის ოდენობის დადგენის პრინციპები.[35] თუ დაზარალებული განმარტავს, როგორ ვითარდებოდა ეს შედეგებზე დამოკიდებული ანაზღაურება ზიანის მიყენებამდე განვლილ წლებში და რომ არ არსებობს შეცვლილი ძირითადი პირობები, მაშინ დაზიანების დადგომამდე ბოლო წლების შედეგებზე დამოკიდებული შემოსავლები შეიძლება გახდეს ორიენტირი.[36]

სკოლის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე მოსწავლისთვის მიყენებული ზიანის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი:[37]

„უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, დაზარალებულმა, რომელმაც უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება მისი სავარაუდო პროფესიული განვითარების შესახებ, უნდა წარმოადგინოს კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც აუცილებელია პროგნოზირებისთვის, მაგრამ ამავე დროს, არ უნდა იქნას წაყენებული ძალიან მაღალი მოთხოვნები (იხ. BGH NJW 2011, 1148 Tz 18 და შემდგომი). ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი დადგა იმ დროს, როდესაც დაზარალებული ჯერ კიდევ სწავლობდა ან პროფესიული განვითარების დასაწყისში იყო და, შესაბამისად, ჯერ ვერ შეძლო წარმატების დემონსტრირება მის მიერ არჩეულ საქმიანობაში (იხ. BGH a. a. O.; KG VersR 2006, 794). რაც უფრო ახალგაზრდაა დაზარალებული ზიანის მიყენების მომენტში, ბუნებრივია, მით უფრო დიდია პროგნოზთან დაკავშირებული გაურკვევლობა. უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ეს უნდა იყოს გათვალისწინებული და, შესაბამისად, გამოყენებული უნდა იყოს უფრო მსუბუქი სტანდარტი. ეს იმიტომ, რომ დაზარალებული არ უნდა დაზარალდეს იმით, რომ ამ შემთხვევებში შეფასება დაკავშირებულია მნიშვნელოვან გაურკვევლობებთან, რომლებიც არ

[34] OLG Düsseldorf, Urteil vom 10. August 2021 - 1 U 68/19 - RuS 2021, 602, juris Rn. 62 და საკვანძო დებულება.

[35] Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 17. Mai 2018 - 12 U 169/16 - juris Rn. 56.

[36] Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 17. Mai 2018 - 12 U 169/16 - juris Rn. 56.

[37] KG Berlin, Urteil vom 23. August 2023 - 25 U 141/19 - RuS 2024, 422, juris Rn. 81 ff.; in den Anforderungen inhaltsgleich auch OLG Oldenburg, Urteil vom 5. Juni 2013 - 5 U 76/12 - juris Rn. 84 f.

შეიძლება აღმოიფხვრას, რადგან სწორედ დამზიანებლის პასუხისმგებლობაა, რომ დაზარალებული განვითარების ძალიან ადრეულ ეტაპზე ამოაგდეს „კალაპოტიდან" და რომ აქედან გამომდინარეობს განსაკუთრებული სირთულე პროგნოზის გაკეთებისა (იხ. BGH a. a. O. Tz 19 ბავშვის დაბადებისთანავე ზიანის მიყენების შემთხვევაში).

აქედან გამომდინარეობს მტკიცების ტვირთის თანდათანობითი შემცირება: რაც უფრო ნაკლები ფაქტობრივი მტკიცებულება აქვს ზიანის თაობაზე დაზარალებულს საკუთარი ბრალის გარეშე, მით უფრო დაბალია მოთხოვნა დასაბუთებულობისა და რწმენის ჩამოყალიბებაზე (იხ. BGH a. a. o.; NJW 2011, 1145). ამიტომ, როგორც ზემოთ უკვე იყო აღწერილი, მტკიცების ტვირთი მით უფრო მსუბუქად უნდა იქნას განხილული, რაც უფრო ახალგაზრდაა დაზარალებული ზიანის მიყენების მომენტში; ამ შემთხვევებში მას უნდა მიენიჭოს გარკვეული შეფასების ბონუსი (იხ. BGH NJW 1997, 937; OLG München Schaden - Praxis 2012, 146; OLG Köln, 2013 წლის 9 აგვისტოს განაჩენი, 19 U 137/09 Tz 104 juris-ის მიხედვით).

შეფასება ყოველთვის მოითხოვს საკმარის ფაქტობრივ საფუძველს. ამიტომ, ძირითადი ფაქტები სარჩელის წარმდგენმა უნდა წარმოადგინოს დამაჯერებლად და სადავო შემთხვევაში უნდა იყოს წარმოდგენილი მტკიცებულება მათ არსებობაზე (იხ. OLG Celle, 2011 წლის 9 ნოემბრის განაჩენი, 14 U 98/11).

შეფასებისას, პირველ რიგში, დაზარალებულის პირადი თვისებები უნდა იქნას გათვალისწინებული, ანუ მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები, ნიჭი და მიდრეკილებები, მაგრამ ასევე ხასიათის თვისებები, როგორიცაა ნებისყოფა, შეუპოვრობა და მიზანდასახულობა (იხ. BGH VersR 1965, 489).

მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პროგნოზირებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა ადამიანების შემთხვევაში, არის ასევე სოციალური გარემო, ანუ მშობლების პროფესია, განათლება და კვალიფიკაცია პროფესიულ საქმიანობაში, ასევე პროფესიული გეგმები ბავშვის მიმართ, ასევე დებისა და ძმების სასკოლო და პროფესიული განვითარება (იხ. BGH a. a. O.,; OLG Frankfurt VersR 1989, 48; OLG Karlsruhe VersR 1989, 1101; OLG Köln a. a. O. Tz 123).

მოსარჩელე ავარიის დროს 17 წლის იყო და გიმნაზიის მე-11 კლასში სწავლობდა, 2017 წლის ზაფხულში მას აბიტურიენტის გამოცდა უნდა ჩაებარებინა. ზემოაღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, არსებობს საკმარისი მტკიცებულება გსკ-ის 252-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რომ იგი სამედიცინო განათლებას მიიღებდა და ექიმის პროფესიულ გზას აირჩევდა.

ის ფაქტი, რომ მისი ინტერესის სფერო უკვე სკოლაში მედიცინაზე იყო ორიენტირებული, მან დაადასტურა იმით, რომ მე-9 კლასში პროფესიული პრაქტიკა ნევროლოგიისა და ფსიქიატრიის სპეციალისტთან გაიარა. მან წარმატებით დაასრულა სასემინარო ნაშრომი სამედიცინო სფეროში ზეპირი დაცვით (თითოეული შეფასდა „1"-ით). გარდა ამისა, მან გაიარა საგანგებო სიტუაციებში პირველადი დახმარების კურსი. მოპასუხის არგუმენტს, რომ მსგავსი პრაქტიკა არ არის საკმარისი კონკრეტული პროფესიული სურვილისთვის, უნდა დაუპირისპირდეს ის ფაქტი, რომ ალბათობის მოთხოვნები აქ ზემოაღნიშნული პრინციპების შესაბამისად მსუბუქად უნდა იქნას განხილული. მოსარჩელე საშუალო სკოლაში სწავლობდა, ამიტომ კონკრეტული მტკიცებულებების წარმოდგენა მოსალოდნელი პროფესიული კარიერის შესახებ, ბუნებრივია, რთულია. ამის გათვალისწინებით, მის მიერ წარმოდგენილი ასპექტები შესაფერისია საკმარისი ალბათობის დასადასტურებლად. მე-9 კლასში სასკოლო პრაქტიკა ასევე შეიძლება ჩაითვალოს ინტერესისა და მიდრეკილების ინდიკატორად, ამას ემატება სასემინარო ნაშრომის მომზადება ამ სფეროში. ...

ასევე, პირველადი დახმარების კურსის გავლა საგანგებო სიტუაციებში, რა თქმა უნდა, არ არის ჩვეულებრივი მოვლენა მოსწავლისთვის და ადასტურებს ინტერესს ამ მიმართულებით.

მოსარჩელის მიერ გსსკ-ის 141-ე პარაგრაფის შესაბამისად ზეპირ მოსმენაზე 2021 წლის 20 დეკემბერს სენატის წინაშე გაკეთებული გა-

ნცხადებები დამატებით განამტკიცებს შეფასებას. მან ნათლად აღწერა, თუ როგორ და რა გზით მივიდა ექიმობის სურვილამდე. ეს ასევე ადასტურებს მისი მამის (მოწმე ზ.) დაკითხვის შედეგს, რომელმაც განაცხადა, რომ ექიმობის სურვილი მოსარჩელეს ჯერ კიდევ სკოლის წლებში ჩამოუყალიბდა. ...

ვინაიდან მოსარჩელე ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში დაზიანდა, შეფასებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი სოციალური გარემოც. ეს ემყარება ვარაუდს, რომ, თუმცა ეს არ არის დამტკიცებული, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უფრო სავარაუდოა, რომ ბავშვები მშობლებისა და დების/ძმების მსგავს პროფესიულ წარმატებას მიაღწევენ (...). უდავოა, რომ მოსარჩელის ორივე მშობელი აკადემიკოსია. ... ორივე მშობლის შემთხვევაში აშკარაა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი (ამასთან დაკავშირებით იხ. BGH a. a. O), ... ამიტომ მოსარჩელის სოციალური გარემო ძალიან მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ ის ასევე ესწრაფვოდა საუნივერსიტეტო ხარისხის მიღებას. როდესაც მოპასუხე ამტკიცებს, რომ ოჯახში ექიმები არ არიან, ეს მტკიცების სტანდარტს აჭარბებს.

პროგნოზისთვის მნიშვნელოვანია პირადი მიდრეკილებები, ინტელექტუალური შესაძლებლობები და ხასიათის თვისებები, ანუ ე. წ. ძირითადი კვალიფიკაციები (....). ... ავარიის შემდეგ მისი ქცევა ასევე აჩვენებს მნიშვნელოვან ნებისყოფას, რადგან მან მოახერხა - სკოლის მხარდაჭერით - სერიოზული შეზღუდვების მიუხედავად, აბიტურიენტის დიპლომის მიღება. ...

...

ამ გარემოებიდან გამომდინარეობს საერთო სურათი, რომელიც, სენატის რწმენით, საკმარისია გსსკ-ის 287-ე პარაგრაფის სტანდარტის მიხედვით ვივარაუდოთ, რომ მოსარჩელე, რომ არა ავარია, ექიმის პროფესიულ გზას აირჩევდა.

თუმცა, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმის დასადგენად, რომ შემოსავლის ოდენობის განსაზღვრა უნდა დაყრდნობოდა საუნივერსიტეტო კლინიკაში ექიმის საქმიანობას. იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალური საავადმყოფოების წილი გაცილებით მაღალია, სენატის აზრით, მართებულია ხელფასის ოდენობა განისაზღვროს მუნიციპალურ საავადმყოფოებში დასაქმებული ექიმების სახელფასო ხელშეკრულების (Tarifvertrag) მიხედვით."

დანარჩენი, რაც შეეხება დაზარალებულებს, რომლებიც ზიანის მიყენების მომენტში ჯერ კიდევ არ იყვნენ დასაქმებულები ან ცოტა ხნის წინ დაიწყეს მუშაობა, ანალოგიურად გამოიყენება ის, რაც A. III. 2. b) cc) პუნქტშია ნათქვამი თვითდასაქმებულებზე.

bb) საკასაციო გადასინჯვა:

ქვედა ინსტანციების შესაბამისი შეფასებები ექვემდებარება მხოლოდ შეზღუდულ საკასაციო კონტროლს. საკასაციო სასამართლო ამოწმებს მხოლოდ, ეფუძნება თუ არა ზიანის ოდენობის შეფასება ფუნდამენტურად მცდარ ან აშკარად არასწორ მსჯელობებს, იყო თუ არა უგულებელყოფილი არსებითი ფაქტები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებენ ანდა ხომ არ იყო გამოყენებული არასწორი იურიდიული სტანდარტები.[38]

d) თანაბრალეულობა:

თუ დაზარალებულს დაზიანების გამო სამუდამოდ აღარ შეუძლია უწინდელ პროფესიაში მუშაობა, გსკ-ის 254-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე ზიანის შემცირების ვალდებულება შეიძლება მისგან მოითხოვდეს სხვა სამუშაოს დაწყებას.

ასეთი ვალდებულება, ერთი მხრივ, მოითხოვს, რომ დაზარალებულს, შესაბამისი ძალისხმევით, შეეძლოს თავისი სამუშაო ძალის გამოყენება სხვა პროფესიაში. შესაბამისად, იგი შეიძლება გათავისუფლდეს სხვა სამუშაოს ძებნის

[38] BGH, Urteil vom 19. September 2017 - VI ZR 530/16 - NJW 2018, 864, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 19. September 2013 - III ZR 374/12 - juris Rn. 9; BGH, Urteil vom 5. Oktober 2010 - VI ZR 186/08 - NJW 2011, 1148, juris Rn. 17; ზიანის ზოგადი შეფასებისთვის: BGH, Urteil vom 16. Juli 2024 - VI ZR 243/23 - RuS 2024, 921, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 29. September 2020 - VI ZR 271/19 - NJW 2020, 3591, juris Rn. 7.

ვალდებულებისგან, თუ იგი უბედური შემთხვევის შედეგად მიყენებული შეზღუდვების გამო აღარ არის დასაქმებადი საერთო შრომის ბაზარზე და, შესაბამისად, სამუშაოს ძებნის მცდელობები თავიდანვე უიმედურად გამოიყურება. მეორე მხრივ, მისთვის მისაღები უნდა იყოს სხვა, უწინდელისგან განსხვავებული პროფესიული საქმიანობა.[39] ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, გადამწყვეტია პიროვნება, სოციალური მდგომარეობა, ცხოვრების უწინდელი წესი, ნიჭი და მიდრეკილებები, განათლების დონე, ცოდნა და უნარები, წინა დასაქმების მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი, ფსიქიკური და ფიზიკური ადაპტაციის უნარი, ცვლილებებთან შეგუების უნარი, უბედური შემთხვევის შედეგების სახე და სიმძიმე, ასევე ოჯახური მდგომარეობა და საცხოვრებელი ადგილი.[40]

მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ჰამის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილება:[41]

„...უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული, პრინციპში, ვალდებულია, მაქსიმალურად გამოიყენოს დარჩენილი შრომისუნარიანობა, რამდენადაც ეს მისთვის გონივრულია. ამ მხრივ, საქმე ეხება დაზარალებულის თანაბრალეულობას ზიანის წარმოშობაში, რაც, ძირითადად, დამზიანებელმა უნდა დაამტკიცოს და დაადასტუროს. ... თუმცა მტკიცების ამ წესიდან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ დაზარალებულმა თავად არ უნდა იზრუნოს სამუშაოს დაწყებაზე.

ამასთან დაკავშირებით, უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ 1979 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებაში (VI ZR 103/78, Rz. 12) განაცხადა:

„პირიქით, მას (დაზარალებულს) პირველ რიგში ეკისრება ვალდებულება, სერიოზულად ეცადოს, რომ მისი დარჩენილი შრომისუნარიანობა სარგებლიანად გამოიყენოს; მან ყველაზე უკეთ იცის თავისი შესაძლებლობები და მიდრეკილებები, მხოლოდ მას შეუძლია - საჭიროების შემთხვევაში, სპეციალისტის რჩევით - შეამოწმოს ისინი; გარდა ამისა, როგორც წესი, მას აქვს უკეთესი ინფორმაცია თავის საცხოვრებელ ადგილთან არსებულ სამუშაო ადგილებზე; განსაკუთრებით მაშინ, როცა დაზარალებული დიდ კომპანიაში იყო დასაქმებული, დამზიანებელი იშვიათად შეძლებს შეაფასოს სხვა ვაკანსიაზე კომპანიის შიდა მობილობის შესაძლებლობები.

დაზარალებულის მზაობის ნაკლებობა, რომ ეძებოს სხვა შემოსავალი, უკვე შეიძლება ნიშნავდეს მის მიერ გსკ-ის 254-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილით დაკისრებული ზიანის შემცირების ვალდებულების დარღვევას. რა თქმა უნდა, მარტო ის ფაქტი, რომ დაზარალებული არ ცდილობს, ჯერ კიდევ არ არის მტკიცებულება იმისა, რომ მისი მცდელობები წარმატებული იქნებოდა. ამგვარად, მართალია დამზიანებელმა უნდა დაამტკიცოს გსკ-ის 254-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე მისი არგუმენტის წინაპირობები, მაგრამ ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ დაზარალებულმა, პირველ რიგში, უნდა შეასრულოს თავისი მტკიცების ტვირთი. ამისთვის, როგორც წესი, თუ ის შრომისუნარიანია ან ნაწილობრივ შრომისუნარიანია, მან უნდა აცნობოს დამზიანებელს, თუ დასაქმების რომელი შესაძლებლობები მიაჩნია გონივრულად და შესასრულებლად და რა გააკეთა უკვე იმისთვის, რომ მიეღო შესაბამისი სამუშაო ადგილი. ამის საპირისპირად, დამზიანებლის საქმეა, განაცხადოს და დაამტკიცოს, რომ დაზარალებულს, მისი განცხადების საწინააღმდეგოდ, კონკრეტულად მითითებულ შემთხვევაში შეეძლო გონივრული სამუშაოს დაწყება. ამასთან, მოსამართლეს, განსაკუ-

[39] BGH, Beschluss vom 12. März 2024 - VI ZR 283/21 - NJW-RR 2024, 547, juris Rn. 5; BGH, Urteil vom 21. September 2021 - VI ZR 91/19 - NJW 2021, 3656, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 4. November 1986 - VI ZR 12/86 - VersR 1987, 408, juris Rn. 14; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 8. März 2024 - 3 U 22/23 - RuS 2024, 687, juris Rn. 28; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Urteil vom 7. September 2021 - 7 U 34/21 - RuS 2022, 236, juris Rn. 33; OLG Hamm, Beschluss vom 17. Mai 2016 - I-9 W 27/15 - VersR 2017, 235, juris Rn. 8.

[40] Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 8. März 2024 - 3 U 22/23 - RuS 2024, 687, juris Rn. 26.

[41] OLG Hamm, Urteil vom 28. Oktober 2022 - I-9 U 33/21 - juris Rn 1011 ff.

თრებით, თუ დაზარალებულს საერთოდ არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ თავისი დარჩენილი შრომისუნარიანობა გამოეყენებინა, შემთხვევის გარემოებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად მტკიცების ტვირთის დაბალანსება შეუძლია, რამაც შეიძლება გარკვეულ ვითარებაში მტკიცების ტვირთის შეტრიალებამდეც კი მიგვიყვანოს."

თუმცა, დაზარალებულს ასევე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, კვლავ მოპოვებული შრომისუნარიანობა სასარგებლოდ გამოიყენოს. შესაბამისად, ის შეიძლება გათავისუფლდეს სამუშაოს ძებნის ვალდებულებისგან, თუ იგი უბედური შემთხვევის შედეგად მიყენებული შეზღუდვების გამო საერთო შრომის ბაზარზე აღარ არის მოთხოვნადი და, შესაბამისად, სამუშაოს ძებნის მცდელობები თავიდანვე უიმედო იქნებოდა (BGH, 2021 წლის 21 სექტემბრის განაჩენი, VI ZR 91/19, Rz. 13).

როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელეს მძიმე საგზაო შემთხვევის შედეგად მნიშვნელოვნად შეეზღუდა შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, კერძოდ, მარცხენა ფეხის ფუნქციის დაკარგვის გამო, ფეხების სიგრძის შემცირებით და დატვირთვით გამოწვეული ტკივილებით, ასევე ხერხემლის არასწორი დატვირთვით; ეს ძირითადად ეხება ფიზიკურ აქტივობებს. ამრიგად, მოსარჩელე იძულებულია რეგულარულად შეცვალოს პოზიცია ჯდომას, სიარულსა და დგომას შორის, თავიდან აიცილოს ზედმეტი და არასწორი დატვირთვები, ასევე იძულებითი პოზიციები და გარკვეული მეტეოროლოგიური პირობები, ისევე როგორც ხანგრძლივი სიარული და კიბეებზე ასვლა-ჩასვლა. ექსპერტის მიერ აქედან გამოტანილი დასკვნა, რომ მოსარჩელე საერთო შრომის ბაზარზე 50%-ით არის შრომისუუნარო, არ არის 50%-იანი შემოსავლის დანაკლისის ტოლფასი. უფრო სწორად, საქმე ეხება მხოლოდ ეკონომიკურ შედეგებს დამზიანებლის მიერ გამოწვეული დანაკარგის ან შრომისუნარიანობის ნაწილობრივი შემცირებისა (...). მოსარჩელე, სასამართლოსთვის დამაჯერებელი დასკვნების თანახმად, რომელსაც იგი არ ეწინააღმდეგებოდა, ტრავმატოლოგ-ორთოპედიული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ჯანმრთელობის პრობლემების გამო შეზღუდული არ არის, შეასრულოს საქმიანობა მაღაზიაში ან საოფისე საქმიანობა. ...

სენატი, ექსპერტის დასკვნის საფუძველზე ასკვნის, რომ მოსარჩელეს შეუძლია სრულ განაკვეთზე ან თითქმის სრულ განაკვეთზე შეასრულოს საოფისე, ადმინისტრაციული და ორგანიზაციული საქმიანობა. ...

სენატის ღრმა რწმენით, ცხადია, რომ მოსარჩელეს, შესაბამისი სამუშაო ძიების შემთხვევაში, შეეძლო უზრუნველეყო ბრუტო შემოსავლის მიღება მის მიერ ბოლოს მიღებული შემოსავლის ოდენობით (...). მოსარჩელეს აქვს ოფისის მენეჯერის სრული განათლება (...). მისი შრომისუნარიანობის უმნიშვნელო დაზიანების გათვალისწინებით, ფსიქოლოგიურ სფეროში ასევე საკმაოდ უმნიშვნელო დაზიანებასთან ერთად (...), მოსარჩელესთვის სავსებით შესაძლებელია და ასევე გონივრულია 32-საათიანი სამუშაო კვირა ოფისში. ...

სენატი თვლის, რომ ყველა გარემოების გათვალისწინებით, მოსარჩელეს შეეძლო და უნდა შეძლებოდა (...), ეპოვა ასეთი სამუშაო. ... მას უნდა მისცემოდა შესაძლებლობა, დალოდებოდა მისი მდგომარეობის საბოლოო სამედიცინო შეფასებას. მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის დასაწყისიდან, მოსარჩელეს უნდა დაეწყო სამუშაოს ძებნა, რაც სავარაუდოდ, დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ წარმატებით დასრულდებოდა. ერთი მხრივ, მოსარჩელე, უბედური შემთხვევის შედეგად გამოწვეული ფსიქიკური შეზღუდვის გამო, რა თქმა უნდა, არ შეიძლება სრულად ჯანმრთელ ადამიანთან გათანაბრდეს და შეიძლება ჰქონდეს გარკვეული მოტივაციის პრობლემები და არ იყოს ისეთი დინამიკური, როგორც ჯანმრთელი ადამიანი. ასევე, მისი ასაკისა (...) და ხანგრძლივი პროფესიული პაუზის გათვალისწინებით, მას უნდა მიეცეს საკმარისი დრო შრომის ბაზარზე ორიენტირებისთვის. მეორე მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელეს არა მხოლოდ მრავალი კავშირი აქვს, არამედ ყოველთვის ჰქონდა კონტაქტი პროფესიულ ცხოვრებასთან (...), რაც მას სხვა აპლი-

კანტებთან შედარებით სამუშაოს ძებნაში ეხმარება, როგორც ეს P. GmbH-ში მისმა წარმატებამ აჩვენა. ...“

2. ხარჯები შრომისუნარიანობის აღდგენისთვის:

როგორც სხვაგანაც იყო აღნიშნული, ნატურალური რესტიტუცია მოითხოვს, რომ ზიანის მიყენებამდე არსებული ცხოვრების პირობები მაქსიმალურად აღდგეს.[42] ეს მოთხოვნა მოიცავს აქამდე არსებულ პროფესიულ ცხოვრების წესს, რადგან ეს ცხოვრების პირობების ცენტრალურ ასპექტს წარმოადგენს. ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, (კონკრეტული ხელფასის დაკარგვის ანაზღაურების გარდა) ანაზღაურდება ხარჯები არსებული პროფესიის გასაგრძელებლად, როგორც შემოსავლის ზიანის ნაწილი, მაგალითად, შშმ პირებისთვის სათანადო სამუშაო ადგილის მოწყობა.[43] ეს ეხება იმ შემთხვევასაც კი, როცა დაზარალებული სხვა სამუშაოს შესრულებისას, რომლის ადაპტირებაც არ გახდებოდა საჭირო, არ განიცდიდა შემოსავლის ზიანს. ამ მხრივ, ზიანის სამართალში აისახება ის ფაქტი, რომ გარკვეული პროფესიის არჩევა განსაკუთრებული პირადი მიდრეკილებების, ასევე შინაგანი სრულყოფილებისა და კმაყოფილების გამოხატულებაა და, შესაბამისად, ცხოვრების ხარისხის ნაწილია, რომელიც დამზიანებელმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა აღადგინოს. თუმცა, ამ სფეროში შეიძლება წარმოიშვას (არც თუ ისე მკაფიოდ გამიჯნული) თანაკვეთა გაზრდილ საჭიროებებთან; მაგალითად, თუ დაზარალებულს დარჩენილი ფიზიკური შეზღუდვის გამო (ფეხის დაზიანება) ესაჭიროება ავტომობილი, რათა, ერთი მხრივ, გონივრულად შეძლოს სამუშაო ადგილზე მისვლა, მეორე მხრივ, კი სოციალურ ცხოვრებაში, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ისევე მიიღოს მონაწილეობა, როგორც ადრე.[44]

ანაზღაურებად შემოსავლის ზიანში ასევე შედის ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება დარჩენილი შრომისუნარიანობის აქტივაციას. ეს მოიცავს, კერძოდ, პროფესიული რეაბილიტაციის ღონისძიებებს ან სხვა გადამზადებას შესაბამის, უპირველეს ყოვლისა, არსებულ საქმიანობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ სხვა პროფესიაში.[45] ამის წინაპირობაა, რომ პროფესიული გადამზადება, წარმატების მიღწევის პერსპექტივების და მისი პროპორციულობის გონივრული შეფასებისას და დაზარალებულის მიერ მოსალოდნელ დანაკარგებთან მიმართებაში, განსაკუთრებით ხელფასის დაკარგვის ზიანის თავიდან ასაცილებლად, ობიექტურად გონივრული ჩანდეს.[46]

გარდა ამისა, ანაზღაურებადია ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია დაზარალებულის დასაქმებასთან შშმ პირთა სახელოსნოში. თუმცა ამ ზიანის სამართლებრივი კლასიფიკაცია პრობლემურია, რადგან ამ ხარჯებში (ისევე, როგორც, საჭიროების შემთხვევაში, მოძრაობის შეზღუდვის კომპენსაციისთვის ავტომობილის შეძენისას) შემოსავლის ზიანის ასპექტები ემთხვევა გაზრდილი საჭიროებების ასპექტებს.[47] ამიტომ სასამართლო პრაქტიკა, როგორც წესი,

---

[42] *Lakerbaia/Hagenloch*, Ersatz von Personenschäden in Georgien und Deutschland, Teil II: Ersatz der Kranken- und Heilbehandlung sowie der vermehrten Bedürfnisse, unter B. III. 3. c), zur Veröffentlichung in www.lawjournal.ge vorgesehen; BGH, Urteil vom 10. März 2020 - VI ZR 316/19 - NJW 2020, 2113, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 28. August 2018 - VI ZR 518/16 - NJW 2019, 362, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 30. Juni 2015 - VI ZR 379/1 - BGHZ 206, 136, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 27. Januar 2015 - VI ZR 54/14 - BGHZ 204, 44, juris Rn. 18.

[43] შდრ. დამსაქმებლის შესაბამისი ვალდებულება: OLG Düsseldorf, Urteil vom 3. November 2009 I-24 U 207/08 - VersR 2011, 1060, juris Rn. 39; § 164 Abs. 4 SGB IX.

[44] *Lakerbaia/Hagenloch*, Ersatz von Personenschäden in Georgien und Deutschland, Teil II: Ersatz der Kranken- und Heilbehandlung sowie der vermehrten Bedürfnisse unter B. III. 2. d), zur Veröffentlichung in www.lawjournal.ge vorgesehen.

[45] BGH, Urteil vom 18. Oktober 2022 - VI ZR 1177/20 - RuS 2023, 35, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 27. Januar 2015 - VI ZR 54/14 - BGHZ 204, 44, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 30. Juni 2015 - VI ZR 379/14 - BGHZ 206, 136, juris Rn. 22.

[46] Thüringer Oberlandesgericht, Urteil vom 3. Juli 2012 - 4 U 533/11 - juris Rn. 20.

[47] BGH, Urteil vom 30. Juni 2015 - VI ZR 379/14 - BGHZ 206, 136, juris Rn. 16.

თავს არიდებს ზიანის ჯგუფისთვის მკაფიო მიკუთვნებას.[48] ტენდენციურად, უფრო მეტი არგუმენტია შემოსავლის ზიანის სასარგებლოდ, თუ ШШ პირთა სახელოსნოში საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, ემსახურება მომავალში პირველად შრომის ბაზარზე ინტეგრაციის მომზადებას. თუ უფრო მეტად დომინირებს ინკლუზიის ასპექტები, მაშინ უფრო მეტი კავშირია გაზრდილ საჭიროებებთან.[49]

III. თვითდასაქმებულები:

1. ძირითადი პრინციპები:

დასაქმებულებისთვის მითითებული ძირითადი პრინციპები ასევე ვრცელდება თვითდასაქმებულებზე. ეს ნიშნავს, რომ ზემოთ აღნიშნული პრინციპების შესაბამისად, შემოსავლის ზიანი თვითდასაქმებულების შემთხვევაშიც არ მდგომარეობს შრომისუნარიანობის დაკარგვაში ან შეფერხებაში, როგორც ასეთი (იხილეთ ზემოთ A. I. 1.).[50] თვითდასაქმებულის შრომისუნარიანობა და ინდივიდუალური უნარები, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს მის სამეწარმეო წარმატებაზე. საბოლოო ჯამში, ეს უკანასკნელი, მეწარმეობის მნიშვნელოვანი რისკის გამო, მაინც წარმატებაზეა დამოკიდებული და ობიექტურია.[51]

ამიტომ, გადამწყვეტია, მოახდინა თუ არა და რა მასშტაბით შრომისუნარიანობის შეფერხებამ უარყოფითი გავლენა თვითდასაქმებულის ქონებაზე.[52] ქონების ასეთი შემცირება შეიძლება არ იყოს ნაჩვენები ადრე მიღებული შემოსავლების დაკარგვით, არამედ შეიძლება გამოვლინდეს იმაშიც, რომ ზიანის მიყენების გარეშე მოსალოდნელი (შესაძლოა, გაზრდილი) მოგება ვერ იქნა მიღებული.[53] ამიტომ, საჭიროა, საშემოსავლო მდგომარეობის (მოგების) ბალანსის შედარება ზიანის მიყენების მოვლენამდე და მის შემდეგ.

2. გამოთვლის მოდელები:

a) ზოგადი პროცედურა:

ამ ქონებრივი დანაკლისის დასადგენად, სულაც არ არის საჭირო ორი სრული ქონებრივი ბალანსის (დაზიანებამდე და მის შემდეგ) შედგენა და მათ შორის სხვაობის გამოთვლა. ზიანის ასეთი გაანგარიშება, თუმცა, თეორიული მიდგომიდან გამომდინარე „იდეალური" იქნებოდა ზიანის სამართლის თვალსაზრისით, მაგრამ პრაქტიკაში ნაკლებად გამოსადეგია მრავალი გაურკვევლობების გამო, რომლებიც დაკავშირებულია ჰიპოთეტურ მიზეზობრივ მსვლელობებთან (ასევე უზარმაზარი ხარჯების გამოც).

ამიტომ, პრაქტიკაში შემუშავდა სხვა მეთოდები, რათა დამზიანებელი მოვლენით კონკრეტულად დაზარალებული ცალკეული პუნქტების იზოლირებული განხილვით შესაძლებელი იყოს საკმარისად მყარი დასკვნების გამოტანა განცდილი ქონებრივი ზიანის შესახებ. თუმცა ეს პროცედურა არ ცვლის იმ ფაქტს, რომ სამართლებრივად ყოველთვის გადამწყვეტია ზიანის გავლენა მთლიან ქონებრივ მდგომარეობაზე (საერთო ბალანსების სხვაობა). შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილი გამოთვლის მეთოდები მხოლოდ ამ ქონებრივი ზიანის (რომელიც მრავალი გაურკვევლობების გამო, ნებისმიერი გამოთვლის მეთოდით, არასოდეს დგინდება ზუსტად) გამარტივებულ დადგენას ემსახურება. გამარტივებულად რომ ვთქვათ, ეს არაფრით განსხვავდება ავტომობილზე ან შენობაზე მიყენებული მატერიალური ზიანის დადგენისგან. ეს უკანასკნელიც იურიდიულად „იდეალურად" უნდა განისაზღვროს, ორი ქონებრივი ბალანსის

[48] იხ. მაგ.: BGH, Urteil vom 27. Januar 2015 - VI ZR 54/14 - BGHZ 204, 44, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 30. Juni 2015 - VI ZR 379/14 - BGHZ 206, 136, juris Rn. 16, 22.

[49] შდრ. OLG Hamm, Urteil vom 5. Dezember 2000 - 27 U 103/00 - juris Rn. 25.

[50] BGH, Urteil vom 19. September 2017 - VI ZR 530/16 - NJW 2018, 864, juris Rn. 13.

[51] საბაზისოდ: BGH, Urteil vom 5. Mai 1970 - VI ZR 212/68 - BGHZ 54, 45, juris Rn. 12.

[52] BGH, Urteil vom 19. September 2017 - VI ZR 530/16 - NJW 2018, 864, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 12. Januar 2016 - VI ZR 491/14 - NJW-RR 2016, 793, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 3. März 1998 - VI ZR 385/96 - NJW 1998, 1634, juris Rn. 14 f.; საბაზისოდ: BGH, Urteil vom 5. Mai 1970 - VI ZR 212/68 - BGHZ 54, 45, juris Rn. 12 f.

[53] BGH, Urteil vom 19. September 2017 - VI ZR 530/16 - NJW 2018, 864, juris Rn. 13.

(ქონებრივი ღირებულებები ზიანის მიყენებამდე და მის შემდეგ) შედგენით და სხვაობის გამოთვლით. რამდენადაც სრული ეკონომიკური ზიანი არ არის სახეზე, პრაქტიკულად ხდება სარემონტო ხარჯების დადგენა და, როგორც წესი (აქ უნდა გამოირიცხოს შეღავათების კომპენსაციის ან, შესაძლოა, დარჩენილი შემცირებული ღირებულების ასპექტი), ვარაუდობენ, რომ სარემონტო ხარჯები თანხობრივად ღირებულების სხვაობას შეესაბამება.

ამ შემოსავლის დეფიციტის დასადგენად, დაზარალებულისთვის, ძირითადად, სხვადასხვა გამოთვლის მოდელია ხელმისაწვდომი. სათანადო გამოთვლის მეთოდის არჩევა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, აგრძელებს თუ არა თვითდასაქმებული თავის წინა საქმიანობას შრომისუნარიანობის შეფერხების მიუხედავად, თუ, პირიქით, ზიანის მიყენების შედეგად (დროებით ან სამუდამოდ) შეწყვიტა იგი. წინა საქმიანობის გაგრძელების შემთხვევაში, უნდა გაიმიჯნოს, აანაზღაურა თუ არა თვითდასაქმებულმა თავისი შრომისუნარიანობის დაკარგვა ან შეფერხება შემცვლელი მუშახელის დაქირავებით ან სხვა ღონისძიებებით სრულად ან ნაწილობრივ (ოჯახის წევრების დახმარება; ამოცანების გადატანა სხვა თანამშრომლებზე და ა. შ.). სასამართლო პრაქტიკაში ამასთან დაკავშირებით გამოიყენება სხვადასხვა გამოთვლის მეთოდი.

თუმცა, ნებისმიერი შესაძლო გამოთვლის მეთოდის შემთხვევაში, რჩება ის ფაქტი, რომ პროგნოზებთან დაკავშირებული გაურკვევლობები თვითდასაქმებულებთან არსებითად უფრო დიდია, ვიდრე დასაქმებულებთან. ეს, ერთი მხრივ, განპირობებულია იმით, რომ მსგავს პროფესიებშიც კი მოგების ზედა და ქვედა ზღვრები გაცილებით დიდია, ვიდრე შემოსავლის სხვაობები დასაქმებულებში და, შესაბამისად, „საშუალო მაჩვენებლებზე" ორიენტირება, როგორც წესი, გამოირიცხება. მეორე მხრივ, თვითდასაქმებულების შემოსავალი ზიანის მიყენებისგან დამოუკიდებელი სამეწარმეო რისკის გამო ხშირად ძალიან ცვალებადია და, გარდა ამისა, ხანდახან გადაფარულია საგადასახადო ასპექტებით. ამიტომ, ერთის მხრივ, კონსტიტუციურად მოთხოვნილი ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად, დაზარალებული თვითდასაქმებულის მტკიცების ტვირთზე ზედმეტად მაღალი მოთხოვნები არ უნდა დაწესდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მტკიცების და დადასტურების ტვირთი მას ეკისრება.

ზოგად პრინციპებს უმაღლესი ფედერალური სასამართლო შემდეგნაირად აჯამებს:[54]

„... შრომისუნარიანობის დაკარგვა, როგორც ასეთი, არ არის ქონებრივი ზიანი. პირს, რომელსაც შრომისუნარიანობა დაუზანდა, ანაზღაურებადი ქონებრივი ზიანი მხოლოდ მაშინ მიადგება, როდესაც შრომისუნარიანობის დაკარგვა ან შეფერხება კონკრეტულად და აშკარად გამოვლინდება. თუმცა, ეს შეიძლება არ იყოს ნაჩვენები ადრე მიღებული შემოსავლების დაკარგვით, არამედ შეიძლება გამოვლინდეს იმაშიც, რომ ზიანის მიყენების გარეშე მოსალოდნელი და, შესაძლოა, გაზრდილი მოგება ვერ იქნა მიღებული (...).

ამიტომ, როგორც სენატმა არაერთხელ განაცხადა, თვითდასაქმებულებთან იმის დასადგენად, განიცადეს თუ არა მათ ხელფასის დაკარგვის ზიანი, საჭიროა შემოწმდეს, თუ როგორ განვითარდებოდა მათ მიერ წარმოებული ბიზნესი ავარიის გარეშე. სამომავლო მოგების პროგნოზის საფუძვლებისთვის, ყურადღება უნდა მიექცეს არა ზიანის მიყენების მომენტს, არამედ უკანასკნელი ზეპირი მოსმენის მომენტს (სენატის განაჩენი 1998 წლის 27 ოქტომბერი - VI ZR 322/97, DB 1999, 379 II 1-ის მიხედვით, მრ. ნ.).

ამასთან, დაზარალებულს სარგებლობს გსკ-ის 252-ე და გსსკ-ის 287-ე პარაგრაფების შესაბამისი მტკიცებისა და დადასტურების ტვირთის შემსუბუქებით. ეს შემსუბუქება არ ცვლის იმ ფაქტს, რომ დაკარგული მოგების აუცილებელი პროგნოზის ფარგლებში, გსკ-ის 252-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ისევე როგორც გსსკ-ის 287-ე პარაგრაფის შესაბამისად,

[54] BGH, Urteil vom 19. September 2017 - VI ZR 530/16 - NJW 2018, 864, juris Rn. 13 ff.

შემოსავლის ზიანის დასადგენად საჭიროა კონკრეტული ძირითადი ფაქტები, რომლებიც დაზარალებულმა უნდა წარმოადგინოს და ამტკიცოს. ამასთან, როგორც წესი, საჭირო და მიზანშეწონილი იქნება, რომ ყურადღება გამახვილდეს ბიზნესის განვითარებაზე და ბიზნესის შედეგებზე ავარიამდე განვლილ ბოლო წლებში (სენატი, 2001 წლის 6 თებერვლის განაჩენი - VI ZR 339/99, NJW 2001, 1640 II 2 b aa-ს მიხედვით, მრ. ნ.).

თუმცა თვითდასაქმებულის ბიზნესის ჰიპოთეტური განვითარების რთული მტკიცებისთვის ზედმეტად მკაცრი სტანდარტები არ უნდა იქნას გამოყენებული (...). სარჩელი არ უნდა იქნას უარყოფილი ზიანის წარმოშობისა და ზიანის ოდენობის შესახებ არასაკმარისი მტკიცებულების გამო, თუკი არსებობს ხელშესახები მტკიცებულებები ზიანის ოდენობის შეფასებისთვის (...).“

b) გამოთვლის მოდელები:

aa) შემცვლელი მუშახელის დაქირავება:

თუ თვითდასაქმებულმა დაიქირავა შემცვლელი მუშახელი, რათა აენაზღაურებინა საკუთარი შრომისუნარიანობის დაკარგვა, მას, ძირითადად, აქვს შესაძლებლობა, გამოთვალოს თავისი ქონებრივი ზიანი ამ მუშახელის ხარჯების მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით, ჰამის უმაღლესი სამხარეო სასამართლო აცხადებს:[55]

„აქედან გამომდინარე, თვითდასაქმებული მეწარმის შემოსავლის ზიანი მდგომარეობს იმ დაკარგულ მოგებაში, რომელიც მან დაზიანების გამო ვერ მიიღო, მაგრამ ზიანის მიყენების მოვლენის გარეშე მიიღებდა (...). ბიზნესის მოგებაზე ზემოქმედება, კერძოდ, შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ დაზიანების გარეშე უფრო მაღალი მოგება იქნებოდა მიღებული ან უფრო დაბალი ზარალი წარმოშობილი, ან რომ დაზიანებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები წარმოიქმნება (...). ამ საფუძველზე, დაკარგული მოგების გაანგარიშება, ძირითადად, ასევე შეიძლება განხორციელდეს შემცვლელი მუშახელის ხარჯების გამოთვლით (...).

თუმცა არ განიხილება ზიანის აბსტრაქტული გამოთვლა შემცვლელი მუშახელის ეკვივალენტური ფიქტიური ხარჯების მიხედვით, ვინაიდან ანაზღაურებას ექვემდებარება არა შრომისუნარიანობის დაკარგვა, როგორც ასეთი, არამედ მისი ფინანსური გავლენა დაზარალებულის ქონებრივ მდგომარეობაზე (იხ. მუდმივი სასამართლო პრაქტიკა, მაგალითად, BGH, 2004 წლის 16 მარტის განაჩენი, VI ZR 138/03 - juris Rn. 19; 1993 წლის 7 დეკემბრის განაჩენი, VI ZR 152/92 - juris Rn. 35; 1992 წლის 31 მარტის განაჩენი, VI ZR 143/91 - juris Rn. 7).

თუმცა, შემოსავლის ზიანის დადგენა შეიძლება კონკრეტულად განხორციელდეს ფაქტობრივად დაქირავებული შემცვლელი მუშახელის ხარჯების საფუძველზე, რომლებიც ამცირებენ მოგებას (ან ზრდიან ზარალს) (BGH, 1993 წლის 7 დეკემბრის განაჩენი, VI ZR 152/92 - juris Rn. 35; 1992 წლის 31 მარტის განაჩენი, VI ZR 143/91 - juris Rn. 9; OLG Celle, 2005 წლის 17 აგვისტოს განაჩენი, 9 U 4/05 - juris Rn. 15). გამოთვლისთვის მნიშვნელოვანია, რომ დაქირავებული თანამშრომელი დაზარალებული თვითდასაქმებულის დაკარგული შრომისუნარიანობის ადგილს იკავებდეს (OLG Celle, a.a.O. Rn. 16). თუ შემცვლელი სამუშაო ძალის გამოყენება უბედური შემთხვევის გამო გახდა საჭირო, მაშინ, როგორც წესი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამისთვის საჭირო ხარჯები ამცირებს კომპანიის მოგებას. ეს, ყოველ შემთხვევაში, ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მათი გამოყენებით მიიღწევა საწარმოო შედეგი, რომელიც არ იყო უფრო მაღალი, ვიდრე ეს შეიძლებოდა მიღწეულიყო თავად მეწარმის მიერ (და მაშინ ამ ზედმეტი ხარჯების გარეშე) უბედური შემთხვევის მოვლენამდე (BGH, 1996 წლის 10 დეკემბრის განაჩენი, VI ZR 268/95 - juris Rn. 18 f.; 1993 წლის 7 დეკემბრის განაჩენი, VI ZR 152/92 - juris Rn. 39).

[55] OLG Hamm, Urteil vom 1. September 2023 - I-7 U 29/21 - juris Rn. 25 ff.

თუმცა, შემცვლელი ძალის გამოყენება თავიდანვე არ უნდა იყოს კომერციულად მიუღებელი; წინააღმდეგ შემთხვევაში, წამგებიანი ოპერაციის გაგრძელება იქნება ზიანის შემცირების ვალდებულების დარღვევა (...). მნიშვნელოვანია, ამგვარადვე იმოქმედებდა თუ არა სხვა მეწარმე რაციონალური ბიზნეს ეკონომიკური გაანგარიშებით, ასევე გააგრძელებდა თუ არა ოპერაციას. შემცვლელი ძალის გამოყენება, შესაბამისად, ძირითადად, უნდა აღემატებოდეს წარმოქმნილ ხარჯებს, თუ დაზარალებული არ დაამტკიცებს დროებითი ოპერაციის გაგრძელების კანონით დაცულ ინტერესს (...). კერძოდ, შეუძლებლობის შემთხვევაში, დროებით, შეზღუდული დროით, დაზარალებულისთვის ასევე შეიძლება ეკონომიკურად აზრიანი იყოს ერთი შეხედვით „ძვირადღირებული" შემცვლელი ძალის გამოყენება, თუ ამით თავიდან იქნება აცილებული საჭირო ბიზნესის შეწყვეტა (....)."

თუმცა, ამ საფუძველზე ფიქტიური ზიანის გამოთვლა გამოირიცხება, რადგან (როგორც აღინიშნა) სამუშაო ძალის დაკარგვა, როგორც ასეთი, არ ქმნის ზიანს.

bb) საშუალო მოგება:

ყველაზე გავრცელებული გამოთვლის მეთოდი ეფუძნება ზიანის მიყენებამდე ბოლო წლების მოგებას და საფუძვლად იღებს საშუალო მაჩვენებელს.[56] თუ საწინააღმდეგო მტკიცებულებები არ არსებობს, ზიანის შეფასების ფარგლებში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაზარალებული ზიანის მიყენების გარეშე შეძლებდა თავისი წინა საქმიანობის საშუალო წარმატების გაგრძელებას.[57] პროგნოზის დარჩენილი გაურკვევლობის გამო, საჭიროების შემთხვევაში, ხდება დაკლება (პრაქტიკაში, როგორც წესი, 10%-ის ოდენობით[58]).[59]

გამოთვლის ეს მეთოდი, უპირველეს ყოვლისა, მაშინ არის სათანადო, როდესაც დაზარალებულს არ დაუქირავებია შემცვლელი მუშახელი, სამეწარმეო საქმიანობის სახე და მასშტაბი არ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს და არ არსებობს განსაკუთრებული ეფექტები, როგორიცაა, მაგალითად, განსაკუთრებული მასშტაბის ერთჯერადი შესყიდვები ან სპეციალური საგადასახადო ამორტიზაცია, ან მათი საკმაოდ ვალიდურად გამორიცხვაა შესაძლებელი.

თუმცა, ასეთი პროცედურა მხოლოდ იმ სამეწარმეო საქმიანობისთვის არის შესაფერისი, რომლის შემოსავალი, ძირითადად, მრავალი მიმდინარე გარიგებისგან შედგება (მაგალითად, კომერციული გარიგებები, ხელოსნობის საწარმოები, სამედიცინო პროფესიები), სადაც, როგორც წესი, არსებობს გარკვეული უწყვეტობა მკვეთრი ცვლილებების გარეშე. მეორე მხრივ, თუ წარმატება ან წარუმატებლობა რამდენიმე დიდ, ერთჯერად შეკვეთაზეა დამოკიდებული (მაგალითად, არქიტექტორები სპეციალურ სფეროებში, როგორიცაა საზღვაო პორტების ან აეროპორტების დაგეგმვა), მაშინ ქონებრივი ზიანი, ძირითადად, კონკრეტული შეკვეთის და გამოთვლების ჰიპოთეტური განვითარების საფუძველზე უნდა განისაზღვროს. ეს, ძირითადად, ასევე ეხება იმ შემთხვევაში, როდესაც თვითდასაქმებულის საქმიანობა ზიანის მიყენების დროს ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ან მხოლოდ მცირე ხნის წინ იყო დაწყებული (ამასთან დაკავშირებით, იხილეთ ქვემოთ).

cc) მოგების დანაკარგის კონკრეტული გამოთვლა:

[56] BGH, Urteil vom 19. September 2017 - VI ZR 530/16 - NJW 2018, 864, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 6. Februar 2001 - VI ZR 339/99 - NJW 2001, 1640, juris Rn. 17; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Urteil vom 1. März 2012 - 7 U 95/11 - Schaden-Praxis 2012, 177, juris Rn. 16; OLG Düsseldorf, Urteil vom 24. Mai 2011 - I-1 U 220/10 - NJW-RR 2012, 30, juris Rn. 40.

[57] BGH, Urteil vom 6. Februar 2001 - VI ZR 339/99 - NJW 2001, 1640, juris Rn. 17.

[58] შდრ. BGH, Urteil vom 16. Juni 2015 - VI ZR 416/14 - VersR 2015, 1140, juris Rn. 6; OLG Karlsruhe, Urteil vom 8. Oktober 2014 - 7 U 87/14 - juris Rn. 43.

[59] BGH, Urteil vom 12. Januar 2016 - VI ZR 491/14 - NJW-RR 2016, 793, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 8. November 2001 - IX ZR 404/99 - NZV 2002, 268, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 20. April 1999 - VI ZR 65/98 - NJW-RR 1999, 1039, juris Rn. 11; OLG Hamm, Urteil vom 1. September 2023 - I-7 U 29/21 - juris Rn. 29; OLG Hamm, Urteil vom 27. April 2018 - 11 U 8/15 - juris Rn. 49.

თუ ზემოაღნიშნული გამოთვლის მეთოდები არ მუშაობს, რადგან არც შემცვლელი მუშახელი იყო დაქირავებული და არც შემოსავლის დაკარგვა შეიძლება განისაზღვროს ჩვეულებრივი მსვლელობის მიხედვით წარსულის საშუალო მაჩვენებლების საფუძველზე, მაშინ მოგების დანაკარგი კონკრეტულად უნდა განისაზღვროს. ამასთან, ძალიან მაღალი მოთხოვნები არ უნდა იქნას წაყენებული მტკიცების ტვირთს;[60] მით უმეტეს, რომ დამზიანებელმა, როგორც უკვე აღინიშნა, დაზარალებული პროფესიული კალაპოტიდან ამოაგდო და, ამით, ხელი შეუწყო მის სირთულეებს შემოსავლის დაკარგვის კუთხით.[61]

ამ პრინციპებს ჰამის უმაღლესი სამხარეო სასამართლო შემდეგნაირად აჯამებს:[62]

„რამდენადაც შემოსავლის დაკარგვა ჩვეულებრივი მსვლელობის მიხედვით გამოითვლება, ეს მსვლელობაზე დაფუძნებული ფაქტები არ საჭიროებს მტკიცებულებას; მაგრამ, ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს აქვს შესაძლებლობა, მტკიცებულებებით უარყოს ეს ვარაუდი. თვითდასაქმებული მეწარმის მტკიცებას, რომ მან მოსალოდნელი მოგება დაკარგა, არ უნდა წაეყენოს ზედმეტად მკაცრი მოთხოვნები, რაც, როგორც წესი, დაკავშირებულია ამ სირთულეებთან (BGH, VersR 2006, 131). § გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-ე პარაგრაფი ამარტივებს მტკიცებას იმით, რომ იგი ჩვეულებრივ საჭირო ცალკეულ დასაბუთებას ცვლის სასამართლოს თავისუფალი რწმენით. მეორე მხრივ, გსსკ-ის 287-ე პარაგრაფი სრულად არ ათავისუფლებს ძირითადი მტკიცების ტვირთის განაწილებისგან და არ იძლევა საშუალებას, მტკიცების ტვირთის მქონე პირის სასარგებლოდ დაადასტუროს ზიანის გარკვეული მსვლელობა, თუ დადგენილი ცალკეული ფაქტების მიხედვით ყველაფერი ღია რჩება (OLG, München r+s 2006, 474). თუ თავისუფალი დისკრეციისათვის სახეზე არ არის ყველა დოკუმენტი, სასამართლომ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მიმართოს შეფასებას და დარჩენილი რისკები გაითვალისწინოს ერთიანი გამოქვითვით (BGH, NJW 2011, 1146; BGH, NJW 2011, 1148; BGH, VersR 2006, 131; BGH, NZV 2002, 268; OLG, Köln NZV 2000, 293). მოსამართლეს არ აქვს უფლება, ნაჩქარევად თქვას უარი თავის ამოცანაზე და გსკ-ის 252-ე პარაგრაფისა და გსსკ-ის 287-ე პარაგრაფის საფუძველზე დაადგინოს ზიანის ოდენობა შესაძლო პროგნოზების გაურკვევლობის მოტივით (BGH, r+s 2010, 528; BGH VersR 2006, 131). ზიანის შეფასება დაუშვებელია, თუ იგი, ხელშესახები მტკიცებულებების არარსებობის გამო, სრულიად ჰაერში იქნებოდა (BGH, NJW-RR 2010, 946; BGH, NJW 1999, 136; KG, NZV 2003, 191). მარტივი, უფრო დეტალურად დაუსაბუთებელი ეჭვი დამატებით შემოსავლებზე არ არის საკმარისი, როგორც შეფასების საფუძველი (BGH, NJW 1999, 136). გსკ-ის 252-ე პარაგრაფისა და გსსკ-ის 287-ე პარაგრაფის დებულებები მტკიცების ტვირთის შესახებ არ ცვლის იმ ფაქტს, რომ შემოსავლის ზიანის ოდენობის დასადგენად საჭიროა კონკრეტული ძირითადი ფაქტები (BGH, NJW 1998, 1634; OLG, Frankfurt zfs 2004, 452). დაზარალებულმა უნდა წარმოადგინოს საკმარისი მტკიცებულება ზიანის შეფასებისთვის (BGH, NJW-RR 2010, 946; KG, NZV 2003, 191), წარადგინოს დოკუმენტები, წარმოადგინოს მტკიცებულებები და წარმოადგინოს ალბათობის შემოწმებისა და შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტები (BGH, r+s 2010, 528; BGH, BeckRS 2005, 05205; BGH, NJW 1999, 954; OLG, Celle OLGR 2007, 505; ...). თუ დაზარალებული არ წარადგენს ზიანის შეფასებისთვის საჭირო მტკიცებულებებს, ზიანის შეფასება, როგორც წესი, გამოირიცხება (BGH, NJW 1970, 1411; OLG, Frankfurt zfs 1999,

[60] BGH, Urteil vom 9. November 2010 - VI ZR 300/08 - NJW 2011, 1146, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 5. Oktober 2010 - VI ZR 186/08 - NJW 2011, 1148, juris Rn. 21; BGH, Urteil vom 17. Februar 1998 - VI ZR 342/96 - NJW 1998, 1633, juris Rn. 23.

[61] BGH, Urteil vom 5. Oktober 2010 - VI ZR 186/08 - NJW 2011, 1148, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 17. Februar 1998 - VI ZR 342/96 - NJW 1998, 1633, juris Rn. 23; KG Berlin, Urteil vom 23. August 2023 - 25 U 141/19 - RuS 2024, 422, juris Rn. 81; OLG Köln, Urteil vom 17. Dezember 1999 - 3 U 211/97 - Schaden-Praxis 2000, 229, juris Rn. 10.

[62] OLG Hamm, Urteil vom 27. April 2018 - 11 U 8/15 - juris Rn. 49.

516). რამდენადაც გსსკ-ის 252-ე პარაგრაფისა და 287-ე პარაგრაფის დებულებები ასევე ამცირებს დაზარალებულის მტკიცების ტვირთს, ზედმეტად მკაცრი მოთხოვნები არ უნდა დაწესდეს (BAG, NJW 2009, 1227). მტკიცების მცდელობები, როგორიცაა „საგადასახადო კონსულტანტის დაკითხვა" ან „ექსპერტის დასკვნის მოპოვება", არ ცვლის არსებით მტკიცებას (OLG, Karlsruhe VersR 2005, 420)."

ამ პროგნოზში, პროფესიულ კვალიფიკაციასთან ერთად, უნდა იყოს გათვალისწინებული პროფესიული წარმატებისთვის რელევანტური ხასიათის თვისებები, როგორიცაა, მაგალითად, მზაობა და ენერგიულობა, მიზანდასახულობა, ასევე გარკვეული დაგეგმილი მუდმივობა ან (საპირისპიროდ) გარკვეული არასტაბილურობა აქამდე არსებულ პროფესიულ ბიოგრაფიაში.[63] გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული, რამდენად გონივრულად და გააზრებულად გამოიყურება თვითდასაქმებულის საქმიანობის სავარაუდო დაწყებისთვის მზადება, თუ, პირიქით, უფრო ბუნდოვნად და ჯერ კიდევ ძიებაშია.[64]

IV. საოჯახო საქმეების შეფერხება:

თუ პასუხისმგებლობით მესამე პირისთვის შერაცხული დაზიანების შედეგად საოჯახო საქმეების გაძღოლა შეუძლებელი ხდება ან რთულდება, ზიანის სამართალში უნდა განვასხვაოთ გავლენა საკუთარი საოჯახო საქმეების გაძღოლაზე, საერთო საოჯახო საქმეების გაძღოლაზე ალიმენტის ვალდებულების ფარგლებში და სხვისი საოჯახო საქმეების გაძღოლაზე. თუ მესამე პირის საოჯახო საქმეების გაძღოლა ხდება, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დამოკიდებულია იმაზე, გადაუხადა თუ არა მესამე პირმა ანაზღაურება და რა ოდენობით. ამ მხრივ, (თუ არსებობს სამართლებრივი ურთიერთობის ნება) სახეზეა დამოკიდებული დასაქმება, რომელზეც A II-ში მითითებული ძირითადი პრინციპები ვრცელდება. რამდენადაც სხვის საოჯახო საქმეებში დახმარება ეფუძნება უბრალო კეთილგანწყობას (მცირე მასშტაბის სამეზობლო დახმარება), ზიანი არ არსებობს.

მეორე მხრივ, გვხვდება სამართლებრივად უფრო პრობლემური შეფერხებები საკუთარი საოჯახო საქმეების გაძღოლაში და საერთო საოჯახო საქმეების გაძღოლაში საოჯახოსამართლებრივი ალიმენტის ვალდებულებების ფარგლებში. ეს მით უფრო ასეა, რამდენადაც საქმიანობის ცალკეული სფეროების კლასიფიკაცია ხშირად ძნელია და ცალკეული ამოცანების შიდა საოჯახო განაწილება ძალიან განსხვავებულია. მაგალითად, ბავშვებზე ზრუნვა საშინაო დავალების შესრულებაში სრულად შეიძლება მივაკუთვნოთ ალიმენტის ვალდებულებას, ხოლო საკუთარი ტანსაცმლის მოვლისთვის დროის დახარჯვა - საკუთარი საოჯახო საქმეების გაძღოლას. ძირითადად, ოჯახში წარმოშობილი ამოცანები მეტ-ნაკლებად განუყოფლად ერწყმის ერთმანეთს (ბინის დასუფთავება; სასურსათო პროდუქტების შეძენა; კერძების მომზადება; მცენარეების ან ბაღის მოვლა და ა. შ.).

a) გამიჯვნა გაზრდილ საჭიროებებსა და შემოსავლის ზიანს შორის:

საკუთარი საოჯახო საქმეების შეფერხებების კომპენსაციისას საქმე გვაქვს გაზრდილ (საკუთარ) საჭიროებებთან.[65] თუ სხვისი საოჯახო საქმეების გაძღოლა ხდება კანონიერი ალი-

[63] BGH, Urteil vom 19. September 2013 - III ZR 374/12 - juris Rn. 10; Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 18. September 2023 - 2 U 38/22 - juris Rn. 22; OLG Hamm, Urteil vom 28. Oktober 2022 - I-9 U 33/21 - juris Rn. 929; Schleswig-Holsteinisches Oberlandesgericht, Urteil vom 7. September 2021 - 7 U 34/21 - RuS 2022, 236, juris Rn. 32.

[64] ამომწურავად: OLG Hamm, Urteil vom 28. Oktober 2022 - I-9 U 33/21, juris Rn. 917 ff.

[65] *Lakerbaia/Hagenloch*, Ersatz von Personenschäden in Georgien und Deutschland, Teil II: Ersatz der Kranken- und Heilbehandlung sowie der vermehrten Bedürfnisse, unter B. III. 3. c) und A. IV., zur Veröffentlichung in www.lawjournal.ge vorgesehen; BGH, Urteil vom 4. Dezember 1984 - VI ZR 117/83 - NJW 1985, 735, juris Rn. 11; BGH, Urteil vom 23. Juni 1998 - VI ZR 327/97 - DAR 1998, 447, juris Rn 14; BGH, Urteil vom 8. Oktober 1996 - VI ZR 247/95 - NJW 1997, 256, juris Rn. 9; KG Berlin, Urteil vom 23. August 2023 - 25 U 141/19 - juris Rn. 49.

მენტის ვალდებულების ფარგლებში, ეკონომიკური დანაკლისი მიეკუთვნება შემოსავლის ზიანს.[66]

ამ დიფერენციაციას გერმანიაში სამართლებრივი შედეგები აქვს კანონისმიერ მოთხოვნის გადაცემასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით სოციალური შეღავათების მიღებისას X სოციალური კოდექსის 116-ე პარაგრაფის შესაბამისად; საჭიროების შემთხვევაში, ასევე კერძო დაზღვევის კომპანიების შეღავათებთან დაკავშირებით, რომლებიც ანაზღაურებენ შრომისუუნარობის დაკარგვას. როგორც სხვაგან[67] უკვე უფრო დეტალურად იყო განხილული, მესამე პირებისგან შეღავათების მიღებისას მოთხოვნის გადაცემებით (იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი) მხოლოდ კონგრუენტული მოთხოვნებია მოცული. ამიტომ, როდესაც მესამე პირი ახორციელებს შეღავათებს, რომლებიც ემსახურება შრომითი ზიანის კომპენსაციას, მოთხოვნის უფლების მხოლოდ ის ნაწილები გადადის მესამე პირზე, რომლებიც მიეკუთვნება შემოსავლის ზიანს (ანუ ეხება ოჯახის წევრების ალიმენტის მოთხოვნების შესრულებას). საკუთარი საოჯახო საქმეების შეფერხებასთან დაკავშირებული ზიანის პუნქტი, მეორე მხრივ, მიეკუთვნება დაზარალებულის გაზრდილ საჭიროებებს და რჩება მასთან. თუმცა, ზიანის ორივე პუნქტი (შემოსავლის ზიანი და გაზრდილი საჭიროებები) მაინც ქმნის იურიდიულად ერთიან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.[68]

ამის ძირითადი საფუძველია უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 1962 წლის გადაწყვეტილება, რომელიც ქვემოთ არის მოყვანილი ამონარიდის სახით. თუმცა, ეს გადაწყვეტილება, ეფუძნება (იურიდიულად და ფაქტობრივად) მოძველებულ როლურ გაგებას ქალისა და მამაკაცის შესახებ ქორწინებაში. ალიმენტის ვალდებულების შესრულებაში საოჯახო საქმეების გაძღოლის იურიდიულ კლასიფიკაციაში (ყველა მეუღლის თანაბრად) ამით არაფერი შეცვლილა. მიუხედავად ამისა, წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ გსკ-ის 1356-ე და 1360-ე პარაგრაფები 2002 წლის 2 იანვრიდან მოქმედ რედაქციაში შემდეგნაირად ჟღერს:

§ 1356. საოჯახო მეურნეობის გაძღოლა, ეკონომიკური საქმიანობა

(1) მეუღლეები საოჯახო მეურნეობას უძღვებიან ურთიერთშეთანხმებით. თუ საოჯახო მეურნეობის გაძღოლა ჩაბარებული აქვს ერთ-ერთ მეუღლეს, მაშინ ეს უკანასკნელი მას უძღვება საკუთარი პასუხისმგებლობით.

(2) ორივე მეუღლე უფლებამოსილია, დაკავდეს ეკონომიკური საქმიანობით. ეკონომიკური საქმიანობის არჩევისა და განხორციელებისას მათ ანგარიში უნდა გაუწიონ მეორე მეუღლისა და ოჯახის ინტერესებს.

§ 1360. ოჯახის რჩენის ვალდებულება

მეუღლეები ვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ თავიანთი შრომითა და ქონებით უზრუნველყონ ოჯახის სათანადო რჩენა. თუ საოჯახო მეურნეობის გაძღოლა ჩაბარებული აქვს ერთ მეუღლეს, მაშინ ეს უკანასკნელი თავისი შრომით ოჯახის რჩენაში წვლილის შეტანის ვალდებულებას განახორციელებს, როგორც წესი, საოჯახო მეურნეობის გაძღოლით.

უმაღლესი ფედერალური სასამართლო აცხადებს (ტერმინ „ცოლისა" და „ქმრის" ნაცვლად დღეს უნდა წაიკითხოთ „მეუღლე"):[69]

„სააპელაციო სასამართლომ მართებულად დაადგინა მოსარჩელის ცოლის საკუთარი ზია-

[66] BGH, Urteil vom 23. Juni 1998 - VI ZR 327/97 - DAR 1998, 447, juris Rn 14; BGH, Urteil vom 8. Oktober 1996 - VI ZR 247/95 - NJW 1997, 256, juris Rn. 7; KG Berlin, Urteil vom 23. August 2023 - 25 U 141/19 - juris Rn. 49.

[67] *Rusiashvili/Hagenloch*, Gesetzlicher Forderungsübergang zu Gunsten des Schadensversicherers und anderer Leistungsträger in Georgien und Deutschland, S. 1., 10 ff., https://lawjournal.ge/wp-content/uploads/DGZR-8-2024-DE.pdf.

[68] *Lakerbaia/Hagenloch,* Ersatz von Personenschäden in Georgien und Deutschland, Teil II: Ersatz der Kranken- und Heilbehandlung sowie der vermehrten Bedürfnisse, unter B. IV. 1, zur Veröffentlichung in www.lawjournal.ge vorgesehen. Staudinger/Vieweg/Lorz (2023) BGB § 842 Rn. 123; *Rüßmann* in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 843 BGB (Stand: 01.02.2023), Rn. 1.

[69] BGH, Urteil vom 25. September 1962 - VI ZR 244/61 - BGHZ 38, 55, juris Rn. 4 ff.

ნის ანაზღაურების მოთხოვნა ოჯახის დამხმარესთვის უბედური შემთხვევის შედეგად გაწეული დამატებითი ხარჯების ოდენობით. ...

... გსკ-ის 1356-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილის ახალი რედაქციის თანახმად, ცოლი თავად არის პასუხისმგებელი საოჯახო საქმეების გაძღოლაზე, ხოლო გსკ-ის 1360-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად, იგი, როგორც წესი, ამით ასრულებს თავის ვალდებულებას, შრომითი წვლილი შეიტანოს ოჯახის რჩენაში. ... ასევე, ოჯახის რჩენაში შეტანილი წვლილი ხდება და, შესაბამისად, არ არის ... მხოლოდ ქმრისკენ მიმართული...

ცოლი ... იყენებს (თავის შრომისუნარიანობას) ... როგორც მის მუდმივ წვლილს ოჯახის რჩენაში, როგორც მის მიერ შექმნილი ერთობის ეკონომიკურ მხარეს. ... ასეთი წვლილისთვის არ შეიძლება საუბარი ანაზღაურებაზე (მნიშვნელობა არ აქვს, არის თუ არა ვალდებულება ნაკისრი) პარტნიორის მიერ გაწეული საპასუხო შრომის მნიშვნელობით; მეუღლეთა უფლება, ერთობლივად მოპოვებული სახსრებიდან მიიღონ საარსებო წყარო, მხოლოდ მათი წვლილის შეტანის ვალდებულების საოჯახო სამართლით რეგულირებულ, დადებით მხარეს წარმოადგენს...

საოჯახო საქმეების გამძღოლი ცოლი, შესაბამისად, მისთვის მიყენებული სხეულის დაზიანების შედეგად ფერხდება, რომ თავისი შრომისუნარიანობა მის მიერ არჩეული და დამკვიდრებული ფორმით გამოიყენოს (წვლილი შეიტანოს ერთობაში). შესაბამისად, მისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ წარმოადგენს მოთხოვნას აბსტრაქტული კომპენსაციის შესახებ, სამუშაო ძალის შემცირების შესახებ, რომელიც არ ეხება რეალურად შესრულებულ საქმიანობას, როგორც ეს, რა თქმა უნდა, სამოქალაქო სამართლით არ იქნებოდა უზრუნველყოფილი. მისი ფაქტობრივი სამუშაოს შესრულება მხოლოდ ორმაგ, ქორწინებაში არსებულ ერთობაში გამოყენების შედეგად წარმოშობილ თავისებურებას შეიცავს, რომ იგი არ ხორციელდება არც სანაცვლოდ და არც უსასყიდლოდ, არამედ საარსებო წყაროს შესაბამის უფლებაში პოულობს თავის აღიარებას და რომ ეს საარსებო წყარო არ მცირდება სამუშაო შესრულების შემცირების შესაბამისად, რადგან დანაკლისი ოჯახში უნდა ანაზღაურდეს.

არც ერთი ასპექტი არ შეიძლება გახდეს ცოლის საკუთარი მოთხოვნის უარყოფის საფუძველი. როგორც ზიანი, რომელზეც ვრცელდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გსკ-ის 842-ე პარაგრაფის შესაბამისად, არ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ შრომისუნარიანობის დაკარგული ნაწილისთვის კომპენსაციად. ეს ნორმა გამოიყენება ყველა ეკონომიკურ შეფერხებაზე, რაც სრულფასოვანი საქმიანობის უუნარობას მოჰყვება. ასეთი შეფერხება ასევე არსებობს, როდესაც ფიზიკურად დაშავებული მეუღლე ვერ ახერხებს ოჯახის რჩენაში იმ ოდენობით წვლილის შეტანას, რამდენადაც იგი ვალდებული და მზად იქნებოდა. ის ფაქტი, რომ მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაბამისად არ მცირდება, არ იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ მას თავიდანვე არანაირი ზიანი არ მიადგება, როგორც ეს სამუშაო ძალის უსასყიდლო მომსახურებისთვის გამოყენების შემთხვევაში იყო. უფრო სწორად, მხოლოდ ქორწინებაა, რომელიც იწვევს იმას, რომ დაშავებულ ქალს არ მოუწევს ან მარტო არ მოუწევს ეკონომიკური ზიანის ტვირთის ტარება, რომელიც მისი შემცირებული წვლილიდან გამომდინარეობს. დაზიანების შედეგების ერთობლივი აღმოფხვრის ან გადალახვის ამ ფორმას აქვს შინაგანი კომპენსაციის ხასიათი, რაც, შესაბამისად, კონცეპტუალურად გულისხმობს, რომ ქონებრივი ზიანი თავდაპირველად ცოლს წარმოეშობა. რამდენადაც კომპენსაცია სრულად არ ხერხდება ან ცოლის სახსრებიდან ხდება, იგი რჩება ამ ზიანთან და, შესაბამისად, დაშავებული ცოლის უშუალო ანაზღაურების მოთხოვნასთან დამზიანებლის წინააღმდეგ, როგორც ეს აქამდე არსებულ სამართალში იყო. რამდენადაც ქმარი აგრძელებს ცოლის მატერიალური საჭიროებების დაკმაყოფილებას, მიუხედავად მისი შემცირებული წვლილისა, მნიშვნელობა არ აქვს, საკუთარი შეზღუდვის გზით თუ გაზრდილი წვლილის გზით, საქმე ეხება ზიანის კომპენსაციას ალიმენტის სახით. თუმცა, ამაზე დამზიანებელს არ შეუძ-

ლია მიუთითოს ცოლზე გსკ-ის 843-ე პარაგრაფის მე-4 ნაწილის[70] შესაბამისად. დაშავებულ ცოლს, შესაბამისად, შეუძლია საკუთარი უფლებით მოითხოვოს მისთვის მიყენებული სრული ზიანის ანაზღაურება, რომელიც მდგომარეობს მისი საშინაო საქმიანობის შემცირებაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ხორციელდება იგი ქორწინებაში არსებული ერთობის მიერ.

ეს ზიანი კონკრეტული ხასიათისაა. დაშავებულ ცოლს სჭირდება შემცვლელი ძალა, რათა მისი წვლილი სრულფასოვან ოდენობამდე შეავსოს, რა ოდენობითაც იგი ვალდებული იქნებოდა და შეძლებდა მის შეტანას საოჯახო საქმეების დაზიანებამდე. ამისთვის საჭირო დახმარების მოცულობა და ხარჯები რეალური, დასადგენი სიდიდეებია. ამიტომ, სააპელაციო სასამართლოს უნდა დავეთანხმოთ იმაში, რომ მან თავისი ზიანის გაანგარიშებაზე დააფუძნა ოჯახის დამხმარესთვის უბედური შემთხვევის შედეგად გაწეული ხარჯები.

ცოლს აქვს მოთხოვნის უფლება, რომ საოჯახო საქმეების გაძღოლის გადაბარებით სრულფასოვანი წვლილი შეიტანოს, მაშინაც კი, თუ დაზიანება მას ქორწინებამდე მიაყენეს. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მისი საოჯახო საქმიანობა უნდა ჩაითვალოს, როგორც საკუთარი სამუშაო ძალის გამოყენება განსაკუთრებულ, ქორწინების სამართლით რეგულირებულ ფორმაში. ზიანი დგება ქორწინებისთანავე, თუ შეზღუდული საქმიანობა ამცირებს საარსებო წყაროს, ისევე, როგორც დასაქმების დაწყებისას, თუ იგი იქ ძალიან დაბალ შემოსავალამდე მიდის. ქმარმა ცოლის უფრო მცირე წვლილი თავიდანვე გაზრდილი საკუთარი საარსებო შემწეობით უნდა აანაზღაუროს თუ ამის საჭიროება მას მხოლოდ მოგვიანებით, ქორწინების მსვლელობისას დაზიანების მიყენების შემთხვევაში წარმოეშობა, არ შეიძლება გაიმიჯნოს, რადგან დამზიანებელს არავითარ შემთხვევაში არ აქვს უფლება, მიუთითოს ამ კომპენსაციაზე.“

ბ) შემოსავლის ზიანის გამოთვლა:

კონკრეტული ზიანის დასადგენად, გსკ-ის 844-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილისგან[71] განსხვავებით, მნიშვნელობა არ აქვს, რა მასშტაბით ევალებოდა დაზარალებულს საოჯახო საქმიანობის შესრულება საოჯახოსამართლებრივად. გადამწყვეტია მხოლოდ ის, თუ რა საქმიანობას შეასრულებდა იგი მომავალში, რომ არ დაზიანებულიყო.[72] ზიანის გამოთვლისთვის იხილეთ მითითებები სხვა ადგილას.[73] მიუნხენის უმაღლესი სამხარეო სასამართლო უფრო დეტალურად განმარტავს:[74]

„... ამ ნორმის შესაბამისად შრომისუნარიანობის შემცირება მოიცავს საოჯახო საქმეების გაძღოლას, რამდენადაც ეს ეხება ოჯახის წევრებისთვის ალიმენტის გადახდას (OLG Dresden, 2020 წლის 29 მაისის განაჩენი - 22 U 699/19

---

70 ავტორთა შენიშვნა: გსკ-ის 843-ე პარაგრაფი შემდეგნაირად იკითხება:
(1) თუ სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შედეგად დაზარალებულმა დაკარგა შრომისუნარიანობა, ან მისი შრომისუნარიანობა შემცირდა, ანდა თუ იზრდება მისი მოთხოვნები, მაშინ დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ფულადი სარჩოს გადახდით…
(4) მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხება იმით, რომ სხვა პირი ვალდებულია, არჩინოს დაზარალებული.

71 ავტორთა შენიშვნა: გსკ-ის 844 II პარაგრაფი შემდეგნაირად იკითხება:
თუ მოკლული პირი ზიანის მიყენების მომენტში მესამე პირთან იმყოფებოდა ისეთ ურთიერთობაში, რომლის საფუძველზეც მოკლული პირი კანონის ძალით ვალდებული იყო ამ უკანასკნელის რჩენაზე, ან შეიძლებოდა ყოფილიყო ვალდებული რჩენაზე და თუ მესამე პირს მკვლელობის შედეგად წაერთვა რჩენის შესაძლებლობა, მაშინ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა მესამე პირს უნდა უხადოს ფულადი სარჩო იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოკლული ვალდებული იქნებოდა, თავისი სავარაუდო სიცოცხლის განმავლობაში ერჩინა მესამე პირი; შესაბამისად, გამოიყენება 843 II-IV პარაგრაფი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მაშინაც კი, როდესაც მესამე პირი ზიანის მიყენების მომენტში იყო ჩასახული, თუმცა, ჯერ კიდევ არ იყო დაბადებული.

72 BGH, Urteil vom 8. Oktober 1996 - VI ZR 247/95 - NJW 1997, 256, juris Rn. 8.

73 *Lakerbaia/Hagenloch*, Ersatz von Personenschäden in Georgien und Deutschland, Teil II: Ersatz der Kranken- und Heilbehandlung sowie der vermehrten Bedürfnisse, unter B. IV., zur Veröffentlichung in www.lawjournal.ge vorgesehen.

74 OLG München, Urteil vom 10. März 2021 - 10 U 176/20 - RuS 2021, 296, juris Rn. 51 ff.

-, Rn. 28, juris). უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მოსარჩელის მოთხოვნისთვის ზიანის ანაზღაურებაზე საოჯახო საქმეების შეფერხების გამო, მნიშვნელოვანია მისი შრომისუნარიანობის გამოყენების კონკრეტული წარმატება, რამდენადაც იგი შეფერხდა და კვლავაც ფერხდება მოცემული საგზაო შემთხვევის შედეგად (BGH, 1996 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი - VI ZR 247/95 - Rn. 8, juris). ამ კონკრეტული ზიანის დადგენისთვის, რომელიც ეფუძნება გსკ-ის 249-ე პარაგრაფს, გსკ-ის 844-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილისგან განსხვავებით, მნიშვნელობა არ აქვს, რა მასშტაბით იყო მოსარჩელე საოჯახო სამართალში ვალდებული საოჯახო საქმიანობის შესრულებაზე; გადამწყვეტია მხოლოდ ის, თუ რა საქმიანობას შეასრულებდა იგი მომავალში, უბედური შემთხვევა რომ არ მომხდარიყო (BGH, 1996 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი - VI ZR 247/95 - Rn. 8, juris; BGH, VersR 1974, 1016;...). ოჯახის წევრების თანამშრომლობის ვალდებულება მხედველობაში მიიღება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს დახმარება ფაქტობრივად იქნა გაწეული (შდ. BGH, 1974 წლის 7 მაისის განაჩენი - VI ZR 10/73 - VersR 1974, 1016...).

a) … საოჯახო საქმეების გაძღოლაში ანაზღაურებადი ზიანისთვის საზომია დაზარალებულის კონკრეტული, სპეციფიკური საოჯახო შეზღუდვა, ე.ი. საკითხი, თუ რა მასშტაბით არის იგი შეფერხებული მის მიერ აღებული საოჯახო საქმიანობის შესრულებაში დაზიანების გამო (სენატი, 2020 წლის 7 ოქტომბრის განაჩენი - 10 U 1813/20 -, Rn. 5, juris)...

(1) საჭირო სამუშაო დროის გამოთვლა

პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს საჭირო სამუშაო დროი (კვირაში სამუშაო საათებში), რომელიც ობიექტურად არის საჭირო საოჯახო საქმეების გაგრძელებისთვის საშუალო სტატისტიკური შემცვლელი ძალის მიერ (შდ. BGH NJW-RR 1990, 34 …; OLG Karlsruhe NJW-RR 2009, 882, 884) ადრე არსებული მოცულობით (§ 249 BGB-ის სუბიექტურ-ობიექტური საზომი).

ზიანის დადგენის საფუძველია დრო, რომელიც დაზარალებულმა ზიანის მიყენებამდე დახარჯა საოჯახო საქმეების გაძღოლაზე, ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს დაზარალებულის ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ გარემოებებს (შდ. OLG Dresden, 2020 წლის 29 მაისის განაჩენი - 22 U 699/19, VersR 2020, 1384, 1386; ...).

ამისთვის მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს. სამტკიცებელია, თუ რა საქმიანობას ასრულებდა კონკრეტულ ოჯახში დაზარალებული ავარიამდე ფაქტობრივად, მათ შორის, ამისთვის გამოყენებული დრო, და რა საქმიანობას ვერ ასრულებს ან სრულად ვერ ასრულებს დაზარალებული უბედური შემთხვევის შედეგად გამოწვეული შეზღუდვების გამო, მას შემდეგ, რაც უზრუნველყოფის საზოგადოებაში განხორციელდა რეორგანიზაციის ღონისძიებები ან გამოიყენებოდა ტექნიკური დამხმარე საშუალებები (…), და რა დროის სხვაობაა საჭირო საქმიანობისთვის ზიანის მიყენების მოვლენის შემდეგ (…). ამისთვის საჭიროა საკმარისად არსებითი მტკიცება (…), თუმცა, გადაჭარბებული მოთხოვნები არ უნდა წაეყენოს (…).

ამ მხრივ, არასაკმარისია მხოლოდ ცხრილების მითითება (…).[75] *თუმცა, უმაღლესი ფედერალური სასამართლო მუდმივ სასამართლო პრაქტიკაში (შდ. BGH, VersR 2012, 905; 2009, 515) აღიარებს, რომ დასაშვებია ორიენტირება აღიარებულ ცხრილებზე, თუ არ არსებობს კონკრეტული განსხვავებული ასპექტები და დაზარალებულმა არსებითად წარმოადგინა თავისი*

[75] ავტორების შენიშვნა: გერმანიაში არსებობს ვრცელი ცხრილები, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი, თუ რა დანახარჯებია, როგორც წესი, საჭირო საოჯახო საქმეების შესასრულებლად (ბინის ზომის, ოჯახის წევრების რაოდენობის, ცხოვრების სტილის და ა. შ. მიხედვით) და რა საქმიანობებზე ნაწილდება ეს დანახარჯები კონკრეტულად; მაგალითად, საყიდლებზე სიარული, დალაგება, საჭმლის მომზადება და ა. შ. ეს ცხრილები ასევე შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ანაზღაურება უნდა ჩაითვალოს შესაბამისად საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევისთვის, არსებული ტარიფების შესაბამისად. საავტორო უფლებების გამო, ამ ცხრილებიდან ამონაწერი აქ არ არის მოყვანილი. თუმცა, ილუსტრაციისთვის საჭირო ამონაწერები შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში საძიებო სისტემების მეშვეობით საკვანძო სიტყვებით *„Haushaltsführungsschaden Tabelle“*.

ცხოვრებისეული მდგომარეობა როგორც ავარიამდე, ისე მის შემდეგ, რათა გსსკ-ის 287-ე პარაგრაფის შესაბამისად შესაძლებელი იყოს დადგენა, თუ რა არსებითი გავლენა იქონია საოჯახო საქმეებზე, რის მიხედვითაც შეიძლება გამოითვალოს საოჯახო ზიანი. ...

სასამართლო შეფასების მეთოდებისთვის საოჯახო საქმეების გაძღოლის ზიანისთვის, ძირითადად, თანაბრად არის ხელმისაწვდომი სხვაობისა და კვოტის მეთოდები (შდ. OLG Dresden, 2020 წლის 29 მაისის განაჩენი - 22 U 699/19 -, VersR 2020, 1384, 1385 და მრ. ნ.). სხვაობის მეთოდში იგულისხმება საოჯახო საქმეებისთვის დახარჯული სამუშაო დროის შედარება ზიანის მიყენების მოვლენამდე იმ დროსთან, რომელიც მხოლოდ ახლა შეიძლება შესრულდეს, რაც დამატებით დროის დახარჯვას მოითხოვს, რათა ობიექტურად ან ტიპიზებულად შესაძლებელი გახდეს საოჯახო საქმეების გაგრძელება ადრე არსებული მოცულობით და ფორმატით, რის შედეგადაც შეიძლება წარმოიშვას შემცირებული ან ზედმეტი საჭიროების მიდგომა (…). კვოტის მეთოდით დგინდება დრო, რომელიც სუბიექტური პირობების მიხედვით არის საჭირო მთლიანი საოჯახო საქმეების შემდგომი გაძღოლისთვის დამხმარის მიერ ადრე არსებულ ან სერიოზულად და გასაგებად მოსალოდნელ სტანდარტში და ეს ხარჯი მრავლდება საოჯახო საქმეების წარმოების უნარის კონკრეტული შეფერხების პროცენტულ მაჩვენებელზე (…).

გამოთვლის ორივე მეთოდისთვის ან საოჯახო საქმეების წარმოების ზიანის სასამართლო შეფასებისთვის გსსკ-ის 287-ე პარაგრაფის შესაბამისად, ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია, რომ დაზარალებულმა, კერძოდ, წარმოადგინოს, რა ზომისაა (რაოდენობის, ასაკის და ოჯახში შემავალი პირების ყოფნის, ასევე საცხოვრებელი და, საჭიროების შემთხვევაში, ბაღის ფართობის მიხედვით) და რა (ტექნიკური) აღჭურვილობა აქვს ოჯახს, რა კონკრეტულ სამუშაოებს, კონკრეტული ხანგრძლივობის ჩათვლით, ასრულებდა იგი თავის ოჯახში ზიანის მიყენებამდე ფაქტობრივად და რა მასშტაბით არის იგი ახლა შეფერხებული ამ საქმიანობაში დაზიანების გამო (შდ. OLG Dresden, 2020 წლის 29 მაისის განაჩენი - 22 U 699/19 -,VersR 2020, 1384, 1385; OLG Düsseldorf, 2019 წლის 2 იანვრის განაჩენი - 1 U 158/16 - Rn. 49, juris; OLG Frankfurt, 2018 წლის 18 ოქტომბრის განაჩენი - 22 U 97/16 - Rn. 37, juris).

გარდა ამისა, საოჯახო საქმეების გაძღოლის ფარგლებში შესრულებული მომსახურება უნდა იყოს ისეთი მოცულობისა და მნიშვნელობის, რომ იგი პროფესიულ საქმიანობას გაუთანაბრდეს.[76] მარტივი, დროდადრო, უმნიშვნელო თანამშრომლობა ან დახმარება მძიმე სამუშაოებში მეუღლის მიერ, რომელიც არ ეწევა საოჯახო საქმეებს, როგორც წესი, არ ქმნის კომპენსაციას დაქვემდებარებულ ზიანს.[77]

თუ ზიანის მიყენების შედეგად ხდება როგორც საკუთარი საჭიროებების გაზრდა, ისე შემოსავლის ზიანი, შეიძლება შეფასდეს, თუ რა ნაწილი ემსახურება საოჯახო საქმეებში უბედური შემთხვევის შედეგად გამოწვეული შეფერხების უზრუნველყოფას და რომელი წარმოადგენს შემოსავლის ზიანს.[78] თუ არ არსებობს მითითებები ფაქტობრივად შესრულებული საოჯახო მომსახურების სხვაგვარ განაწილებაზე, შესაძლებელია კვოტების ფორმირება თავების რაოდენობის მიხედვით; ე.ი. სამი ადამიანისგან შემდგარ ოჯახში 1/3 ოდენობით, რომელიც ემსახურება საკუთარ საოჯახო საქმეების გაძღოლას და, შესაბამისად, მიეკუთვნება გაზრდილ საჭიროებებს, და 2/3 ოდენობით, რომელიც ემსახურება ალიმენტის ვალდებულების შესრულებას და, შესაბამისად, მიეკუთვნება შემოსავლის ზიანს.[79] ამ შემთხვევაში, ვარაუდობენ, რომ პირადი დამოუკიდებელი დროის საჭიროება, როგორიცაა დასუფთავებისთვის ან ბაღის სამუშაოებისთვის, სარგებელს მოუტანს როგორც

[76] Staudinger/Vieweg/Lorz (2023) BGB § 842, Rn. 122.

[77] OLG Hamm, Urteil vom 20. Januar 2006 - 9 U 169/04 - DAR 2007, 87, juris Rn. 14.

[78] BGH, Urteil vom 4. Dezember 1984 - VI ZR 117/83 - NJW 1985, 735, juris 18.

[79] BGH, Urteil vom 4. Dezember 1984 - VI ZR 117/83 - NJW 1985, 735, juris Rn. 18; OLG Köln, Urteil vom 12. Dezember 2014 - I-19 U 39/14 - Schaden-Praxis 2016, 154, juris Rn. 85; Saarländisches Oberlandesgericht Saarbrücken, Urteil vom 31. Januar 2013 - 4 U 349/11 - juris Rn. 49.

თავად დაზარალებულს, ისე მის ოჯახის წევრებს და, შესაბამისად, ემსახურება ორივე მიზანს.[80] მაშინაც კი, თუ ცალკეული ამოცანების სფეროები, უეჭველად, შეიძლება მიეკუთვნოს შემოსავლის ზიანს, როგორიცაა, მაგალითად, ზემოთ ნახსენები ბავშვებზე ზრუნვა საშინაო დავალების შესრულებაში (ან, პირიქით, საკუთარი ტანსაცმლის მოვლა საკუთარი საოჯახო საქმეების გაძღოლისთვის), ქორწინებაში არსებული ოჯახი, როგორც წესი, ისეა მოწყობილი, რომ საქმიანობები ერთმანეთს ემთხვევა და, მთლიანობაში, „ბალანსდება". ამიტომ, როგორც წესი, შეიძლება უარი ითქვას კონკრეტული კლასიფიკაციის (რომელიც, როგორც წესი, განწირულია წარუმატებლობისთვის) მცდელობაზე და თავიდანვე გაიყოს დროის დანახარჯი საოჯახო საქმეების გაძღოლისთვის ოჯახის წევრების რაოდენობის მიხედვით. სხვაგვარად შეიძლება იყოს განსაკუთრებულ ვითარებებში, მაგალითად, მძიმედ დაავადებული ბავშვის მოვლის შემთხვევაში.

თუმცა, ეს ერთიანი კლასიფიკაცია შემოიფარგლება საოჯახო საქმეების გაძღოლისთვის საჭირო დროის კვოტური განაწილებით. რამდენად მაღალია დროის ეს დანახარჯი, (ფაქტობრივი შესაძლებლობების ფარგლებში) კონკრეტულად უნდა იყოს წარმოდგენილი და დამტკიცებული თითოეული ოჯახის სპეციფიკის მიხედვით.[81]

B. შემოსავლის დაკარგვით მიყენებული ზიანი საქართველოში

I. ზოგადი დებულებები

ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმები, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსშია *(შემდგომში სსკ)* მოცემული, შეიძლება ჩაითვალოს მთელი კერძო სამართლისათვის საერთო ზოგად პრინციპებად.[82] სსკ-ის 408-ე-415-ე მუხლებში მოწესრიგებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნათა შინაარსი, რომელთა წინაპირობებიც მოცემულია სხვა ნორმებში. ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში ესენია 394-ე და მომდევნო მუხლები, თუმცა, 408-ე-415-ე მუხლების მოქმედება არ შემოისაზღვრება მხოლოდ ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილით ან სახელშეკრულებო სამართლით. ეს დანაწესები ძალაშია კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის, მათ შორის, დელიქტის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისთვისაც.[83] ზიანის მიყენებით სამართლის სუბიექტის აბსოლუტური უფლებები ირღვევა მაშინ, როდესაც ხელშეკრულებით მხარეთა ბოჭვისას, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მოვალე კრედიტორის რელატიურ უფლებებს არღვევს.[84]

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზიანის ერთიანი ლეგალური დეფინიცია და ცნება ქართული კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული. სსკ-ის 408-ე მუხლი, მისი პირველი ნაწილი, ერთგვარ საკანონმდებლო ასლად გვევლინება გსკ-ის 249-ე პარაგრაფის,[85] ასევე, გარკვეულწილად მოიცავს გსკ-ის 842-ე-843-ე მუხლების რეგლამენტაციის ფარგლებს.

---

80 BGH, Urteil vom 4. Dezember 1984 - VI ZR 117/83 - NJW 1985, 735, juris Rn. 19.

81 შდრ. ზემოთ, ამონარიდების სახით მოყვანილი მიუნხენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილება; OLG München, Urteil vom 10. März 2021 - 10 U 176/20 - RuS 2021, 296, juris Rn. 51 ff.

82 *ცერცვაძე,* კრებულში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2014, გვ. 645.

83 *რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 408-ე მუხლი, ველი 1;

84 *ზოიძე,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ავტორთა კოლექტივი, რედ. ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი, თბილისი, 2001, გვ. 367.

85 *სვანაძე,* დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა წმინდა ეკონომიკური ზიანისათვის, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2022, გვ.15, 16; *კროპჰოლერი,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თარგმანი, თბილისი, 2014, გვ. 868.

სსკ-ის 408-ე მუხლი ადგენს ქცევის შემდეგ წესს:

1. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. 2. თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. 3. დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება. 4. სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი.

ამდენად, სსკ-ის 408-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი ითვალისწინებს **ს**პეციალურ ფორმას 408-ე მუხლის პირველი ნაწილით, 409-ე, 411-ე მუხლებით მოცული ზიანის ანაზღაურებისათვის.[86] სსკ-ის 408-ე მუხლის მე-2, მე-4 ნაწილები წარმოადგენს გამონაკლისს იმ ზოგადი პრინციპიდან, რომ ალტერნატიულ ვალდებულებებში არსებული არჩევანის უფლება ეკუთვნის მოვალეს.[87] ჯანმრთელობის დაზიანება იწვევს როგორც ქონებრივ ზიანს, რომელიც, თავის მხრივ, გამოიხატება მკურნალობის ხარჯებში ან/და შრომისუუნარობის შედეგად გამოწვეულ მიუღებელ შემოსავალში, ასევე - მორალურ ზიანს, რაც მოიაზრებს დაზარალებულის ტანჯვას, ტკივილსა და დისკომფორტს.[88]

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუციის პრეამბულაში ადამიანის ჯანმრთელობა განიმარტება, როგორც ადამიანის ფიზიკური და სულიერი თვალსაზრისით სრულად კარგად ყოფნის მდგომარეობა, სოციალური კეთილდღეობა და არა მხოლოდ ავადმყოფობისაგან ან უძლურებისაგან განთავისუფლება.[89] ჯანმრთელობა მჭიდროდ უკავშირდება შრომის უფლებას.[90] სწორედ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა განაპირობებს მის შრომისუნარიანობასა და სოციალურ კეთილდღეობას. ამასთან, შრომისუნარიანობის შემცირებას ან დაკარგვას, თავისთავად, არ გააჩნია ქონებრივი ღირებულება. ქონებრივი ზიანი მოიცავს შემოსავალს, რომელიც დაკარგა დაზარალებულმა ზიანის მიყენების შედეგად, ანუ ანაზღაურდება არა შრომისუნარიანობის შემცირება/დაკარგვა, არამედ მისი ზემოქმედება დაზარალებულის ქონებრივ მდგომარეობაზე. დაზარალებულს ზიანი ადგება იმით, რომ ჯანმრთელობა აღარ აძლევს საშუალებას, გააგრძელოს შემოსავლის მომტანი საქმიანობა.

სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანებამ პირს შეიძლება დააკარგვინოს შემოსავალი დროებითი ან ხანგრძლივი შრომითი განაცდურის სახით. ასეთ დროს ანაზღაურდება ზიანის არარსებობის პირობებში შესაძლო შრომის ანაზღაურების ოდენობა.[91] შემოსავლის დაკარგვით გამოწვეული ზიანის[92] ანაზღაურების მოთხოვნით აღძრულ სარჩელებზე სასამართლო

---

86 *რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 408-ე მუხლი, ველი 28; სუსგ №ას-1514-2018, 10.07.2020წ., პუნ. 17; სუსგ №ას-762-2023, 12.09.2023წ., პუნ. 43.

87 *ძლიერიშვილი,* კრებულში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2014, გვ. 450.

88 *სვანაძე,* დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა წმინდა ეკონომიკური ზიანისათვის, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2022, გვ. 17-21.

89 *ქოჩაშვილი,* ბრალი სამოქალაქო სამართალში (შედარებით-სამართლებრივი განხილვა), გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბილისი, 2024, გვ. 172; *პეპანაშვილი,* სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბილისი, 2016, გვ. 71.

90 *ლაშაბერიძე/ბახტურიძე,* ჯანდაცვის სამართლის დისციპლინა და მისი განვითარების პერსპექტივა საქართველოში, ჟურნ. „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი", №2/2023, გვ. 35.

91 სუსგ №ას-855-813-2013, 03.02.2014წ.

92 შემოსავლის დაკარგვით გამოწვეული ზიანი (გერმანულად „Erwerbsschaden"), იგივე მიუღებელი შემოსავალი, შრომითი განაცდური - ანაზღაურებული სარჩოს ან კომპენსაციის ფორმით (იხ. *რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.),

პრაქტიკა მდიდარია როგორც გერმანიაში, ისე საქართველოში. შესაბამისად, ზიანის ოდენობის განსაზღვრის, ანაზღაურების ფორმის საკითხების გერმანულ-ქართული ასპექტების შეჯერებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

II. შრომითი განაცდურის გამოთვლა და გადახდის ფორმა

1. შრომითი განაცდურის გამოთვლა დაქირავებული მუშაკისთვის

დაქირავებული მუშაკის (შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული, საჯარო მოხელე) განაცდური გამოითვლება, ძირითადად, ნეტო ხელფასის (დაბეგრილი, ხელზე ასაღები) მიხედვით, რასაც უნდა დაემატოს მიღებული ზიანის ანაზღაურებისათვის გადასახდელი გადასახადის თანხა.[93]

დასაქმებულისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მოქმედებს ვარაუდი, რომ დაზიანების გარეშე ის განაგრძობდა მუშაობას და მიიღებდა შესაბამის ხელფასს.[94] ქონებრივი ზიანის გამოთვლის დროს სავარაუდო, ანდა არსებულ პირვანდელ ქონებრივ მდგომარეობას უნდა შევადაროთ დაზარალებულის ამჟამად არსებული მდგომარეობა.[95]

პროფესია არის ადამიანის შრომითი საქმიანობის სახე, რომელსაც ის ფლობს სპეციალური განათლების შედეგად მიღებული ცოდნით, უნარითა და გამოცდილებით.[96] პროფესიული შრომისუნარიანობა კი, ესაა ადამიანის უნარი, შეასრულოს განსაზღვრული კვალიფიკაციისა და მოცულობის სამუშაო სათანადო ხარისხით. თუ დაზარალებულს აქვს რამდენიმე პროფესია, შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის განსაზღვრისას მისი არჩევით ძირითად პროფესიად ჩაითვლება ის, რომელი პროფესიითაც მუშაობდა დაზარალებული შრომითი დასახიჩრებისას ან რომელი პროფესიითაც აქვს ხანგრძლივი მუშაობის სტაჟი, აგრეთვე პროფესია, რომელშიც მიენიჭა უმაღლესი კვალიფიკაცია. იმ მოსწავლეს (სტუდენტს), რომელმაც მიიღო შრომითი დასახიჩრება საწარმოო პრაქტიკის გავლისას, ძირითად პროფესიად ჩაეთვლება ის პროფესია, რომელშიც გადის სწავლებას.[97]

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში შემოსავლის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ოდენობის დადგენა ხდება ნაწილობრივ კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით, ნაწილობრივ კი ორიენტირად გამოიყენება საქართველოს კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის დადგენის მეთოდიკა (რომელიც ნაწილობრივ იმეორებს გერმანულ სამართალში არსებულ შრომისუნარიანობის შემცირების პროცენტულ

გრადაციას, თუმცა იგი პირდაპირ არ ეხება ზიანის ანაზღაურების სამოქალაქოსამართლებრივ მოთხოვნებს). აღნიშნულ კანონში პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის გამოთვლის წესი ნორმატიულად არის რეგულირებული. ასე მაგალითად, თუ დაზარალებულს აქვს ორგანიზმის ფუნქციის გამოხატული დარღვევა, რაც შეუძლებელს ხდის ან აბრკოლებს ნებისმიერი შრომის შესრულებას, მათ შორის, სპეციალურად შექმნილ პირობებშიც კი, უდგინდება პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვა 100 (ასი) პროცენტით. თუ დაზარალებულს შეუძლია შეასრულოს სამუშაო მხოლოდ სპეციალურად შექმნილ პირობებში, პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვა განისაზღვრება არანაკლებ 70 (სამოცდაათი) პროცენტით. თუ დაზარალებულს შრომითი დასახიჩრების შედეგად შეუძლია შეასრულოს თავისი

2019, 408-ე მუხლი, ველი 28, 29; *რუსიაშვილი/ბათლიძე,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 411-ე მუხლი, ველი 15).

93 *რუსიაშვილი, ბათლიძე,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 411-ე მუხლი, ველი 15.

94 სუსგ №ას-62-2023, 16.03.2023 წ., პუნ. 5.2., 19.

95 *სვანაძე,* დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა წმინდა ეკონომიკური ზიანისათვის, სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი, 2022, გვ. 18.

96 საქართველოს კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ 3 ვ) მუხლი.

97 იხ. იმავე კანონში, 21 I და II მუხლი.

პროფესიული საქმიანობა, მაგრამ ნაკლები მოცულობით ან კვალიფიკაციის დაქვეითებით და ანაზღაურების შემცირებით, ან მან დაკარგა კვალიფიკაცია, მაგრამ შეუძლია შეასრულოს შედარებით დაბალი კვალიფიკაციისა და მცირე ანაზღაურების სხვა პროფესიის სამუშაო, პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხი განისაზღვრება 25-დან (ოცდახუთი) 60 (სამოც) პროცენტამდე, სამუშაოს მოცულობის, ანაზღაურების შემცირებისა და კვალიფიკაციის დაქვეითების მიხედვით. თუ დაზარალებულს შეუძლია მუშაობის გაგრძელება თავისი პროფესიით, რასაც თან სდევს ანაზღაურების შემცირება, ან თავისი პროფესიით, მაგრამ წინანდელზე უფრო მეტი დაძაბულობით, პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხი დგინდება 25 (ოცდახუთ) პროცენტამდე.[98]

მნიშვნელოვანია, განიმარტოს, შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის დადგენა რელევანტურია მხოლოდ ქმედობაუნარიანობის შეზღუდვის ხარისხის განსაზღვრისას, იმისათვის, რათა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირმა ისარგებლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი, სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული სოციალური ხასიათის პროგრამებით გათვალისწინებული შეღავათებით, თუ გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაზარალებული ითხოვს ზიანის ანაზღაურებას სარჩოს დანიშვნის ან ერთჯერადი კომპენსაციის გადახდის გზით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში მოიპოვება მრავალი გადაწყვეტილება, სადაც პროფესიული შრომის უნარის დაკარგვისა თუ შემცირების ხარისხის შესახებ დასკვნის საფუძველზე განისაზღვრა სარჩოს ოდენობა, ზიანის ანაზღაურება ხელფასის სახით ხელზე ასაღები თანხის იმდენი პროცენტით, რამდენითაც აქვს პირს პროფესიული შრომის უნარი შემცირებული.[99]

ამასთან, არსებობს საქმეები, სადაც საკასაციო პალატა არ შეიზღუდა დაზარალებულის პროფესიული შრომის უნარის დაკარგვის პროცენტული მაჩვენებლით. ასე მაგალითად, ერთერთ საქმეზე განიმარტა, რომ დასაქმებულის შრომისუნარიანობის 65%-ით დაკარგვა ასანაზღაურებელი სარჩოს ოდენობაზე გავლენას ვერ იქონიებს. ის გარემოება, რომ ჯანმრთელობის დაზიანების გამო მოსარჩელემ დაკარგა სამუშაო და შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა, თავის მხრივ, წარმოშობს საფუძვლიან და კანონიერ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის არარსებობის პირობებში, მუშაკი განაგრძობდა მუშაობას და მიიღებდა ხელფასს. სარჩოს ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც სარჩოს მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი მიიღებდა ხელფასს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო.[100] ასევე საქმეზე, სადაც დაზარალებულს დაკარგული ჰქონდა საერთო შრომისუნარიანობა 70%-ით, საკასაციო პალატამ გონივრულად მიიჩნია სარჩოს - ხელფასის სრული ოდენობით დაკისრება.[101]

პროფესიული შრომის უნარის სრულად დაკარგვის დროს მოპასუხეს ეკისრება მოსარჩელის ყოველთვიური ე.წ. ხელზე ასაღები, ანუ ნეტო ხელფასი სრული ოდენობით.[102]

დაკარგული შემოსავლის ანაზღაურება შესაძლოა დროებითი შრომისუუნარობის დროსაც. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც დაზარალებული იყო ადვოკატი, რომელიც ითხოვდა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანების გამო კონკრეტული დღეების განმავლობაში კლიენტის დავალების (კლიენტის სახელზე უძრავი ქონების აღრიცხვისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება) შეუსრულებლობით დაკარგულ შემოსავალს, სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა იმაზე მითითებით, რომ არ დგინდებოდა დავალების შემდგომ დღეებში განხორციელების შეუძლებლობა.[103]

პროფესიული შრომის უნარის დაკარგვისას ან შემცირებისას ზიანი გამოიხატება სწორედ იმით, რომ ჯანმრთელობის დაზიანების გამო პირი ვეღარ აგრძელებს არჩეული, სასურველი

[98] იხ. იმავე კანონში, 22-ე მუხლი.

[99] მათ შორის იხ.: სუსგ №ას-92-87-2013, 01.07.2013 წ; №ას-322-303-2014, 09.06.2014 წ; №ას-1195-2022, 16.12.2022 წ; №ას-1198-2022, 28.04.2023 წ.

[100] სუსგ №ას-1584-2022, 09.11.2023წ., პუნ. 16, 17.

[101] სუსგ №ას-1310-2018, 30.04.2020წ., პუნ. 16.

[102] სუსგ №ას-1295-1215-2017, 15.05.2018წ., პუნ. 10, 19.1.

[103] სუსგ №ას-462-2024, 03.10.2024წ., პუნ. 20-22.

პროფესიით მუშაობას ან ამისათვის დამატებითი ძალისხმევა ესაჭიროება და იზრდება მისი მოთხოვნილებები, რადგან იძულებულია, სხვაგვარად დასაქმდეს, ახალ სამუშაო პირობებთან ადაპტაცია გაიაროს, ან, თუნდაც, იმავე შრომითი მოვალეობების შესრულება მისთვის, სხვა დასაქმებულებთან შედარებით, გართულებულია და სპეციალური პირობების შექმნას საჭიროებს.[104]

ასე მაგალითად, საქმეში, სადაც მოსარჩელე ითხოვდა მის სახლში მრიცხველების გარეთ გატანის სამუშაოების დროს აფეთქებით გამოწვეული სმენის დაქვეითებისათვის სარჩოს, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მასზე, რომ მოსარჩელე კვლავ მოღვაწეობს ხელოვნების სკოლაში, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, ღონისძიებებზე გაჰყავს მოსწავლეები, თუმცა, იგი ამას აკეთებს სმენის სპეციალური ხელსაწყოთი. ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით, მართებულად იქნა მიჩნეული ყოველთვიური სარჩოს თაობაზე მოთხოვნის ნაწილობრივ, ხელფასის 50%-ის ფარგლებში, დაკმაყოფილება.[105]

შრომისუნარიანობის შემცირება ან დაკარგვა არ განისაზღვრება აბსტრაქტულად, დაზიანების ხარისხის შესაბამისად, არამედ, კონკრეტულად, რეალური შემოსავლის დაკარგვის მიხედვით.[106] თუ დაზიანების გამო დაზარალებული ვეღარ ახერხებს შემოსავლის მომტანი საქმიანობის გაგრძელებას, ზიანისა ოდენობის გამოთვლისათვის გადამწყვეტია, თუ რამდენად შეუძლია მას, გამოიყენოს შერჩენილი შრომის უნარი.[107]

ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შრომის უნარის შემცირების დადგენისას, სასამართლომ უნდა იმსჯელოს - შენარჩუნებული პროცენტის ფარგლებში, საერთოდ შეძლებს თუ არა დაზარალებული რაიმე სამუშაოს პოვნას.

2. შრომითი განაცდურის გამოთვლა თვითდასაქმებული პირისთვის

თვითდასაქმებულის შემთხვევაში, რომელიც, მაგალითად, საკუთარ საწარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მუშაობს მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, ზიანის ანაზღაურების ფორმით მიუღებელი შემოსავლის კომპენსირების დროს, პირველ რიგში, ის ნეტო მოგება ანაზღაურდება, რომელსაც დაზარალებული მიიღებდა შრომისუუნარობის პერიოდის განმავლობაში ზიანის გამომწვევი შემთხვევის გარეშე.[108]

თვითდასაქმებულის მიერ შემოსავლის დაკარგვით გამოწვეული ზიანის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას უნდა დადგინდეს საქმიანობა, საიდანაც იგი იღებდა შემოსავალს, ასევე - აქედან მიღებული შემოსავლების ოდენობა. მაგალითად, მისი საწარმოს შემოსავლები ზიანის მიყენებამდე და შემდგომ. განსაკუთრებით რთულია საკუთარ მეურნეობაში (მაგალითად: მებაღეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა) თვითდასაქმებული პირის შემოსავლის განსაზღვრა, როცა შემოსავალს ნატურით (სოფლის მეურნეობის პროდუქტებით) იღებდა.

თვითდასაქმებულისთვის ზიანის ანაზღაურების დროს ასევე მოქმედებს ვარაუდი, რომ დაზიანების გარეშე დაზარალებული განაგრძობდა მუშაობას და მიიღებდა შესაბამის შემოსავალს.[109]

3. ზიანის მიყენების მომენტში უმუშევარი/დაუსაქმებელი ან შრომითი ქმედუნარიანობის ასაკს მიუღწეველი პირის უფლება შემოსავლის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე

მნიშვნელოვანია განისაზღვროს, აქვს თუ არა დაზარალებულს შემოსავლის დაკარგვით

[104] სუსგ №ას-92-87-2013, 01.07.2013 წ.

[105] სუსგ №ას-660-660-2018 (კასატორი – შპს „ყ-თ-ი"), 10.07.2018 წ., პუნ. 49-56.

[106] *რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 408-ე მუხლი, ველი 29; BGH NJW 1970, 1411; BGH NJW-RR 1991, 470.

[107] *რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 408-ე მუხლი, ველი 29; *Spindler,* in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 843, Rn. 8; სუსგ №ას-1248-2023, 16.11.2023წ., პუნ. 43.

[108] იხ. *რუსიაშვილი/ბათლიძე,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 411-ე მუხლი, ველი 15, ასევე: *Oetker,* in MüKo BGB, 7. Aufl. 2016, § 252, Rn. 24.

[109] სუსგ №ას-62-2023, 16.03.2023 წ., პუნ. 5.2., 19.

გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მაშინ, როცა არ მუშაობდა და არც თვითდასაქმებული იყო, როდესაც მის ჯანმრთელობას მიაყენეს მისი შრომისუუნარობის გამომწვევი ზიანი. უმუშევარი პირის შემთხვევაში შრომის უნარის შეზღუდვით გამოწვეული ზიანი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად სავარაუდო იყო მის მიერ დაზიანების გარეშე სამუშაოს პოვნა.[110] ასეთ დროს მნიშვნელოვანია, როგორც ზიანის მიყენების მომენტში არსებული გარემოებების გამოკვლევა, ისე მოვლენათა ჰიპოთეტური განვითარების ანალიზი. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც დაზარალებული ზიანის მიყენების მომენტში არ იყო დასაქმებული, სასამართლომ განმარტა, რომ ამ ფაქტს არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა შრომისუნარიანობის დაკარგვისას თანხის დაკისრებისთვის. სსკ არ ითვალისწინებს ამ ფაქტის გამო კომპენსაციაზე უარის თქმას, ასევე, მოსარჩელის დაუსაქმებლობა ზიანის მიყენების მომენტში არ ნიშნავდა იმას, რომ ის არასოდეს დასაქმდებოდა.[111]

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ზიანის მიყენების მომენტში პირი ჯერ არ არის შრომითი ქმედუნარიანობის ასაკს მიღწეული,[112] ასეთ დროს ისევ დაზარალებულის მომავლის ჰიპოთეტურ განვითარებაზე მსჯელობს სასამართლო. ასე მაგალითად, საქმეში, სადაც დადგინდა, რომ არასრულწლოვანმა ელექტროქვესადგურის ჩამოქცეულ დამცავ ნაგებობაში მაღალი ძაბვის ელექტროდენის დარტყმის შედეგად მიიღო თერმული დაზიანება, ჩაუტარდა ორივე ხელის ამპუტაცია და დაკარგა შრომისუნარიანობა 2/3-ზე მეტით, სასამართლომ განმარტა შემდეგი: შრომის უნარის შეზღუდვის გამო, დაზარალებული ვერ ახერხებდა მუშაობას, რის გამოც მას არ ჰქონდა უნარი, მიეღო შემოსავალი ხელფასის სახით. სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა ყოველთვიური სარჩოს დაკისრებასთან დაკავშირებით, მიყენებული ზიანის ადეკვატური იყო.[113] სასამართლო დაეყრდნო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს, რომელთა თანახმად, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2010 წლისათვის შეადგენდა 597,6 ლარს, ხოლო 2011 წლისათვის - 655,4 ლარს. აღნიშნული თანხები დაეკისრა ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ მოპასუხეს მოსარჩელის სრულწლოვანებიდან.[114]

აქვე დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სარჩოს გადახდით ანაზღაურებად ზიანს განეკუთვნება საოჯახო საქმიანობით დაკავებული მეუღლის შრომისუნარიანობის შემცირებაც.[115]

4. მტკიცების სტანდარტის შემსუბუქება; დაზარალებულის კარიერული წინსვლის პერსპექტივა და მის სასარგებლოდ მოქმედი ვარაუდი

პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვა/შემცირება შეიძლება როგორც უვადოდ, ისე განსაზღვრული პერიოდის მანძილზე. როდესაც საუბარია უვადოდ დაკარგვაზე/შემცირებაზე, მოქმედებს ვარაუდი: რომ არა მისი ჯანმრთელობის დაზიანება, დასაქმებულს შეეძლო არა მხოლოდ ემუშავა, არამედ კარიერული დაწინაურების პრინციპითაც ესარგებლა.[116] ასეთ დროს სასამართლო მსჯელობს დაზარალებულის მიერ დაკარგული შემოსავლის ჰიპოთეტურ ოდენობაზე, რა დროსაც მტკიცების სტანდარტი მსუბუქდება. თუ საქმეზე დადგენილი გარემოებებით საპირისპირო არ დასტურდება, მოქ-

[110] *რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 408-ე მუხლი, ველი 30.

[111] თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2ბ/679-12, 10.07.2012 წ.., პუნ.4.2.; *რუსიაშვლი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 408-ე მუხლი, ველი 30.

[112] იხ. საქართველოს შრომის კოდექსის მე-10 მუხლი. შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა და სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი.

[113] სუსგ №ას-543-518-2016, 23.12.2016 წ., პუნ. 6.3.

[114] იხ. იქვე, პუნ. 6.6.

[115] დაწვრილებით იხ: *რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 408-ე მუხლი, ველი 30.

[116] სუსგ №ას-1584-2022, 09.11.2023წ., პუნ. 19.

მედებს პრეზუმფცია, რომ დაზარალებული წარმატებით განაგრძობდა მუშაობასა და კარიერულ წინსვლას.

ერთ-ერთ საქმეზე, სადაც დადგინდა, რომ სარჩელის აღძვრის დროისათვის მოსარჩელე 60 წლის იყო და მან დაკარგა 60%-ით პროფესიული საქმიანობის უნარი, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა მტკიცება იმის თაობაზე, რომ დასაქმებულის სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე (სადგურის მორიგედ მუშაობდა ტრავმის მიღებამდე), ის ვერ შეინარჩუნებდა იმ სპეციფიკურ უნარებსა და ისეთსავე ჯანმრთელობას, როგორიც ადრე ჰქონდა (დასახიჩრებამდე) და საპენსიო ასაკის მიღწევამდე ვერ გაივლიდა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ სპეციალურ შემოწმებას. პალატის განმარტებით, დადგენილი წესით გადამოწმების შედეგად როგორი ჯანმრთელობის მდგომარეობა ექნებოდა დასაქმებულს, ეს მხოლოდ სავარაუდო საკითხია და ობიექტურად ვერ იქნა გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებით. ასეთ შემთხვევაში არ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ დასაქმებული ვერ გაივლიდა შემოწმებას; რომ არა პროფესიული შრომისუნარიანობის უვადოდ დაკარგვა, დასაქმებულს შეეძლო არა მხოლოდ ემუშავა, არამედ კარიერული დაწინაურების პრინციპითაც ესარგებლა და საკუთარი შრომით არათუ მის მიერ მანამდე დაკავებულ პოზიციაზე განსაზღვრული და შემდეგ გაზრდილი ოდენობის ხელფასი, არამედ უფრო მეტი ანაზღაურება გამოემუშავებინა. ამდენად, ყველა ვარაუდი იმ პირის სასარგებლოდ მოქმედებს, რომელსაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო დაუზიანდა ჯანმრთელობა და მოეშალა შრომის უნარი ნაწილობრივ ან სრულად.[117]

5. პროფესიული გადამზადება

პროფესიული შრომის უნარის დაკარგვისას ან შემცირებისას ზიანი გამოიხატება სწორედ იმით, რომ ჯანმრთელობის დაზიანების გამო, პირი ვეღარ აგრძელებს მის მიერ არჩეული, სასურველი პროფესიით მუშაობას ან ამისათვის დამატებითი ძალისხმევა ესაჭიროება.[118] შესაბამისად, თუ დაზარალებულის შენარჩუნებული შრომისუნარიანობის ფარგლებში დასაქმებისათვის საჭიროა მისი პროფესიული გადამზადება, ასეთი ეკონომიკური რესურსიც ზიანია.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილი ზიანის მიყენებად განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც მიღებული ტრავმის შედეგად პირს ესაჭიროება პროფესიული გადამზადება. აღნიშნული გულისხმობს შემთხვევებს, როცა ჯანმრთელობის დაზიანების გათვალისწინებით, გადამზადების გარეშე, დაზარალებული ვეღარ განახორციელებს თავის პირვანდელ მოვალეობებს ან ვერ დასაქმდება სხვა სამსახურში, თუნდაც საერთო შრომის უნარი დაქვეითებული არც ჰქონდეს.

6. კომპენსაციის მოთხოვნა

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-4 ნაწილით, სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარისათვის დაკისრებული სარჩო შეიძლება შეიცვალოს ერთჯერადი კომპენსაციით იმ შემთხვევაში, თუკი მხარე ამგვარი ცვლილებისთვის მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობას სათანადოდ დაასაბუთებს. ზიანის მიმყენებელს არა აქვს უფლება, კომპენსაციის შეთავაზებით გათავისუფლდეს სარჩოს რეგულარული გადახდის ვალდებულებისაგან.[119]

საქმეზე, სადაც დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა, დიაგნოზის გათვალისწინებით, 5 წელიწადში სავალდებულო გადამოწმებას ექვემდებარებოდა, სასამართლომ გონივრულად მიიჩნია მოპასუხისთვის 5 წლის სარჩოს ოდენობით კომპენსაციის ერთიანად დაკისრება.[120] სხვა საქმეზე კი, სადაც დაზარალებულს,

[117] სუსგ №ას-62-2023, 16.03.2023წ; სუსგ №ას-812-2023, 29.09.2023 წ., პუნ. 21; სუსგ №ას-1248-2023, 16.11.2023წ., პუნ. 45.

[118] სუსგ №ას-322-303-2014, 09.06.2014წ; №ას-92-87-2013, 01.07.2013წ.

[119] *რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 408-ე მუხლი, ველი 36; *Spindler,* in Beck OK BGB, 41. Aufl., 2016, § 843, Rn. 32.

[120] სუსგ №ას-453-428-2014, 11.07.2014წ.

რომელიც ფორტეპიანოს პედაგოგი იყო და ხელის მტევანზე არასწორად ჩატარებული ოპერაციის შედეგად მიადგა ზიანი (მარჯვენა მტევნის მეხუთე თითის მოხრის შეუძლებლობა), მოპასუხეს ერთიანი კომპენსაციის სახით დაეკისრა დაზარალებულის საპენსიო ასაკამდე დარჩენილ პერიოდზე (65 თვე) გასაცემი ხელფასი.[121]

მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც: კომპენსაციას დროში გაწელილ სარჩოსთან შედარებით უკეთესი ზეგავლენა ექნება დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე; გარდა ამისა, ერთიანი კომპენსაციის გადახდამ შესაძლებელია, დაზარალებულს დამოუკიდებელი (სამეწარმეო) საქმიანობის წამოწყების შესაძლებლობა მისცეს.[122] მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა დასაბუთდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

III. სარჩოს გადაანგარიშება

1. სარჩოს გადაანგარიშების კრიტერიუმი

საკასაციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების მიზნიდან გამომდინარე, რომლის არსი დაზარალებულის კომპენსირებაა, გასათვალისწინებელია დაზარალებულის შემოსავალი ზიანის დადგომამდე, ორგანიზაციაში მუშაობისას და ზიანის დადგომის შემდგომი პერიოდი, როდესაც შრომის უნარის შეზღუდვის გამო, დაზარალებული ვეღარ ახერხებდა მუშაობას და ამის გამო, მას უკვე არ ჰქონდა უნარი, მიეღო შემოსავალი ხელფასის სახით. შესაბამისად, სარჩოს სახით, ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმს სწორედ ხელფასის ის ოდენობა წარმოადგენს, რასაც დაზარალებული იღებდა დაწესებულებიდან ჯანმრთელობის დაზიანებამდე; საქმეზე, სადაც დადგინდა დაზარალებულის თანრიგის მუშაკების ხელფასის გარკვეულ პერიოდში ზრდა, სარჩო უნდა გადაანგარიშდეს მუშაკის გაზრდილი ხელფასის პროპორციულად.[123]

2. დაზარალებულის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა

პრაქტიკაში დაისვა საკითხი, ექვემდებარება თუ არა სარჩო გადაანგარიშებას დაზარალებულის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევის შემდგომ.

სარჩოს მიღების უფლების ხანგრძლივობა პირდაპირ, პროპორციულად დაკავშირებულია დაზარალებულის მხრიდან ხელფასის მიღების შესაძლებლობასთან. სარჩოს ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების დადგომა, პირს ართმევს შესაძლებლობას, ჰქონდეს სამუშაო და იღებდეს შესაბამის შრომით ანაზღაურებას. სარჩოს მიღებით ხდება პირისათვის შემოსავლის მიღების უზრუნველყოფა ზიანის არარსებობის პირობებში შესაძლო შრომის ანაზღაურების შესაბამისად. თავად ის გარემოება, რომ ჯანმრთელობის დაზიანების გამო პირი კარგავს სამუშაოს და შესაბამისი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას, თავის მხრივ, წარმოშობს საფუძვლიან და კანონიერ ვარაუდს იმასთან დაკავშირებით, რომ ზიანის არარსებობის პირობებში, იგი განაგრძობდა მუშაობას და მიიღებდა ხელფასს. სარჩოს ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც სარჩოს მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი მიიღებდა ხელფასს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო. საკასაციო პალატის განმარტებით, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ 65 წლამდე დაზარალებული იმუშავებდა და ზიანის მიმყენებელი ვალდებულია, სარჩოს სახით აუნაზღაუროს მას ზიანი. საპენსიო ასაკის მიღწევისას კი, იცვლება პრეზუმფციის შინაარსი და იგი მოქმედებს საწინააღმდეგო მნიშვნელობით. ვარაუდის ჭრილში, უკვე განიხილება დაზარალებულის მუშაობის პერსპექტივა და ამგვარი, საგამონაკლისო შემთხვევე-

[121] სუსგ №ას-714-669-2010, 25.10.2010წ.

[122] *რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 408-ე მუხლი, ველი 36; სუსგ №ას-852-2020, 12.04.2022წ., პუნ. 10, 11.

[123] სუსგ №ას-1289-1209-2017, 23.02.2018 წ., პუნ. 18.

ბის დადასტურების მოვალეობა დაზარალებულის პროცესუალურ ვალდებულებას წარმოადგენს.[124]

საპენსიო ასაკს მიღწეულმა უნდა ამტკიცოს, რომ მის ასაკში მყოფი პირები დასაქმებული არიან კონკრეტულ დარგში და რომ ხანდაზმული ასაკი დაბრკოლებას არ წარმოადგენს კონკრეტულ სფეროში საქმიანობისთვის. ასე მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა, რომ მას ზიანის არარსებობის პირობებში შეეძლო შეესრულებინა ელექტრომომარაგების დისტანციების ელექტრომონტიორის სპეციფიკური ფუნქციები იმგვარად, რომ დამსაქმებელთან შეენარჩუნებინა მისთვის ამ მიმართულებით სამუშაო ადგილი საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგაც.[125] ამდენად, სარჩოს ხანგრძლივობა შემოსავლის დაკარგვის გამო განისაზღვრება ამ შემოსავლის მომტანი საქმიანობის ხანგრძლივობის მიხედვით, დაქირავებული მუშაკის შემთხვევაში კი, ჩვეულებრივ, მისი გადახდის ვალდებულება სრულდება საპენსიო ასაკის მიღწევასთან ერთად.[126] ამასთან, საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ, მართალია, ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არარსებობის პირობებში, დაზარალებული საპენსიო ასაკამდე იმუშავებდა, თუმცა დაზარალებულისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდის ვალდებულება მისი სიცოცხლის განმავლობაში კვლავაც ეკისრება საწარმოს.[127]

3. სარჩოს გადაანგარიშება დაზარალებულის სამუშაო ადგილის/თანამდებობის გაუქმების შემთხვევაში

მიუღებელი შემოსავლის საკითხზე მსჯელობისას გადამწყვეტია არა ზიანის სავარაუდოობა დამზიანებლის (ან მესამე პირის) პროსპექტიული პოზიციიდან, არამედ მოვლენათა ალტერნატიული განვითარების რეტროსპექტიული შეფასება.[128]

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატას უნდა განემარტა: ზიანის მიყენებამდე დაზარალებულის მიერ დაკავებული თანამდებობის ყოფილ დამსაქმებელთან გაუქმების შემდგომ, უნარჩუნდებოდა თუ არა დაზარალებულს სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსკ-ის 408-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით, ანაზღაურებადია მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მიზეზშედეგობრივად (კაუზალურად) გამომდინარეობს დამზიანებლის პასუხისმგებლობის წარმომშობი ქმედებიდან.[129] სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. „უშუალო შედეგი" გულისხმობს არა ყოფითი, არამედ ნორმატიული გაგებით უშუალოს. იგი უნდა შეფასდეს ნორმატიული პერსპექტივიდან - იცავს თუ არა კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ვალდებულება დაზარალებულს ამ ზიანისაგან. დელიქტურ სამართალში ზიანის მიზეზშედეგობრიობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია დარღვეული ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულების მიზანი ან დაზიანებული სიკეთის დაცული სფერო. სამართლის ნორმა არ და ვერ უზრუნველყოფს გენერალურ დაცვას ზოგადად ზიანის მომტანი ქმედებისაგან, არამედ იცავს მხოლოდ განსაზღვრული სიკეთეების განსაზღვრული ფორმით დაზიანებისაგან, რაც ყოველი ცალკეული ნორმის განმარტებით უნდა დადგინდეს.[130] საეჭვოობისას უნდა მოხდეს დაზარალებულის დაცულ ინტერესსა და დამზიანებლის

[124] სუსგ №ას-1087-2018, 08.04.2020 წ., პუნ. 27, 28; №ას-155-151-2016, 26.08.2016წ., პუნ. 17, 18; №ას-1220-1145-2015, 03.06.2016წ., პუნ. 18-20; №ას-738-690-2017, 11.07.2017წ., პუნ. 16.4; №ას-563-563-2018, 15.06.2018წ., პუნ. 32-34, 40; №ას-1039-2018, 06.11.2018წ., პუნ.13.6, 21.

[125] სუსგ №ას-738-690-2017, 11.07.2017წ., პუნ. 16.5.

[126] BGH NJW 1995, 3313; BGH NJW-RR 1995, 1272; *რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 408-ე მუხლი, ველი 34.

[127] სუსგ №ას-1248-2023, 16.11.2023 წ., პუნ. 42; №ას-1163-2024, 23.12.2024წ., პუნ. 13; №ას-1220-1145-2015, 03.06.2016წ., პუნ. 20.

[128] *რუსიაშვილი/ბათლიძე,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 411-ე მუხლი, ველი 9.

[129] სუსგ №ას-1305-2020, 21.06.2022 წ., პუნ.20.

[130] *Looschelders*, Schuldrecht AT, 9. Aufl., 2011, S. 310.

პასუხისმგებლობის შემოსაზღვრის აუცილებლობას შორის აწონ-დაწონა.[131]

საკასაციო პალატის განმარტებით, სარჩო, მისი სოციალური ფუნქციიდან გამომდინარე, არ უნდა იქნეს გაგებული მხოლოდ იმ შრომის ანაზღაურებაზე დამოკიდებულ თანხად, რასაც დასაქმებული დამქირავებელ საწარმოში იღებდა/მიიღებდა. პროფესიული შრომის უნარის დაკარგვა გულისხმობს ზოგადად ამ პროფესიით საქმიანობის შეუძლებლობას და არა ამა თუ იმ საწარმოში მუშაობის შეუძლებლობას.[132] შესაბამისად, მოპასუხისთვის, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირისთვის, წინასწარ სავარაუდო უნდა ყოფილიყო გარემოება მასზე, რომ მოსარჩელის სამუშაო პოზიციის/თანამდებობის გაუქმების შემთხვევაში, შრომისუნარიანი მოსარჩელე საპენსიო ასაკამდე შეძლებდა მუშაობას სხვა საწარმოში და მიიღებდა შესაბამის ხელფასს, რისი პერსპექტივაც წაერთვა. ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩოს ანაზღაურებაზე ვალდებულ საწარმოში სარჩოს მიმღები პირის მიერ დაკავებული თანამდებობის გაუქმება არ წარმოადგენს სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნაზე უარის თქმის საკმარის საფუძველს.[133]

IV. სარჩოს გადახდაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სამეწარმეო საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგები

სსკ-ის 454-ე მუხლის თანახმად, იურიდიული პირის ვალდებულება წყდება მისი ლიკვიდაციის დამთავრების რეგისტრაციის მომენტიდან. ამდენად, ჩვეულებრივ, საწარმოს ლიკვიდაცია მისი ვალდებულებების შეწყვეტის საფუძველია. იმ შემთხვევაში, თუ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი არის სამეწარმეო საზოგადოება, რომლის პარტნიორიც სახელმწიფოა, იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემდეგ ზიანის ანაზღაურების საკითხი რეგლამენტირებულია საქართველოს მთავრობის 01.03.2013 წლის №45 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესით" (შემდგომში „დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი"). საგულისხმოა, რომ დახმარების გამოანგარიშების ძირითადი პრინციპია ნორმატიულად განსაზღვრული თანხის (100 ლარი) გამრავლება სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შედეგად დადგენილი პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის პროცენტულ მაჩვენებელზე. დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც კრძალავდა ამ წესის შესაბამისად დანიშნული დახმარების გადაანგარიშებას, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.01.2019 წლის გადაწყვეტილებით.[134]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესი არ ვრცელდება იმ პირზე, რომელიც არ იყო ასეთი სამეწარმეო საზოგადოების თანამშრომელი. ცხადია, ასეთი შემთხვევები ვერ იქნება იმდენი, რომ ცალკე ნორმატიული რეგულაციის საჭიროება დადგეს. საკასაციო პალატამ დაზარალებულის მიერ სახელმწიფოს, როგორც ლიკვიდირებული სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრული სარჩელის განხილვისას მიიჩნია, რომ საკითხი უნდა განხილულიყო ზიანის ანაზღაურების ზოგად ჭრილში.[135] სამოქალაქო საზოგადოებაში სახელმწიფო საშუალებაა ადამიანის, როგორც მიზნის, სასარგებლოდ[136]. ადამიანს აქვს სამართლის იმედი, რომელიც ფასეულია და პრაქტიკუ-

[131] *რუსიაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, 412-ე მუხლი, ველი 1, 11, 13.

[132] სუსგ №ას-1305-2020, 21.06.2022 წ., პუნ. 21.

[133] იხ. იქვე.

[134] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5893111?publication=0.

[135] სუსგ №ას-716-2022, 26.09.2023 წ., პუნ. 20.

[136] *ზოიძე,* სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა (უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, გვ. 10.

ლად ქმედუნარიანია. სამართლებრივი სახელმწიფოს ღერძი სწორედ ასეთი სამართალია.[137] სახელმწიფომ ადამიანის ღირსეულ არსებობაზე ზრუნვისას უნდა გაითვალისწინოს ყველა ფაქტორი, შეცდომა რომ არ დაუშვას.[138] სოციალური სახელმწიფოს მიზანია სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, მოსახლეობის შეძლებისდაგვარად თანაბარზომიერი უზრუნველყოფა, ქვეყნის მასშტაბით ცხოვრების მაქსიმალურად თანაბარი პირობების შექმნა. ეს მიზნები, ობიექტური გარემოებების გამო, არ არის სრულად მიღწევადი და, უწინარესად, წარმოადგენს მუდმივ ამოცანას და ზრუნვის საგანს სახელმწიფოსათვის.[139] საკასაციო სასამართლოს განმარტებით, იმ პირობებში, როცა: სახელმწიფოს მიზანია სამართლიანი სოციალური წესრიგის დამკვიდრება, საერთო ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება და მას ნორმატიულად აქვს აღიარებული საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში დასაქმებული პირებისათვის დამსაქმებლის ბრალეულობით შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნება, პირს, რომელიც არ იყო ასეთი სამეწარმეო საზოგადოების თანამშრომელი, მაგრამ ასეთი საწარმოს თანამშრომლების ბრალეულობით/სამეწარმეო საზოგადოების ბრალეულობით მიადგა ზიანი და შეიძინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებულია მისი უფლება ფულადი გასაცემლის მიღებაზე, რომელსაც იღებდა კიდეც საწარმოს ლიკვიდაციამდე, სახელმწიფოს მიერ უნდა აუნაზღაურდეს ზიანი, უნდა მიეცეს ყოველთვიური სარჩო.[140]

[137] იხ. იქვე, გვ.13.

[138] Bundesverfassungsgericht (BverfG), Urteil des Ersten Senats vom 05. November 2019 - 1 BvL 7/16 -, Rn. 121.

[139] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.03.2008 წლის №2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-20; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 07.12.2018 წლის №2/9/810, 927 გადაწყვეტილება საქმეზე „სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები - გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-28.

[140] სუსგ №ას-716-2022, 26.09.2023 წ., პუნ. 34.

უბედური შემთხვევების თავიდან აცილება: საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან

კონსტანტინე კორკელია[*]
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პროფესორი; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი.

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება უბედური შემთხვევებისგან ადამიანის სიცოცხლის დაცვაზე.[1] გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ უნდა დაადგინოს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომლის მიზანია ასეთი შემთხვევების თავიდან აცილება ან მინიმუმამდე შემცირება, სახელმწიფოს ასევე ეკისრება ვალდებულება, გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიმართ.

ნაშრომის მიზანია, გაანალიზდეს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან.[2] ამ ანალიზის საფუძველზე გაკეთდება დასკვნები და გამოითქმება რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.[3]

1. უსაფრთხოება სკოლაში

ა) კანონმდებლობა

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე, ვრცელდება სასკოლო გარემოში. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მიმართული იქნება უბედური შემთხვევებისაგან მოსწავლეთა სიცოცხლის დაცვისკენ სკოლაში.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას მოსწავლე უბედური შემთხვევისაგან. კე-

[*] ნაშრომში ასახული მოსაზრებები არის ავტორისეული და არ გამოხატავს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პოზიციას.

[1] M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 216-217.

[2] წინამდებარე სტატია არის ავტორის მიერ შესრულებული ნაშრომის - „სიცოცხლის უფლების დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო" - ნაწილი.

[3] ნაშრომზე მუშაობა დასრულდა 2024 წლის ნოემბერში და, შესაბამისად, ის არ ასახავს შემდგომ მოვლენებს.

რძოდ, საქმე *ილბეი ქემალოღლუ და მერიე ქემალოღლუ (İlbeyi Kemaloglu and Meriye Kemaloglu v. Turkey)* ეხებოდა სკოლიდან დაბრუნებისას ბავშვის გარდაცვალებას, ქარბუქში მოყოლის შედეგად.[4] ვინაიდან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ისეთი ღონისძიებების გატარება, რაც მოახდენდა ბავშვის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნის თავიდან აცილებას, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი. ევროპული სასამართლოს პოზიციით, გონივრული იქნებოდა, სკოლის ადმინისტრაციას გაეტარებინა საბაზისო პრევენციული ღონისძიებები, მოსწავლის სიცოცხლისათვის სავარაუდო საფრთხის მინიმუმამდე შესამცირებლად. ამისათვის, სახელმწიფომ ან/და სკოლამ უნდა შექმნას ისეთი სისტემა, რომლის თანახმად მოსწავლეს, უკიდურესაც ცუდი ამინდის პირობებში, აეკრძალება სკოლის შენობის დატოვება, რათა თავიდან იქნეს აცილებული საფრთხე მოსწავლეების სიცოცხლისათვის.

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა სახელმწიფოს მიერ სხვა პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე, რომლებიც მიმართულია უბედური შემთხვევისაგან მოსწავლეთა სიცოცხლის დაცვისაკენ. კერძოდ, საქმე *დერენიკ მკრტჩიანი და გაიანე მკრტიჩიანი სომხეთის წინააღმდეგ (Derenik Mkrtchyan and Gayana Mkrtchyan v. Armenia)* ეხებოდა საჯარო სკოლის 10 წლის მოსწავლის, დენერიკ გ.-ს გარდაცვალებას მის თანაკლასელებთან ჩხუბის შედეგად. მართალია, მოსწავლის გარდაცვალების მიზეზი გახდა ეპილეფსიური შეტევით გამოწვეული მწვავე რესპირატორული უკმარისობა და გულის დისფუნქცია, რაც, სავარაუდოდ, თავის მხრივ, გამოიწვია მისმა ცემამ და ფსიქოლოგიურ-ემოციურმა მდგომარეობამ, დადგინდა, რომ სკოლამ არ იცოდა ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ. ვინაიდან სკოლამ არ იცოდა მოსწავლის სიცოცხლისათვის რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის თაობაზე, რაც სკოლისგან მოითხოვდა განსაკუთრებულ სიფრთხილეს ასეთი ჩხუბის თავიდან ასაცილებლად, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[5]

საქმეზე – *კაიაკი თურქეთის წინააღმდეგ (Kayak v. Turkey)*, რომელიც ეხებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას სკოლის წინ მოსწავლის გარდაცვალებას დანით დაჭრის შედეგად,[6] – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სკოლის ადმინისტრაციას უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვისათვის, მათი ასაკის განსაკუთრებული მოწყვლადობის გათვალისწინებით, და მას ეკისრებოდა ვალდებულება, დაეცვა ისინი ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან, რომლის ობიექტები შეიძლება გამხდარიყვნენ სკოლის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნისას. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.

საქართველოში სასკოლო გარემოში სიცოცხლის უფლების დაცვას, უპირველეს ყოვლისა, აწესრიგებს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ", რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ადგენს სკოლის გარემოში უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელ კანონმდებლობას.[7] კანონის მიხედვით, სკოლა ვალდებულია, სკოლის ტერიტორიაზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სასკოლო დროს შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო.[8]

კანონი ადგენს ძალადობის დაუშვებლობას, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სასკოლო გარემოში. ეს მუხლი საკმარისი დეტალურობით განსაზღვრავს როგორც ძალადობის დაუშვებლობას, ისე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მათ შორის ადგენს, რომ ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება.[9] კანონი ასევე განსაზღვრავს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებუ-

[4] 10 აპრილი, 2012 წელი.

[5] 61-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საპროცესო ვალდებულების დარღვევა.

[6] 10 ივლისი, 2012 წელი.

[7] 8 აპრილი, 2005 წელი,

[8] კანონის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი.

[9] კანონის მე-20 მუხლის 1-ელი პუნქტი.

ლია, უზრუნველყოს სკოლაში ყოფნისას მის ტერიტორიაზე მყოფი მოსწავლის უსაფრთხოება.[10]

კანონით იქმნება მანდატურის სამსახური, რომლის ამოცანას, სხვა საკითხებთან ერთად, განეკუთვნება: საჯარო სკოლებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა და ამ მიზნით საჯარო სკოლებთან თანამშრომლობა, ისევე როგორც კატასტროფის შემთხვევაში (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვ.) მზადყოფნის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ძალადობის (მათ შორის ბულინგის) საწინააღმდეგო საგანმანათლებლო კამპანიებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა.[11] აქედან გამომდინარე, სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მთავარი რგოლი მანდატურის სამსახურია.[12]

სასკოლო გარემოში უსაფრთხოების წესებს ასევე განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", რომელიც ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს გასატარებელ ღონისძიებებს.[13]

ბრძანება ითვალისწინებს მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მიმართულია სასკოლო გარემოში მოსწავლეების უსაფრთხოების დაცვისაკენ. ბრძანების მიხედვით, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის სკოლა ვალდებულია: ა) გაატაროს პრევენციული ღონისძიებები; ბ) უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისას უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.[14]

ბრძანება ადგენს, რომ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება მანდატურის ან/და უფლებამოსილი პირის საშუალებით, ხოლო სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მანდატური და სკოლის დირექცია.[15]

ბრძანება განსაზღვრავს, რომ სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაა: ა) საგანგებო სიტუაციები (ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.); ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი (ფართო გავრცელების პოტენციალის მქონე) გადამდები დაავადებების შემთხვევა სკოლაში; გ) სუიციდური აზრი, სუიციდის მცდელობა, სუიციდი; დ) თვითდაზიანება; ე) ფეთქებადი ნივთიერებების სკოლაში აღმოჩენა ან სკოლაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინება; ვ) მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონა, ასევე იმ საგნის ქონა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის; ზ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი ძალადობა; თ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევა; ი) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგი ან კიბერბულინგი; ან კ) სხვა გარემოება ან/და ქმედება, რო-

[10] კანონს 33-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „კ" ქვეპუნქტი.

[11] 48[1]-ე მუხლი, „ა" და „ვ" პუნქტები.

[12] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გიორგი ფოცხვერიშვილი, თორნიკე გერლიანი, „სასკოლო უსაფრთხოება – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და აღსრულების ანალიზი", 2023, 28.

[13] სამინისტროს ბრძანება N06/ნ, 2019 წლის 29 იანვარი.

[14] ბრძანების მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტი.

[15] იმ სკოლაში, რომელშიც არ არის მანდატური – უფლებამოსილი პირი და სკოლის დირექცია. იხ. ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

მელმაც შეიძლება სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საფრთხე შეუქმნას იქ მყოფ პირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.[16]

ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობისას, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსწავლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბრძანება დეტალურად ადგენს გასატარებელ ღონისძიებებს, რომლებიც ხასიათდება თავისებურებით თითოეული სიტუაციის მიმართ. მაგალითად, ბრძანების მე-15 მუხლით, რომელიც ეხება მოსწავლის სუიციდურ აზრს, ნებისმიერი პირი, ვისაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ, ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს მანდატურს/უფლებამოსილ პირს/სკოლის ადმინისტრაციას, რომლებიც ვალდებულნი არიან ინფორმაცია მიაწოდონ სუიციდური აზრის მქონე მოსწავლის კლასის დამრიგებელს. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ბავშვთან გასაუბრება და მისი დამშვიდება. ბრძანება ასევე ადგენს, რომ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის სკოლაში გამოცხადებამდე დაუშვებელია მოსწავლის დატოვება უმეთვალყურეოდ. ყოველივე ამას უნდა მოჰყვეს სუიციდური აზრის მქონე მოსწავლის გადამისამართება ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში.

ბრძანება ითვალისწინებს ღონისძიებების მთელ რიგს სიუციდის მცდელობის შემთხვევაში.[17] კერძოდ, მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შემსწრე ყველა პირი ვალდებულია, შეეცადოს, შეაჩეროს სუიციდის მცდელობა. აუცილებელია, სკოლის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „112“-ს. ბრძანება კრძალავს სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის დატოვებას უმეთვალყურეოდ. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია, მოსწავლე უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარებით. შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მანდატური/სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ფსიქოლოგის/მობილური ჯგუფის გამოძახებას და უზრუნველყოფს სიტუაციის პირველად მართვას. ამის შემდეგ ხდება მოსწავლის გადამისამართება ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში.

ბრძანება ასევე ითვალისწინებს ელექტრონული საინფორმაციო ბაზის წარმოებას, რომელშიც მანდატური/უფლებამოსილი პირი ვალდებულია, სკოლის ტერიტორიაზე გამოვლენილი დარღვევა ან სავარაუდო დარღვევა ასახოს ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში.[18] ასევე სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვა.[19]

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს საქმეს – *კაიაკი თურქეთის წინააღმდეგ (Kayak v. Turkey)*, რომელიც ეხებოდა მოსწავლის მიერ ჩადენილ ძალადობას სხვა მოსწავლის მიმართ, – მოქმედი ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” ითვალისწინებს სკოლის მიერ სათანადო ღონისძიებების გატარებას და ამისათვის ქმნის შესაფერის ნორმატიულ ჩარჩოს. გარდა ზოგადი ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია, სკოლაში უსაფრთხოების დაცვა (მაგ., ვიდეომონიტორინგი), ბრძანების მიხედვით, ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის ჩადენის ფაქტის ცოდნის ან ასეთი ეჭვის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მანდატურს/უფლებამოსილ პირს/სკოლის ადმინისტრაციას.[20] ბრძანება ასევე განსაზღვრავს, რომ მოსწავლის მიმართ მოსწავლის ძალადობის შემთხვევაში, მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ვალდებულია, დაუკავშირდეს „112“-ს, რესურსცენტრს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს; მანდატური/უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს შესაბამისი პირების განცალკევებას; მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენების და მოსწავლის გადამისამართებას მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში.[21]

[16] ბრძანების მე-12 მუხლი.

[17] ბრძანების მე-16 მუხლი.

[18] ბრძანების 37-ე მუხლი.

[19] ბრძანების 41-ე მუხლი.

[20] ბრძანების 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

[21] მე-3 პუნქტი.

აქედან გამომდინარე, საქართველოში ნორმატიული ჩარჩო ითვალისწინებს სკოლის მიერ ნაბიჯების გადადგმას, რომლის მიზანია როგორც ძალადობის პრევენცია, ისე ძალადობის შემთხვევაში სათანადო ღონისძიებების გატარება.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – *დერენიკ მკრტიჩიანი და გაიანე მკრტიჩიანი სომხეთის წინააღმდეგ (Derenik Mkrtchyan and Gayana Mkrtchyan v. Armenia),* – მართალია, ამ საქმეზე სასამართლოს არ დაუდგენია დარღვევა, რადგან ჩათვალა, რომ სკოლამ არ იცოდა, გარდაცვლილ ბავშვს თუ აწუხებდა მწვავე რესპირატორული უკმარისობა და გულის დისფუნქცია, ამ საქმის საფუძველზე, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ კანონმდებლობა უნდა ადგენდეს: სკოლა ინფორმირებული უნდა იყოს მსგავსი დაავადების შესახებ, რომელიც აწუხებს ბავშვს და, შესაბამისად, მას მოეთხოვება, გაატაროს დამატებითი ღონისძიებები ბავშვის სიცოცხლის დასაცავად. მართალია, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ" ადგენს, რომ სკოლას უფლება აქვს, მოსთხოვოს მოსწავლეებს, გაიარონ სამედიცინო შემოწმება დაავადებებზე, მაგრამ ეს წესი არ აკისრებს ვალდებულებას მოსწავლესა და მის მშობლებს, რომ სკოლაში წარადგინონ ინფორმაცია შესაბამისი დაავადების შესახებ, რომელიც საჭირო იქნება სკოლის მიერ დამატებითი ღონისძიებების გასატარებლად, ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.[22] ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არსებობდეს დებულება, რომელიც დააკისრებს მოსწავლეს/მის მშობლებს გარკვეული დაავადებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – *ილბეი ქემალოღლუ და მერიე ქემალოღლუ* (*İlbeyi Kemaloglu and Meriye Kemaloglu v. Turkey),* – საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ საქმეში მომხდარი მოვლენებისაგან ბავშვის დაცვას. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ" კანონის მიხედვით, სკოლას ეკისრება ზოგადი ვალდებულება, სკოლის ტერიტორიაზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნას ჯანმრთელობისა და, სიცოცხლისთვის უსაფრთხო გარემო.[23] უფრო კონკრეტულად კი, შესაბამის საკითხს აწესრიგებს ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", რომელიც ადგენს საგანგებო სიტუაციების (ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.) დროს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებებს.[24] კერძოდ, ბრძანებით განსაზღვრულია, რომ საგანგებო სიტუაციების დროს მანდატური/უფლებამოსილი პირი ან/და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი რეკავს განგაშის ზარს და საფრთხის შესახებ ატყობინებს შენობაში მყოფ ყველა პირს.[25]

ბრძანებით, ამას მოჰყვება მანდატურის/უფლებამოსილი პირის/სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიერ „112"-თან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება საგანგებო სიტუაციის თავისებურებების შესახებ, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის მიზეზის, სავარაუდო მასშტაბებისა და არსებული ვითარების შესახებ.[26] ბრძანების მიხედვით, მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სკოლის შენობაში მყოფი პირების განთავსებას უსაფრთხო ადგილას და აღრიცხავს დაკარგული ადამიანების რაოდენობას და ვინაობას. კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას.[27] ამას გარდა, ბრძანებით გათვალისწინებულია სხვა ღონისძიებების გატარებაც.[28]

აქედან გამომდინარეობს, რომ საქართველოში დადგენილია ისეთი საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზა, რომელიც კრძალავს ბავშვების სკოლიდან დათხოვნას საგანგებო სიტუაციის პირობებში, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეების

[22] მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი.
[23] კანონის მე-9 მუხლის მე-9 ნაწილი.
[24] მე-13 მუხლი.
[25] მე-13 მუხლის 1-ელი პუნქტი.
[26] მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი.
[27] მე-13 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები.
[28] მე-13 მუხლის მე-7-მე-14 პუნქტები.

სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილებას.

საბოლოოდ, საქართველოში, სასკოლო გარემოში მოსწავლის სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩო სათანადოდ ასახავს ევროპულ მოთხოვნებს. ამასთან, აუცილებელია, კანონმდებლობით დადგინდეს, რომ სკოლა უნდა იყოს ინფორმირებული ბავშვის დაავადების შესახებ, რომელიც შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს ბავშვის სიცოცხლისთვის.

ბ) პრაქტიკა

მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია ერთ-ერთი შემთხვევის შესახებ, რომელიც ეხებოდა უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას სასკოლო ექსკურსიების დროს. ამ ინფორმაციით, სასკოლო ექსკურსიას ემსხვერპლა სკოლის მოსწავლე, ს.ნ., რომელიც 2019 წლის მაისში ადიდებულ მდინარეში ჩავარდა და დინებამ გაიტაცა. სამძებრო-სამაშველო ოპერაციის შედეგად, რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ, აღმოაჩინეს მოსწავლის ცხედარი. ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით.[29] 2022 წლის მაისში ამ საქმეზე სასამართლომ გარდაცვლილი მოსწავლის დამრიგებელი დამნაშავედ ცნო გულგრილობისათვის, რომელმაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.[30]

თუ ეს შემთხვევა განიხილება ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, სკოლის ადმინისტრაციას უნდა გაეტარებინა საბაზისო პრევენციული ღონისძიებები, რათა მინიმუმამდე შეემცირებინა სავარაუდო საფრთხე მოსწავლეთა სიცოცხლისათვის სასკოლო ექსკურსიის დროს.[31]

მართალია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი ამ ფაქტთან დაკავშირებით მოუწოდებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, შეესრულებინათ სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და უზრუნველეყოთ მოსწავლეთა უსაფრთხოება სასკოლო ექსკურსიების დროს, მაგრამ ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში ვერ იქნა მოძიებული ასეთი რეკომენდაციები.[32] ამასთანავე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა 2019 წლის 31 მაისს, ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღეში, მიიღო ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე.“[33] ეს წესი ითვალისწინებს უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვას. კერძოდ, წესის მიხედვით, ექსკურსიის ორგანიზატორი ვალდებულია, მოსწავლეს, მის წარმომადგენელს და ექსკურსიაში მონაწილე სხვა პირებს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ექსკურსიის თარიღის, ლოკაციის, დაგეგმილ ღონისძიებათა მიზნების, აქტივობების და მონაწილე და პასუხისმგებელი პირების შესახებ; ექსკურსიის ორგანიზატორს უნდა ჰქონდეს მოსწავლის მშობლის წერილობითი თანხმობა ექსკურსიაში მოსწავლის მონაწილეობის შესახებ, თუ მოსწავლის წარმომადგენელი არ ახლავს მას ექსკურსიაზე; ექსკურსიაში მონაწილე სრულწლოვან პირთა შორის უნდა იყოს, სულ მცირე, ერთი ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარ-ჩვევები; ექსკურსიის ხელმძღვანელს სრულყოფილად უნდა ჰქონდეს მონაწილე მოსწავლეებისა და მშობლების მონაცემები, მათ შორის, ინფორმაცია მონაწილე მოსწავლის სპეციალური საჭიროებების შესახებ; მოსწავლეების, მშობლებისა

[29] „სასკოლო ექსკურსია, რომელსაც არასრულწლოვანი ემსხვერპლა”, 27 მაისი, 2019 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/]. [ნანახია: 20 აგვისტო, 2024 წ.].

[30] „სასამართლომ დამნაშავედ ცნო 16 წლის სოფი ნიკოლეიშვილის დამრიგებელი − სოფი სკოლის ექსკურსიაზე დაიღუპა”, 16 აგვისტო, 2022 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/]. [ნანახია: 20 აგვისტო, 2024 წ.].

[31] *ილბეი ქემალოღლუ და მერიე ქემალოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (İlbeyi Kemaloglu and Meriye Kemaloglu v. Turkey)* , 10 აპრილი, 2012 წელი.

[32] „სასკოლო ექსკურსია, რომელსაც არასრულწლოვანი ემსხვერპლა”, 27 მაისი, 2019 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/]. [ნანახია: 20 აგვისტო, 2024 წ.].

[33] ბრძანება N719, იხ.: [https://mes.gov.ge/uploads/files/719.pdf]. [ნანახია: 20 აგვისტო, 2024 წ.].

და მასწავლებლების ექსკურსიაზე ტრასპორტირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ იმ სატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც გავლილი აქვს ტექდათვალიერება კანონმდებლობით დადგენილი წესით; სატრანსპორტო საშუალებას უნდა მართავდეს შესაბამისი გამოცდილებისა და სათანადო კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე მძღოლი; სატრანსპორტო საშუალებაში უნდა იყოს განთავსებული პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა.[34]

როგორც ამ ბრძანების აღწერიდან ჩანს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებული წესი საკმაოდ ზოგადად აწესრიგებდა ყველა იმ საფრთხის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წამოჭრილიყო ექსკურსიის განმავლობაში, თუმცა 2020 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააზუსტა მანამდე მოქმედი ნორმატიული ბაზა რამდენიმე ახალი წესის დადგენით, მათ შორის დაადგინა, რომ, მოსწავლეთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ექსკურსია უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთ დღეში, ღამისთევის გარეშე. ლოკაციის შერჩევა უნდა მოხდეს ისე, რომ მანძილი სკოლიდან ლოკაციამდე არ აღემატებოდეს 150 კმ-ს.[35] ასევე, მოქმედი წესის მიხედვით, ექსკურსიის დროს არასრულწლოვნები არ უნდა მოხვდნენ მდინარისა და წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიაზე, მეწყერსაშიშ და სხვა დაუცველ ტერიტორიებზე.[36]

ასევე აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 16 სექტემბერს ცვლილებები შეიტანეს კანონში „საგზაო მოძრაობის შესახებ", რომლის მიხედვით, დაწესდა დამატებითი მოთხოვნები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული/მოწყობილი ღონისძიების – ექსკურსიის დროს მგზავრთა გადაყვანისას.[37] ეს მოთხოვნები აწესებს დამატებით პირობებს იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომლებმაც უნდა განახორციელონ ბავშვების ტრანსპორტირება ექსკურსიის დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, ბოლო წლებში დაიხვეწა სკოლის მოსწავლეების მიმართ/სასკოლო გარემოში სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი ბაზა. მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში მოხდეს დადგენილი წესების ზედმიწევნით შესრულება.

2. სამშენებლო საქმიანობის უსაფრთხოება

ა) კანონმდებლობა

ერთ-ერთი სფერო, რომელშიც არსებობს მომეტებული საფრთხე სიცოცხლისათვის, სამშენებლო საქმიანობაა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო საქმიანობის სფეროში ისეთი მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღებას, რომელიც მიმართული იქნება პირთა სიცოცხლის დაცვისაკენ უბედური შემთხვევებისაგან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს, რომლებიც სახელმწიფომ უნდა შეასრულოს სამშენებლო საქმიანობის სფეროში უბედური შემთხვევებისაგან პირთა სიცოცხლის დასაცავად. საქმეზე *ჩევრიოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (Cevrioglu v. Turkey),* რომელიც ეხებოდა სამშენებლო ტერიტორიაზე მოსარჩელის 10 წლის შვილის დახრჩობას წყლით სავსე ორმოში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამშენებლო ტერიტორიაზე არ იყო დაცული უსაფრთხოება, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[38] ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საქმეზე *ბანელი ლიტვის წინააღმდეგ (Banel v. Lithuania)*, რომელიც ეხებოდა მიტოვებული შენობის აივნის ნაწილის ჩამონგრევის შედეგად

[34] იქვე.

[35] 150 კმ-იანი შეზღუდვა მოგვიანებით მოიხსნა.

[36] „სასკოლო ექსკურსიისას ბავშვები არ უნდა მოხვდნენ მდინარესა და წყალსაცავებთან ახლოს – ბრძანება", 5 მაისი, 2022 წ., იხ.: [https://publika.ge/saskolo-eqskursia-ghamistevis-gareshe-unda-daigegmos-lokacia-skolidan-150-km-s-ar-unda-aghematebodes/], [ნანახია: 20 აგვისტო, 2024 წ.].

[37] კანონის 46[1]-ე მუხლი.

[38] 4 ოქტომბერი, 2016 წელი.

ეზოში მყოფი 13 წლის მოზარდის გარდაცვალებას.[39] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, დააწესოს სამართლებრივი რეგულაციები პირთა უსაფრთხოების დაცვისთვის და უზრუნველყოს ამ რეგულაციების ეფექტიანი შესრულება.[40]

საქართველოში სამშენებლო საქმიანობას აწესრიგებს რამდენიმე ნორმატიული აქტი, მათ შორის საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი.[41] კოდექსის მიხედვით, მისი ამოცანაა „ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო ქალაქმშენებლობის უზრუნველყოფა."[42] კოდექსი ითვალისწინებს კომპლექსური ღონისძიებების მთელი რიგის გატარებას, რომლებიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისაკენ.[43] კოდექსი ადგენს მშენებლობის ზედამხედველობის სახეებს, კერძოდ, მშენებლობის საჯარო, ტექნიკურ და უსაფრთხოების ზედამხედველობას და განსაზღვრავს, რომელი სუბიექტი ასრულებს ამ ფუნქციას.[44] კოდექსი ასევე ითვალისწინებს ჯარიმას სამშენებლო პირობების დარღვევისათვის.[45]

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის შესახებ კოდექსის გარდა, საქართველოში სამშენებლო საქმიანობას აწესრიგებს ტექნიკური რეგლამენტები, როგორც ტექნიკური ხასიათის ნორმების შემცველი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს და იცავს ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, საკუთრებასა და გარემოს.[46]

სამშენებლო საქმიანობის სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც ადგენს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო მოედანზე და უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელთა მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.[47] რეგლამენტი ითვალისწინებს უსაფრთხოების მრავალი ღონისძიების გატარებას სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად, რომლებიც მიზნად ისახავს პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას.[48]

სამშენებლო საქმიანობას ასევე აწესრიგებს მთავრობის დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესა-

---

39 18 ივნისი, 2013 წელი.

40 68-ე პუნქტი. ასევე იხ. *კოჩესკი „იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის" წინააღმდეგ (Koceski v. "the Former Yougoslav Republic of Macedonia")*, გადაწყვეტილება, 22 ოქტომბერი, 2013 წელი, 21-ე პუნქტი.

41 3213-რს, 20 ივლისი, 2018 წელი.

42 მე-2 მუხლის ზ) პუნქტი.

43 მაგ., იხ. 84-ე მუხლი (შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის პერიოდში უსაფრთხოების დაცვა), რომელიც ადგენს: „შენობა-ნაგებობა ისე უნდა იქნეს დაპროექტებული და აშენებული, რომ მისი ექსპლუატაციის პერიოდში საფრთხე არ შეუქმნას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. განსაკუთრებული ყურადღებას უნდა მიექცეს ელექტროგაყვანილობის დაზიანების, სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების ჩამოცვენის, დაჯახების, აფეთქების, წაქცევის და სხვა საკითხებს." (პირველი პუნქტი); ასევე, კოდექსის 82-ე მუხლი (სახანძრო უსაფრთხოების დაცვა) ადგენს: შენობა-ნაგებობა ისე უნდა იქნეს დაპროექტებული და აშენებული, რომ ხანძრის დროს „შესაძლებელი იყოს ადამიანების უსაფრთხო ევაკუაცია, აგრეთვე სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მიერ ხანძრის ჩაქრობა, ადამიანებისა და ქონების გადარჩენა." ასევე, იხ. კოდექსის 89-ე მუხლი (მოთხოვნები სამშენებლო მასალის მიმართ).

44 კოდექსის 117-ე მუხლი. ასევე იხ. კოდექსის 118-ე (მშენებლობის საჯარო ზედამხედველობა), 119-ე (მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა) და 121-ე მუხლი (მშენებლობის უსაფრთხოების ზედამხედველობა).

45 132-ე მუხლი.

46 პ. ტურავა, კ. ყალიჩავა, სამშენებლო სამართალი, 2020 წელი, 33-36.

47 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილება.

48 რეგლამენტის სხვა მუხლებთან ერთად, იხ. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი (დატვირთვა-დაცვის სამუშაოები), მე-6 მუხლი (მიწის სამუშაოები), მე-10 მუხლის მე-10 პუნქტი (სამონტაჟო სამუშაოები), მე-11 მუხლი (გადახურვის სამუშაოები), მე-12 მუხლი (საიზოლაციო სამუშაოები); მე-13 მუხლი (მოპირკეთების სამუშაოები); მე-15 მუხლი (ელექტროსაშემდუღებლო და აირსაშემდუღებლო სამუშაოები); მე-16 მუხლი (მიწისქვეშა სამუშაოები) და მე-17 მუხლი (შენობა-ნაგებობების დემონტაჟი); ასევე იხ. ტექნიკური რეგლამენტის 1(5)-ელი მუხლი.

ხებ", რომელიც აზუსტებს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნებს.[49]

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოში სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელ ჩარჩოს, რომელიც ეხება ევროპული სასამართლოს ზემოთ მოხსენიებულ ორ საქმეზე დადგენილ ვალდებულებებს, აღსანიშნავია შემდეგი:

მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მთელ რიგს ვალდებულებებისას, რომელიც მიზნად ისახავს პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას და ითვალისწინებს იმ ვალდებულებების შესრულებას, რომელიც დადგენილია ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – *ჩევრიოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (Cevrioglu v. Turkey).*[50] კერძოდ, გარდა რეგლამენტით დადგენილი ზოგადი წესისა, რომ „სამშენებლო მოედანზე სამუშაოები უნდა იყოს ორგანიზებული იმგვარად, რომ უზრუნველყოს მშენებლობის უსაფრთხოება",[51] ის ადგენს, რომ „სამშენებლო მოედანი დასახლებულ ადგილებში და საზოგადოებრივი სივრცის მომიჯნავედ ან მოქმედ საწარმოო ტერიტორიაზე უნდა იქნეს შემოღობილი, რათა სამშენებლო მოედანზე შესვლა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული იყოს იქ უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა. შემოღობვა ხალხის მოძრაობის ადგილებში გადახურული უნდა იყოს ისეთი დამცავი საფარით, რომელიც უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. სიბნელის დროს შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან/და გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. იმავე წესით უნდა შემოიღობოს სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ტერიტორია."[52] რეგლამენტი ასევე ადგენს, რომ „ჭები, შურფები, ნათხარ გრუნტებში ხალხის შესაძლო მოხვედრის ადგილები დახურული უნდა იყოს ხუფებით, ფარებით ან უნდა იყოს შემოღობილი. ლიფტების შახტები, კიბის უჯრედები და სხვა ღიობები, სადაც შეიძლება მოხვდეს ადამიანი, დახურული უნდა იყოს მთლიანი ფენილით ან უნდა იყოს შემოღობილი. სიბნელის დროს გარე (პერიმეტრული) შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში."[53] რეგლამენტის მიხედვით, „სამშენებლო მოედანზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს დამცავი ღობით, უსაფრთხოების ნიშნებით და სათანადო წარწერებით."[54] ამას გარდა, რეგლამენტი ითვალისწინებს სხვა ღონისძიებების გატარებას, რომლის მიზანია ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.[55]

რაც შეეხება ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებას, რომლის მიხედვით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შენობის ან მისი ნაწილის ჩამონგრევის შედეგად პირების სიცოცხლის დაცვა (*ბანელი ლიტვის წინააღმდეგ (Banel v. Lithuania)*, საქართველოში სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელ ჩარჩო ასევე აწესრიგებს ამ საკითხს. კერძოდ, მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი ადგენს, რომ სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ტერიტორია უნდა იყოს შემოღობილი, რათა ამ ტერიტორიაზე შესვლა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული იყოს იქ უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა.[56]

კანონმდებლობა იმავე მიზანს – ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას – ემსახურება მშენებლობის კონსერვაციის შემთხვევაში. კერძოდ, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესითა და პირობებით" მოწესრიგებულია მშენებლობის კონსერვაციის საკითხი.[57]

---

[49] საქართველოს მთავრობის დადგენილება N255, 2019 წლის 31 მაისი.

[50] ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ, 2014 წლის 27 მაისი.

[51] რეგლამენტის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტი.

[52] რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

[53] რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

[54] რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი.

[55] რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-4, მე-6-მე-11 პუნქტები.

[56] რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი; ასევე იხ. რეგლამენტის მე-17 მუხლი, რომელიც ეხება შენობა-ნაგებობების დროს უსაფრთხოების წესების დაცვას; ასევე საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, 137-ე მუხლი.

[57] საქართველოს მთავრობის დადგენილება N255, 2019

დოკუმენტი ადგენს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც მიმართულია პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისაკენ. კერძოდ, დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ მშენებლობის პროცესის 6 თვეზე მეტი ხნით შეჩერების შემთხვევაში, უნდა მოხდეს მშენებლობაზე ობიექტის კონსერვაცია.[58]

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები" ადგენს, რომ უნდა გატარდეს კონსერვაციის სამუშაოები, რომელიც მოიცავს რიგ ღონისძიებებს, მათ შორის: ობიექტი უნდა მოწესრიგდეს ისე, რომ არ მოხდეს ლითონის კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და ელემენტების კოროზია, რკინა-ბეტონის კვანძები ბეტონით უნდა დაიფაროს; საძირკველი და ქვაბული დაცული უნდა იქნეს ფერდების ჩამოქცევის, ასევე ატმოსფერული ნალექებისა და წყლის დაგროვებისაგან; ობიექტსა და სამშენებლო მოედანზე დაცული უნდა იქნეს უსაფრთხოების მოთხოვნები; ყოველგვარი მასალა (ფიცრები, ყალიბები, ცემენტი, გაჯი და სხვ.) ისე უნდა დასაწყობდეს, რომ არ მოხდეს მათი ჩამოვარდნა, ჩამოცვენა, გაფრქვევა; უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამშენებლო მოედანზე უცხო პირთა შეუღწევლობა (უსაფრთხოების ღობე, ჩაკეტილი ჭიშკარი); უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამშენებლო მოედანზე დაშვებულ პირთა უსაფრთხოება; კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილებსა და შემთხვევებში ობიექტი უნდა შეიფუთოს დამცავი ბადით; ცვეთის შესაბამისად, პერიოდულად, უნდა მოხდეს დამცავი ბადის განახლება-გამოცვლა, ასევე – უსაფრთხოების ღობის განახლება-გადაღებვა.[59]

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო საქმიანობის სფეროში საქართველოში მოქმედებს საკმარისად დეტალური საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზა, რომელიც მიმართულია პირთა სიცოცხლის დაცვისაკენ უბედური შემთხვევებისაგან. რაც შეეხება ევროპული კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებს, ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის (ნორმატიული) ბაზის ანალიზმა ცხადყო, რომ ევროპული სასამართლოს სტანდარტები სათანადოდ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში.

ბ) პრაქტიკა

სამშენებლო საქმიანობა შეიცავს მომეტებულ საფრთხეს სიცოცხლისათვის. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სამშენებლო საქმიანობის სფეროში სახელმწიფომ არა მხოლოდ მიიღოს სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა, არამედ უზრუნველყოს მისი ეფექტიანი აღსრულება პრაქტიკაში.

საქართველოში სამშენებლო საქმიანობის სფეროში არსებული სიტუაციის საილუსტრაციოდ გამოდგება ბათუმში 2021 წელს საცხოვრებელი შენობის დანგრევის ფაქტი. როგორც გამოძიებამ დაადგინა, პირველი სართულის ფართის მეპატრონის დავალებით, ორმა ფიზიკურმა პირმა მოახდინა შენობის როგორც მზიდი, ისე არამზიდი კედლების დემონტაჟი. ეს სამუშაო შესრულდა თვითნებურად და მიმდინარეობდა უსაფრთხოების წესების სრული დარღვევით, რამაც გამოიწვია 7-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ნგრევა. ნგრევის შედეგად, გარდაიცვალა 9 პირი. ბრალდებულების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით.[60]

მიუხედავად საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა, რომელიც, მთლიანობაში, სათანადოდ აწესრიგებს სამშენებლო საქმიანობის უსაფრთხოებას, სამშენებლო პრაქტიკაში ხშირია მუშების მიერ მშენებლობის სტანდარტების დარღვევა, რასაც შედეგად მოჰყვება სიცოცხლის მოსპობა. ამას მოწმობს არაერთი ფაქტი.[61]

წლის 31 მაისი.

58 „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესითა და პირობებით" 28-ე მუხლის პირველი პუნქტი.

59 მე-4 პუნქტი.

60 იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/678244-prokurori-batumshi-korpusis-chamongrevamde-braldebulebma-shenishnes-rom-kedlebs-mozraoba-hkonda-dacqebuli-scades-gamagreba-tumca-shemdeg-shenoba-datoves], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

61 თბილისში მშენებარე კორპუსიდან მუშა გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა, 9 მარტი, 2024 წ.; იხ.:

ვინაიდან ქვეყანაში მოქმედებს სამშენებლო უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა,[62] მნიშვნელოვანია კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების ზედმიწევნითი შესრულება, მათ შორის ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენება და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ზედამხედველობა მშენებლობის პროცესზე.[63] ასევე მნიშვნელოვანია, რომ დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებმაც არ შეასრულეს სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტები, მათ შორის როგორც დამკვეთისა და შემსრულებლის, ისე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პასუხისმგებლობა, რომელსაც ევალება ზედამხედველობა ამ სამშენებლო მოთხოვნების დაცვაზე.

სამშენებლო საქმიანობის სფეროში სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველია ავარიული შენობების მდგომარეობა, რასაც ადასტურებს კონკრეტული შემთხვევები. მაგალითად, თბილისში ჩამოინგრა სახლის აივანი, რის შედეგადაც გარდაიცვალა 74 წლის ქალი.[64] მარნეულში საცხოვრებელ კორპუსის აივნის ჩამონგრევის შედეგად გარდაიცვალა ორი ადამიანი, მათ შორის ორსული ქალი.[65] მართალია, ეს ერთეული შემთხვევებია, მაგრამ ავარიული სახლების პრობლემა ბევრ ადამიანს ეხება, რომელთა სიცოცხლეს ექმნება საფრთხე ასეთ სახლებში ცხოვრებით. მდგომარეობის საილუსტრაციოდ შეიძლება აღნიშნოს, რომ მარტო თბილისში ოფიციალურად არის დაახლოებით 10000 ავარიული საცხოვრებელი შენობა.[66] ცხადია, ეს შენობები არ არის მედეგი მიწისძვრის მიმართ.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად ქ. თბილისის მერიამ 2022 წელს დაიწყო ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა, რისთვისაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება.[67] ამ დადგენილების მიზანია ქ. თბილისის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება ახალი და მდგრადი შენობა-ნაგებობებით და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ქალაქთმშენებლობის უზრუნველყოფა.[68] დადგენილება განსაზღვრავს ავარიული შენობების ჩანაცვლების პირობებს, მათ შო-

https://www.interpressnews.ge/ka/article/790741-tbilisshi-mshenebare-korpusidan-musha-gadmovarda-da-adgilze-daigupa]; „გარდაიცვალა 20 წლის კაცი, რომელსაც ბათუმში მშენებლობიდან გადმოვარდნილი საგანი დაეცა", 12 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://batumelebi.netgazeti.ge/news/422568/]; „ბათუმში მშენებარე კორპუსიდან კაცი ჩამოვარდა და დაიღუპა", 6 ოქტომბერი, 2022 წ., იხ.: [https://batumelebi.netgazeti.ge/news/440495/]; „მშენებარე კორპუსიდან ორი ადამიანი გადმოვარდა, ერთი დაიღუპა, მეორე კი საავადმყოფოში გადაიყვანეს", 5 თებერვალი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/583976-mshenebare-korpusidan-ori-adamiani-gadmovarda-erti-daigupa-meore-ki-saavadmqoposhi-gadaiqvanes/]; „ინსპექტირების დეპარტამენტმა ორთაჭალაში კორპუსის მშენებლობა შეაჩერა, სადაც უბედურ შემთხვევას გუშინ ორი ადამიანი ემსხვერპლა", 17 მარტი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/537447-inspektirebis-departamentma-ortachalashi-korpusis-mshenebloba-sheachera-sadac-ubedur-shemtxvevas-gushin-ori-adamiani-emsxverpla].

62 კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, 19 თებერვალი, 2019 წელი; საქართველოს მთავრობის დადგენილება N99 „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", 10 თებერვალი, 2020 წელი.

63 13 ივნისი, 2019 წ., იხ.; [https://www.interpressnews.ge/ka/article/551313-dimitri-ckitishvili-shromis-usaprtxoebis-specialisti-mudmivad-unda-escrebodes-samsheneblo-process], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

64 28 აგვისტო, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/724090-tbilisshi-italiur-ezoshi-saxlis-aivani-chamoingra-ris-shedegadac-74-clis-kali-gardaicvala/], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

65 26 თებერვალი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/716936-marneulshi-korpusshi-aivnis-chamongrevis-shedegad-dagupulta-ricxvi-2-mde-gaizarda-dashavebuli-orsuli-kali-klinikashi-gardaicvala], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

66 კ. ყალიჩავა, „სეისმომედეგი მშენებლობა – ქართული სინამდვილე", 13 თებერვალი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/744620-seismomedegi-mshenebloba-kartuli-sinamdvile/].

67 დადგენილება N10-48, 6 მაისი, 2022 წ., იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5459574?publication=7].

68 წესის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტი.

რის ადგენს შენობის ავარიულობის კატეგორიებს.[69] ამ პროგრამის წარმატებით განხორციელება დამოკიდებული იქნება ავარიული სახლების მასშტაბსა და მშენებლობის სისწრაფეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გატარდეს ღონისძიებები კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტების ეფექტიანი შესრულებისათვის და პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ იმ პირებისათვის, რომლებიც არ ასრულებენ უსაფრთხოების სტანდარტებს. უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმ სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისთვის, რომელიც პასუხისმგებელია სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტების შესრულების ზედამხედველობაზე.

3. სამხედრო საქმიანობის უსაფრთხოება

ა) კანონმდებლობა

როგორც აღინიშნა, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების დაცვა სამხედრო საქმიანობის სფეროში. ამ ვალდებულების შესასრულებლად, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომელთა მიზანია სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილება სამხედრო საქმიანობის სფეროში. ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელყო, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გადადგას ნაბიჯები სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სამხედრო წვრთნებს ან ნაღმის აფეთქებას.

ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე საქმეზე იმსჯელა სახელმწიფოს ვალდებულებაზე სამხედრო წვრთნების დროს სიცოცხლის მოსპობის შესახებ და სახელმწიფოს დააკისრა შესაბამისი პასუხისმგებლობა. საქმე *ორუკი თურქეთის წინააღმდეგ (Oruk v. Turkey)* ეხებოდა ჭურვის აფეთქების შედეგად ექვსი ბავშვის გარდაცვალებას მათ სოფელთან ახლომდებარე სამხედრო პოლიგონზე, რომელიც არ იყო გარშემორტყმული ღობით ან მავთულხლართებით და ადგილზე არ იყო განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნები.[70] სასამართლოს აზრით, აუფეთქებელ სამხედრო ჭურვებთან დაკავშირებული საფრთხის გათვალისწინებით, სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება, უზრუნველეყო ამ ტერიტორიის უსაფრთხოება და მასზე ზედამხედველობა, რათა არ მომხდარიყო ამ ტერიტორიაზე შესვლა, ისევე როგორც სახელმწიფოს უნდა უზრუნველეყო აუფეთქებელი ჭურვების საფრთხის მინიმუმამდე შემცირება. შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე არსებული საფრთხის შესახებ უნდა ყოფილიყო განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნები, ხოლო საშიში ტერიტორიის პერიმეტრი უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული. გამაფრთხილებელი ნიშნების არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს უნდა უზრუნველეყო პოლიგონის გაწმენდა აუფეთქებელი ჭურვებისაგან.

ევროპული სასამართლოს აზრით, სოფლის მაცხოვრებლების ინფორმირება წვრთნებისა და აუფეთქებელი ჭურვების შესახებ ვერ ჩაითვლება საკმარისად იმისათვის, რათა გამოირიცხოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საწვრთნელ ტერიტორიასთან ახლოს მცხოვრები ადამიანების მიმართ. სახელმწიფოს განსაკუთრებით უნდა უზრუნველეყო, რომ ბავშვები, რომლებიც უფრო მოწყვლადნი არიან, ვიდრე ზრდასრულები, ინფორმირებულნი ყოფილიყვნენ ასეთ ჭურვებთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ. საბოლოოდ, სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფომ არ გაატარა სათანადო პრევენციული ღონისძიებები სიცოცხლის უფლების დასაცავად, მათ შორის აუფეთქებელი ჭურვების ადგილმდებარეობის დადგენისა და გაუვნებელყოფისათვის, რის გამოც დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.

ამ საქმეში წამოჭრილი საკითხები წესრიგდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით „პოლიგონის, სასროლეთისა და ტირის მოწყობის წესის დამტკიცების შესახებ", რომელიც განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს

[69] წესის მე-5 მუხლი.

[70] 4 თებერვალი, 2014 წელი.

მიერ პოლიგონის, სასროლეთისა და ტირის მოწყობის პირობებს, აგრეთვე მათი უსაფრთხოების ორგანიზებისა და უზრუნველყოფის ღონისძიებებს.[71]

წესი ადგენს სხვადასხვა მოთხოვნას, რომლის მიზანია პოლიგონზე/სასროლეთზე უსაფრთხოების ღონისძიებების უზრუნველყოფა. კერძოდ, წესის მიხედვით, პოლიგონის/სასროლეთის მოწყობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხოების ზონების მოწყობა და მისი დაცვა.[72] ამასთანავე, პოლიგონი/სასროლეთი უნდა მოეწყოს ისე, რომ სწავლების მიმდინარეობისას არ დაზიანდნენ მის ფარგლებს გარეთ მყოფი პირები.[73] წესი ასევე ადგენს, რომ პოლიგონი/სასროლეთი უნდა იყოს შემოღობილი ან შემოსაზღვრული უსაფრთხოების თხრილით.[74]

წესი ასევე ითვალისწინებს, რომ პოლიგონის/სასროლეთის უსაფრთხოების საზღვრებზე უნდა განთავსდეს მუდმივი გამაფრთხილებელი ნიშნები, რომლებიც ინფორმაციას იძლევა სწავლებაზე არსებული საფრთხის შესახებ და კრძალავს უსაფრთხოების ზონაში შესვლას.[75] წესი ადგენს, რომ პოლიგონს/სასროლეთს უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების ინსტრუქცია[76] და რომ სწავლების დროს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, უნდა ჩატარდეს სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის, სწავლების მომზადებისა და ჩატარებისას უსაფრთხოების ღონისძიებების ორგანიზება და შესაბამისი უზრუნველყოფა, სამხედრო მოსამსახურეების მიერ პოლიგონის/სასროლეთის გარე პერიმეტრის დაცვის უზრუნველყოფა, ტერიტორიაზე აუფეთქებელი მასალებისა და სხვა ფეთქებადსაშიში საგნებისა და ნივთიერებების დაკვირვებისა და აღრიცხვის ორგანიზება, ფეთქებადსაშიში საგნებისა და ნივთიერებებისაგან ტერიტორიის გაწმენდა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ახსნა-განმარტებითი მუშაობა.[77]

უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, პოლიგონზე/სასროლეთზე სწავლების ჩატარების წინ, სახიფათო ზონებიდან ადამიანების, ცხოველებისა და ტრანსპორტის გაყვანის მიზნით, უნდა მოხდეს პოლიგონის ტერიტორიის წინასწარი დათვალიერება.[78]

წესი ასევე ითვალისწინებს პოლიგონის/სასროლეთის პერიმეტრის საზღვრების აღნიშვნას გამაფრთხილებელი ნიშნებით ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეს ნიშნები ასევე იდგმება პოლიგონის/სასროლეთის მიმდებარე ბილიკებისა და გზების გადაკვეთის ადგილებზე.[79] პოლიგონის/სასროლეთის ტერიტორიაზე უცხო პირების, ტრანსპორტისა და ცხოველების შესვლის აღკვეთის მიზნით, სწავლების დაწყებამდე 4 საათით ადრე, პოლიგონის/სასროლეთის გარე პერიმეტრზე, უნდა მოეწყოს გარემოცვის საგუშაგოები და განლაგდნენ სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც უნდა ჩაუტარდეთ სათანადო ინსტრუქცია.[80]

წესი ითვალისწინებს უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას სწავლების დასრულების შემდეგაც. კერძოდ, წესის მიხედვით, საბრძოლო სროლების დამთავრებისთანავე ხდება აუფეთქებელი საბრძოლო მასალების და სხვა ფეთქებადსაშიში ნივთიერებების/საგნების მოძებნა-მონიშვნა და შემოსაზღვრა.[81] ამის შემდეგ დგება უსაფრთხოების რუკა, რომელზეც, სხვა საკითხებთან ერთად, დაიტანება აუფეთქებელი საბრძოლო მასალების და ფეთქებადსაშიში საგნების/ნივთიერებების ადგილმდებარეობა და ვარდნის წერტილები.[82] ამას მოჰყვება პოლიგონის/სასროლეთის ტერიტორიის გაწმენდა და მონიშნული და შემოსაზღვრული აუფეთქებელი საბრძოლო მასალების და სხვა ფეთქებადი საგნების/ნივთიერებების გაუვნებელყოფა.[83] თუ პოლიგონის/სასროლეთის ტერიტორიის გაწმენდისას სრულად ვერ იქნა მოძებნილი აუფეთქებელი საბრძოლო მასალები და სხვა ფეთქებადი

[71] წესის 1-ელი მუხლი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება N63, 21 ივლისი, 2017 წელი. იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/3766254?publication=3].

[72] წესის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტი.

[73] წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი.

[74] წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

[75] წესის მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტი.

[76] წესის მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტი.

[77] წესის მე-18 მუხლი.

[78] წესის მე-20 მუხლის 1-ელი პუნქტი.

[79] წესის 31-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

[80] წესის 32-ე მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტები.

[81] წესის 35-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

[82] წესის 36-ე მუხლის 1-ელი-მე-2 პუნქტები.

[83] წესის 37-ე მუხლის მე-2-მე-3 პუნქტები.

საგნები/ნივთიერებები, ხდება ტერიტორიის განმეორებით გაწმენდა, მის აღმოჩენამდე და სრულ გაუვნებელყოფამდე.[84] თუ რაიმე მიზეზით ამის გაკეთება შეუძლებელია, მისი ადგილმდებარეობა შემოისაზღვრება და დააყენონ გამაფრთხილებელი წარწერა.[85] ამასთანავე, წელიწადში ორჯერ ტარდება პოლიგონის/სასროლეთის ტერიტორიის სრული გაწმენდა.[86]

წესი ასევე ადგენს, რომ პოლიგონზე/სასროლეთზე სწავლების ჩატარების დროისა და პერიოდის შესახებ უნდა ეცნობოს ახლომდებარე დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოსახლეობას ან მოსახლეობის გაფრთხილების მიზნით შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. შესაძლებელია გაფრთხილების ხმოვანი სიგნალების გამოყენებაც. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან კოორდინაციით, ტარდება პერიოდული შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, რათა მათ გააცნონ პოლიგონის/სასროლეთის მუშაობის ზოგადი წესები და რეგულაციები.[87]

თავდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს კომპლექსური ღონისძიებების გატარებას პოლიგონზე/სასროლეთზე უბედური შემთხვევებისაგან სიცოცხლის დასაცავად. კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს წესი ადგენს პოლიგონზე/სასროლეთზე უსაფრთხოების დეტალურ მარეგულირებელ ჩარჩოს. საკუთრივ, ის ითვალისწინებს უსაფრთხოების ზონების მოწყობას იმგვარად, რომ სწავლების მიმდინარეობისას არ დაზიანდნენ პოლიგონის/სასროლეთის ფარგლებს გარეთ მყოფი პირები, მოითხოვს ტერიტორიის შემოღობვას და შემოსაზღვრას უსაფრთხოების თხრილით და პოლიგონის/სასროლეთის უსაფრთხოების საზღვრებზე მუდმივი გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებას, რომლებიც იძლევა ინფორმაციას არსებული საფრთხის შესახებ და კრძალავს უსაფრთხოების ზონაში შესვლას, ასევე ითვალისწინებს პოლიგონის/სასროლეთის უსაფრთხოების ინსტრუქციის არსებობას. წესი ასევე ითვალისწინებს პოლიგონზე/სასროლეთზე სწავლების ჩატარების წინ სახიფათო ზონებიდან ადამიანების გაყვანას და ტერიტორიის წინასწარ დათვალიერებას. წესი ასევე ადგენს უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას სწავლების დასრულების შემდეგაც, კერძოდ, ხდება აუფეთქებელი საბრძოლო მასალის და სხვა ფეთქებადსაშიში ნივთიერებების/საგნების მოძებნა-მონიშვნა და შემოსაზღვრა, უსაფრთხოების რუკის მომზადება, რომელზეც დაიტანება აუფეთქებელი საბრძოლო მასალის და ფეთქებადსაშიში საგნების/ნივთიერებების ადგილმდებარეობა და ვარდნის წერტილები; უზრუნველყოფილია პოლიგონის/სასროლეთის ტერიტორიის გაწმენდა და მონიშნული და შემოსაზღვრული აუფეთქებელი საბრძოლო მასალის გაუვნებელყოფა; ტარდება განმეორებითი სამუშაო აუფეთქებელი საბრძოლო მასალისაგან ტერიტორიის გაწმენდისა და გაუვნებელყოფისათვის, წელიწადში ორჯერ ტარდება პოლიგონის/სასროლეთის ტერიტორიის სრული გაწმენდა; გათვალისწინებულია ადგილობრივ მოსახლეობასთან ახსნა-განმარტებითი სამუშაოს ჩატარება.

დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ თავდაცვის სამინისტროს ბრძანებით დამტკიცებული წესი სრულყოფილად ასახავს ევროპული სასამართლოს საქმეზე – *ორუკი თურქეთის წინააღმდეგ (Oruk v. Turkey)* – დადგენილ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სიცოცხლის დაცვის საკანონმდებლო (ნორმატიულ) რეგულირებას სამხედრო პოლიგონზე უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით.

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა სახელმწიფოს ვალდებულებაზე ნაღმის აფეთქების შედეგად სიცოცხლის მოსპობის გამო და სახელმწიფოს დააკისრა პასუხისმგებლობა. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე *ალბეკოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Albekov and Others v. Russia)*, რომელიც ეხე-

[84] წესის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

[85] წესის 37-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

[86] წესის 38-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

[87] წესის 43-ე მუხლის 1-ელი-მე-2 პუნქტები.

ბოდა ჩეჩნეთში სამი ადამიანის ნაღმზე აფეთქებას.[88] მოსარჩელეები (ორი გარდაცვლილისა და ერთი დაზარალებულის ნათესავები) ამტკიცებდნენ, რომ ნაღმები დაამონტაჟეს სამხედრო პირებმა, თუმცა მთავრობის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ ისინი დაამონტაჟა უკანონო შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა.[89] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არ თვლის საჭიროდ, დაადგინოს, ვინ დაამონტაჟა ნაღმები, რადგან სახელმწიფო არ უარყოფს, რომ მან იცოდა, ნაღმები განთავსებული იყო ამ ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება, დაეცვა ადგილობრივი მოსახლეობა შესაბამისი საფრთხისაგან.[90] ამისათვის, სასამართლოს აზრით, აუცილებელი იყო იმის დადგენა, გაატარა თუ არა სახელმწიფომ ყველა საჭირო ღონისძიება მოსარჩელეთა ნათესავებისა და სოფლის სხვა მაცხოვრებლების დასაცავად, რათა ისინი არ აღმოჩენილიყვნენ იმ საფრთხის წინაშე, რაც ნაღმებთან იყო დაკავშირებული.[91]

სასამართლომ დაადგინა, რომ, როდესაც სამხედრო ნაწილის მოსამსახურე აღმოაჩენდა ნაღმს, ხდებოდა მათი გაუვნებელყოფა ადგილზე, თუმცა მოპასუხე სახელმწიფოს არ წარუდგენია ევროპული სასამართლოსათვის ინფორმაცია შესაბამის ტერიტორიაზე ნაღმების აღმოჩენისა და გაუვნებელყოფისათვის გამოჩენილი რაიმე ორგანიზებული ძალისხმევის შესახებ. სასამართლოს აზრით, გამნაღმველების მიერ დროდადრო აღმოჩენილი ნაღმების გაუვნებელყოფა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულებისაგან.[92]

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ნაღმების აღმოჩენისა და გაუვნებელყოფისათვის ძალისხმევის არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს შეუძლია, შეასრულოს კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე თავისი პოზიტიური ვალდებულება შესაბამის ტერიტორიაზე გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებით და ამ ტერიტორიის დალუქვით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვინმეს იქ თავისუფლად შესვლა, და მაცხოვრებელთა ყოველმხრივი გაფრთხილება ნაღმების ადგილმდებარეობისა და შესაბამისი საფრთხეების შესახებ.[93]

საქმე *სარიჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Sarihan v. Turkey)* ეხებოდა 12 წლის მეცხვარის აფეთქებას ნაღმზე და მძიმე დაზიანებების მიღებას.[94] ვინაიდან სახელმწიფომ აკრძალა მავთულხლართებით შემოფარგლულ, დანაღმულ სამხედრო ტერიტორიაზე შესვლა, განათავსა გამაფრთხილებელი ნიშნები და გააფრთხილა ადგილობრივი მოსახლეობა იქ შესვლასთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ, თუმცა ახალგაზრდა მეცხვარე გააზრებულად შევიდა ამ ტერიტორიაზე, რასაც მოჰყვა მისი აფეთქება ნაღმზე. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მეცხვარეს უნდა გაეცნობიერებინა აკრძალულ სამხედრო ტერიტორიაზე შესვლის თანმდევი საფრთხეები. ამის გამო სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები.[95]

რაც შეეხება საქართველოში ნაღმის აფეთქებისაგან პირთა დაცვის მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოს, აღსანიშნავია, რომ საქართველო არის „ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ" კონვენციის „ნაღმების, მახენაღმებისა და სხვა მოწყობილობების გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ" II შესწორებული ოქმის მონაწილე.[96] ეს ოქმი შეიცავს წესებს, რომლებიც აწესრიგებს, მაგრამ არ კრძალავს ნაღმების, მახენაღმებისა და სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენებას. ამ ოქმით, ნებისმიერ გარემოებაში აკრ-

[88] 9 ოქტომბერი, 2008 წელი.
[89] მე-10 პუნქტი.
[90] 85-ე პუნქტი.
[91] 86-ე პუნქტი.
[92] 87-ე პუნქტი.
[93] 88-ე პუნქტი.
[94] 6 დეკემბერი, 2016 წელი.
[95] 57-ე პუნქტი.
[96] The Protocol on Prohibitions or Restrictions on the Use of Mines, Booby-Traps and Other Devices as amended on 3 May 1996 (Amended Protocol II).

ძალულია ნაღმების, მახენაღმებისა და სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობის, ინდივიდუალური სამოქალაქო პირების ან სამოქალაქო ობიექტების წინააღმდეგ და იკრძალება ამ მოწყობილობების გამოყენება განურჩევლად.[97] ოქმი აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, გაატაროს ყველა გონივრული ღონისძიება ნაღმების, მახენაღმებისა და სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობების ზემოქმედებისაგან მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად, მათ შორის დანაღმული ტერიტორიის შემოღობვის, გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებისა და მონიტორინგის გზით.[98] ამასთანავე, საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მოახდინოს დანაღმული ტერიტორიების განაღმვა, ნაღმებისა და მსგავსი მოწყობილობების ლიკვიდაცია.

ასევე საყურადღებოა, რომ საქართველოს თავდაცვის ძალებს ჰყავს მესანგრეთა და ფეთქებადი საბრძოლო მასალების განადგურების (EOD) ასეული, რომელიც მზად არის, განახორციელოს ფეთქებადსაშიში საგნების გაუვნებელყოფის ღონისძიებები, როგორც თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების, ისე სხვა სახელმწიფო უწყებების მხარდასაჭერად.[99]

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტას" დებულება, რომლის ფუნქციაა: საქართველოს ტერიტორიაზე ყველა სახის ნაღმებსა და ფეთქებად საბრძოლო ნარჩენებზე ჩატარებული სამუშაოების კოორდინაცია; ნაღმებისა და ფეთქებადი საბრძოლო ნარჩენებისაგან გასუფთავებული ტერიტორიების ინსპექტირება; ომის ფეთქებადი ნარჩენებისა და ნაღმებით დაბინძურებული ტერიტორიების ტექნიკური გამოკვლევისა და შეფასების მართვა და კოორდინაცია; ჰუმანიტარული განაღმვითი საქმიანობის ხარისხის მართვა და ამ საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მართვის სისტემის განხორციელება.[100]

დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ სამხედრო წვრთნებისა და ნაღმის აფეთქების შედეგად პირის გარდაცვალებისაგან სიცოცხლის დაცვის შესახებ საქართველოს საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზა დამაკმაყოფილებლად ასახავს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს.

ბ) პრაქტიკა

საქართველოში ბოლო წლებში არსებული მდგომარეობის შესწავლამ ცხადყო, რომ სამხედრო წვრთნებს არ გამოუწვევია რაიმე საფრთხე სიცოცხლის უფლების მიმართ.

რაც შეეხება ნაღმების აფეთქებით გამოწვეულ საფრთხეს სიცოცხლისათვის, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე, აზერბაიჯანის საზღვართან, ე.წ. „წითელ ხიდთან", არის შვიდკილომეტრიანი დანაღმული ტერიტორია, რომელიც ესაზღვრება მჭიდროდ დასახლებულ სოფელ კირაჩ-მუღანლოს. ამ ტერიტორიაზე განთავსებულია ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ათასზე მეტი აზერბაიჯანული ნაღმი. ვინაიდან სომხეთის საზღვარი ახლოსაა, ყარაბაღის ომის აქტიური ფაზის დროს, აზერბაიჯანელმა სამხედროებმა ეს ტერიტორია დანაღმეს სომხეთის შემოტევისაგან თავის დასაცავად. გავრცელებული ინფორმაციით, წლების განმავლობაში დანაღმულ ტერიტორიაზე არაერთი შემთხვევა მოხდა (ერთი წყაროს მიხედვით, მოხდა 18 შემთხვევა, რომლის შედეგად სულ ცოტა 7 ადამიანი დაიღუპა, ხოლო დანარჩენები დაშავდნენ, მათ შორის დაკარგეს კიდურები, ხოლო მეორე წყაროს მიხედვით, მოხდა 17 აფეთქება, საიდანაც 13 იყო სასიკვდილო). სიცოცხლის მოსპობისა და

[97] ოქმის მე-3 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები.

[98] ოქმის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი.

[99] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი N MOD52400975770, 2 აგვისტო, 2024 წელი. ასევე იხ. ზ. *ნავერიანი,* საინჟინრო ძალებისა და სამხედრო საინჟინრო ტექნიკის, კომპლექტაციისა და სტრუქტურული რეორგანიზაციის შესაძლო სრულყოფის საკითხი, ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2021 წელი, 95-ე-მე-100.

[100] დებულების მე-17 მუხლი.

ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების საფრთხე დღესაც არსებობს ახლომდებარე დასახლებებისათვის (სოფლები კირაჩ-მუღანლო, თეკალი და ყაჩაღანი), სადაც 4 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს. ამ სოფლებში მაცხოვრებლების ნაწილი მისდევს მესაქონლეობას. დანაღმულ ტერიტორიაზე დროდადრო ფეთქდება საქონელი და მოსახლეობა რჩება საარსებო წყაროს გარეშე. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველო საკუთარ ტერიტორიას ვერ წმენდს ნაღმებისაგან, რადგან ამას ეწინააღმდეგება აზერბაიჯანი.[101]

ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის არსებული საფრთხის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ აზერბაიჯანთან მოსაზღვრე ტერიტორია გაიწმინდოს ნაღმებისაგან.

4. ტექნიკური უსაფრთხოება

ა) კანონმდებლობა

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სიცოცხლის დაცვაზე ისეთი უბედური შემთხვევისაგან, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური მიზეზით. ამ ვალდებულების შესასრულებლად, სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მიმართული იქნება ტექნიკური მიზეზით გამოწვეული უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის დაცვისაკენ.

ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნების შეუსრულებლობას ეხებოდა საქმე *ილია პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Iliya Petrov v. Bulgaria)*.[102] ამ საქმეზე, რომელიც ეხებოდა 8 წლის ასაკში მოსარჩელის საცხოვრებლის მიმდებარედ განლაგებულ ელექტროქვესადგურში მისთვის დენის დარტყმას, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, თუ სახელმწიფო განათავსებს ამ სახის ელექტროდანადგარებს, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, მისი პასუხისმგებლობაა, რომ თავიდან აიცილოს ასეთ დანადგარების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საფრთხეები. სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მოახდინოს გაფრთხილება მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარების შესახებ, სივრცე, სადაც განთავსებულია მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარები, უნდა იყოს იზოლირებული, მისი კარები უნდა იყოს დაკეტილი ისე, რომ არაუფლებამოსილმა პირმა ვერ შეძლოს შიგნით შეღწევა. ასევე, სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ელექტროქვესადგურების მიმართ უსაფრთხოების წესების შესრულების რეგულარული შემოწმება, რაც იძლევა პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას, თუ აღმოჩნდება ხარვეზი ან ცნობილი გახდება მის შესახებ.[103]

თუ ამ საქმეში წამოჭრილი საკითხები განიხილება საქართველოს მარეგულირებელი კანონმდებლობის კონტექსტში, აღსანიშნავია შემდეგი: ელექტროსადგურების ექსპლუატაციის უსაფრთხოება განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესებით".[104] ეს წესები დეტალურად ადგენს უსაფრთხოების სტანდარტებს, რომელთა მიზანია სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. დამტკიცებული წესების მიხედვით, ელექტროდანადგარები უნდა იყოს იზოლირებული, მისი კარები დაკეტილი ბოქლომით, ხოლო ელექტროდანადგარებზე დაიშვებიან მხოლოდ უფლებამოსილი პირები.[105] წესი ასევე ადგენს უსაფრთხოების ნიშნის (პლაკატის) გამოყენებას, რომელიც კრძალავს გარკვეულ მოქმე-

[101] *ს. ბუკია,* „აზერბაიჯანული ნაღმები საქართველოში," 3 მარტი, 2019, იხ. [https://jam-news.ge], [ნანახია: 18 აგვისტო, 2024 წ.]; ამბავი საქართველოში დარჩენილი უდიდესი ნაღმური ველის შესახებ, 24 ივლისი, 2018 წელი, იხ.: [https://www.halotrust.org/latest/halo-updates/stories/red-bridge-minefield-georgian-translation/], [ნანახია: 18 აგვისტო, 2024 წ.].

[102] 24 აპრილი, 2012 წელი.

[103] 59-ე პუნქტი.

[104] საქართველოს მთავრობის დადგენილება N340, 17 დეკემბერი, 2013 წელი.

[105] მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტი; 29-ე მუხლი.

დებას ან ინფორმაციას აწვდის მყისიერი საფრთხის შესახებ.[106] წესი ითვალისწინებს საფრთხის შემცველი სამუშაოს შესრულებაზე ზედამხედველობას.[107] წესი ასევე ზოგადად ადგენს, რომ უნდა არსებობდეს მუდმივი კონტროლი წინამდებარე წესების, შრომის დაცვის ინსტრუქციების მოთხოვნების შესრულებაზე.[108]

აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს.

სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე ასევე იმსჯელა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *დარაიბუ ხორვატიის წინააღმდეგ (Daraibou v. Croatia),* რომელიც ეხებოდა პოლიციის განყოფილების სარდაფში მომხდარ ხანძარს. ხანძრის შედეგად მოსარჩელემ მიიღო მძიმე დამწვრობა, ხოლო საკანში მყოფი სხვა სამი მიგრანტი გარდაიცვალა.[109] ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რამდენიმე ხარვეზი, მათ შორის, რომ არ იყო უზრუნველყოფილი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ზედამხედველობა; არ არსებობდა სახანძრო-საევაკუაციო გეგმა და ცეცხლსაქრობების საკმარისი რაოდენობა, ისევე როგორც ის, რომ მეხანძრეებს არ ჰქონდათ წვდომა ხანძართან.

საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ მოთხოვნებს სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, „პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ადგილობრივი პირობების, თავისებურებების და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შემუშავებული უნდა იქნეს დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „ხანძრის დროს დაწესებულების სამოქმედო გეგმა-ნახაზი და სტიქიური უბედურების დროს დაწესებულების სამოქმედო გეგმა-ნახაზი".[110]

მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტებს, ის საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, ნაცვლად ამ სტანდარტების გაუარესების ან საერთოდ გაუქმებისა. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტების გაუქმების მაგალითია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში 2022 წლის 23 ივნისს შეტანილი ცვლილება, რომლის მიხედვით, 2027 წლამდე ბათუმის განაშენიანების გენერალური გეგმის დამტკიცებამდე, დასაშვები გახდა შენობა-ნაგებობებისთვის დადგენილი უსაფრთხოების ნორმების და ფუნქციური ზონით დადგენილი პირობების დარღვევით, განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის (კ-2) და შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის ნებისმიერი მოცულობით გადაჭარბება, ასევე კანონმდებლობით დადგენილი ყველა სხვა სავალდებულო პირობის უგულებელყოფა, გარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციებისა.[111] ეს ცვლილება ქმნის არაერთი სამშენებლო სტანდარტის გაუთვალისწინებლობის საფუძველს, სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების ჩათვლით. ამ საკითხზე საქართველოს სახალხო დამცველმა სარჩელი შეიტანა საკონსტიტუციო სასამართლოში, რომლითაც ითხოვს ამ ცვლილების გაუქმებას.[112]

[106] 29-ე მუხლი.

[107] 29-ე მუხლი.

[108] 1-ელი მუხლის მე-6 პუნქტი.

[109] 17 იანვარი, 2023 წელი.

[110] 156-ე მუხლი.

[111] საქართველოს კანონი საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 23 ივნისი, 2022 წ., იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5502735?publication=0].

[112] საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N1724, 23 აგვისტო, 2022 წ.,

მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არცერთ საქმეზე არ უმსჯელია ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე, საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ ევროპული სასამართლო დააკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის წესების დადგენა და დაცვა. ცხადია, რომ ლიფტის არასწორმა ექსპლუატაციამ და რეგულარულმა შეუმოწმებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ლიფტის მწყობრიდან გამოსვლა, მისი შახტაში ჩავარდნა, და შედეგად, პირის გარდაცვალება.

საქართველოს რამდენიმე ნორმატიული აქტი აწესრიგებს ლიფტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საქართველოს მთავრობის დადგენილება „ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", რომელიც ადგენს, რომ ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს.[113] ასევე მოქმედებს საქართველოს მთავრობის დადგენილება „ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", რომელიც ადგენს, რომ ტექნიკური რეგლამენტი ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ განსაზღვრავს მოთხოვნებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, რომელიც ექსპლუატაციას უწევს ლიფტებს.[114]

საქართველოში ასევე მოქმედებს მთავრობის დადგენილება „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", რომლის მიხედვით, ლიფტების გეგმური ტექნიკური ინსპექტირება ხორციელდება ყოველ მესამე წელს.[115]

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედებს სათანადო ნორმატიული ჩარჩო, რომელიც მიმართულია ლიფტების ტექნიკური გაუმართაობით გამოწვეული უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის დაცვისაკენ.

ბ) პრაქტიკა

პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად სახელმწიფომ არა მხოლოდ უნდა მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც მიმართული იქნება ტექნიკური მიზეზით გამოწვეული უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის დაცვისაკენ, არამედ უნდა უზრუნველყოს ამ კანონმდებლობის აღსრულება პრაქტიკაში.

1. გაზის სისტემების უსაფრთხოება

საქართველოში ბუნებრივი გაზის გაჟონვის შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი მრავალი წლის განმავლობა სავალალო იყო.[116] მიუხედავად ამისა, გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობა შემცირებისაკენაა. ამას მოწმობს

იხ.: [https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14062]. „ომბუდსმენი ასაჩივრებს კანონს, რომლითაც ბათუმში მშენებლობა მარტივდება", 18 აგვისტო, 2022 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/31994152.html].

113 საქართველოს მთავრობის დადგენილება N289, 20 ივლისი, 2011 წელი.

114 საქართველოს მთავრობის დადგენილება N446, 31 დეკემბერი, 2013 წელი.

115 საქართველოს მთავრობის დადგენილება N173, 10 ივლისი, 2013 წელი, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი.

116 „ვაზისუბანში ხანძრის შედეგად დაშავებული ერთი ადამიანი გარდაიცვალა", 24 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/693782/]; „რუსთავში CO-თი ახალგაზრდა გარდაიცვალა", 28 აპრილი, 2023 წ., იხ.: [https://inforustavi.ge/?m=31&news_id=32217&mibextid=Zxz2cZ]; „გლდანის ბინაში, სადაც 5 ადამიანი დაიღუპა, მაშველებს ღუმელი ღია, ანთებული დახვდათ", 29 იანვარი, 2022 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/588879/]; „დიდ დიღომში ცოლ-ქმარი გარდაცვლილი იპოვეს", 7 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/717819-did-digomshi-col-kmari-gardacvlili-ipoves]; „თბილისში, სავარაუდოდ, CO-თი ინტოქსიკაციის შედეგად, დედა და მისი 8 წლის შვილი გარდაიცვალნენ", 3 დეკემბერი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/686670-tbilisshi-savaraudod-co-ti-intoksikaciis-shedegad-deda-da-misi-8-clis-shvili-gardaicvalnen]; „თბილისში, სავარაუდოდ, გაზის გაჟონვის შედეგად 7 ადამიანი გარდაიცვალა", 31 იანვარი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/530756-tbilisshi-savaraudod-gazis-gazhonvis-shedegad-7-

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ენერგოომბუდსმენის 2023 წლის ანგარიში, რომლის მიხედვით, მართალია, 2023 წელს დაფიქსირდა ბუნებრივი გაზის აფეთქების, გაჟონვის, მოწამვლის (მხუთავი აირით CO-თი ინტოქსიკაციის) შემთხვევები, ბოლო პერიოდში მდგომარეობა უმჯობესდება და შემთხვევების საერთო რაოდენობა იკლებს.[117]

ენერგოომბუდსმენის ანგარიშის მიხედვით, „რეგიონებისა და დედაქალაქის მასშტაბით მომხდარი ფაქტების ანალიზით დადგინდა, რომ უბედური შემთხვევები ძირითადად გამოწვეული იყო ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო დანადგარების (ღია წვის წყალგამაცხელებლების, ასევე სხვა დანადგარების) თვითნებური ან არასწორი მონტაჟის შედეგად, ასევე, ტექნიკურად გაუმართავი და გაზის დანადგარების არასწორი ექსპლუატაციის შედეგად. ბუნებრივი გაზის ნებისმიერი დანადგარის მონტაჟი უნდა განხორციელდეს ტექნიკური სტანდარტებისა და უსაფრთხოების მოთხოვნათა ზედმიწევნით ზუსტი დაცვით და კომპანიის წარმომადგენლების მკაცრი ზედამხედველობის პირობებში. შესაბამისად, დაუშვებელია, ბუნებრივი გაზის სისტემების სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს თვითნებურად, არაკვალიფიციური პირების მიერ და მისი ექსპლუატაცია განხორციელდეს კომპანიის სათანადო ნებართვისა და ზედამხედველობის გარეშე.“[118]

რაც შეეხება სტატისტიკას, ენერგოომბუდსმენის ზემოაღნიშნული ანგარიშის მიხედვით, 2023 წელს საქართველოში ბუნებრივი გაზისაგან (მხუთავი აირისაგან (CO)) და აფეთქებებისაგან გარდაცვალების 14 შემთხვევა, ხოლო 2022 წელს – 16 შემთხვევა მოხდა.[119]

სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება ბუნებრივი გაზის გაჟონვის თავიდან აცილებისაკენ. ბოლო წლებში ხელისუფლებას ჰქონდა რამდენიმე ინიციატივა საქართველოში მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით, მათ შორის საცხოვრებელ კორპუსებში ბუნებრივი აირის გაჟონვის ამომცნობი დეტექტორების დამონტაჟება,[120] გაზის დანადგარების ყოველწლიური სავალდებულო შემოწმება.[121] მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ თავისი პოზიცია გამოხატა გაზის გამანაწილებელმა კომპანიამაც, რომლის მიხედვით, გაზის მომხმარებლები უნდა აღიჭურვონ დეტექტორით და ღია წვის დანადგარების გამოყენება უნდა აიკრძალოს კანონმდებლობით.[122]

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ამ ეტაპზე ბუნებრივი აირის გაჟონვის ამომცნობი დეტექტორების დამონტაჟება არ მომხდარა და არ აკრძალულა ღია წვის დანადგარების გამოყენება.

უდავოა, რომ მნიშვნელოვანი როლი გაზის გაჟონვის შედეგად გარდაცვალების თავიდან აცილებაში ეკისრება გაზის გამანაწილებელ კომპანიას, რომელიც შრომატევად სამუშაოს ატარებს საცხოვრებლებში გაზის აპარატების სწო-

adamiani-gardaicvala].

117 იხ.: [http://pdci.ge/res/docs/2024040310570171102.pdf?fbclid=IwY2xjawE0WBtleHRuA2FlbQIxMAABHa3xjhcl_Zn4zvXOD5pa-BELG8XyXFyJkaxt3QWG49NVQ4Lu28MRD10fwg_aem_tLeofprjVPN6hpMYMNkWkg], 69.

118 იქვე, 70.

119 იქვე.

120 „კახა კალაძის განცხადებით, საცხოვრებელ კორპუსებში ბუნებრივი აირის გაჟონვის ამომცნობი დეტექტორები უახლოეს თვეებში დამონტაჟდება“, 8 აპრილი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/540954-kaxa-kalazis-gancxadebit-sacxovrebel-korpusebshi-bunebrivi-airis-gazhonvis-amomcnobi-detektorebi-uaxloes-tveebshi-damontazhdeba].

121 „ნათია თურნავა – მთავრობას ვთავაზობთ, რომ შემოიღონ გაზის დანადგარების ყოველწლიური სავალდებულო შემოწმება“, 16 აპრილი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/542357-natia-turnava-mtavrobas-vtavazobt-rom-shemoigon-gazis-danadgarebis-qovelcliuri-savaldebulo-shemocmeba].

122 „თბილისი ენერჯის“ ტექნიკური დირექტორის მოადგილე – ჩვენი პოზიციაა, გაზის მომხმარებლები დეტექტორით აღიჭურვონ და ღია წვის დანადგარების გამოყენება კანონმდებლობით აიკრძალოს, 21 ოქტომბერი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/569032-tbilisi-enerjis-teknikuri-direktoris-moadgile-chveni-poziciaa-gazis-momxmareblebi-detektorit-agichurvon-da-gia-cvis-danadgarebis-gamoqeneba-kanonmdeblobit-aikrzalos].

რი მონტაჟის შესამოწმებლად და, ზოგადად, გარდაცვალების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.[123] ქვეყანაში სიტუაციის გაუმჯობესება უნდა მოხდეს არა მხოლოდ გაზის გამანაწილებელი კომპანიის ეფექტიანი მუშაობის ხარჯზე, არამედ ასევე გაზის გაჟონვის შედეგად გარდაცვალების პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ღონისძიებების გატარების შედეგად, რაც უნდა მოიცავდეს როგორც სათანადო მარეგულირებელი ნორმების დადგენას, ისე ტექნიკური მოთხოვნების დაწესებასა და მათ შესრულებაზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებას, რაც, საბოლოოდ, უზრუნველყოფს უბედური შემთხვევების გამორიცხვას ან მათ მინიმუმამდე შემცირებას.

2. ლიფტების უსაფრთხოება

საქართველოში საცხოვრებელი კორპუსების გაუმართავი ლიფტებით სარგებლობა, რომლებსაც დიდი ხნის წინ გაუვიდა ექსპლუატაციის ვადა, ხშირად ხდება უბედური შემთხვევის მიზეზი.[124] ამას ადასტურებს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მომხდარი შემთხვევები.[125] სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, საფრთხე ეხება დაახლოებით 13-14 ათას ამორტიზებულ ლიფტს თბილისში და 18 ათას ლიფტს საქართველოს მასშტაბით.[126] აქედან გამომდინარე, პრობლემა არის ფართომასშტაბიანი და მისი მოგვარება მოითხოვს დიდ ძალისხმევას.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ეხება ლიფტების გაუმართაობით გამოწვეულ სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილებას, არის, ვინ უნდა უზრუნველყოს ლიფტების გამართული ფუნქციონირება. მედიასაშუალებებში სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა. ერთი პოზიციის მიხედვით, ვინაიდან საცხოვრებელი კორპუსები პრივატიზებულია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ თავად უნდა იზრუნოს ლიფტების უსაფრთხოებაზე და მას ეკისრება პასუხისმგებლობა უბედური შემთხვევისათვის. აქედან გამომდინარე, ამ მოსაზრებით, ამორტიზებული ლიფტების შეცვლა არ არის სახელმწიფოს ვალდებულება. ამ პოზიციით, მოსახლეობამ (ამხანაგობის წევრებმა) თავად უნდა იზრუნოს ლიფტების გამართულობაზე, გასწიოს ყველა ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ლიფტების გამართულ ფუნქციონირებასთან და მან უნდა დაიცვას საკუთარი სიცოცხლე და ჯანმრთელობა.[127] მეორე პოზიციის მიხედვით, მართალია, რომ ეს

[123] „თბილისი ენერჯი" – ოქტომბერში, „თბილისი ენერჯის" სპეციალისტებმა დედაქალაქის მასშტაბით, საცხოვრებელი ბინებიდან 1390 კუსტარული გაზის დანადგარი ჩახსნეს, 13 ნოემბერი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/734159-tbilisi-enerji-oktombershi-tbilisi-enerjis-specialistebma-dedakalakis-masshtabit-sacxovrebeli-binebidan-1390-kustaruli-gazis-danadgari-chaxsnes].

[124] „არსებულ ლიფტებს 25-წლიანი ექსპლუატაციის ვადა 90-იან წლებში გაუვიდა ... უნდა მოხდეს დემონტაჟი", 15 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://bm.ge/news/quotarsebul-liftebs-25-wliani-eqspluataciis-vada-90-ian-wlebshi-gauvida-unda-moxdes-demontajiquot/124748].

[125] „ბათუმში, ლიფტის შახტაში კაცი ჩავარდა და დაიღუპა", 17 სექტემბერი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/812591-batumshi-liptis-shaxtashi-kaci-chavarda-da-daigupa]; „თბილისში, ლიფტის შახტში ჩავარდნის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა", 14 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/32223277.html]; „ლოტკინის დასახლებაში ლიფტი ჩავარდა, დაშავდა 3 ადამიანი", 7 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/740619-lotkinis-dasaxlebashi-lipti-chavarda-dashavda-3-adamiani]; „ბათუმში, კორპუსში ლიფტის ჩავარდნის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა", 15 თებერვალი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/744927-batumshi-korpusshi-liptis-chavardnis-shedegad-xuti-adamiani-dashavda].

[126] „სისტემა არის მოშლილი – სანდრო შელია ლიფტების უსაფრთხოებაზე", ინტერვიუ რესპონდენტს ჩამოართვა „რადიო თავისუფლებამ", 28 ოქტომბერი, 2022 წ., იხ.: [https://bit.ly/3gWa26F]; „მენაშენეთა ასოციაცია" – ამორტიზებული ლიფტების ექსპლუატაციის 25-წლიანი ვადა დაახლოებით 30 წლის წინ ამოიწურა, 13 ივლისი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/609159-menasheneta-asociacia-amortizebuli-liptebis-ekspluataciis-25-cliani-vada-daaxloebit-30-clis-cin-amoicura].

[127] „არსებულ ლიფტებს 25-წლიანი ექსპლუატაციის ვადა 90-იან წლებში გაუვიდა ... უნდა მოხდეს დემონტაჟი", 15 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://bm.ge/news/quotarsebul-liftebs-25-wliani-eqspluataciis-vada-90-ian-wlebshi-gauvida-unda-moxdes-demontajiquot/124748].

კორპუსები და მათში არსებული ლიფტები ამხანაგობის საკუთრებაა, პრობლემის დიდი მასშტაბისა და მოსახლეობის ხელთ არსებული მწირი ფინანსური რესურსების გამო, მისი მოგვარება სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნება.[128]

ამ საკითხზე თბილისის მერმა გამოხატა პოზიცია, რომლის მიხედვით, „სადარბაზოები და ლიფტები არის თქვენი [მოსახლეობის] საკუთრება. ვინც კონკრეტულ სადარბაზოში ცხოვრობს, ლიფტი არის თქვენი საკუთრება და, რა თქმა უნდა, თქვენ უნდა უზრუნველყოთ მისი მოწესრიგება, მისი რეაბილიტაცია-განახლება."[129] იმავდროულად, თბილისის მერმა ხაზი გაუსვა მერიის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის" მხარდაჭერის პროგრამების არსებობას, რომელთა ფარგლებში ასეულობით ლიფტი განახლდა და მოწესრიგდა.[130] გამოითქვა მერის პოზიციისაგან განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვით, ვინაიდან ლიფტი არის მომეტებული საფრთხის წყარო და მისმა გაუმართაობამ შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის მოსპობა, მერიას აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობისა, უზრუნველყოს უსაფრთხოება და სიცოცხლის დაცვა.[131]

როგორც ნაშრომში აღინიშნა ლიფტის ექსპლუატაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის განხილვისას. საქართველოში მოქმედებს მთავრობის დადგენილება „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", რომლის მიხედვით, ლიფტების გეგმური ტექნიკური ინსპექტირება ხორციელდება ყოველ მესამე წელს.[132] მიუხედავად ამისა, გამოითქვა პოზიცია, რომ სინამდვილეში ლიფტების ასეთი შემოწმება არ ტარდება. ამის მიზეზი მოსახლეობის ხელთ არსებული მწირი ფინანსური რესურსებია. ეს სიტუაცია, ცხადია, ზრდის ლიფტების გაუმართაობით გამოწვეულ საფრთხეს პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.[133]

რა შეიძლება იყოს გამოსავალი? ლიფტების გამართულ მუშაობაზე და, შესაბამისად, ლიფტების გაუმართაობით გამოწვეული უბედური შემთხვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ მოსახლეობაზე (ამხანაგობაზე), არ არის სწორი პოზიცია, რადგან სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასა და ნებისმიერი საფრთხის თავიდან აცილებაზე, რომელმაც შეიძლება მოუსპოს ადამიანს სიცოცხლე. აქედან გამომდინარე, მართებულია, სახელმწიფომ თავისი მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

გაუმართავი ლიფტების პრობლემის მოგვარება უნდა გახდეს მსჯელობის საგანი და შეიძლება სხვადასხვა გამოსავალი მოიძებნოს. ამ

---

[128] „ლიფტების გაუმართაობა სისტემური პრობლემაა – სანდრო შელია უბედურ შემთხვევაზე", 14 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://bm.ge/news/liftebis-gaumartaoba-sistemuri-problemaa---sandro-shelia-ubedur-shemtxvevaze/124737].

[129] კახა კალაძე მოსახლეობას – სადარბაზოები და ლიფტები თქვენი საკუთრებაა, თქვენ უნდა უზრუნველყოთ მისი მოწესრიგება, რეაბილიტაცია და განახლება, 18 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/741521-kaxa-kalaze-mosaxleobas-sadarbazoebi-da-liptebi-tkveni-sakutrebaa-tkven-unda-uzrunvelqot-misi-mocesrigeba-reabilitacia-da-ganaxleba].

[130] იქვე.

[131] „ლევან იოსელიანი კახა კალაძის განცხადებაზე – „ხელების დაბანა" სწორი არ არის – უსაფრთხოებაზე, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს", 18 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/741557-levan-ioseliani-kaxa-kalazis-gancxadebaze-xelebis-dabana-scori-ar-aris-usaprtxoebaze-adamianis-sicocxlesa-da-janmrtelobaze-pasuxismgebloba-ekisreba-saxelmcipos]. ასევე იხ. ა. ნაცვლიშვილის მოსაზრება, 18 იანვარი, 2023 წ., [https://www.interpressnews.ge/ka/article/741537-ana-nacvlishvili-paktobrivad-dazaralebulebs-daakisres-pasuxismgebloba-tu-xelisupleba-pasuxismgeblobas-ixsnis-rom-lipti-kibe-shadrevani-usaprtxo-iqos-mashin-ristvis-apinanseben-mokalakeebi-xelisuplebas].

[132] საქართველოს მთავრობის დადგენილება N173, 10 ივლისი, 2013 წელი, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი.

[133] „ლიფტების გაუმართაობა სისტემური პრობლემაა – სანდრო შელია უბედურ შემთხვევაზე", 14 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://bm.ge/news/liftebis-gaumartaoba-sistemuri-problemaa---sandro-shelia-ubedur-shemtxvevaze/124737].

პრობლემის მოგვარების გზებზე გამოითქვა პოზიცია – საკითხის მოსაწესრიგებლად უნდა დაწესდეს, რომ ბინათმფლობელების ამხანაგობებმა, სავალდებულო წესით, დადონ ხელშეკრულებები კომპანიებთან, რომლებიც იკისრებენ პასუხისმგებლობას ლიფტების გამართულ მუშაობასა და უსაფრთხოებაზე.[134] ასევე არსებობს მოსაზრება, რომ, მერიისა და ამხანაგობების გარდა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა მიიღონ ამ პროცესში მონაწილეობა ლიფტების რეაბილიტაციის დაფინანსების გზით, რაც მოსახლეობას მისცემს შესაძლებლობას, ნელ-ნელა გადაიხადოს ეს თანხა, თუნდაც ხურდების დაგროვებით, რასაც ისინი ლიფტით მგზავრობაში იხდიან.[135] ცხადია, რომ ამ პრობლემის მოგვარება გრძელვადიანი პროცესია.

მიუხედავად იმისა, გაუმართავი ლიფტების პრობლემის მოგვარების რა გზები შეირჩევა, დღეს შექმნილი სავალალო სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებელია სწრაფი, ეფექტიანი და თუნდაც დროებითი, გამოსავლის გამონახვა. ამისათვის, როგორც მინიმუმ, საწყის ეტაპზე სახელმწიფომ თავად უნდა უზრუნველყოს ლიფტების მდგომარეობის შემოწმება და არ დაელოდოს მინათმესაკუთრეთა განცხადებას. თუ აღმოჩნდა, რომ ლიფტის ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა აკრძალოს მისი ექსპლუატაცია, სიტუაციის გამოსწორებამდე. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფომ, პრიორიტეტული კლასიფიკატორის მიხედვით, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის" მხარდაჭერის პროგრამების დახმარებით უნდა უზრუნველყოს ამ ლიფტების რეაბილიტაცია ან ამ პროცესში ფინანსური თანამონაწილეობა ამხანაგობებთან ერთად, ლიფტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ვინაიდან სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე, ვრცელდება ტექნიკური მიზეზით გამოწვეული უბედური შემთხვევის თავიდან აცილებაზე, აუცილებელია, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს გაუმართავი ლიფტების ექსპლუატაციის პრობლემის მოგვარება სწრაფი, ეფექტიანი და რეალური გზებით.

3. სახანძრო უსაფრთხოება

სიცოცხლის მოსპობას ხშირად იწვევს ხანძარი. ამას მოწმობს როგორც კონკრეტული შემთხვევები,[136] ისე სტატისტიკური მონაცემები. ამ სტატისტიკის მიხედვით, მხოლოდ 2024 წლის პირველ ნახევარში საქართველოში იყო ხანძრის 5985 შემთხვევა, რომელთაც 21 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 122 ადამიანი დაშავდა.[137]

რაც შეეხება პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომლებიც შეიძლება გადაიდგას ხანძრით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებში კანონმ-

[134] „არსებულ ლიფტებს 25-წლიანი ექსპლუატაციის ვადა 90-იან წლებში გაუვიდა ... უნდა მოხდეს დემონტაჟი", 15 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://bm.ge/news/quotarsebul-liftebs-25-wliani-eqspluataciis-vada-90-ian-wlebshi-gauvida-unda-moxdes-demontajiquot/124748].

[135] „სისტემა არის მოშლილი – სანდრო შელია ლიფტების უსაფრთხოებაზე", ინტერვიუ რესპონდენტს ჩამოართვა „რადიო თავისუფლებამ", 28 ოქტომბერი, 2022 წ., იხ.: [https://bit.ly/3gWa26F].

[136] „თბილისში, იყალთოს ქუჩაზე კორპუსში ხანძარს მსხვერპლი მოჰყვა", 22 მარტი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/749508-tbilisshi-iqaltos-kuchaze-korpusshi-xanzars-msxverpli-mohqva]; „გორში, დევნილთა დასახლებაში გაჩენილ ხანძარს 80 წლამდე მამაკაცი ემსხვერპლა", 18 აგვისტო, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/723240-gorshi-devnilta-dasaxlebashi-gachenil-xanzars-80-clamde-mamakaci-emsxverpla]; „ქობულეთში, ეზოში ნარჩენების დაწვისას, 70 წლის მამაკაცს ცეცხლი მოეკიდა და ადგილზე გარდაიცვალა", 5 მარტი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/588408-kobuletshi-ezoshi-narchenebis-dacvisas-70-clis-mamakacs-cecxli-moekida-da-adgilze-gardaicvala]; „რა მოხდა „ლეოგრანდში"?", 26 ნოემბერი, 2017 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/ra-mokhda-leograndshi/28877776.html].

[137] „6 თვეში საქართველოში 5985 ხანძარი დაფიქსირდა – ხანძრებს 21 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა", 5 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/808179-6-tveshi-sakartveloshi-5985-xanzari-dapiksirda-xanzrebs-21-adamianis-sicocxle-emsxverpla].

დებლობით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების ზედმიწევნით შესრულებას და მასზე ზედამხედველობას. ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს ხანძრით გამოწვეული საფრთხის შესახებ გაფრთხილებას, მაგალითად, როგორიცაა კვამლის დეტექტორის სავალდებულო მონტაჟი.

სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვა ხანძრით გამოწვეული საფრთხისაგან. საქართველოს ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრით ორი პატიმარი გარდაიცვალა.[138] მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების სტანდარტებს, რაც მიზნად ისახავს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლის დაცვას ისეთი უბედური შემთხვევებისაგან, როგორიცაა ხანძარი,[139] საქართველოს სახალხო დამცველმა გამოთქვა ეჭვი, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში არ არსებობს სახანძრო უსაფრთხოების წესები და კრიტიკულ შემთხვევებზე რეაგირების მკაფიო ინსტრუქციები.[140] საყურადღებოა, რომ საქმეზე – *დარაიბუ ხორვატიის წინააღმდეგ (Daraibou v. Croatia),* რომელიც ეხებოდა პოლიციის განყოფილების სარდაფში მომხდარ ხანძარს, ევროპულმა სასამართლომ საქმეზე კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის ერთ-ერთ მიზეზად სახანძრო-საევაკუაციო გეგმის არარსებობა დაასახელა.[141] სახალხო დამცველმა ასევე ეჭვი შეიტანა იმაში, რომ, კანონმდებლობის მიუხედავად, რომლის მიხედვით, სავალდებულოა პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების შემოწმება,[142] პენიტენციურ დაწესებულებებში არ ჩატარებულა ასეთი შემოწმება.[143] ამასთანავე, სახალხო დამცველის მიერ მიღებული ინფორმაციით, „N17 დაწესებულებაში მომხდარი ხანძრის შემდეგ, 2021 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში პენიტენციური სამსახურის მიმართვის საფუძველზე, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა შეამოწმა ყველა პენიტენციური დაწესებულება სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად. შემოწმების შედეგად გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების გატარება – ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმის მომზადება/განახლების სამუშაოები.“[144]

---

[138] 15 ოქტომბერი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/678920-penitenciuri-samsaxuri-me-17-sapatimroshi-xanzris-shedegad-gardacvlili-2-patimari-dacesebulebis-sameurneo-nacilshi-iqo-dasakmebuli-dashavebulia-kvebiti-momsaxurebis-kompaniis-ramdenime-tanamshromelic].

[139] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანება „პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ”.

[140] სახალხო დამცველი – პენიტენციურ დაწესებულებებში, სავარაუდოდ, არ არსებობს სახანძრო უსაფრთხოების წესები და კრიტიკულ შემთხვევებზე რეაგირების მკაფიო ინსტრუქციები, 15 ოქტომბერი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/679020-saxalxo-damcveli-penitenciur-dacesebulebebshi-savaraudod-ar-arsebobs-saxanzro-usaprtxoebis-cesebi-da-kritikul-shemtxvevebze-reagirebis-mkapio-instrukciebi].

[141] 17 იანვარი, 2023 წელი.

[142] „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N371 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მიხედვით, პენიტენციური დაწესებულებების დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ტარდება არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ, ხოლო საკონტროლო შემოწმება – არანაკლებ წელიწადში ერთხელ. ხოლო ის ობიექტები, სადაც ღამის საათებში იმყოფებიან ადამიანები, ექვემდებარებიან მიზნობრივ (ოპერატიულ) შემოწმებებს ღამის საათებში არანაკლებ ნახევარ წელიწადში ერთხელ.

[143] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 2022 წელი, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf], 15-16.

[144] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 2022 წელი, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf], 16.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება როგორც ხანძრისაგან პირთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების, ისე სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების ზედმიწევნით შესრულებისა და მათ შესრულებაზე სახელმწიფოს ეფექტიანი ზედამხედველობის უზრუნველყოფისაკენ.[145] ასევე აუცილებელია სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება ხანძრით გამოწვეული უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და მათი დანერგვა საქართველოში.

4. ელექტროდენის უსაფრთხოება

საქართველოში ელექტროდენის დარტყმით ადამიანის გარდაცვალება არ არის იშვიათობა. ამას მოწმობს ბოლო წლებში ქვეყანაში მომხდარი არაერთი ფაქტი.[146] ელექტროდენის დარტყმით გარდაცვალების ერთ-ერთი გახმაურებული შემთხვევა მოხდა 2022 წლის ოქტომბერში თბილისში, ვაკის პარკში, და გამოიწვია 13 წლის მოზარდის სიცოცხლის მოსპობა, რომელიც შადრევანში ბურთის ამოსაღებად იყო ჩასული და დენმა დაარტყა. ამ ფაქტის გამო რამდენიმე პირს, მათ შორის თბილისის მერიის კონტრაქტორი და ქვეკონტრაქტორი კომპანიების თანამშრომლებსა და მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებს შეეფარდათ სისხლისსამართლებრივი სასჯელი.[147]

როგორც გამოძიების შედეგად გაირკვა, სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას ხელოსნებმა დაარღვიეს სამუშაოს წარმოების უსაფრთხოების ნორმები. მერიის კონტრაქტორმა შესრულებული სამუშაო მერიის საქალაქო სამსახურს წარუდგინა შესაბამისი ინსპექტირების გარეშე, ხოლო მერიის გარემოს დაცვის სამსახურმა აღნიშნული მიიღო შესაბამისი ინსპექტირების გარეშე. თავის მხრივ, ქვეკონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენელმა არ გადაამოწმა დაქირავებული ხელოსნების მიერ შესრულებული სამუშაო, ხოლო კონტრაქტორის სამუშაოთა მწარმოებელმა არ გაუწია შესაბამისი კონტროლი შესრულებულ სამუშაოს. სარეაბილიტაციო სამუშაოს შესრულების პროცესში თითოეული მხარისათვის დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების კასკადმა კი გამოიწვია მოზარდის გარდაცვალება. ამ პირთა მიერ თავიანთი მოვალეობის ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ელექტროსადენის დაზიანების ფაქტი გამოვლინდებოდა და თავიდან იქნებოდა აცილებული ტრაგიკული შემთხვევა.[148]

გარდა იმისა, რომ უნდა მოხდეს ამ პროცესში ჩართული ყველა იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შესრულებული სამუშაოს მკაცრი ზედამხედველობა, სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარება, რომელიც მიმართული იქნება უბედური შემთხვევის თავიდან აცილებისაკენ. სახელმწიფოს მიერ ისეთი პრაქტიკული ღონისძიების გატარებამ, როგორიცაა გამაფრთხილებელი ან/და ამკრძალავი აბრის განთავსება საფრთხის შემცველ ობიექტზე, შეიძლება უზრუნველყოს ადამიანის სიცოცხლისათვის რისკის თავიდან აცილება.

---

[145] ამ საკითხზე სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაცია, რომელიც მიმართულია შსსსა და იუსტიციის სამინისტროებისაკენ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2023, 13-14, [https://sis.gov.ge/Statistics-and-reports?cat_id=86].

[146] „დენის დარტყმის შედეგად 2 წლის ბავშვი გარდაიცვალა", 18 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.tv9news.ge/ka/akhali-ambebi/jandacva/article/44781-denis-dartymis-shedegad-2-tslis-bavshvi-gardaicvala]; „დენის დარტყმის შედეგად ახალგაზრდა გარდაიცვალა", 12 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://inforustavi.ge/?m=31&news_id=38068]: „ბათუმში დენის დარტყმის შედეგად კაცი გარდაიცვალა", 23 ივლისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/764708-batumshi-denis-dartqmis-shedegad-kaci-gardaicvala/].

[147] „ვაკის პარკის შადრევნის საქმეზე 8 პირს პატიმრობა მიუსაჯეს, 1 – გამართლდა", 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/32496685.html].

[148] პროკურატურა კადრებს ავრცელებს, სადაც ვაკის პარკის ცენტრალურ შადრევანში დაზიანებული ელექტროკაბელი ჩანს", 19 ოქტომბერი, 2022 წ., იხ: [https://www.interpressnews.ge/ka/article/731229-prokuratura-kadrebs-avrcelebs-sadac-vakis-parkis-centralur-shadrevanshi-dazianebuli-elektrokabeli-chans].

ასევე, ერთ-ერთი გახმაურებული შემთხვევა ეხება 2023 წლის ივლისში წყნეთის დასახლებაში 16 წლის მოზარდისათვის დენის დარტყმას ფანჩატურში, სადაც კუსტარულად იყო დამონტაჟებული ელექტრომოწყობილობა.[149] თბილისის მერიის განცხადებით, ფანჩატურში ელექტროხაზის დაერთებაზე მუნიციპალიტეტის მხრიდან არანაირი ნებართვა არ გაცემულა და მისი დაერთება მოხდა თვითნებურად.[150]

ჩნდება კითხვა, ვალდებულია თუ არა სახელმწიფო, საზოგადოებრივ სივრცეში აღკვეთოს უკანონოდ დამონტაჟებული ელექტრომოწყობილობის ფუნქციონირება, რომელიც შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს მოსახლეობისათვის? თუ იყო ვალდებული, დაეკისრა თუ არა პასუხისმგებლობა შესაბამის პირს, ვინც არ შეასრულა თავისი მოვალეობა? თუ მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფოს არ ეკისრება ვალდებულება, აღკვეთოს საზოგადოებრივ სივრცეში უკანონოდ დამონტაჟებული ელექტრომოწყობილობის ფუნქციონირება, უნდა ეკისრებოდეს თუ არა მას ეს ვალდებულება, რადგან უკანონო ელექტრომოწყობილობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, როგორც ეს ამ შემთხვევაში მოხდა?

საქართველოს პრაქტიკაში ასევე მოხდა შემთხვევა, რომლის ფაქტობრივი გარემოებები ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმის მსგავსია. მასმედიის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, ფოთში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში მდებარე სატრანსფორმატორო მაღალი ძაბვის ქვესადგურში, 9 წლის მოზარდს დენმა დაარტყა, რის შედეგადაც მან მიიღო მძიმე დამწვრობა. შსს-მ დაიწყო გამოძიება სსკ-ის 118-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.[151] ამ საქმის გარემოებები მსგავსია ევროპული სასამართლოს საქმის – *ილია პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Iliya Petrov v. Bulgaria)* – გარემოებებისა,[152] რომელზეც მან დაადგინა, რომ, თუ სახელმწიფო განათავსებს ამ სახის ელექტროდანადგარებს, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, მისი პასუხისმგებლობაა, რომ თავიდან აიცილოს ასეთ დანადგარების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საფრთხეები. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარების დაცვა, კერძოდ, სივრცე, სადაც განთავსებულია მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარები, უნდა იყოს იზოლირებული და მისი კარები უნდა იყოს დაკეტილი ისე, რომ არაუფლებამოსილმა პირმა ვერ შეძლოს შიგნით შეღწევა. სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ელექტროქვესადგურების მიმართ უსაფრთხოების წესების შესრულების რეგულარული შემოწმება, რაც იძლევა პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას.[153]

როგორც ნაშრომში იყო განხილული, საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ მოთხოვნებს ელექტროსადგურების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, მათ შორის ადგენს, რომ ელექტროდანადგარები უნდა იყოს იზოლირებული, მისი კარები ბოქლომით დაკე-

[149] „წყნეთში, სკვერის მიმდებარედ, დენის დარტყმით მოზარდი დაიღუპა", 11 ივლისი, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/32498327.html?fbclid=IwAR0SEuSbeqttnByEEOGI4ehlhHiUHtM8_F36ENDG0uYtrug1I-xC6VUZx-s].

[150] „კახა კალაძე – სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წყნეთში, ე.წ. ფანჩატურში ელექტროხაზის დაერთებაზე მუნიციპალიტეტის მხრიდან ნებართვა გაცემული არ ყოფილა და მისი დაერთება თვითნებურად მოხდა – ვუსამძიმრებ მოზარდის ოჯახს", 12 ივლისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/763576-kaxa-kalaze-sruli-pasuxismgeblobit-vacxadeb-rom-cqnetshi-ec-panchaturshi-elektro-xazis-daertebaze-municipalitetis-mxridan-nebartva-gacemuli-ar-qopila-da-misi-daerteba-tvitneburad-moxda-vusamzimreb-mozardis-ojaxs].

[151] „დენის დარტყმის შედეგად მძიმედ დაშავებული 9 წლის მოზარდი ფოთის საავადმყოფოდან თბილისში გადმოიყვანეს", 11 მარტი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/536539-denis-dartqmis-shedegad-mzimed-dashavebuli-9-clis-mozardi-potis-saavadmqopodan-tbilisshi-gadmoiqvanes].

[152] 24 აპრილი, 2012 წელი.

[153] 59-ე პუნქტი.

ტილი, ხოლო ელექტროდანადგარებზე დაიშვებიან მხოლოდ უფლებამოსილი პირები.[154] წესები ასევე ადგენს უსაფრთხოების ნიშნის (პლაკატის) გამოყენებას, რომელიც კრძალავს გარკვეულ მოქმედებას ან ინფორმაციას აწვდის მყისიერი საფრთხის შესახებ.[155] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს შესაბამის ევროპულ მოთხოვნებს, ამ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელი იყო, რომ გამოძიებას დაედგინა, რამდენად იყო დაცული საქართველოს კანონმდებლობისა და ევროპული კონვენციის სტანდარტები პრაქტიკაში.

მართალია, საქართველოში მომხდარი ზემოაღნიშნული შემთხვევის შესახებ მედიასაშუალებით სხვა ინფორმაცია არ გავრცელებულა, რის გამოც ამ საქმეზე ჩატარებული გამოძიების შედეგები ვერ შეფასდება, მაგრამ შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ საქართველოს სასამართლოს უნდა შეეფასებინა ამ საქმის გარემოებები ევროპული სასამართლოს მსგავსად, კერძოდ, უნდა შეეფასებინა, იყო თუ არა ქვესადგური იზოლირებული, ხოლო მისი კარები დაკეტილი ისე, რომ არაუფლებამოსილ პირს არ ჰქონოდა შიგნით შეღწევის შესაძლებლობა და იყო თუ არა რაიმე მანიშნებელი (მაგ., აბრა), რაც მიუთითებდა ქვესადგურში შეღწევის საფრთხეზე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

დენის დარტყმისაგან სიცოცხლის დაცვის ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების ლიცენზირება. ამას ითვალისწინებს „ელექტროქსელის მოწყობისა და ელექტროდანადგარების უსაფრთხოების შესახებ" კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში უკვე ინიცირებულია. როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული: „დღეისათვის არ გაიცემა სამუშაოს განხორციელების ლიცენზია. შესაბამისად, სათანადოდ არ მოწმდება ცოდნისა და გამოცდილების ხარისხი, არ გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი და ა.შ. ყველაზე მთავარია ის, რომ არ არსებობს ელექტრული ქსელების მოწყობისა და ელექტროენერგეტიკული დანადგარების/მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო, რაც მნიშვნელოვნად ზრდის უბედური შემთხვევების, მათ შორის ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის რისკებს".[156] ამ კანონპროექტით გათვალისწინებულია არა მხოლოდ ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების ლიცენზირება, არამედ ელექტრული ქსელების მოწყობისა და ელექტროენერგეტიკული დანადგარების/მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დენის დარტყმისაგან სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია როგორც კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა, რომელიც მიმართული იქნება ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების ლიცენზირებისა და ამ სამუშაოს შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტიანად განსახორციელებლად, ისე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა არსებული საფრთხეების შესახებ საზოგადოების წევრების ინფორმირების მიზნით.

5. სატრანსპორტო სისტემის უსაფრთხოება

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ევროპული კონვენ-

[154] საქართველოს მთავრობის დადგენილება N340 „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესახებ", 17 დეკემბერი, 2013 წელი, მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტი; 29-ე მუხლი.

[155] 29-ე მუხლი.

[156] „ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება შესაძლოა, ლიცენზირებას დაექვემდებაროს", 26 ივნისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/761420-elektrogaqvanilobebisa-da-elektrodanadgarebis-mocqoba-samontazho-samushaoebis-ganxorcieleba-shesazloa-licenzirebas-daekvemdebaros].

ციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სატრანსპორტო შემთხვევებისაგან პირის სიცოცხლის დაცვაზე. ამ ვალდებულების შესასრულებლად სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიიღოს შესაფერისი ნორმატიული ჩარჩო, რომელიც მოაწესრიგებს სატრანსპორტო შემთხვევებისაგან პირის სიცოცხლის დაცვას.[157]

საქმე *კალენდერი თურქეთის წინააღმდეგ (Kalender v. Turkey)* ეხებოდა მატარებლიდან ორი პირის ჩასვლას არა ბაქნის, არამედ საწინააღმდეგო მხარეს, რის გამოც მათ დაეჯახა პარალელურ ლიანდაგზე მოძრავი სატვირთო მატარებელი.[158] მატარებლის დაჯახების შედეგად ისინი გარდაიცვალნენ. ჩატარებულმა გამოძიებამ დაადგინა, რომ რკინიგზის სადგურის სტრუქტურამ და მისმა მენეჯმენტმა ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დაცვა და, რომ რკინიგზის უსაფრთხოების სისტემაში არსებული ნაკლოვანებები იყო მიზეზშედეგობრივ კავშირში ამ პირთა გარდაცვალებასთან.[159] ამის შედეგად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების რეგულაციების შესრულება, რათა დაცულიყო მგზავრთა სიცოცხლე და დაადგინა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. ამ საქმიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მგზავრებს მისცემს შესაძლებლობას, უსაფრთხოდ გადაადგილდნენ მატარებლის სადგურზე, სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის გარეშე.

მსგავს გარემოებებს ეხებოდა საქმე *ბონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Bone v. France).*[160] ამ საქმეში მოსარჩელის 14 წლის შვილი მატარებლიდან ჩავიდა არა ბაქნის, არამედ ლიანდაგების მხარეს, რის გამოც მოძრავი სხვა მატარებელი დაეჯახა მას და მოკლა. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოზარდმა თავისი წინდაუხედავი მოქმედებით თავად ჩაიგდო საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში მატარებლის იმ კარის თვითნებურად გაღებით, რომელიც არ უნდა გაეღო და მოახდინა ნიშნის იგნორირება, რომელიც აფრთხილებდა საფრთხის შესახებ. სასამართლომ ჩათვალა: ასეთი გამაფრთხილებელი ნიშნის არსებობა მიუთითებდა, რომ დაცული იყო უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები.[161] შესაბამისად, თუ სახელმწიფომ უზრუნველყო უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დადგენა და მათი პრაქტიკაში გატარება, მაგალითად, გამაფრთხილებელი ნიშნის დამონტაჟება, მაგრამ პირმა თავისი წინდაუხედავი მოქმედებით თავად ჩაიგდო თავისი სიცოცხლე საფრთხეში, ჩაითვლება, რომ სახელმწიფომ შეასრულა სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება.

საქართველოში რკინიგზის უსაფრთხოების სისტემას ადგენს საქართველოს სარკინიგზო კოდექსი.[162] კოდექსის მიხედვით, „რკინიგზა ვალდებულია უზრუნველყოს ... რკინიგზის ვაგზალსა და სამგზავრო მატარებელში მგზავრის უსაფრთხოება ...“.[163] კოდექსის მიხედვით, რკინიგზის ვაგზალი უნდა აღიჭურვოს მგზავრთა ჩასასხდომი ბაქნით, ქვეითად მოსიარულეთათვის გასასვლელი გვირაბითა და გადასასვლელი ხიდით.[164] კოდექსი ასევე ითვალისწინებს, რომ

[157] *რაჯკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Rajkowska v. Poland),* გადაწყვეტილება, 27 ნოემბერი, 2007 წელი; *ალ ფაედი საფრანგეთის წინააღმდეგ (Al Fayed v. France)*, 27 სექტემბერი, 2007 წელი; *რაილეანი მოლდოვის წინააღმდეგ (Railean v. Moldova)*, 5 იანვარი, 2010 წელი, 30-ე პუნქტი; *სტარჩევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Starcevic v. Croatia)*, 13 ნოემბერი, 2014 წელი, 54-ე პუნქტი; *ალ ფაედი საფრანგეთის წინააღმდეგ (Al Fayed v. France)*, 27 სექტემბერი, 2007 წელი; *რაილეანი მოლდოვის წინააღმდეგ (Railean v. Moldova)*, 5 იანვარი, 2010 წელი, 30-ე პუნქტი; *ჩავიტ ტინარლიოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (Cavit Tinarlioglu v. Turkey)*, 2 თებერვალი, 2016 წელი.

[158] 15 დეკემბერი, 2009 წელი.

[159] არ იყო მიწისქვეშა გადასასვლელი, არსებული გადასასვლელი საპირისპირო მხარეს იყო ბლოკირებული სატვირთო მატარებლით, რაც აიძულებდა მგზავრებს, გადაეკვეთათ ლიანდაგი, ხელმისაწვდომი არ იყო ინფორმაცია მატარებლების შესახებ და სხვ.

[160] 1 მარტი, 2005 წელი.

[161] D. Xenos, Asserting the Right to Life (Article 2, ECHR) in the Context of Industry, German Law Journal, Vol. 8, No.3, March 2007, 251.

[162] 28 დეკემბერი, 2002 წელი.

[163] კოდექსის 37(1)-ე მუხლი.

[164] კოდექსის 37(6)-ე მუხლი.

ვაგზლისპირა მოედანი ისე უნდა მოეწყოს, რომ აკმაყოფილებდეს ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მოთხოვნებს.[165]

კოდექსი ასევე ადგენს, რომ რკინიგზის სადგურების, ვაგზლების, სამგზავრო ბაქნებისა და სტრუქტურული ერთეულების ტერიტორიები და სარკინიგზო ლიანდაგები, რომლებზეც მოძრაობენ მატარებლები, წარმოადგენს მომეტებული საშიშროების ზონებს. ამ ზონებში უცხო პირთა ყოფნა აკრძალულია.[166]

რკინიგზის სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ასევე ემსახურება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას რკინიგზის ლიანდაგებზე გავლისთვის ნებადაურთველ ადგილებში.[167]

საქმეზე *კალენდერი თურქეთის წინააღმდეგ (Kalender v. Turkey)*, რომელზეც დადგინდა თურქეთის პასუხისმგებლობა, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სადგურის სტრუქტურამ და მისმა მენეჯმენტმა ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დაცვა: არ იყო მიწისქვეშა გადასასვლელი, არსებული გადასასვლელი საპირისპირო მხარეს იყო ბლოკირებული სატვირთო მატარებლით, რაც აიძულებდა მგზავრებს, გადაეკვეთათ ლიანდაგი, ხელმისაწვდომი არ იყო ინფორმაცია მატარებლების შესახებ და სხვ. ყოველივე ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რკინიგზის უსაფრთხოების სისტემაში არსებული ნაკლოვანებები იყო მიზეზშედეგობრივ კავშირში დედისა და შვილის გარდაცვალებასთან.

თუ გავითვალისწინებთ *კალენდერის* საქმეზე სასამართლოს მიერ რკინიგზის უსაფრთხოების დარღვევის კონკრეტულ გარემოებებს,[168] ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება, როგორც სარკინიგზო უსაფრთხოების დაცვის პირობა, პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს სარკინიგზო კოდექსით, რომელშიც მითითებულია, რომ რკინიგზის ვაგზალი უნდა აღიჭურვოს მგზავრთა ჩასასხდომი ბაქნით, ქვეითად მოსიარულეთათვის გასასვლელი გვირაბითა და გადასასვლელი ხიდით, ისევე როგორც აკრძალულია ლიანდაგების ნებადაურთველ ადგილას გადაკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობის ეს დებულება მეტისმეტად ლაკონიურია, შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს მიერ ამ საქმეზე დადგენილ მოთხოვნებს.

რაც შეეხება საქმის – *ბონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Bone v. France)* გარემოებებს, მასში პრინციპული საკითხი იყო, რომ მოზარდმა თვითნებურად გააღო მატარებლის კარი და გამაფრთხილებელ ნიშანს ყურადღება არ მიაქცია. საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს არც თვითნებურად კარის გაღების აკრძალვას[169] და არც რკინიგზის მიერ გამაფრთხილებელი ნიშნების დამონტაჟების ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ აკმაყოფილებს ამ საქმეზე ევროპული სასამართლოს სტანდარტს.

საქმე *სმილიანიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Smiljanic v. Croatia)* ეხებოდა სახელმწიფოს არასათანადო რეაგირებას იმ პირის (D.M.-ის) მოქმედებაზე, რომელმაც არაერთხელ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები და რომელმაც გამოიწვია ფატალური ავტოსაგზაო შემთხვევა.[170] ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელეები, რომელთა ოჯახის წევრი გარდაიცვალა ავტოავარიაში, ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებ-

[165] კოდექსის 37(8)-ე მუხლი.

[166] კოდექსის 59(1)-ე მუხლი.

[167] 15 დეკემბერი, 1984, კოდექსის 106-ე მუხლი.

[168] მიწისქვეშა გადასასვლელის არარსებობა, არსებული გადასასვლელის საპირისპირო მხარის ბლოკირება სატვირთო მატარებლით, რის გამოც მგზავრებს უწევდათ ლიანდაგის გადაკვეთა და ინფორმაციის არარსებობა მატარებლების შესახებ.

[169] საინტერესოა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კრძალავს მეტროპოლიტენის ვაგონის კარის გაღებას. იხ. კოდექსის 107^2-ე მუხლი.

[170] 25 მარტი, 2021 წელი.

ლობის აღსრულება D.M.-ის მიმართ შესაფერისი ღონისძიებების გატარებით, რომელმაც მანამდე არაერთხელ დაარღვია მოძრაობის წესები და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშაც კი მართავდა ავტომობილს.[171]

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს ვალდებულებაზე ავტოსაგზაო შემთხვევებთან მიმართებით და აღნიშნა, რომ სახელმწიფო უნდა შეეცადოს უბედური შემთხვევების თავიდან აცილებას, ასეთი მოქმედების ჩადენის შეკავებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარებითა და შესაბამისი წესების აღსრულების გზით, რისი მიზანიც არის დაუდევარი და წინდაუხედავი საშიში მოქმედების საფრთხის შემცირება.[172] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები D.M.-ს წინააღმდეგ, მას არ ჰქონდა ყოვლისმომცველი და ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფდა ეფექტიანი შემაკავებელი და პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რათა არ დაეშვა D.M.-ს მიერ საგზაო მოძრაობის წესების განგრძობადი უხეში დარღვევა. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფდა საფრთხეების შემცირებას საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობისას, მაგალითად: მართვის მოწმობის გაუქმებით ან მისი ხანგრძლივი დროით ჩამორთმევით, საგზაო წესების ხელახლა შესწავლისა ან ალკოჰოლისაგან მკურნალობის ვალდებულების დაკისრებით, და, სადაც საჭირო იქნებოდა, უფრო მკაცრი და გადამარწმუნებელი სანქციების გამოყენებით.[173] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ სხვადასხვა საფეხურზე ვერ შეძლო, გაეტარებინა შესაფერისი ღონისძიება D.M.-ს განგრძობადი უკანონო მოქმედების წინააღმდეგ და, შესაბამისად, ვერ შეძლო პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა პრაქტიკაში და საგზაო შემთხვევების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება, რაც იწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.[174]

ამ საქმეზე პრობლემა იყო არა საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების ნორმატიული ბაზის არარსებობა, არამედ ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული ბაზის არაეფექტიანი აღსრულება. ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა ყოვლისმომცველი და ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფდა ეფექტიანი შემაკავებელი და პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რომელიც ბოლოს მოუღებდა კანონდამრღვევი მძღოლის საგზაო მოძრაობის წესების განგრძობად უხეშ დარღვევას. სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფოს მიდგომა უნდა ყოფილიყო მიმართული იმისაკენ, რომ შეემცირებინა საფრთხის ფაქტორები საავტომობილო ტრანსპორტის უსაფრთხოებისათვის, მაგალითად: მართვის მოწმობის გაუქმებით ან მისი ხანგრძლივი დროით ჩამორთმევით, საგზაო წესების ხელახლა შესწავლისა და ალკოჰოლისაგან მკურნალობის ვალდებულების დაკისრებით და, სადაც საჭირო იქნებოდა, უფრო მკაცრი სანქციების გამოყენებით.

ამ საქმეში განხილული საკითხები საქართველოში წესრიგდება, უპირველეს ყოვლისა, კანონით საგზაო მოძრაობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს კომპლექსურ მიდგომას საავტომობილო ტრანსპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართ.[175] კანონი არა მხოლოდ კრძალავს სატრანსპორტო საშუალების მართვას ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში,[176] არა-

[171] მე-60 პუნქტი.

[172] 76-ე პუნქტი.

[173] 83-ე პუნქტი.

[174] 85-ე პუნქტი. საგზაო შემთხვევებთან მიმართებით საყურადღებოა ევროპული სასამართლოს რამდენიმე სხვა საქმეც, მათ შორის: *ნიკოლაე ვირგილუ ტანასე რუმინეთის წინააღმდეგ (Nicolae Virgiliu Tănase v. Romania)*, დიდი პალატა, 25 ივნისი, 2019 წელი, 135-ე პუნქტი, და *ფატიჰ ჩაკირი და მერვე ნისა ჩაკირი თურქეთის წინააღმდეგ (Fatih Çakır and Merve Nisa Çakır v. Turkey)*, 5 ივნისი, 2018 წელი, მე-40 პუნქტი.

[175] 24 დეკემბერი, 2013 წელი.

[176] კანონის 21(15)-ე მუხლი.

მედ ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევისა და შეწყვეტის სისტემას.[177]

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის.[178]

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – *სმილიანიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Smiljanic v. Croatia)* – წამოჭრილ საკითხებთან მიმართებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს სათანადო მარეგულირებელ ჩარჩოს, რომლის მიზანია საგზაო შემთხვევებისაგან პირის სიცოცხლის დაცვა.

ბ) პრაქტიკა

1. საგზაო-სატრანსპორტო უსაფრთხოება

საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემაშფოთებელია. ამას მოწმობს სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვით, საქართველოში 2023 წელს ავარიებს 442 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო დაშავდა 7310 ადამიანი. 2022 წელს ავტოავარიებში დაიღუპა 430 ადამიანი, ხოლო დაშავდა 7517 ადამიანი.[179] ბოლო ორი წლის (2022 და 2023) სტატისტიკური მონაცემების ანალიზით, გარდაცვალების რაოდენობა 5% გაზრდილია, რაც სიტუაციის გაუარესებაზე მიანიშნებს. საქართველოში ბოლო 10 წელიწადში კი, ჯამურად, ავტოსაგზაო შემთხვევებში გარდაიცვალა 4922 ადამიანი.[180]

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევ მიზეზებს შორის არის: მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება, შემხვედრი მოძრაობის ზოლში გადასვლა ან გასწრების წესების დარღვევა, მოხვევის მანევრი, საგზაო ნიშნის ან მონიშვნის დაუმორჩილებლობა, ქ/მ გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, დისტანციის დაუცველობა, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში.[181]

2023 წელს განსაკუთრებით გაზრდილია ავტოსაგზაო შემთხვევები მოტოციკლების მონაწილეობით. 2023 წელს ამგვარ შემთხვევებს 16 ადამიანი ემსხვერპლა, რაც გარდაცვალების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო 5 წლის განმავლობაში, და დაშავდა 808 ადამიანი.[182] მაღალია ქვეითი მსხვერპლის რაოდენობა. მხოლოდ 2023 წელს 90 ქვეითი დაიღუპა ავტოსაგზაო შემთხვევებისას, საიდანაც 12 არასრულწლოვანი იყო.[183]

საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო ფატალური შემთხვევების სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შედარებით. 2021 წლის მონაცემებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის რუმინეთს ჰქონდა საგზაო-სატრანსპორტო ფატალური შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მილიონ მოსახლეზე (45 შემთხვევა).[184] საქართველოში კი ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე რუმინეთში.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირებისათვის სახელმწიფო ატარებს ღონისძიებებს. ამის მაგალითია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანა, რომელიც სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან

[177] კანონის 59-ე მუხლი; ასევე იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლი და სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლი.

[178] იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლი და სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლი.

[179] „2023 წელს ავტოსაგზაო შემთხვევებს 442 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა", 10 მარტი, 2024 წ., იხ.:[https://www.radiotavisupleba.ge/a/32855859.html?fbclid=IwAR1LAvAnnQxQenDBQrFBzCwEAtVJpq3jXBr2HiztjVri-sXyaHuKbO1Egl8].

[180] იქვე.

[181] იქვე.

[182] იქვე.

[183] იქვე.

[184] Road fatalities per million inhabitants in the EU, by country, 2 May, 2023, ACEA, [https://www.acea.auto/figure/road-fatalities-per-million-inhabitants-in-eu-by-country/]. ავტოავარიების 5 მთავარი მიზეზი საქართველოში, 21 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.bpn.ge/article/128897-avtoavariebis-5-mtavari-mizezi-sakartveloshi/].

ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვისას ჯარიმის გამკაცრებას ითვალისწინებს,[185] ზამთრის პერიოდში გარკვეულ მონაკვეთებზე სავალდებულო გახდა ავტომობილების ზამთრის საბურავებით აღჭურვა, ხელახლა შემოღებულ იქნა ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება, წესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა.

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სტატისტიკიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ამიტომ აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გამოიჩინოს უფრო მეტი ძალისხმევა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად სიკვდილიანობის შესამცირებლად, რისთვისაც უნდა იყოს შესწავლილი სხვა, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც ბოლო ათწლეულში წარმატებით შეამცირეს გზებზე სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ამისათვის შეიძლება საჭირო გახდეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირების სტრატეგიის ჩამოყალიბება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში, როგორც ზოგადად საზოგადოებაში, ისე ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებში (მაგ., სკოლის მოსწავლეებს შორის) ამაღლდეს ცნობიერება საგზაო წესების დაცვის აუცილებლობაზე.

2. სარკინიგზო ტრანსპორტის უსაფრთხოება

საქართველოში რკინიგზაზე ასევე ხდება უბედური შემთხვევები, რომლებსაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.[186] ასეთი უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ შეიძლება გაატაროს სხვადასხვა პრევენციული ღონისძიება. ამ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს რკინიგზის ლიანდაგის გადაკვეთის ადგილების განსაზღვრა, ლიანდაგის გადაკვეთის ადგილებში გამაფრთხილებელი ნიშნების მონტაჟი, საზოგადოების, მათ შორის სკოლის მოსწავლეებს შორის, ცნობიერების ამაღლება რკინიგზასთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ.

3. მეტროთი სარგებლობის უსაფრთხოება

ბოლო წლებში თბილისის მეტროში მოხდა რამდენიმე შემთხვევა, რომელთაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.[187] მეტროში

---

[185] „მანქანის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვაზე სანქციებს მკაცრდება", 2 აგვისტო, 2021 წ., იხ.: [https://bm.ge/news/manqanis-alkoholuri-narkotikuli-an-fsiqotropuli-simtvralis-mdgomareobashi-martvaze-sanqciebi-mkacrdeba/88623].

[186] „თბილისში მატარებელი ქვეითს შეეჯახა, ქალი ადგილზე დაიღუპა", 16 ივნისი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/803479-tbilisshi-matarebeli-kveits-sheejaxa-kali-adgilze-daigupa]; „გორთან მამაკაცს მატარებელი დაეჯახა, ის ადგილზე დაიღუპა", 26 თებერვალი, 2024 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/32836072.html?fbclid=IwAR0UJ_VuXZWx-g8iLfMMZfaFWHsW6j60TW8I2iANm_hJGI-30pxgScSgkUE]; „კურიერი, რომელსაც რკინიგზის სადგურზე თბილისი-ბათუმის მატარებელი დაეჯახა, კლინიკაში გარდაიცვალა", 2 აგვისტო, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/721514-kurieri-romelsac-rkinigzis-sadgurze-tbilisi-batumis-matarebeli-daejaxa-klinikashi-gardaicvala]; „ზესტაფონში მოზარდს მატარებელი დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა", 20 აპრილი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/652427-zestaponshi-mozards-matarebeli-daejaxa-romelic-adgilze-gardaicvala]; „სამტრედიაში მატარებლის დაჯახების შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა", 9 აგვისტო, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/613040-samtrediashi-matareblis-dajaxebis-shedegad-mamakaci-gardaicvala]; „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ლიანდაგებზე გადასვლისას მამაკაცს თბომავალი დაეჯახა", 28 თებერვალი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/587479-gardabnis-municipalitetshi-liandagebze-gadasvlisas-mamakacs-tbomavali-daejaxa].

[187] „მეტროსადგურ „სარაჯიშვილზე" ლიანდაგში ჩავარდნილი მამაკაცი გარდაიცვალა", 5 მაისი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/544696-metrosadgur-sarajishvilze-liandagshi-chavardnili-mamakaci-gardaicvala]; „სამგორის მეტროში ჩავარდნილი ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა", 16 სექტემბერი, 2019 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/392097/]; „მგზავრი, რომელიც მეტროს ლიანდაგებში ჩავარდა, კლინიკაში გადაიყვანეს", 23 ოქტომბერი, 2022 წ., იხ.: [https://mtavari.tv/news/101533-mgzavri-romelits-

უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ისეთი პრევენციული ღონისძიებების გატარება, როგორებიცაა: მეტროთი მოსარგებლეთა გაფრთხილება პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მეტროთი სარგებლობის წესების დარღვევის შედეგების შესახებ და საზოგადოების, მათ შორის სკოლის მოსწავლეებს შორის, ცნობიერების ამაღლება მეტროსთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ.

4. წყლის ტრანსპორტის უსაფრთხოება

პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც ზღვაში წყლის სკუტერი დაეჯახა მამაკაცს, რომელიც გარდაიცვალა.[188] ამ ფაქტზე დაიწყო გამოძიება სსკ-ის 275-ე მუხლით (რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტით მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა). მართალია, რომ ამ საქმეზე დაიწყო გამოძიება და, საბოლოოდ, შეიძლება დამნაშავე პირს შეეფარდოს სასჯელი, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გაატაროს წინასწარი გამაფრთხილებელი ღონისძიებები სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად. საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სკუტერით სარგებლობის წესებს. ამ წესებმა შეიძლება განსაზღვროს, რომ სკუტერით სარგებლობა დაშვებულია ამისათვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან ისეთ ადგილას, სადაც წყალში არ იმყოფებიან ადამიანები. ასეთი წესების არსებობა და მათი პრაქტიკაში შესრულება უზრუნველყოფს მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილებას.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მოწესრიგდეს წყლის ისეთი ტრანსპორტის ექსპლუატაცია, როგორიცაა წყლის სკუტერი.

5. პარაპლანის ექსპლუატაციის უსაფრთხოება

პრაქტიკაში იყო პარაპლანის ექსპლუატაციის შედეგად გარდაცვალების შემთხვევები.[189] ერთ-ერთ ასე შემთხვევას მოჰყვა ვერტმფრენის ჩამოვარდნა, რომელიც პარაპლანის ჩამოვარდნის შედეგად დაზიანებული ადამიანების საშველად იმყოფებოდა. როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელმა განაცხადა, ვინაიდან გახშირდა პარაპლანის ჩამოვარდნის შემთხვევები, გადაწყდა, რომ სათანადოდ მოწესრიგებულიყო პარაპლანით სარგებლობის წესები.[190] ამის გამო საქართველოს რამდენიმე ნორმატიულ აქტში, მათ შორის საჰაერო კოდექსში, შევიდა ცვლილებები, რომლებითაც განისაზღვრა პარაპლანის აღჭურვილობის ვარგისიანობის დადგენის, ასევე პარაპლანის ოპერატორის სერტიფიცირებისა და პარაპლანის მფრინავის მოწმობის გაცემის საკითხები, რაც მიზნად ისახავს პარაპ-

metros-liandagebshi-chavarda?fbclid=IwAR3KY0mbTf-qUdQOAMIlfGbhfkwnDp-oq4xlZixeJ9Nfi2WZgu1D2clPRDU].

188 „ბათუმში დაიღუპა კაცი, რომელსაც ზღვაში სკუტერმა გადაუარა", 16 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://batumelebi.netgazeti.ge/news/492002/?fbclid=IwAR2hDW7zNCZ1qGnKUE5DMAFCXK7DWvdUbkaeXZmzbMsHkg6co_FCdC6VtSc].

189 „გუდაურში პარაპლანის ჩამოვარდნას მსხვერპლი მოჰყვა", 16 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://bm.ge/news/gudaurshi-paraplanis-chamovardnas-msxverpli-mohyva/113172]; „ვერტმფრენს, რომელიც გუდაურში, სამაშველო ოპერაციისას ჩამოვარდა", პილოტი ზაზა ლორია მართავდა, 29 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/721272-vertmprens-romelic-gudaurshi-samashvelo-operaciisas-chamovarda-piloti-zaza-loria-martavda]; „გუდაურში ფილიპინელი ტურისტი დაიღუპა", 1 ივნისი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/549549-gudaurshi-pilipineli-turisti-daigupa]. სხვა შემთხვევების შესახებ ინფორმაცია იხ.: „რის საფუძველზე აკრძალა შს მინისტრმა საქართველოში ფრენა", 23 სექტემბერი, 2022 წ., [https://sakartvelosambebi.ge/ge/akhali-ambebi/ris-sapudzvelze-akrdzala-shs-ministrma-sakartveloshi-paraplanit-prena].

190 „შს მინისტრი აცხადებს, რომ პარაპლანით ფრენებზე რეგულაციები უნდა გამკაცრდეს ან საერთოდ აიკრძალოს, მანამდე კი გარკვეული პერიოდით ფრენები შეჩერდება", 29 ივნისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/721260-shs-ministri-acxadebs-rom-paraplanit-prenebze-regulaciebi-unda-gamkacrdes-an-saertod-aikrzalos-manamde-ki-garkveuli-periodit-prenebi-shecherdeba].

ლანით სარგებლობის თანმდევი რისკების მინიმუმამდე შემცირებას და ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას.[191]

საბოლოოდ, პრაქტიკაში წარმოქმნილი პრობლემების გამო, სახელმწიფომ უზრუნველყო ისეთი ნორმატიული აქტების მიღება, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვას. ეს შეიძლება გახდეს კარგი მაგალითი სხვა სფეროების მოწესრიგებისა, რომლებშიც არის გარდაცვალების შემთხვევები.

6. საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოება

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ადამიანის სიცოცხლის დაცვა საზოგადოებრივ ადგილებში არსებული საფრთხისაგან. ამ საფრთხისაგან ადამიანის სიცოცხლის დასაცავად სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივ ადგილებში უსაფრთხოების დაცვას.

ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს ამ ვალდებულებაზე იმსჯელა საქმეზე – *მარიუს ალექსანდრუ და მარინელა სტეფანი რუმინეთის წინააღმდეგ (Marius Alexandru and Marinela Stefan v. Romania)*.[192] ეს საქმე ეხებოდა საავტომობილო გზის გასწვრივ მდგომი ხის ფესვებიდან მოგლეჯას, რომელიც მოძრავ ავტომობილს დაეცა და გამოიწვია მასში მსხდომი ადამიანების სიკვდილი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ შეიძლება დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოქმედებაზე ან უმოქმედობაზე, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოებასთან და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩოს არსებობა, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ.

რაც შეეხება საქართველოს საკანონმდებლო (ნორმატიულ) ჩარჩოს, რომელიც სახელმწიფო ორგანოს აკისრებს ვალდებულებას, თავიდან აიცილოს საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის (ან ჯანმრთელობისათვის) საფრთხის შექმნა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში მწვანე ნარგავებთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და საქართველოს კანონი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ".[193]

ადგილობრივ დონეზე მოქმედებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიებისა და

[191] საქართველოს საჰაერო კოდექსის 21^4-ე და 21^5-ე მუხლები; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116^4-ე, 116^5-ე, 116^6-ე, 116^7-ე, 116^8-ე მუხლები; საქართველოს მთავრობის დადგენილება N321 „პარაპლანით ფრენის რეგულირების განმახორციელებელი იურიდიული პირისა და მისი უფლებამოსილების განსაზღვრის წესის შესახებ", 18 აგვისტო, 2023 წ.; სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება N165 „პარაპლანით ფრენის რეგულირების განმახორციელებელი იურიდიული პირის ზედამხედველობის, პარაპლანით ფრენის უსაფრთხოების, საფრენი ადგილისა და საფრენი ადგილის ოპერატორის სერტიფიცირების, პარაპლანის მფრინავის მოწმობის გაცემის, პარაპლანისა და მისი აღჭურვილობის ვარგისობის დადგენისა და პარაპლანის მფრინავის დაზღვევის წესის დამტკიცების შესახებ", 30 აგვისტო, 2023 წ.; ასევე „პარლამენტმა „საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო", 15 ივნისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/760058-parlamentma-sakartvelos-sahaero-kodeksshi-cvlilebis-shetanis-shesaxeb-kanonproekti-mesame-mosmenit-miigo].

[192] 24 მარტი, 2020 წელი. ასევე იხ. *ჩიეჩონსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Ciechońska v. Poland),* 14 ივნისი, 2011 წელი.

[193] 10 ნოემბერი, 2000 წელი. იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/17380?publication=14].

დასასვენებელი ადგილების მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ".[194] წესის მიხედვით, გამწვანებული ტერიტორიების მოწყობა მოიცავს მწვანე ნარგავების ავარიული და ხმელი ხეების მოჭრას, მწვანე ნარგავების ბიოლოგიურ და ქიმიურ დაცვას მავნებელი დაავადებებისაგან და შესაბამის მოვლით ღონისძიებებს.[195]

ეს წესი ადგენს, რომ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა მოიცავს როგორც ახალგაზრდა, ისე ზრდასრული ხეების მოვლა-პატრონობას და გულისხმობს სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, მათ შორის მცენარეების შეწამვლას დაავადების აცილების მიზნით, სხვლა-ფორმირებასა და გამხმარი ტოტების შეჭრა-შესხეპვას.[196]

წესის მიხედვით, უფლებამოსილმა ორგანომ გამწვანებულ ტერიტორიებზე, სხვა ღონისძიებებთან ერთად, შეიძლება განახორციელოს დაზიანებული ხეების ჩანაცვლება იმავე სახეობისა და ზომის მცენარეებით, ტერიტორიებზე არსებული ხეების სხვლა-ფორმირება და ხმელი ხეების მოჭრა.[197] წესი ასევე ადგენს, რომ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობაზე მონიტორინგის მიზნით, უფლებამოსილ ორგანოს – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ უნდა განხორციელდეს მუდმივი ზედამხედველობა.[198]

ამ ნორმატიული ბაზის ანალიზმა ცხადყო, რომ, მართალია, კანონი აწესრიგებს დაავადებული, ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი, გადაბერებული (ამორტიზებული) და ავარიული ხეების მოჭრის საკითხებს, მაგრამ პირდაპირ არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნას. ერთადერთი ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის (ან ჯანმრთელობისათვის) საფრთხის შექმნას, არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიებისა და დასასვენებელი ადგილების მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ". მართალია, ეს დადგენილება ადგენს პრევენციულ ღონისძიებებს საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლის დასაცავად, მისი გამოყენების არეალი შეზღუდულია და ის ვრცელდება მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის (ან ჯანმრთელობისათვის) საფრთხის თავიდან აცილების ვალდებულება უნდა მოქმედებდეს არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ აუცილებელია, რომ საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს სახელმწიფოს ვალდებულება მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ, რომელიც გავრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ბ) პრაქტიკა

საზოგადოებრივ ადგილებში არსებული საფრთხისაგან ადამიანის სიცოცხლის დასაცავად სახელმწიფომ არა მხოლოდ უნდა უზრუნველყოს სათანადო საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩოს მიღება, არამედ უნდა გაატაროს პრაქტიკული ღონისძიებები მისი აღსრულებისათვის.

1. უსაფრთხოება წყალზე

პრაქტიკამ ცხადყო, რომ საქართველოში ხშირია სიკვდილიანობა წყალზე (ზღვაზე, ტბაზე, მდინარეზე), რასაც მოწმობს ბოლო წლებში მომხდარი არაერთი ფატალური შემთხვევა.[199]

[194] 27 ნოემბერი, 2015 წელი, N28-118.

[195] მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის „კ" და „მ" ქვეპუნქტები.

[196] მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის „დ" და „ე" ქვეპუნქტები.

[197] მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.

[198] მე-8 მუხლი.

[199] ასეთი შემთხვევების დიდი რაოდენობის გამო, აქ პრობლემის საილუსტრაციოდ მოხსენიებულია მხოლოდ რამდენიმე მაგალითი: „სენაკში, მდინარე ტეხურში 22

მართალია, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არ არის ბევრი გადაწყვეტილება წყალზე სიცოცხლის მოსპობის შესახებ, ერთი გადაწყვეტილება იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ მომავალში კიდევ უფრო მკაფიოდ განისაზღვრება სახელმწიფოს ვალდებულება სიცოცხლის უფლების დაცვის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2019 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე, რომელიც ეხებოდა თბილისის ზღვაზე ორი ახალგაზრდის გარდაცვალებას, იმსჯელა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფოს მხრიდან სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულების შესრულება, უპირველესად, საფრთხის შემცველ ტერიტორიასთან მოსახლეობის ხელმისაწვდომობის აღკვეთას და მის ჯეროვან ინფორმირებულობას გულისხმობს, რაც განსახილველ შემთხვევაში, არ არის შესრულებული".[200] მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ „თბილისის წყალსაცავის შემავსებელი არხის მიმდებარე ტერიტორიაზე წყალში ჩასვლა უსათუოდ წარმოადგენს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის".[201] ამის შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ საფრთხის შემცველი ადგილი ადვილად მისადგომია მოქალაქეებისათვის და, შესაბამისად, დაასკვნა, რომ „სახელმწიფოს ეკისრება სიცოცხლისთვის არსებული საფრთხის აღკვეთის პოზიტიური ვალდებულება".[202]

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს წყალზე სიცოცხლის უფლების დაცვას, საჭიროებს გაუმჯობესებას. გარდა იმისა, კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ ადგენს, რომ მოსახლეობის სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გარემოებების არსებობისას მუნიციპალიტეტები განსაზღვრავენ ადგილებს, სადაც ბანაობა აკრძალულია,[203] აუცილებელია წყალზე სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი ნორმების დადგენა. 2019 წელს მიღებული კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ მოითხოვს, რომ საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი.[204] ეს წესი, რომელმაც საქართველოში უნდა შექმნას წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის ეფექტიანი სისტემა, ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების გარდა, საქართველოში უნდა გატარდეს პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება წყალზე სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვისაკენ. ამ პრაქტიკულ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს წყალზე სიცოც-

---

წლის ბიჭი დაიხრჩო", 28 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/810234-senakshi-mdinare-texurshi-22-clis-bichi-daixrcho]; „გორში ორი კვირის წინ გაუჩინარებული ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი მაშველებმა მდინარე მტკვარში იპოვეს", 26 ივლისი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/807309-gorshi-ori-kviris-cin-gauchinarebuli-axalgazrda-mamakacis-cxedari-mashvelebma-mdinare-mtkvarshi-ipoves]; „ყვარელში ილიას ტბაზე 32 წლის კაცი დაიხრჩო", 16 ივნისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/760256-qvarelshi-ilias-tbaze-32-clis-kaci-daixrcho]; „თბილისის ზღვაში ცხედარი იპოვეს", 18 ივლისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/764304-tbilisis-zgvashi-cxedari-ipoves]; „ფარავნის ტბაში 17 წლის ახალგაზრდა დაიხრჩო", 3 ივლისი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/663971-paravnis-tbashi-17-clis-axalgazrda-daixrcho]; „მაშველებმა გარდაბანში, ტბაში ორი მოზარდის ცხედარი იპოვეს", 24 ივნისი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/662555-mashvelebma-gardabanshi-tbashi-ori-mozardis-cxedari-ipoves].

[200] *მ. ნუცუბიძე,* წყლის ობიექტებზე სიკვდილიანობის პრევენცია: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესი ქართულ კანონმდებლობაში, 2019 წელი, იხ.: [https://hrc.ge/files/195wylis%20obieqtebze%20sikvdilianobis%20prevencia.pdf]. ეს საქმე ამჟამად საქართველოს უზენაეს სასამართლოში განიხილება. იხ.: „თბილისის ზღვაზე ბარიერების მოწყობის მოთხოვნით HRC დავას უზენაესში აგრძელებს", 23 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/685159/?fbclid=IwAR3HcHZR3V36AzTn4oisoBVe2Wp0qIS2eMDSujcCcKvYL2lhEf-6EwFLti0].

[201] იქვე.

[202] იქვე.

[203] კანონის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[204] 27 ივნისი, 2019 წელი. კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი.

ხლისათვის საფრთხის შემცველი ტერიტორიების იდენტიფიცირება, მათი შემოსაზღვრა და ამ ტერიტორიებზე შესვლის აკრძალვა, წყალზე სიკვდილიანობის შემცირებისაკენ მიმართული სხვადასხვა შეზღუდვის დაწესება (მაგ.: ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის, ასევე შტორმში, უამინდობასა და შეზღუდული ხილვადობის დროს წყალში შესვლის აკრძალვა; წყალში შესვლის აკრძალვა იქ, სადაც არ არის მოწყობილი სანაპირო ზოლი), ადამიანთა მაღალი კონცენტრაციის ადგილებში სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მაშველების მომსახურების უზრუნველყოფა, გამაფრთხილებელი და ბანაობის ამკრძალავი საინფორმაციო ბანერების განთავსება, ცნობიერების ამაღლება და სხვ.

აქედან გამომდინარე, საქართველოში წყალზე სიცოცხლის ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია როგორც საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზის დახვეწა, ისე ეფექტიანი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

2. მწვანე ნარგავების უსაფრთხოება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში ბოლო წლებში ხის მოგლეჯას შედეგად მოჰყვა რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობისათვის ზიანი მიყენება.[205] 2023 წლის იანვარში სამტრედია-გრიგოლეთის მაგისტრალზე მოძრავ ავტომანქანას დაეცა ქარისაგან მოგლეჯილი ხე, რამაც გამოიწვია ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალება.[206]

როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარეობს, შეიძლება დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოქმედებაზე ან უმოქმედობაზე, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოებასთან და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს როგორც სათანადო სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა, ისე მისი პრაქტიკაში აღსრულება.[207]

როგორ უკვე იქნა განხილული, გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის (ან ჯანმრთელობისათვის) საფრთხის თავიდან აცილების ვალდებულება უნდა მოქმედებდეს არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით, აუცილებელია, რომ მოხდეს მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილების წესის ზედმიწევნით შესრულება და მასზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება.

3. ადგილების (ტერიტორიების) დაცვა, სადაც არსებობს საფრთხე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის

მასმედიაში გავრცელებულ ინფორმაციით, ბოლო წლებში საქართველოში მოხდა რამდენიმე ფატალური შემთხვევა, რომელიც გამოიწვია შემთხვევით პირის კლდიდან ან სიმაღლიდან გადავარდნამ ან ხევში გადაჩეხამ.[208]

გავრცელებული ინფორმაციით, 2024 წლის სექტემბერში თბილისში, პირველი რესპუ-

[205] „ბაკურიანის მიმდებარედ, ტყეში, ახალგაზრდა მამაკაცს ხე დაეცა და ადგილზე გარდაიცვალა", 25 აგვისტო, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/671156-bakurianis-mimdebared-tqeshi-axalgazrda-mamakacs-xe-daeca-da-adgilze-gardaicvala]; „ზუგდიდის შესასვლელთან მგზავრებით სავსე ავტობუსს ხე დაეცა", 13 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.ambebi.ge/article/287969-zugdidis-shesasvleltan-mgzavrebit-savse-avtobuss-xe/].

[206] „ძლიერ ქარს ლანჩხუთში ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა", 13 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/741083-zlier-kars-lanchxutshi-erti-adamianis-sicocxle-emsxverpla/].

[207] *მარიუს ალექსანდრუ და მარინელა სტეფანი რუმინეთის წინააღმდეგ (Marius Alexandru and Marinela Stefan v. Romania)*, 24 მარტი, 2020 წელი. ასევე იხ. *ჩიეჩონსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Ciechońska v. Poland),* 14 ივნისი, 2011 წელი.

[208] „წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ტურისტი ჩანჩქერში გადავარდა და დაიღუპა", 3 სექტემბერი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/810919-calenjixis-municipalitetshi-turisti-chanchkershi-gadavarda-da-daigupa]; „სვანეთში უბედური შემთხვევის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა", 12 მაისი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/599204-svanetshi-ubeduri-shemtxvevis-shedegad-axalgazrda-mamakaci-daigupa]; „კურორტ საირმის ტერიტორიაზე

ბლიკის მოედანზე, ორი ახალგაზრდა ქალი გადადიოდა ქუჩაზე, როდესაც ერთ-ერთი მათგანი მიწისქვეშა გადასასვლელის ჯებირს წამოედო და ჩავარდა მიწისქვეშა გადასასვლელში, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.[209] შსს-მ დაიწყო გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.[210] რამდენიმე დღეში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯებირები აამაღლეს პირველი რესპუბლიკის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელთან, სადაც ახალგაზრდა ქალი დაიღუპა.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, შეიძლება დაისვას რამდენიმე კითხვა, მათ შორის: აკმაყოფილებდა თუ არა ჯებირის სიმაღლე დადგენილ სტანდარტს, რომლებსაც უნდა უზრუნველეყო პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა მიწისქვეშა გადასასვლელში პირის შემთხვევითი ჩავარდნისაგან? თუ ჯებირის სიმაღლე არ აკმაყოფილებდა დადგენილ სტანდარტს, რატომ არ იქნა უზრუნველყოფილი ამ სტანდარტების დაცვა? რომელი სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებაა ასეთი სტანდარტის დაცვა და რომელი სახელმწიფო სამსახური ახორციელებს ზედამხედველობას ამ სტანდარტების დაცვაზე?

ამას გარდა, საქართველოში მოქმედებს „ტექნიკური რეგლამენტი საფეხმავლო ბილიკების მონიშვნისა და გეგმარების შესახებ",[211] რომელიც ადგენს მოთხოვნებსა და ნორმებს საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის მიმართ. ეს რეგლამენტი მოითხოვს, საფეხმავლო ბილიკები იმგვარად დაპროექტდეს, რომ გათვალისწინებულ იქნეს ბილიკზე არსებული რისკები და ბუნებრივი საფრთხეები (მეწყერი, ქვათაცვენა, წყალმოვარდნა, ცხოველებთან კონფლიქტი და ა.შ.).[212] ასევე, რეგლამენტი მოითხოვს რისკ-ზონების იდენტიფირებას და შესაბამისი საინფორმაციო დაფების განთავსებას, რაც უზრუნველყოფს შესაბამის ტერიტორიაზე პირებისათვის საფრთხის (მაგ., ქვათაცვენის ან რაიმე მაღალი საფრთხისშემცველი ადგილის ან მონაკვეთის) თავიდან აცილებას.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარება არა მხოლოდ საფეხმავლო ბილიკებზე, არამედ ყველა იმ საზოგადოებრივ ადგილას (ტერიტორიაზე), სადაც არსებობს საფრთხე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ამისათვის სახელმწიფომ, სადაც ეს გონივრული იქნება, უნდა უზრუნველყოს შესაბამის ადგილას (ტერიტორიაზე) როგორც გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება და ჯებირების მოწყობა, ისე ნებისმიერი სხვა საშუალების გამოყენება, რომელიც დაიცავს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უბედური შემთხვევისაგან.

4. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის უსაფრთხოება

საქართველოს პრაქტიკაში იყო ადამიანის გარდაცვალების შემთხვევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნაწილის ჩამოშლის შედეგად. კერძოდ, 2023 წლის ოქტომბერში, დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ არხილოსკალოს სკვერში ვეფხვისა და მოყმის მემორიალური ძეგლის ნაწილი ჩამოიშალა და დაეცა სკვერში მშობლებთან ერთად მყოფ 3 წლის ბავშვს, რის

უბედური შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა", 3 აგვისტო, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/558930-kurort-sairmis-teritoriaze-ubeduri-shemtxvevis-shedegad-erti-adamiani-daigupa]; „ბაგრატის ტაძრის გალავნიდან 18 წლამდე ბიჭი გადმოვარდა", 28 იანვარი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/582780-bagratis-tazris-galavnidan-18-clamde-bichi-gadmovarda]; „თბილისში, რიყეზე უბედური შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ორი კი დაშავდა", 24 ივნისი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/553145-tbilisshi-riqeze-ubeduri-shemtxvevis-shedegad-erti-adamiani-gardaicvala-ori-ki-dashavda].

[209] „30 სანტიმეტრი საკმარისია ჯებირისთვის? – როგორ დაიღუპა თბილისის ცენტრში ტურისტი ქალი", 30 სექტემბერი, 2024 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge].

[210] იქვე.

[211] საქართველოს მთავრობის დადგენილება N79 „ტექნიკური რეგლამენტის – საფეხმავლო ბილიკების მონიშვნისა და გეგმარების შესახებ დამტკიცების თაობაზე", 13 მარტი, 2024 წელი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/6131953?publication=0].

[212] რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

შედეგადაც იგი გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ ფაქტზე დაიწყო გამოძიება.[213]

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობა, მათ შორის ძეგლის კონსერვაცია და განადგურებისაგან დაცვა.[214] კანონი განსაზღვრავს, რომ ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოს (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები, ან, თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა.[215] აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ევალებოდა პერიოდულად ძეგლის შემოწმება და, საფრთხის შემთხვევაში, სათანადო ღონისძიებების გატარება.

კანონით გათვალისწინებული წესების დაცვა პრაქტიკაში უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლისათვის იმ საფრთხის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება განპირობებული იყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მდგომარეობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფიზიკური მდგომარეობის პერიოდული შემოწმება, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე მაგალითის მოშველიებაც კი საკმარისია იმ სფეროების მრავალფეროვნების წარმოსაჩენად, რომელთა მიმართ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სიცოცხლის დაცვა უბედური შემთხვევებისაგან. აქედან გამომდინარე, განუსაზღვრელია საქმიანობათა (სფეროთა) წრე, რომელშიც პირის სიცოცხლეს შეიძლება შეექმნას საფრთხე უბედური შემთხვევის შედეგად. ვინაიდან ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება წარმოიშობა ნებისმიერ საქმიანობასთან მიმართებით, იქნება ეს საჯარო საქმიანობა თუ კერძო, რომელშიც სიცოცხლის უფლება შეიძლება აღმოჩნდეს საფრთხეში,[216] სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ყველა იმ საქმიანობის (სფეროს) იდენტიფიცირება, რომელშიც ადამიანის სიცოცხლეს შეიძლება შეექმნას საფრთხე უბედური შემთხვევისაგან და მიიღოს შესაბამისი საქმიანობის (სფეროს) მარეგულირებელი კანონმდებლობა და უზრუნველყოს მისი აღსრულება პრაქტიკაში. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ ჩატარდეს ყოვლისმომცველი კვლევა, რომლის მიზანი იქნება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი უბედური შემთხვევების გამომწვევი მიზეზების დადგენა. ამ კვლევის საფუძველზე უნდა მოხდეს იმ საქმიანობის (სფეროს) იდენტიფიცირება, რომელშიც არის უბედური შემთხვევების შედეგად პირის გარდაცვალების საფრთხე. ასეთი საქმიანობის (სფეროს) იდენტიფიცირებას უნდა მოჰყვეს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მექანიზმის დახვეწა, მარეგულირებელი ჩარჩოს დადგენის (გაუმჯობესების) და პრევენციული ღონისძიების გატარების გზით.

7. სამაშველო ოპერაციების უსაფრთხოება

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ სამაშველო ოპერაციებზე. ამ ვალდე-

[213] „ვეფხისა და მოყმის მემორიალის ჩამონგრევას 3 წლის ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა", 30 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://presa.ge/ka/77602/page/vefkhisa-da-mokhmis-memorialis-chamongrevas-3-tclis-bavshvis-sicocle-emskhverpla].

[214] 8 მაისი, 2007 წელი.

[215] კანონის 26-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

[216] *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey),* დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 71-ე პუნქტი; *ბლაკაი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ (Bljakaj and Others v. Croatia)*, 18 სექტემბერი, 2014 წელი, 108-ე პუნქტი.

ბულების შესასრულებლად სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლის დაცვას სამაშველო ოპერაციების ჩატარებისას.

საქმე *საფი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Safi and Others v. Greece)* ეხებოდა ლტოლვილებით სავსე სათევზაო ნავის ჩაძირვას ეგეოსის ზღვაში, რასაც შედეგად მოჰყვა 11 ადამიანის გარდაცვალება.[217] მოსარჩელეების მტკიცებით, საბერძნეთის სანაპირო დაცვის მოქმედებამ ან/და უმოქმედობამ საფრთხეში ჩააგდო მათი სიცოცხლე ნავის ჩაძირვის შედეგად. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ წარმოუდგენია რაიმე ახსნა-განმარტება სამაშველო ოპერაციის ეფექტიანად, დროულად და კოორდინირებულად ჩაუტარებლობის მიზეზების შესახებ. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საბერძნეთმა არ გააკეთა ყველაფერი, რაც გონივრული იქნებოდა შექმნილ სიტუაციაში მოსარჩელეებისა და მათი ნათესავების სიცოცხლის დასაცავად. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[218]

საქმე *ალჰოვაისი უნგრეთის წინააღმდეგ (Alhowais v. Hungary)* ეხებოდა მოსარჩელისა და მისი ძმის, ისევე როგორც სხვა პირების მიერ, ნავით მდინარე ტისზის, რომელიც ყოფს სერბეთსა და უნგრეთს, უკანონო გადაკვეთის მცდელობას. მისი მტკიცებით, უნგრეთის საზღვრის დაცვამ აიძულა ისინი, დაბრუნებულიყვნენ სერბეთის ნაპირზე. სერბეთის ნაპირზე რომ დაბრუნებულიყვნენ, მოსარჩელეს და მის ძმას მოუხდათ მდინარეში გადახტომა, სადაც მოსარჩელის ძმა დაიხრჩო. ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელის ძმა ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მოქმედებამ განაპირობა მისი ძმის სიცოცხლის უფლების დარღვევა.

სასამართლოს აზრით, ვინაიდან მდინარე ტისზაზე მანამდეც მომხდარა მსგავსი შემთხვევები, სახელმწიფოსათვის ადვილად განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო, რომ კიდევ იქნებოდა საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობა. შესაბამისად, უნგრეთის კომპეტენტურ ორგანოებს ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია, შეეფასებინა მდინარის უკანონო გადაკვეთასთან დაკავშირებული საფრთხეები და გულდასმით ჩაეტარებინა სასაზღვრო ოპერაციები.[219] მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, ვერ ჩაითვლება, რომ სახელმწიფომ გააკეთა ყველაფერი, რაც მას შეეძლო, რათა თავიდან აეცილებინა რეალური და მყისიერი საფრთხე სიცოცხლისათვის.[220] ევროპული სასამართლოს დასკვნით, მკაფიოდ განსაზღვრული არ იყო პრიორიტეტები და მოქმედების თანმიმდევრობა, კერძოდ, როგორ უნდა გამკლავებოდნენ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ მიგრანტებთან დაკავშირებულ სიტუაციას. სიტუაციის გაუარესება, ძირითადად, განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ სამაშველო ოპერაცია, როგორც აღმოჩნდა, არ იყო კარგად გააზრებული.[221]

ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ შემთხვევის ადგილზე არსებული სამაშველო შესაძლებლობები არ შეესაბამებოდა შექმნილ საგანგებო სიტუაციის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნათელი იყო ადგილზე მყოფი მესაზღვრეებისათვის, საქმის მასალებში არაფერი ადასტურებდა რაიმე მცდელობას, გამოეძახებინათ დახმარება, რათა მიგრანტების წინაშე არსებულ საფრთხეზე მოეხდინათ შესაფერისი რეაგირება.[222]

ევროპული სასამართლოს აზრით, ვინაიდან სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა ვერ იმოქმედეს სწრაფად, ეფექტიანად და გადამწყვეტად, არ გაატარეს ოპერატიული ღონისძიებები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, რომლებიც უნდა გაეტარებინათ მოსარჩელის ძმის სიცოცხლის დასაცავად, სახელმწიფომ ვერ შეასრულა მოსარჩელის ძმის სიცოცხლის

[217] 7 ივლისი, 2022 წელი.

[218] 166-ე პუნქტი; ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში და კონვენციის მე-3 მუხლისა (რამდენიმე მოსარჩელის მიმართ).

[219] 135-ე პუნქტი.

[220] 136-ე პუნქტი.

[221] 141-ე მუხლი.

[222] 143-ე პუნქტი.

დაცვის პოზიტიური ვალდებულება და, შესაბამისად, დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[223]

სამაშველო ოპერაციების განხორციელების შესახებ ევროპული სასამართლოს საქმეების მიმოხილვის შედეგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს, სამაშველო ოპერაცია იყოს სწრაფი, ეფექტიანი და კარგად კოორდინირებული შესაბამის სამსახურებს შორის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სამაშველო ოპერაციისათვის არსებული რესურსი შეესაბამებოდეს შექმნილი სიტუაციის საჭიროებებს, ხოლო სამაშველო სამსახური იყოს სათანადოდ აღჭურვილი და მომზადებული ასეთი ოპერაციის ჩასატარებლად. საჭიროების შემთხვევაში, სამაშველო სამსახურმა სწრაფად უნდა მოითხოვოს დახმარება. თუ მოსალოდნელია სამაშველო ოპერაციის ჩატარება, სახელმწიფომ კარგად უნდა დაგეგმოს სამაშველო და სამძებრო ოპერაციები და განსაზღვროს მოქმედებების თანმიმდევრულობა, რესურსების მაქსიმალური გამოყენებით. საჭიროების შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს სამაშველო ოპერაციის მოსამზადებელი სამუშაო, და წინასწარ უზრუნველყონ სამედიცინო დახმარების მობილიზება.

საქართველოში სამაშველო ოპერაციების ჩატარებას და ამ პროცესში უსაფრთხოების წესების დაცვას აწესრიგებს რამდენიმე ნორმატიული აქტი. ამ ნორმატიულ აქტებს შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ორგანიზებას, სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებებს, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილებას, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს.[224] კანონით განსაზღვრულია, რომ მისი ერთ-ერთი პრინციპია მიანიჭოს უპირატესობა ქმედებებს, რომლებიც ხორციელდება ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად და სიცოცხლის შესანარჩუნებლად.[225] კანონი, სხვა ტერმინებთან ერთად, განმარტავს როგორც საგანგებო სიტუაციას,[226] ისე სამაშველო სამუშაოს.[227]

კანონი ადგენს ეროვნული სისტემის სუბიექტების მოვალეობებს, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, უზრუნველყოფენ: ა) საგანგებო სიტუაციის რისკის მართვას – საფრთხის იდენტიფიცირებას, საგანგებო სიტუაციის რისკისა და მისი ზემოქმედების ანალიზს და მის საფუძველზე საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის შემუშავებას; ბ) საგანგებო სიტუაციის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას; გ) საგანგებო სიტუაციისათვის მზადყოფნას; დ) ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას; ე) ინციდენტისაგან/საგანგებო სიტუაციისაგან ადამიანის დაცვას; ვ) ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების სისტემის, მათ შორის, ადრეული შეტყობინების სისტემის განვითარებას; ზ) ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების დროულად გადაცემას და ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის დროს ქცევის წესების შესახებ ინფორმირებას.[228]

კანონი განსაზღვრავს ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების პროცედურებს. კერძოდ, ერთიან სატელეფონო ნომერზე – „112“-ზე – შესული შეტყობინება მიეწოდება

[223] 144-ე-145-ე პუნქტები; სახელმწიფოს სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას ასევე ეხებოდა საქმე *ფურდიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Furdik v. Slovakia),* გადაწყვეტილება, 2 დეკემბერი, 2008 წელი.

[224] 27 ივნისი, 2018 წელი. 1-ელი მუხლი.

[225] მე-2 მუხლის „ა” პუნქტი.

[226] გარკვეულ ტერიტორიაზე/ტერიტორიებზე ან ობიექტზე/ობიექტებზე შექმნილი ისეთი ვითარების/ვითარებათა ერთობლიობა, რომლის დროსაც ირღვევა ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობები და რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის ან რომელმაც შეიძლება აშკარა საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს გარემოს, ფიზიკური/იურიდიული პირის, სახელმწიფო ან/და მუნიციპალურ ქონებას. იხ. კანონის მე-3 პუნქტის „ა” ქვეპუნქტი.

[227] მოქმედება, რომლის მიზანია საგანგებო სიტუაციის შედეგად დაშავებული ან/და დაკარგული ადამიანების მოძებნა და გადარჩენა, აგრეთვე საფრთხის შემცველი ადგილიდან ადამიანის გამოყვანა. იხ. კანონის მე-3 პუნქტის „ი” ქვეპუნქტი.

[228] კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტი.

ეროვნული სისტემის შესაბამის მორეაგირე ორგანოს.[229] ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტის რეაგირების ძალები ახდენენ სათანადო რეაგირებას. ინციდენტზე რეაგირების პროცესში ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტი აფასებს ინციდენტის ტიპსა და ხარისხს და, ინციდენტის საგანგებო სიტუაციად გარდაქმნის შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მართავს მას. თუ აშკარაა რისკი, რომ, საგანგებო სიტუაციის ხასიათიდან გამომდინარე, ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტის რეაგირების ძალები არ იქნება საკმარისი საგანგებო სიტუაციის სამართავად ან/და ამ საგანგებო სიტუაციის მართვა სცდება ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტის კომპეტენციას, ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მიმართავს ადგილობრივი საგანგებო შტაბის შექმნის საჭიროების შესახებ.[230] კანონის მიხედვით, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის წამყვანი ორგანო მშვიდობიან პერიოდში არის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.[231]

საქართველოში სამაშველო ოპერაციების მარეგულირებელი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტია საქართველოს მთავრობის დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ".[232] სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა ადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მიტიგაციისა და რეაგირების უზრუნველყოფას. გეგმა განსაზღვრავს კოორდინაციას ისეთი მიზნის მისაღწევად, როგორებიცაა: საძებნი, სამაშველო, ხანძრის ქრობის, საავარიო-სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძალების, რესურსებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა.[233]

გეგმა ითვალისწინებს რეაგირების ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორებიცაა: საძებნი, სამაშველო, საავარიო-სამაშველო, ხანძრის ქრობის სამუშაოების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება; საგანგებო სიტუაციების დროს საძებნი, სამაშველო, საავარიო-სამაშველო, ხანძრის ქრობის სამუშაოების ძალებისა და საშუალებების გადანაწილების და მათი საქმიანობის ორგანიზება; დაზიანების მასშტაბების, დაზარალებულთა რაოდენობის, სამაშველო სამუშაოებისათვის აუცილებელი საინჟინრო და სპეციალიზებული ტექნიკის რაოდენობის განსაზღვრა და სამაშველო სამუშაოებში ჩაბმა; დაზარალებულთათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სამუშაოების ორგანიზება, სპეციალური ტექნიკის, ჯანდაცვის პერსონალის, მედიკამენტების რაოდენობის განსაზღვრა.[234] გეგმა ასევე განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციაში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების როლს და ადგენს მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს.

სამაშველო ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას, სამაშველო ოპერაციის მართვასა და კოორდინირებას შესაბამის სამსახურებს შორის. ნორმატიული ბაზა ასევე ადგენს, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს, რომ სამაშველო ოპერაციისათვის გამოყოფილი რესურსი შეესაბამებოდეს შექმნილი სიტუაციის საჭიროებას. ნორმატიული ბაზა ასევე ადგენს სამაშველო ოპერაციების მოსამზადებელი სა-

[229] კანონის მე-19 მუხლის 1-ელი პუნქტი.

[230] კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი.

[231] კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი; ასევე იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N24 „საქართველოს შნაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", 29 მარტი, 2019 წელი.

[232] საქართველოს მთავრობის დადგენილება N508, 24 სექტემბერი, 2015 წელი.

[233] ფუნქცია N4, ეროვნული გეგმის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი.

[234] ეროვნული გეგმის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი.

მუშაოს ჩატარებას, ისევე როგორც იმ პირებისათვის სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას, რომლებიც ამას საჭიროებენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები ასახავს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სახელმწიფოს ვალდებულებას და, შესაბამისად, აკმაყოფილებს შესაბამის ევროპულ სტანდარტებს.

ბ) პრაქტიკა

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პრაქტიკული ღონისძიებების გატარება სამაშველო ოპერაციის დროს ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად.

ვინაიდან საქართველოში ბოლო პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სტიქია მოხდა რაჭაში (შოვში), ამ სტიქიის მაგალითზე შეიძლება მოხდეს იმის განხილვა, უზრუნველყო თუ არა სახელმწიფომ გონივრული ღონისძიებების გატარება ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში წამოჭრილი საკითხებიდან გამომდინარე, სამაშველო ოპერაციის ჩატარება უნდა შეფასდეს შემდეგ კითხვებზე გაცემული პასუხების საფუძველზე, მათ შორის, გააკეთა თუ არა სახელმწიფომ ყველაფერი, რაც გონივრული იქნებოდა პირების სიცოცხლის გადასარჩენად? დროულად აღმოუჩინა თუ არა სახელმწიფომ შესაბამის პირებს დახმარება, მათ შორის სამედიცინო? შეესაბამებოდა თუ არა ადგილზე არსებული სამაშველო შესაძლებლობები შექმნილი სიტუაციის საჭიროებებს? ჰქონდათ თუ არა მაშველებს შესაფერისი სამაშველო აღჭურვილობა/ტექნიკა?

მართალია, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია არ იძლევა სრულყოფილ სურათს რაჭის სტიქიის დროს სამაშველო ოპერაციის ჩატარების შესახებ, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, განიხილება, უზრუნველყო თუ არა სამაშველო ოპერაციამ მისი მთავარი მიზნის – ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა – მიღწევა. ნიშანდობლივია, რომ მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია სამაშველო ოპერაციასთან დაკავშირებით და, ზოგადად, შოვის სტიქიაზე, მეტისმეტად ფრაგმენტული და არასრულყოფილია, რაც არ იძლევა სრული სურათის დანახვის საშუალებას. ამიტომ ნაშრომში დასმულ ზოგიერთ კითხვაზე შეიძლება არ არსებობდეს დამაჯერებელი პასუხი. ამ კითხვებზე გამოძიების შედეგებმა უნდა გასცეს პასუხი და გაფანტოს ნებისმიერი ეჭვი, რომელიც საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს სამაშველო ოპერაციის სწრაფად და ეფექტიანად ჩატარების შესახებ.

ვინაიდან საქართველოში ღვარცოფი ხშირად ხდება, რაც ქმნის მოლოდინს, რომ სახელმწიფო უნდა იყოს მზად ასეთ სტიქიასთან გასამკლავებლად, შეიძლება დაისვას ზოგადი კითხვა: ჰქონდათ თუ არა მაშველებს წინასწარ განსაზღვრული გეგმა ღვარცოფში მოყოლილი ადამიანების გადასარჩენად?

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში წამოჭრილ კონკრეტულ საკითხებს, ერთ-ერთია, დროულად აღმოუჩინა თუ არა სახელმწიფომ დახმარება შესაბამის პირებს. ამ კითხვას პასუხი შეიძლება გაეცეს ფაქტობრივი ინფორმაციის საფუძველზე. კერძოდ, სტიქიის შესახებ შეტყობინებიდან სამაშველო ოპერაციის დაწყების დროსთან დაკავშირებით საქართველოს შს მინისტრმა განაცხადა, რომ შოვში განვითარებული მეწყრულ-ღვარცოფული მოვლენის შესახებ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში პირველი შეტყობინება შევიდა 3 აგვისტოს, 15:07 საათზე. 15:10 საათზე ინფორმაცია უკვე ჰქონდათ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, პოლიციის ადგილობრივ დანაყოფს და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს. ინფორმაციის მიღებისთანავე, ონის სახანძრო-სამაშველო დანაყოფიდან პირველი მორეაგირე ჯგუფი სტიქიის ზონისაკენ მინიმალურ დროში – 15:12 საათზე – გაემგზავრა და 15:40-ზე საათზე უკვე იმყოფებოდა ადგილზე. ამბროლაურიდან წასულმა სამაშველო ჯგუფმა სტიქიის ადგილზე 16:05 საათზე მიაღწია. აქედან გამომდინარე, შს მინისტრის განცხადებით, შეტყობინების მიღებიდან დაახლოებით ნახევარ საათში, გაცილებით ადრე ვერტმფრენის მისვლამდე, ადგილზე იმყოფებოდნენ

მეხანძრე-მაშველები, ასევე ადგილობრივი საპოლიციო ძალები, სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლები, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბრიგადები.[235]

რაც შეეხება ვერტმფრენის სტიქიის ადგილზე მისვლას, როგორც შს მინისტრმა განაცხადა, „პირველი ვერტმფრენი სტიქიის ზონაში თბილისიდან გაფრინდა 16:54 საათზე. რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, ის სტიქიის დაწყებიდან დაახლოებით სამ საათში ჩაერთო სამაშველო ღონისძიებაში".[236] მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სასაზღვრო ვერტმფრენი სტიქიის ზონაში 18:35 საათისათვის უკვე ადგილზე იყო.[237] ვერტმფრენის სტიქიის ადგილზე მისვლის დროსთან დაკავშირებით საზოგადოების წევრების მიერ გამოთქმული პოზიციით, სამაშველო ოპერაციაში ვერტმფრენის ჩართვა დაგვიანებული იყო და ვერტმფრენის ადრე მისვლას შეიძლება გადაერჩინა ადამიანები.[238] ამ საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანია, რომ პასუხი გაეცეს კითხვას, რატომ დასჭირდა დაახლოებით 3 საათი ვერტმფრენს სტიქიის ადგილამდე მისაღწევად, კერძოდ, მოხდა თუ არა ვერტმფრენის გამგზავრების გაჭიანურება, და თუ ასე იყო, რა გახდა ამის მიზეზი.

როგორც აღინიშნა, სამაშველო ოპერაციის მიმართ გამოითქვა პოზიცია, რომ ვერტმფრენმა დაიგვიანა ადგილზე ჩასვლა, რისი მიზეზიც შეიძლება ყოფილიყო ის ფაქტი, რომ ვერტმფრენი თბილისიდან გაემგზავრა, ნაცვლად იმისა, რომ ეს მომხდარიყო სტიქიის ადგილთან შედარებით ახლო ტერიტორიიდან, რაც დაზოგავდა დროს და შეიძლება გადაერჩინა სტიქიით დაზარალებული ადამიანები.[239] აქ ჩნდება კითხვა, იყო თუ არა სამაშველო სამსახური შესაფერისად უზრუნველყოფილი, მათ შორის ვერტმფრენით. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ეს ვერტმფრენი ეკუთვნის სასაზღვრო პოლიციას, ჩნდება საფუძველი ვარაუდისათვის, რომ სამაშველო სამსახურს არ აქვს თავისი ვერტმფრენი. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ სამაშველო სამსახური, რომელიც უნდა იყოს სათანადოდ აღჭურვილი, მათ შორის ვერტმფრენით, არ იყო ასეთი ტექნიკით უზრუნველყოფილი.

ასევე ჩნდება კითხვა – ამ მასშტაბის სამაშველო ოპერაციისათვის საკმარისი იყო თუ არა მხოლოდ ერთი ვერტმფრენი, რომელიც ჩაერთო ოპერაციის პირველ დღეს. მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მეორე დღეს, დილის 6 საათიდან განახლდა სამაშველო ოპერაცია, რომელშიც ჩაერთო მეორე ვერტმფრენი. ისმის კითხვა, რომ თუ ამის საჭიროება იყო, და სტიქიის მასშტაბიდან ასეც ჩანს, სტიქიის დღესვე რატომ არ ჩაერთო ამ სამაშველო ოპერაციაში დამატებითი ვერტმფრენი (ვერტმფრენები).[240]

---

[235] „ვახტანგ გომელაური – ინფორმაცია, რომ შოვში სამაშველო ოპერაცია 3 საათით გვიან დაიწყო, მცდარია – დაახლოებით ნახევარ საათში ადგილზე მივიდნენ როგორც მეხანძრე-მაშველები, ასევე უმოკლეს დროში ადგილობრივი საპოლიციო ძალები", 22 სექტემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/770730-vaxtang-gomelauri-inpormacia-rom-shovshi-samashvelo-operacia-3-saatit-gvian-daicqo-mcdaria-daaxloebit-naxevar-saatshi-adgilze-mividnen-rogorc-mexanzre-mashvelebi-aseve-umokles-droshi-adgilobrivi-sapolicio-zalebi].

[236] „დანაშაული შოვში", 30 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://mtisambebi.ge/news/item/1672-danashauli-shovshi-jurnalisturi-gamowieba]; ასევე „შოვში ვერტმფრენის გაშვების გადაწყვეტილების მისაღებად შსს-ს 50 წუთი დასჭირდა – რა წერია საქმის მასალებში?", 25 სექტემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge].

[237] „სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი შოვში, სტიქიის ზონაშია – ადგილზე სამაშველო ოპერაცია იწყება", 3 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/765912-sasazgvro-policiis-vertmpreni-shovshi-stikiis-zonashia-adgilze-samashvelo-operacia-icqeba].

[238] „დანაშაული შოვში", 30 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://mtisambebi.ge/news/item/1672-danashauli-shovshi-jurnalisturi-gamowieba].

[239] „ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ", საია, 2023 წ., იხ.: [https://gyla.ge/].

[240] „ვახტანგ გომელაური – მიზანშეწონილი არ იყო შოვში ღამით ფრენის განხორციელება, რადგან შესაძლოა, საფრთხე დამუქრებოდა გადარჩენილ ადამიანებს და შველის ღონისძიებაში ჩართული პირების სიცოცხლეს", 22 სექტემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/770732-vaxtang-gomelauri-mizansheconili-ar-iqo-shovshi-gamit-

სამაშველო ოპერაციის ჩატარებისათვის შესაფერის აღჭურვილობასთან/ტექნიკასთან (ვერტმფრენთან) დაკავშირებით ჩნდება კითხვა, კერძოდ: შს მინისტრის განცხადებით, 4 აგვისტოს დილიდანვე სამაშველო ოპერაციაში ჩაერთო სასაზღვრო პოლიციის ორი ვერტმფრენი.[241] კითხვაზე, იყო თუ არა სასაზღვრო პოლიციის ორი ვერტმფრენი საკმარისი შესაბამისი სამაშველო ოპერაციის ჩასატარებლად, პასუხს სცემს საგანგებო სიტუაციის მართვის ექსპერტი და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ყოფილი უფროსი, რომელიც აცხადებს, რომ „საგანგებო სიტუაციების ვერტმფრენები არის სპეციალიზებული აღჭურვილობით და სპეციალური მოდელები, რომლებიც თავის შესასრულებელ დავალებას ასრულებენ. გასაგებია, რომ სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით ბევრი ადამიანი ჰყავთ გადარჩენილი, ბევრი ოპერაცია წარმატებით შეუსრულებიათ, მაგრამ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იზრუნოს, რომ სპეციალიზებული სამაშველო ვერტმფრენები შეიძინოს. ასეთი რელიეფიდან და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მრავალი ტიპის არსებობს.“[242]

აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: თუ სახელმწიფოში არსებობს საგანგებო სიტუაციების ვერტმფრენები, რატომ არ იყო ისინი გამოყენებული შოვის სტიქიის დროს.

სამაშველო ოპერაციის ეფექტიანად ჩატარების აღჭურვილობასთან დაკავშირებით, არსებობს კითხვა – გამოიყენებოდა თუ არა სამაშველო ოპერაციების დროს ისეთი ეფექტიანი საშუალება, როგორიცაა სითბური დრონი. შს მინისტრის განცხადებით, 3 აგვისტოს, ღამით, სხვადასხვა ინტენსივობით ადგილზე 5 სითბური დრონი მუშაობდა. ამ ინფორმაციას უარყოფენ სტიქიის თვითმხილველები და სტიქიით დაზარალებული პირები.[243] ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პასუხი გაეცეს კითხვას – ჰქონდა თუ არა სამაშველო სამსახურს შესაბამისი აღჭურვილობა, მათ შორის დრონები, რომლებიც გამოიყენეს ოპერაციის ჩასატარებლად.

ასევე წამოიჭრა საკითხი, იყვნენ თუ არა მაშველები სათანადოდ აღჭურვილნი/ეკიპირებული, მაგალითად, ჰქონდათ თუ არა მაშველებს ე.წ. თხილმარი,[244] რომელიც მათ დაეხმარებოდა ტალახზე გადაადგილებაში.[245]

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, შოვის სტიქიის დროს ფაქტობრივად არ ჩატარებულა სამაშველო ოპერაცია, არამედ ჩატარდა დაღუპულების სამძებრო სამუშაო. ამ ინფორმაციით, სახელმწიფო დაეხმარა ტერიტორიიდან გამოყვანაში იმ ადამიანებს, ვინც თავისით გადაურჩა სტიქიას, ხოლო დანარჩენები, როგორც ჩანს, ღვარცოფმა მაშინვე, ან სტიქიის პირველსავე საათებში, იმსხვერპლა.[246] ამ შეხედულებასთან თანხვედრაშია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება, რომლის მიხედვით, ღვარცოფის შედეგად გამორიცხულია, გარდაცვალება მომენტალურად არ დამდგარიყო.[247]

---

prenis-ganxorcieleba-radgan-shesazloa-saprtxe-damukreboda-gadarchenil-adamianebs-da-shvelis-gonisziebashi-chartuli-pirebis-sicocxles].

241 იქვე.

242 საყურადღებოა, რომ ეს კომენტარი გაკეთებულია შოვის სტიქიამდე, 2022 წლის ივლისში. „თემურ გიორგაძე – სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იზრუნოს, სპეციალიზებული სამაშველო ვერტმფრენები შეიძინოს”, 29 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/446996-temur-giorgaze-sagangebo-situaciebis-samsaxuris-gasazliereblad-pirvel-rigshi-vertmprenebi-unda-sheizinon/].

243 „დანაშაული შოვში”, 30 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://mtisambebi.ge/news/item/1672-danashauli-shovshi-jurnalisturi-gamowieba]; „იქ დრონს არ უმუშავია” – სამთო გიდი იხსენებს შოვის სტიქიის პირველ ღამეს, 28 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/].

244 ფეხსაცმელზე ამოსაცმელი ოვალური ფორმის საბიჯებელი მოწყობილობა, რომელსაც, ძირითადად, თოვლში გადაადგილების გასაადვილებლად იყენებენ.

245 „იქ დრონს არ უმუშავია” – სამთო გიდი იხსენებს შოვის სტიქიის პირველ ღამეს, 28 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/].

246 „იქ დრონს არ უმუშავია” – სამთო გიდი იხსენებს შოვის სტიქიის პირველ ღამეს, 28 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/].

247 „გომელაური შოვში დაღუპულებზე: გამორიცხულია, გარდაცვალება მომენტალურად არ დამდგარიყო”, 22 სექტემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/32604871.html?fbclid=IwAR0UL6OfKfbHTFys7wue7swQtAo3dulX8ah-

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ, ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, შოვში ჩატარებულ სამაშველო ოპერაციასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა. მიმდინარე გამოძიების მიერ ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხების გაცემის გარეშე, შოვში ჩატარებული სამაშველო ოპერაცია ვერ ჩაითვლება დროულად და ეფექტიანად.

8. უბედური შემთხვევების თავიდან აცილების პრაქტიკა საქართველოში: *სხვა საყურადღებო საკითხები*

უბედური შემთხვევების შედეგად სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილების შესახებ, ნაშრომში უკვე განხილული საკითხების გარდა, მასმედიაში ვრცელდება ინფორმაცია საქართველოში მომხდარი სიცოცხლის მოსპობის მრავალი სხვა შემთხვევის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში არაერთი შემთხვევაა განხილული, რომლებიც შეძლებისდაგვარად დაჯგუფდა პრობლემების უკეთესად წარმოჩენის მიზნით, მასში ამომწურავად ვერ განიხილება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ყველა საქმიანობა (სფერო). გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, იდენტიფიცირებულია რამდენიმე საქმიანობა (სფერო), რომელმაც იმსხვერპლა ადამიანის სიცოცხლე. ამ საქმიანობას (სფეროს) განეკუთვნება ატრაქციონების უსაფრთხოება,[248] დაცვა შინაური და გარეული ცხოველებისაგან,[249] დაცვა ცოფისაგან,[250] უსაფრთხოება თხილამურებით, სნოუბორდით, ციგით, ან თოვლზე/ყინულზე სასრიალო ნებისმიერი სხვა საშუალებით გადაადგილებისას,[251] უსაფრთხოება საჰაერო ბუშტით გადაადგილებისას[252] და უსაფრთხოება ჭის გაწმენდის სამუშაოს შესრულებისას.[253]

ამ საქმიანობის (სფეროების) უმრავლესობა მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით და დადგენილია სიცოცხლის უფლების დაცვის სტანდარტები, თუმცა ვერ იქნა აღმოჩენილი შესაბამისი მარეგულირებელი აქტები ისეთი საქმიანობის (სფეროს) რეგულირების შესახებ, რომელიც ეხება უსაფრთხოებას საჰაერო ბუშტით გადაადგილებისას და უსაფრთხოებას ჭის გაწმენდის სამუშაოს შესრულებისას. ასეთი საქმიანობის (სფეროს) იდენტიფიცირების საფუძველზე სახელმწიფომ ეს სფეროები სამართლებრივად უნდა მოაწესრიგოს, რაც უზრუნველყოფს სიცოცხლის უფლებისათვის საფრთხის გამორიცხვას ან მის მინიმუმამდე შემცირებას.

---

cpLx778VebELO0pHq_xc9mc].

[248] „გარდაიცვალა ბავშვი, რომელიც ბატუტის დაზიანების გამო დაშავდა", 13 მარტი, 2023 წ., იხ.: [https://batumelebi.netgazeti.ge/news/469918/].

[249] „თბილისში, მცირეწლოვანი პიტბულმა დაგლიჯა", 21 ნოემბერი, 2022 წ., იხ.: [https://mtavari.tv/news/104278-tbilisshi-mtsireclovani-pitbulma-daglija]; „ქუთაისში 65 წლამდე ქალი ძაღლის დაკბენის შემდგომი გართულებებით კლინიკაში გარდაიცვალა", 24 ნოემბერი, 2022 წ., იხ.: [https://mtavari.tv/news/104621-kutaisshi-65-clamde-kali-dzaghlis-dakbenis]; „როგორც ჩანს, წაიქცა, დაესივნენ და შეჭამეს კაცი, წელს ზემოთ აღარაფერი ჰქონდა – რას ჰყვება მგლებისგან დაგლეჯილი კაცის შვილი?", 2 თებერვალი, 2023 წ., იხ.: [https://tia.ge/224270-rogorc-chans-tsaiqca-daesivnen-da-shechames-kaci-tsels-zemot-agharapheri-hqonda-ras-hkhveba-mglebisgan-daglejili-kacis-shvili.html].

[250] „ამბროლაურში 45 წლის ქალი ცოფით გარდაიცვალა – ჯანდაცვის სამინისტრო", 12 ივლისი, 2024 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/731398/].

[251] „ბაკურიანში, სავარაუდოდ, თხილამურებით სრიალის დროს ახალგაზრდა ქალი დაიღუპა", 24 თებერვალი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/586782-bakurianshi-savaraudod-txilamurebit-srialis-dros-axalgazrda-kali-daigupa].

[252] „საჰაერო ბურთის ჩამოვარდნის შედეგად დაიღუპნენ ორი მფრინავი და „იმედის" ოპერატორი", 7 თებერვალი, 2024 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge].

[253] „მარნეულში ჭაში ორი ადამიანი ჩავარდა და დაიღუპა", 31 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/721351-marneulshi-chashi-ori-adamiani-chavarda-da-daigupa]; „ხაშურის მუნიციპალიტეტში 2 ძმა ჭაში გარდაცვლილი ნახეს", 30 აგვისტო, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/615678-xashuris-municipalitetshi-2-zma-chashi-gardacvlili-naxes]; „ზუგდიდში ჭის წმენდის დროს შუა ხნის მამაკაცი დაიღუპა", 25 დეკემბერი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/579102-zugdidshi-chis-cmendis-dros-shua-xnis-mamakaci-daigupa].

რაც შეეხება იმ საქმიანობას (სფეროებს), რომლებიც კანონმდებლობით არის მოწესრიგებული, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გამოიჩინოს ძალისხმევა შესაბამისი კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულებისათვის, მათ შორის ზედამხედველობის დაწესების გზით.

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ფატალური შემთხვევების ნაწილი ეხება ადამიანების გარდაცვალებას შენობებიდან გადმოვარდნის შედეგად.[254] ცხადია, რომ გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ამ პირთა გარდაცვალება შემთხვევითობაა თუ სუიციდი, ან მისი მცდელობა. შენობებიდან გადმოვარდნის შედეგად გარდაცვალების არაერთი შემთხვევაა ბავშვებს შორის.[255]

ჩნდება კითხვა იმის შესახებ, რა ღონისძიებები შეიძლება გაატაროს სახელმწიფომ იმ პირთა სიცოცხლის დასაცავად, რომლებსაც შეიძლება შეექმნას საფრთხე ასეთ სიტუაციაში. თუ საკითხი შეეხება თვითმკვლელობის საფრთხეს, ასეთი საფრთხის დროულად იდენტიფიცირებისა და შესაბამისი პირისათვის ფსიქოლოგიური /ფსიქიკური დახმარება სწორი ნაბიჯი იქნება სახელმწიფოს მხრიდან. იგივე შეიძლება აღინიშნოს ბავშვებზე, რომლებიც უფრო მოწყვლადებად მიიჩნევიან სხვადასხვა სტრესის მიმართ. ასეთი ბავშვების შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია საფრთხის დროულად იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება.

რაც შეეხება ბავშვების შემთხვევით გარდაცვალებას, სახელმწიფომ უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. უბედური შემთხვევი-

[254] „გორში, მე-5 სართულის აივნიდან ქალი გადმოვარდა", 13 ივლისი, 2022 წ., იხ.:[https://www.interpressnews.ge/ka/article/719226-gorshi-me-5-sartulis-aivnidan-kali-gadmovarda]; „ტრაგედია თბილისში − 18 წლის ბიჭი სახლის სახურავიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა", 22 დეკემბერი, 2022 წ., იხ.: [https://rustavi2.ge/ka/news/245136]; „თბილისში, ბაზალეთის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის მე-3 სართულის აივნიდან 75 წლამდე ქალი გადმოვარდა", 30 ივნისი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/663424-tbilisshi-bazaletis-kuchaze-sacxovrebeli-korpusis-me-3-sartulis-aivnidan-75-clamde-kali-gadmovarda]; „ისანში, ერთ-ერთი კორპუსიდან ახალგაზრდა ბიჭი გადმოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა", 11 ნოემბერი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/683244-isanshi-ert-erti-korpusidan-axalgazrda-bichi-gadmovarda-da-adgilze-gardaicvala]; „რუსთავში საცხოვრებელი კორპუსის მე-9 სართულიდან 81 წლის კაცი გადმოვარდა", 25 ივლისი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/667194-rustavshi-sacxovrebeli-korpusis-me-9-sartulidan-81-clis-kaci-gadmovarda]; „თბილისში, მაღალსართულიანი შენობიდან ახალგაზრდა კაცი გადმოვარდა", 10 თებერვალი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/532117-tbilisshi-magalsartuliani-shenobidan-axalgazrda-kaci-gadmovarda]; „ქუთაისში 65 წლის ქალი მეხუთე სართულიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა", 10 ოქტომბერი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/567503-kutaisshi-65-clis-kali-mexute-sartulidan-gadmovarda-da-gardaicvala]; „ქუთაისში, მერვე სართულიდან შუახნის ქალი გადმოვარდა", 19 აპრილი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/542871-kutaisshi-merve-sartulidan-shuaxnis-kali-gadmovarda], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

[255] „თბილისში, მესამე სართულიდან 2 წლის ბავშვი გადმოვარდა და გარდაიცვალა", 24 სექტემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/770896-tbilisshi-mesame-sartulidan-2-clis-bavshvi-gadmovarda-da-gardaicvala]; „გარდაიცვალა 15 წლის გოგო, რომელიც ბათუმში საცხოვრებელი კორპუსიდან გადმოვარდა", 12 ივნისი, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/32455237.html?fbclid=IwAR2mmIFcZIPn7XE-bjWHQk0Ml3AvR2cBlzrI2gGlN-f329ExqLCxumt-tWw]; „რუსთავში, საცხოვრებელი კორპუსის მე-7 სართულიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვი გადმოვარდა", 19 ნოემბერი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/629889-rustavshi-sacxovrebeli-korpusis-me-7-sartulidan-2-clamde-asakis-bavshvi-gadmovarda]; „ფონიჭალაში 1 წლამდე ბავშვი საცხოვრებელი კორპუსის მეთოთხმეტე სართულიდან გადმოვარდა", 8 აგვისტო, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/612937-ponichalashi-1-clamde-bavshvi-sacxovrebeli-korpusis-metotxmete-sartulidan-gadmovarda]; „ვარკეთილში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით ახალი დეტალები ხდება ცნობილი", 23 სექტემბერი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/565056-varketilshi-momxdar-tragediastan-dakavshirebit-axali-detalebi-xdeba-cnobili]; „13 წლის გოგონას ცხედარი რუსთავში ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს", 13 მარტი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/536845-13-clis-gogonas-cxedari-rustavshi-ekspertizis-biuroshi-gadaasvenes], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

საგან ბავშვის სიცოცხლის დასაცავად სახელმწიფომ შეიძლება განსაზღვროს ზრდასრულთა ზედამხედველობის გარეშე არასრულწლოვანთა შინ დატოვებისათვის დასაშვები ასაკი. ამის საჭიროება გამომდინარეობს იქიდან, რომ არასრულწლოვნის შინ მარტოდ დატოვებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს საკუთარი სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა (მაგ.: საყოფაცხოვრებო ნივთების, გაზქურის, ასანთის სახიფათოდ გამოყენებით ან თუნდაც ფანჯრიდან/აივნიდან გადავარდნით, რის შედეგადაც შეიძლება მისი სიცოცხლე აღმოჩნდეს საფრთხეში). ამ მიზეზით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ადგენს წესს, რომლის მიხედვით, საერთოდ იკრძალება შედარებით მცირე ასაკის არასრულწლოვნების შინ მარტოდ დატოვება, ზრდასრულის ზედამხედველობის გარეშე, ხოლო ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობა ადგენს, რომ ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად იგი შეიძლება მარტოდ დატოვონ დროის მზარდი ხანგრძლივობით. ზოგიერთ სახელმწიფოში ამ წესის დარღვევა იწვევს მშობლების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც კი. სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ არასრულწლოვანთა ასაკს, რომელთა მიღწევისას ბავშვი შეიძლება მარტოდ დატოვონ, თუმცა, ძირითადად, ეს ასაკი 10-14 წლის ფარგლებში მერყეობს.

საქართველოს არცერთი ნორმატიული აქტი არ ადგენს არასრულწლოვნის ასაკს, რომელთა შინ დატოვება ზრდასრულების ზედამხედველობის გარეშე იკრძალება, თუმცა საქართველოს ბავშვთა უფლებათა კოდექსი ადგენს, რომ ბავშვს უფლება აქვს, იყოს დაცული უგულებელყოფისაგან.[256] სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის.[257]

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ზოგადად წესრიგდება ბავშვთა უფლებათა კოდექსითა და სისხლის სამართლის კოდექსით, სასურველია, ქვეყანაში დადგინდეს ასაკობრივი ზღვარი, რომლის მიღწევის შემდეგ დაიშვება არასრულწლოვნის შინ მარტოდ დატოვება, ზრდასრულთა ზედამხედველობის გარეშე. ასეთი წესის შემოღება ბავშვების სიცოცხლეს არაერთ საფრთხეს აარიდებს თავიდან. ქვეყანაში ასეთი წესის ეფექტიანი აღსრულების შემთხვევაში ნაკლები ალბათობაა, რომ განმეორდეს ზუგდიდში 2023 წელს, საცხოვრებელ სახლში, მომხდარი ხანძარი, რომლის შედეგად 6 წლამდე ძმები დაიღუპნენ, მშობლის სამსახურში ყოფნის დროს.[258] შეიძლებოდა თავიდან ისეთი შემთხვევის აცილებაც, როდესაც თერჯოლის მუნიციპალიტეტში 3 წლის ბავშვს თამაშის დროს სანადირო თოფი გაუვარდა და შემთხვევით მის 6 წლის ძმას მოუსპო სიცოცხლე.[259] მსგავსი შემთხვევა იყო, როდესაც თამაშის დროს ერთ-ერთმა ბავშვმა შემთხვევით ტირის თოფიდან გაისროლა, რასაც 8 წლის ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა.[260]

ცხადია, რომ საკითხი ვერ გადაწყდება მხოლოდ ბავშვების მარტოდ დატოვების აკრძალვით და საჭიროა, სახელმწიფომ შექმნას სისტემა, რომელიც მიმართული იქნება მშობლების მხარდასაჭერად.

ზოგადად, ბავშვის, განსაკუთრებით მცირეწლოვნის, შინ მარტოდ დატოვების გარდა, უნდა აიკრძალოს ბავშვების ზედამხედველობის გარეშე დატოვება ნებისმიერ ადგილას, სადაც მომეტებული საფრთხეა სიცოცხლისათვის, მაგ.:

[256] 53(1)-ლი მუხლი.

[257] 116-ე მუხლი.

[258] „ზუგდიდში, საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილ ხანძარს 2 ბავშვი ემსხვერპლა", 13 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/808922-zugdidshi-sacxovrebel-korpusshi-gachenil-xanzars-2-bavshvi-emsxverpla]; [https://netgazeti.ge/news/736673/]; [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

[259] „არსებული ინფორმაციით, თერჯოლაში 3 წლის ბავშვს იარაღი გაუვარდა", რის შედეგად მისი 6 წლის ძმა გარდაიცვალა, 7 იანვარი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/580206-arsebuli-inpormaciit-terjolashi-3-clis-bavshvs-iaragi-gauvarda-ris-shedegad-misi-6-clis-zma-gardaicvala], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

[260] „საჩხერეში ტირის თოფიდან გასროლის შედეგად 8 წლის ბავშვი დაიღუპა", 6 იანვარი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/636588-sachxereshi-tiris-topidan-gasrolis-shedegad-8-clis-bavshvi-daigupa].

ზღვასთან, აუზთან, ცეცხლთან და ასე შემდეგ.[261] ასეთი ზედამხედველობის შემთხვევაში შეიძლებოდა ხობში 2 წლის ბავშვის და ჩაქვში, სასტუმროს აუზში, 5 წლის ბავშვის დახრჩობის თავიდან აცილება.[262] აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გაატაროს როგორც საკანონმდებლო ღონისძიებები, ისე გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები ბავშვების სიცოცხლის დაცვის დამატებითი სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

კიდევ ერთი საყურადღებო საკითხი პიროტექნიკის გამოყენებაა, რომელიც ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია. გარდა იმისა, რომ პიროტექნიკის გამოყენება მავნეა გარემოსათვის და იწვევს მსხვერპლს ცხოველებსა და ფრინველებს შორის,[263] საქართველოს პრაქტიკაში არის პიროტექნიკით გარდაცვალების შემთხვევა,[264] ისევე როგორც სხეულის დაზიანების არაერთი შემთხვევა.[265]

საქართველოში დაშვებულია პიროტექნიკის გამოყენება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს მინიმალურ შეზღუდვებს პიროტექნიკის გამოყენების მიმართ. კერძოდ, პიროტექნიკის გამოყენება აკრძალულია ღამის საათებში (23:00 საათიდან 08:00 საათამდე), გარდა სადღესასწაულო დღეებისა.[266] ამავე კოდექსით, აკრძალულია პიროტექნიკის მიყიდვა არასრულწლოვნისათვის.[267]

მართალია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, იკრძალება პიროტექნიკის მიყიდვა არასრულწლოვნებისათვის, რეალურად, ეს პიროტექნიკა ხშირად მათ ხელში ხვდება და მათ დასახიჩრებას იწვევს, რასაც მოწმობს მრავალი შემთხვევა. ზოგადად კი, საქართველოში პიროტექნიკით დაზიანების არაერთი შემთხვევაა როგორც არასრულწლოვნებს, ისე სრულწლოვნებს შორის, რომელთა შედეგად ისინი სხეულის სხვადასხვა დაზიანებას იღებენ, კიდურების ან ხელის თითების მოკვეთის ჩათვლით.

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ასევე გარემოსა და ცხოველთა ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ აიკრძალოს პიროტექნიკის გამოყენება.

დასკვნა

საქართველოში უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა და გამოითქვას რეკომენდაციები, კერძოდ:

ა) სასკოლო გარემოში უბედური შემთხვევების თავიდან აცილების შესახებ ევროპული კონვენციის სტანდარტებისა და საქართველოს კა-

[261] „მარნეულში დამწვრობის შედეგად, 2 წლის ბავშვი გარდაიცვალა", 6 იანვარი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/580124-marneulshi-damcvrobis-shedegad-2-clis-bavshvi-gardaicvala], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

[262] „ხობში 2 წლის ბავშვი წყალში დაიხრჩო", 23 ივნისი, 2021 წ., იხ. [https://www.interpressnews.ge/ka/article/662386-xobshi-2-clis-bavshvi-cqalshi-daixrcho]; „ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში", რომლის აუზზე 5 წლამდე ბავშვი დაიხრჩო, პოლიცია მუშაობს", 21 ივლისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/764584-chakvshi-mdebare-drimlend-oazisis-advokati-5-clis-bavshvis-daxrchobis-sakmeze-savaraudod-ubeduri-shemtxveva-dadgindeba-videochanacerebshi-surati-agbechdilia-mati-amogeba-dges-moxdeba], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

[263] „ინფარქტით დაიღუპა": როგორ ზემოქმედებს პიროტექნიკა ცხოველებზე, 21 დეკემბერი, 2023 წ., იხ.: [https://accentnews.ge/ka/article/103997-inparktit-daigupa-rogor-zemokmedebs-piroteknika].

[264] „ქუთაისში გარდაიცვალა ქალი, რომელსაც ახალი წლის ღამეს პიროტექნიკა თავში მოხვდა", 9 იანვარი, 2021 წ., იხ.: [https://kvirispalitra.ge/article/72966-quthaisshi-gardaicvala-qali-romelsac-akhali-tslis-ghames-piroteqnika-thavshi-mokhvda/].

[265] „სავარაუდოდ, ვადაგასული პიროტექნიკის გამო უბედური შემთხვევა მოხდა – რა მოხდა მარნეულში", 3 იანვარი, 2024 წ., იხ.: [https://mix.metronome.ge/news/140855]; „ქუთაისში ორ პენსიონერს პიროტექნიკა ხელში აუფეთქდა – რას ამბობს ექიმი?" 2 იანვარი, 2024 წ., იხ.: [https://www.ambebi.ge/article/303984-kutaisshi-or-pensioners-piroteknika-xelshi-aupetkda/]; „პიროტექნიკის საფრთხეები", 12 დეკემბერი, 2023 წ., იხ.: [https://1tv.ge/video/piroteqnikis-safrtkheebi/].

[266] კოდექსის 77^2-ე მუხლი.

[267] კოდექსის 156^1-ე მუხლი.

ნონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში სკოლის მოსწავლის სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩო, ძირითადად, ასახავს ევროპულ სტანდარტებს. ამასთანავე, გამოვლინდა აუცილებლობა, რომ კანონმდებლობით დადგინდეს მოსწავლის მშობლების ვალდებულება, სკოლას მიაწოდონ ინფორმაცია მოსწავლის დაავადების შესახებ, რომელიც შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს მისი სიცოცხლისათვის.

რაც შეეხება სკოლის მოსწავლეების მიმართ/სასკოლო გარემოში უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულებას პრაქტიკაში, აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის ზედმიწევნით შესრულების უზრუნველსაყოფად. ამას ხელს შეუწყობს სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის სპეციალური სწავლების ჩატარება იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც სახელმწიფოს/სკოლას ეკისრება სასკოლო გარემოში მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ბ) ერთ-ერთი სფერო, რომელშიც არსებობს მომეტებული საფრთხე სიცოცხლისათვის, სამშენებლო საქმიანობაა, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო საქმიანობის სფეროში ისეთი მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღებას, რომელიც მიმართული იქნება პირთა სიცოცხლის დაცვისაკენ უბედური შემთხვევებისაგან და მის ეფექტიან აღსრულებას პრაქტიკაში.

სამშენებლო საქმიანობის სფეროში საქართველოში მოქმედებს საკმარისად დეტალური საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზა, რომელიც მიმართულია პირთა სიცოცხლის დაცვისაკენ უბედური შემთხვევებისაგან. რაც შეეხება ევროპული კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებს, ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ ევროპული სასამართლოს სტანდარტები სათანადოდ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ხშირია მუშების მიერ მშენებლობის სტანდარტების დარღვევა, რასაც შედეგად მოჰყვება სიცოცხლის მოსპობა. ამიტომ აუცილებელია კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების ზედმიწევნით შესრულება, მათ შორის: ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენება და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ზედამხედველობა მშენებლობის პროცესზე; ასევე აუცილებელია, რომ დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებმაც არ შეასრულეს სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტები, მათ შორის როგორც დამკვეთისა და შემსრულებლის, ისე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პასუხისმგებლობა, რომელსაც ევალება ზედამხედველობა ამ სამშენებლო მოთხოვნების დაცვაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გატარდეს ღონისძიებები კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტების ეფექტიანი აღსრულებისათვის და იმ პირთათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, რომლებიც არ ასრულებენ უსაფრთხოების სტანდარტებს. ასევე, უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმ სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად, რომელიც პასუხისმგებელია სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტების შესრულების ზედამხედველობაზე.

გ) სამხედრო საქმიანობის სფეროში სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გადადგას ნაბიჯები სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სამხედრო წვრთნებს ან ნაღმის აფეთქებას.

ევროპული სტანდარტებისა და საქართველოს საკანონმდებლო (ნორმატიული) აქტების შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სამხედრო წვრთნებისა და ნაღმის აფეთქებისაგან სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა დამაკმაყოფილებლად ასახავს ევროპულ სტანდარტებს.

საქართველოში სამხედრო საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ბოლოდროინდელი პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ სამხედრო წვრთნებს არ გამოუწვევია რაიმე საფრთხე სიცოცხლისათვის.

რაც შეეხება ნაღმების აფეთქებით გამოწვეულ საფრთხეს სიცოცხლისათვის, საქართვე-

ლოს ტერიტორიაზე, აზერბაიჯანის საზღვართან, ე.წ. „წითელ ხიდთან", არის შვიდკილომეტრიანი დანაღმული ტერიტორია, რომელიც ესაზღვრება მჭიდროდ დასახლებულ სოფელ კირაჩ-მუღანლოს. ამ ტერიტორიაზე განთავსებულია ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ათასზე მეტი ნაღმი. ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის არსებული საფრთხის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ აზერბაიჯანთან მოსაზღვრე ტერიტორია გაიწმინდოს ნაღმებისაგან.

დ) სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სიცოცხლის დაცვაზე ისეთი უბედური შემთხვევისაგან, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევით. სახანძრო და ელექტროქვესადგურების უსაფრთხოების შესახებ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, მთლიანობაში, აკმაყოფილებს შესაბამის ევროპულ სტანდარტებს.

რაც შეეხება არსებულ პრაქტიკას, ევროპული სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებებისა და მისი ზოგადი პოზიციის საფუძველზე, ნაშრომში გაანალიზდა ისეთი ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტების შესრულება ქვეყანაში, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის უფლების დარღვევა.

საქართველოში ბუნებრივი გაზის გაჟონვის შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი მრავალი წლის განმავლობაში სავალალო იყო, თუმცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობა შემცირებისაკენაა. მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გაატაროს დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება ბუნებრივი გაზის გაჟონვის თავიდან აცილებისაკენ.

მართალია, რომ ბოლო წლებში სახელმწიფოს ჰქონდა რამდენიმე ინიციატივა საქართველოში მდგომარეობის გამოსასწორებლად, მათ შორის: საცხოვრებელ კორპუსებში ბუნებრივი გაზის გაჟონვის ამომცნობი დეტექტორების დამონტაჟება, გაზის დანადგარების ყოველწლიური სავალდებულო შემოწმება, ასევე იყო ინიციატივა, რომ კანონმდებლობით აიკრძალოს ღია წვის დანადგარების გამოყენება, მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, არც ბუნებრივი გაზის გაჟონვის ამომცნობი დეტექტორების დამონტაჟება არ მომხდარა და არც ღია წვის დანადგარების გამოყენება აკრძალულა.

ბუნებრივი გაზის გაჟონვის შედეგად გარდაცვალების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანი როლი აქვს გაზის გამანაწილებელ კომპანიას, თუმცა ქვეყანაში მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა მოხდეს არა მხოლოდ ასეთი კომპანიის ეფექტიანი მუშაობის ხარჯზე, არამედ, ასევე, სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ღონისძიებების გატარების შედეგად. ასეთი ღონისძიებები უნდა მოიცავდეს როგორც სათანადო მარეგულირებელი ნორმების დადგენას, ისე ტექნიკური მოთხოვნების დაწესებასა და მათ შესრულებაზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებას, რაც, საბოლოოდ, უზრუნველყოფს უბედური შემთხვევების გამორიცხვას ან მათ მინიმუმამდე შემცირებას.

მართალია, ევროპულ სასამართლოს არცერთ საქმეზე არ უმსჯელია ლიფტების გაუმართაობით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაზე, ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტების მიმართ სასამართლოს ზოგადი პოზიციიდან გამომდინარე, ნაშრომში გაანალიზდა ამ სტანდარტების მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა. კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ საქართველოში მოქმედებს სათანადო საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩო, რომელიც მიმართულია ლიფტების ტექნიკური გაუმართაობით გამოწვეული უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის დაცვისაკენ.

საქართველოში საცხოვრებელი კორპუსების გაუმართავი ლიფტებით სარგებლობა, რომლებსაც დიდი ხნის წინ გაუვიდა ექსპლუატაციის ვადა, ხშირად ხდება უბედური შემთხვევის მიზეზი. ამას ადასტურებს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მომხდარი არაერთი უბედური შემთხვევა.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ეხება ლიფტების გაუმართაობით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილებას, არის

ის, თუ ვინ უნდა უზრუნველყოს ლიფტების გამართული ფუნქციონირება. ერთი პოზიციის მიხედვით, ვინაიდან საცხოვრებელი კორპუსები პრივატიზებულია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ თავად უნდა იზრუნოს ლიფტების უსაფრთხოებაზე და მას ეკისრება პასუხისმგებლობა უბედური შემთხვევის გამო; მეორე პოზიციის მიხედვით, მართალია, ეს კორპუსები და მათში არსებული ლიფტები ამხანაგობის საკუთრებაა, პრობლემის დიდი მასშტაბისა და მოსახლეობის ხელთ არსებული მწირი ფინანსური რესურსების გამო, მისი მოგვარება სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნება.

ლიფტების გამართულ მუშაობაზე და, შესაბამისად, ლიფტების გაუმართაობით გამოწვეული უბედური შემთხვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ მოსახლეობაზე (ამხანაგობაზე), არ არის სწორი პოზიცია, რადგან სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე და ნებისმიერი საფრთხის თავიდან აცილებაზე, რომელმაც შეიძლება მოუსპოს ადამიანს სიცოცხლე. აქედან გამომდინარე, მართებულია, რომ სახელმწიფომ თავისი მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

გაუმართავი ლიფტების პრობლემის მოგვარება უნდა გახდეს მსჯელობის საგანი და შეიძლება სხვადასხვა გამოსავალი მოიძებნოს. მიუხედავად იმისა, გაუმართავი ლიფტების პრობლემის მოგვარების რა გზები მოიძებნება, დღეს შექმნილი სავალალო სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებელია სწრაფი, ეფექტიანი და თუნდაც დროებითი გამოსავლის პოვნა. ამისათვის, როგორც მინიმუმ, საწყის ეტაპზე, სახელმწიფომ თავად უნდა უზრუნველყოს ლიფტების მდგომარეობის შემოწმება და სათანადო ნაბიჯების გადადგმა. თუ აღმოჩნდა, რომ ლიფტის ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა აკრძალოს მისი ექსპლუატაცია. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფომ, პრიორიტეტული კლასიფიკატორის მიხედვით, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის" მხარდაჭერის პროგრამების დახმარებით, უნდა უზრუნველყოს ამ ლიფტების რეაბილიტაცია ან ამ პროცესში ფინანსური თანამონაწილეობა ამხანაგობებთან ერთად, ლიფტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ვინაიდან სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე, ვრცელდება ტექნიკური მიზეზით გამოწვეული უბედური შემთხვევის თავიდან აცილებაზე, აუცილებელია, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს გაუმართავი ლიფტების ექსპლუატაციის პრობლემის მოგვარება სწრაფი, ეფექტიანი და რეალური გზებით.

სიცოცხლის მოსპობას ხშირად იწვევს ხანძარი. მხოლოდ 2024 წლის პირველ ნახევარში საქართველოში იყო ხანძრის 5985 შემთხვევა, რომელთაც 21 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 122 ადამიანი დაშავდა.

რაც შეეხება პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომლებიც შეიძლება გადაიდგას ხანძრით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებში კანონმდებლობით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების ზედმიწევნით შესრულებას და მასზე ზედამხედველობას. ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს გაფრთხილებას ხანძრით გამოწვეული საფრთხის შესახებ, მაგალითად, როგორიცაა კვამლის დეტექტორის სავალდებულო მონტაჟი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება როგორც ხანძრისაგან პირთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების, ისე სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების ზედმიწევნით შესრულებისა და მათ შესრულებაზე სახელმწიფოს ეფექტიანის ზედამხედველობის უზრუნველყოფისაკენ. ასევე აუცილებელია სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება ხანძრით გამოწვეული უბედური შემთხვევების თავიდან აცილების შესახებ და მათი დანერგვა საქართველოში.

საქართველოში ელექტროდენის დარტყმით ადამიანის გარდაცვალება არ არის იშვიათობა. ამას მოწმობს ბოლო წლებში ქვეყანაში მომხდარი არაერთი ფაქტი, რომელთა შორის ერთ-ერთი გახმაურებული შემთხვევა მოხდა 2022 წლის

ოქტომბერში თბილისში, ვაკის პარკში, და გამოიწვია 13 წლის მოზარდის სიცოცხლის მოსპობა.

დენის დარტყმისაგან სიცოცხლის დაცვის ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების ლიცენზირება. აუცილებელია არა მხოლოდ ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების ლიცენზირება, არამედ ელექტრული ქსელების მოწყობისა და ელექტროენერგეტიკული დანადგარების/მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს შექმნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დენის დარტყმისაგან სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია როგორც კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა, რომელიც მიმართული იქნება ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების ლიცენზირებისა და ამ სამუშაოს შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელებისაკენ, ისე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა არსებული საფრთხეების შესახებ საზოგადოების წევრების ინფორმირების მიზნით.

ე) სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სატრანსპორტო შემთხვევებისაგან პირის სიცოცხლის დაცვაზე. ევროპული კონვენციის სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩო, მთლიანობაში, შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს სატრანსპორტო სისტემის უსაფრთხოების სფეროში. ამასთანავე, კვლევის შედეგად გამოვლინდა ორი პრობლემა, რომლის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არც მატარებლის კარის თვითნებურად გაღების აკრძალვას და არც რკინიგზის მიერ გამაფრთხილებელი ნიშნების დამონტაჟების ვალდებულებას, რაც დადგენილია ევროპული სასამართლოს პრაქტიკით.

რაც შეეხება სატრანსპორტო სისტემის უსაფრთხოების დაცვის პრაქტიკას საქართველოში, გამოვლინდა რიგი პრობლემებისა, რაც უნდა მოგვარდეს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემაშფოთებელია. ეს მაჩვენებელი რამდენჯერმე აღემატება ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში ყველაზე უარესი მაჩვენებლის მქონე ქვეყანასაც კი. საქართველოში 2023 წელს ავარიებს 442 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 2022 წელს ავტოავარიებში დაიღუპა 430 ადამიანი. ბოლო 10 წელიწადში კი, ჯამურად, საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევებში გარდაიცვალა 4922 ადამიანი.

მართალია, სახელმწიფო ატარებს ღონისძიებებს გზებზე სიკვდილიანობის შესამცირებლად (მაგ., ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეიტანეს ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვისათვის ჯარიმის გამკაცრებას; ზამთრის პერიოდში გარკვეულ მონაკვეთებზე სავალდებულო გახადეს ავტომობილების ზამთრის საბურავებით აღჭურვა; ხელახლა შემოიღეს ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება, წესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა) აუცილებელია, სახელმწიფომ გამოიჩინოს უფრო მეტი ძალისხმევა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად სიკვდილიანობის შესამცირებლად, რისთვისაც უნდა იყოს შესწავლილი გამოცდილება სხვა, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნებისა, რომლებმაც ბოლო ათწლეულში წარმატებით შეამცირეს გზებზე სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ამისათვის აუცილებელია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირების სტრატეგიის ჩამოყალიბება. ასევე საჭიროა, რომ საქართველოში, როგორც ზოგადად საზოგადოებაში, ისე ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებში (მაგ., სკოლის მოსწავლეებს შორის) ამაღლდეს ცნობიერება საგზაო წესების დაცვის აუცილებლობაზე.

საქართველოში რკინიგზაზე ასევე ხდება უბედური შემთხვევები, რომლებსაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ასეთი უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ შეიძლება გაატაროს სხვადასხვა პრევენციული ღონისძიება. ამ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს რკინიგზის ლიანდაგის გადაკვეთის ადგილების განსაზღვრა, ლიანდაგის გადაკვეთის ადგილებზე გამაფრთხილებელი ნიშნების მონტაჟი, საზოგადოების, მათ შორის სკოლის მოსწავლეებს შორის, ცნობიერების ამაღლება რკინიგზასთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ.

ბოლო წლებში თბილისის მეტროში მოხდა შემთხვევები, რომლებსაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მეტროში უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ისეთი პრევენციული ღონისძიებების გატარება, როგორებიცაა მეტროთი მოსარგებლეთა გაფრთხილება მეტროთი სარგებლობის წესების დარღვევის შედეგების შესახებ და საზოგადოების, მათ შორის სკოლის მოსწავლეების, ცნობიერების ამაღლება მეტროსთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ.

მართალია, წყლის ტრანსპორტის უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო სიცოცხლის მოსპობა შედარებით იშვიათობაა, ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში მაინც ხდება. ამიტომ, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გაატაროს წინასწარი გამაფრთხილებელი ღონისძიებები სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად. საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სკუტერით სარგებლობის წესებს. ასეთმა წესებმა შეიძლება განსაზღვროს, რომ დაშვებულია სკუტერით სარგებლობა ამისათვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან ისეთ ადგილას, სადაც წყალში არ იმყოფებიან ადამიანები. ასეთი წესების არსებობა და მათი პრაქტიკაში აღსრულება უზრუნველყოფს უბედური შემთხვევების თავიდან აცილებას.

ასევე იშვიათობაა გარდაცვალების შემთხვევები პარაპლანის ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად, თუმცა საქართველოს პრაქტიკაში მოხდა ასეთი შემთხვევები. ამ შემთხვევებმა განაპირობა პარაპლანით სარგებლობის წესების დადგენა საქართველოში. კერძოდ, საქართველოს რამდენიმე ნორმატიულ აქტში, მათ შორის საჰაერო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრა პარაპლანის აღჭურვილობის ვარგისიანობის დადგენის, ასევე პარაპლანის ოპერატორის სერტიფიცირებისა და პარაპლანის მფრინავის მოწმობის გაცემის საკითხები, რაც მიზნად ისახავს პარაპლანით სარგებლობის თანმდევი რისკების მინიმუმამდე შემცირებას და ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას.

საბოლოოდ, პრაქტიკაში წარმოქმნილი პრობლემების გამო, სახელმწიფომ უზრუნველყო ისეთი ნორმატიული აქტების მიღება, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვას. ეს შეიძლება გახდეს კარგი მაგალითი სხვა სფეროების მოწესრიგებისა, სადაც დაფიქსირდა გარდაცვალების შემთხვევები.

ვ) სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება პირის სიცოცხლის დაცვაზე საზოგადოებრივ ადგილებში არსებული საფრთხეებისაგან. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, თავიდან აიცილოს საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობა. ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზმა ცხადყო, რომ ასეთი მარეგულირებელი აქტი მოქმედებს მხოლოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში. საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის (ან ჯანმრთელობისათვის) საფრთხის თავიდან აცილების ვალდებულება უნდა მოქმედებდეს არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ, აუცილებელია, რომ საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს სახელმწიფოს ვალდებულება მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ, რომელიც გავრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

რაც შეეხება საქართველოში საზოგადოებრივ ადგილებში არსებული საფრთხისაგან სი-

ცოცხლის დაცვის პრაქტიკას, ევროპული სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებებისა და მისი ზოგადი პოზიციის საფუძველზე, ნაშრომში გაანალიზდა საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოების ისეთი სტანდარტების შესრულება ქვეყანაში, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის უფლების დარღვევა.

გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის (ან ჯანმრთელობისათვის) საფრთხის თავიდან აცილების ვალდებულება უნდა მოქმედებდეს არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით, აუცილებელია, რომ მოხდეს მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილების წესის ზედმიწევნით შესრულება და მასზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ საქართველოში ხშირია სიკვდილიანობა წყალზე (ზღვაზე, ტბაზე, მდინარეზე), რასაც მოწმობს ბოლო წლებში მომხდარი არაერთი ფატალური შემთხვევა.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს წყალზე სიცოცხლის უფლების დაცვას, საჭიროებს გაუმჯობესებას. გარდა იმისა, კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ ადგენს, რომ მოსახლეობის სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გარემოებების არსებობისას მუნიციპალიტეტები განსაზღვრავენ ადგილებს, სადაც ბანაობა აკრძალულია, აუცილებელია წყალზე სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი ნორმების დადგენა. 2019 წელს მიღებული კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ მოითხოვს, რომ საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი. ეს წესი, რომელმაც საქართველოში უნდა შექმნას წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის ეფექტიანი სისტემა, ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების გარდა, საქართველოში უნდა გატარდეს პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება წყალზე სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვისაკენ. ამ პრაქტიკულ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს წყალზე სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ტერიტორიების იდენტიფიცირება, მათი შემოსაზღვრა და ამ ტერიტორიებზე შესვლის აკრძალვა, წყალზე სიკვდილიანობის შემცირებისაკენ მიმართული სხვადასხვა შეზღუდვის დაწესება (მაგ., ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის, ასევე შტორმში, უამინდობასა და შეზღუდული ხილვადობის დროს წყალში შესვლის აკრძალვა; წყალში შესვლის აკრძალვა იქ, სადაც არ არის მოწყობილი სანაპირო ზოლი), ადამიანთა მაღალი კონცენტრაციის ადგილებში სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მაშველების მომსახურების უზრუნველყოფა, გამაფრთხილებელი და ბანაობის ამკრძალავი საინფორმაციო ბანერების განთავსება, ცნობიერების ამაღლება და სხვ.

აქედან გამომდინარე, საქართველოში წყალზე სიცოცხლის ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია როგორც საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზის დახვეწა, ისე ეფექტიანი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

საქართველოში ბოლო წლებში მოხდა რამდენიმე ფატალური შემთხვევა, რომლებიც გამოიწვია შემთხვევით ადამიანის კლდიდან ან სიმაღლიდან გადავარდნამ ან ხევში გადაჩეხვამ. ერთ-ერთი ბოლოდროინდელი შემთხვევა მოხდა 2024 წლის სექტემბერში თბილისში, პირველი რესპუბლიკის მოედანზე, სადაც ორი ახალგაზრდა ქალი კვეთდა ქუჩას, როდესაც ერთ-ერთი მათგანი მიწისქვეშა გადასასვლელის ჯებირს წამოედო და ჩავარდა მიწისქვეშა გადასასვლელში, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პრევენციული ღონისძიებების გატარება საზოგადოებრივ ადგილებში (ტერიტორიებზე), სადაც არსებობს საფრთხე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ამისათვის სახელმწიფომ, სადაც ეს გონივრული იქნება, უნდა უზრუნველყოს შესაბამის ადგილას (ტერიტორიაზე) როგორც გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება და ჯებირების მოწყობა, ისე ნებისმიერი სხვა საშუალების გამოყე-

ნება, რომელიც დაიცავს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უბედური შემთხვევისაგან.

საქართველოს პრაქტიკაში იყო ადამიანის გარდაცვალების შემთხვევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნაწილის ჩამოშლის შედეგად. მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს წესს, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს პერიოდულად ძეგლის შემოწმება და, საფრთხის შემთხვევაში, სათანადო ღონისძიებების გატარება, აუცილებელია კანონით გათვალისწინებული წესების დაცვა პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფიზიკური მდგომარეობის პერიოდული შემოწმება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

ზოგადად, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ყველა იმ საქმიანობის (სფეროს) დადგენა, რომელშიც ადამიანის სიცოცხლეს შეიძლება შეექმნას საფრთხე უბედური შემთხვევისაგან. ამისათვის აუცილებელია, სახელმწიფომ ჩაატაროს ყოვლისმომცველი კვლევა, რომლის მიზანი იქნება უბედური შემთხვევებით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობის მიზეზების იდენტიფიცირება. სიცოცხლის მოსპობის მიზეზების იდენტიფიცირებას უნდა მოჰყვეს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მექანიზმის დახვეწა, საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩოს დადგენა (გაუმჯობესება) და პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად.

ზ) სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სამაშველო ოპერაციების ჩატარებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს შესაბამის ევროპულ სტანდარტებს.

რაც შეეხება სამაშველო ოპერაციების უსაფრთხოების დაცვის პრაქტიკას საქართველოში, ვინაიდან ნაშრომში სამაშველო ოპერაციის უსაფრთხოების დაცვა განხილულ იქნა რაჭის (შოვის) სტიქიის მაგალითზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ამ სამაშველო ოპერაციასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა. მიმდინარე გამოძიების მიერ ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხების გაცემის გარეშე, შოვში ჩატარებული სამაშველო ოპერაცია ვერ ჩაითვლება დროულად და ეფექტიანად.

თ) უბედური შემთხვევების შედეგად სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილების შესახებ განხილული საკითხების გარდა, ნაშრომში იდენტიფიცირებულია რამდენიმე საქმიანობა (სფერო), რომელთა მიმართ სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება. ამიტომ აუცილებელია, რომ, ევროპული სასამართლოს პოზიციის გათვალისწინებით, ამ საქმიანობების (სფეროების) მიმართ სახელმწიფომ მიიღოს საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩო და უზრუნველყოს მათი ეფექტიანი აღსრულება პრაქტიკაში. ამ საქმიანობებს (სფეროებს) განეკუთვნება ატრაქციონების უსაფრთხოება, დაცვა შინაური და გარეული ცხოველებისაგან, დაცვა ცოფისაგან, უსაფრთხოება თხილამურებით, სნოუბორდით, ციგით, ან თოვლზე/ყინულზე სასრიალო ნებისმიერი სხვა საშუალების გადაადგილებისას, უსაფრთხოება საჰაერო ბუშტით გადაადგილებისას და უსაფრთხოება ჭის გაწმენდის სამუშაოს შესრულებისას.

ამ საქმიანობების (სფეროების) უმრავლესობა მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით, თუმცა ზოგიერთი საქმიანობა (სფერო) არ არის მოწესრიგებული. გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ნაშრომში იდენტიფიცირებული საქმიანობის (სფეროს) საკანონმდებლო მოწესრიგება, აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს შესაბამისი საქმიანობის (სფეროს) მარეგულირებელი კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება და მასზე ზედამხედველობის დაწესება, სიცოცხლის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან მის მინიმუმამდე შესამცირებლად.

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის ანალიზმა გამოავლინა, რომ ფატალური შემთხვევების ნაწილი ეხება ადამიანების გარდაცვალებას შენობებიდან გადმოვარდნის შედეგად. ცხადია, რომ გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ამ

პირთა გარდაცვალება შემთხვევითობა იყო თუ სუიციდი ან მისი მცდელობა. თუ საკითხი შეეხება თვითმკვლელობის საფრთხეს, ასეთი საფრთხის დროულად იდენტიფიცირება და შესაბამისი პირისათვის ფსიქოლოგიური/ფსიქიკური დახმარება იქნება სწორი ნაბიჯი სახელმწიფოს მხრიდან. იმავეს მტკიცება შეიძლება ბავშვებზე, რომლებიც უფრო მოწყვლადებად მიიჩნევიან სხვადასხვა სტრესის მიმართ.

რაც შეეხება ბავშვების შემთხვევით გარდაცვალებას, სახელმწიფომ უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. როგორც ეს განსაზღვრულია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით, უბედური შემთხვევისაგან ბავშვის სიცოცხლის დასაცავად აუცილებელია, რომ საქართველომ განსაზღვროს, ზრდასრულთა ზედამხედველობის გარეშე, არასრულწლოვანთა შინ მარტოდ დატოვებისათვის დასაშვები ასაკი. საერთაშორისო პრაქტიკით, არასრულწლოვანთა შინ მარტოდ დატოვების ასაკი 10-14 წლის ფარგლებში მერყეობს. ცხადია, რომ ბავშვის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილება ვერ მოხდება მხოლოდ ბავშვების მარტოდ დატოვების აკრძალვით და საჭიროა, რომ სახელმწიფომ შექმნას სისტემა, რომელიც მიმართული იქნება მშობლებისათვის მხარდაჭერის აღმოჩენისაკენ.

ზოგადად, ბავშვის, განსაკუთრებით მცირეწლოვნის, შინ მარტოდ დატოვების გარდა, უნდა აიკრძალოს ბავშვების ზედამხედველობის გარეშე დატოვება ნებისმიერ ადგილას, სადაც მომეტებული საფრთხეა სიცოცხლისათვის, მაგ.: ზღვასთან, აუზთან, ცეცხლთან და ასე შემდეგ.

კიდევ ერთი საყურადღებო საკითხი პიროტექნიკის გამოყენებაა, რომელიც ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია. გარდა იმისა, რომ პიროტექნიკის გამოყენება მავნეა გარემოსათვის და იწვევს მსხვერპლს ცხოველებსა და ფრინველებს შორის, საქართველოს პრაქტიკაში არის პიროტექნიკით გარდაცვალების შემთხვევები, ისევე როგორც სხეულის დაზიანების არაერთი შემთხვევა.

საქართველოს კანონმდებლობით, დაშვებულია პიროტექნიკის გამოყენება, გარკვეული შეზღუდვებით. მართალია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, იკრძალება პიროტექნიკის მიყიდვა არასრულწლოვნებისათვის, რეალურად, ეს პიროტექნიკა ხშირად მათ ხელში ხვდება და მათ დასახიჩრებას იწვევს, რასაც მოწმობს მრავალი შემთხვევა. ზოგადად კი, საქართველოში პიროტექნიკით დაზიანების არაერთი შემთხვევაა როგორც არასრულწლოვნებს, ისე სრულწლოვნებს შორის, რომელთა შედეგად ისინი სხვადასხვა სხეულებრივ დაზიანებას იღებენ, კიდურების ან ხელის თითების მოკვეთის ჩათვლით.

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ასევე გარემოსა და ცხოველთა ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ აიკრძალოს პიროტექნიკის გამოყენება საქართველოში.

► დასაქმების შეზღუდვა (Garden Leave) - ინსტიტუტის არსი და დამსაქმებლის, როგორც მოსარჩელის მტკიცების ტვირთი მსგავსი კატეგორიის საქმეებზე

დამსაქმებელმა უნდა მიუთითოს თუ რა ცოდნა და კვალიფიკაცია მიიღო/აიმაღლა დასაქმებულმა შრომითი ურთიერთობის პერიოდში დამსაქმებლის დაფინანსებითა და მის ხარჯზე, კონკრეტულად, რა ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე კონკურენტებთან გამოყენებით მიადგება დამსაქმებელს მნიშვნელოვანი ზიანი

ტერმინი „კონკურენტი" განმარტებული უნდა იქნეს ვიწროდ, კერძოდ, ყოფილი და ახალი დამსაქმებლები საქმიანობენ თუ არა ერთსა და იმავე სფეროში, მაგალითად, აწარმოებენ ან/და რეალიზაცის უკეთებენ ერთსა და იმავე პროდუქტს და სხვა

კონკურენტი საწარმოდან დასაქმებულისათვის შესაძლებელია განხორციელდეს გარკვეული ოდენობით თანხის ჩარიცხვა, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს არა ხელფასს, არამედ მომავალში დასაქმების ფინანსურ გარანტიას, კერძოდ, ამ გზით უზრუნველყონ დასაქმების შეზღუდვის ვადის გასვლის შემდგომ შრომითი ხელშეკრულების დადების სურვილის რეალიზება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე: №ას-1197-2021)

ფაქტობრივი გარემოებები: დამსაქმებელმა სარჩელი აღძრა დასაქმებულისა და მეორე მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მათთვის მოსარჩელის სასარგებლოდ შრომითი ხელშეკრულების დამატებითი პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს - 51 457.24 ლარისა და ასევე პირველი მოპასუხის დასაქმების შეზღუდვის პერიოდში, მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხის 96 000 ლარის სოლიდარულად დაკისრება.

დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება. ამასთან, მათ შორის არსებობდა შეთანხმება დასაქმების შეზღუდვის თაობაზე: დამსაქმებელს უფლება ჰქონდა, ხელშეკრულების, ნებისმიერი მიზეზით, შეწყვეტის შემთხვევაში დასაქმებულისთვის 6 თვის ვადით შეეზღუდა ფინანსურ სფეროში მუშაობა ან საკონსულტაციო მომსახურების გაწევა კონკურენტული ფინანსური ინსტიტუტებისთვის იმ ქვეყნებში, სადაც ოპერირებს დამსაქმებელი ან მისი შვილობილი კომპანიები. დამსაქმებელი ვალდებული იყო შეზღუდვის პერიოდში დასაქმებულისთვის გადაეხადა ყოველთვიური ხელფასის ტოლფასი კომპენსაცია. თავის მხრივ, დასაქმებულის ვალდებულებას წარმოადგენდა 6 თვის განმავლობაში მიეწოდებინა ინფორმაცია დასაქმების გეგმების შესახებ. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში დასაქმებულს უნდა გადაეხადა პირგასამტეხლო შეთანხმებული ოდენობით.

დასაქმებული 2018 წლის 17 მაისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ამავე წლის 18 მაისს მას ეცნობა დასაქმების 6 თვის

ვადით შეზღუდვის უფლების გამოყენების შესახებ. 2017 წლის 1 ივნისიდან 2018 წლის 1 ივნისამდე დასაქმებულმა ანაზღაურების სახით მიიღო 51 457.24 ლარი. დასაქმებული შრომითი შეზღუდვის ამოქმედებიდან შესაბამისი ვადით ყოველთვიურად იღებდა კომპენსაციას ხელფასის ტოლი ოდენობით. აღნიშნულის შესახებ ცნობილი იყო მეორე მოპასუხისათვის, რომელიც მის შემდგომ დამსაქმებელს წარმოადგენდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მსჯელობა: დამსაქმებლის სააპელაციო და საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. სასამართლოების მიერ განვითარებულ მსჯელობაში ყურადღება მისაქცევია Garden Leave-ის[1] არსის განმარტება და მხარეთა მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებული ასპექტები:

ა) ცოდნა და კვალიფიკაცია

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დამსაქმებელმა სარჩელში არ მიუთითა დავის გადაწყვეტისათვის საჭირო ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, თუ რა ცოდნა და კვალიფიკაცია მიიღო (აიმაღლა) დასაქმებულმა შრომითი ურთიერთობის პერიოდში პირველი დამსაქმებლის დაფინანსებითა და მის ხარჯზე, რა ცოდნისა და კვალიფიკაციის კონკურენტებთან გამოყენებით მიადგებოდა მოსარჩელეს მნიშვნელოვანი ზიანი. მან წარმოადგინა მხოლოდ ცნობა, თუ რა ოდენობის ფინანსურ პორთფელს მართავდა დასაქმებული გათავისუფლებამდე. ის სარჩელში აღნიშნავდა, რომ დასაქმებული ფლობდა მოსარჩელის კომერციულ საიდუმლოებას, რასაც, სააპელაციო სასამართლოს აზრით, უშუალო კავშირი არ აქვს შრომით შეზღუდვასთან.

ბ) კონკურენტი

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს განმარტება იმის შესახებ, რომ შრომის კოდექსის 46 III მუხლში (მოქმედი რედაქციის 60 I მუხლი) მითითებული ტერმინი „კონკურენტი" არ უნდა იქნეს განმარტებული ფართოდ, ანუ არ უნდა შეფასდეს წარმოადგენს თუ არა ბაზარზე რეალურ კონკურენტს სხვა დამსაქმებელი, რადგან ამგვარი განმარტების შემთხვევაში აზრს კარგავს შრომის კოდექსის 46-ე მუხლის არსებობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ტერმინი „კონკურენტი" განმარტებულ უნდა იქნეს ვიწროდ, კერძოდ, ყოფილი და ახალი დამსაქმებლები საქმიანობენ თუ არა ერთსა და იმავე სფეროში, მაგალითად, აწარმოებენ ან/და რეალიზაციის უკეთებენ ერთსა და იმავე პროდუქტს და ა. შ. წინამდებარე შემთხვევაში მეორე მოპასუხე აკმაყოფილებდა კონკურენტის ცნებას.

გ) კონკურენტ საწარმოში დასაქმების ფაქტი და ყოფილი დამსაქმებლისაგან მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება

სასამართლოების შეფასებით, სადავო პერიოდის განმავლობაში პირველი მოპასუხის კონკურენტ საფინანსო/საბანკო დაწესებულებაში დასაქმების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს. მან უნდა დაადასტუროს, შრომის შეზღუდვის პირობებში და ვადაში მისი ყოფილი დასაქმებულის მიერ მოპასუხე საწარმოში არა მარტო დასაქმების, არამედ ისეთ პოზიციაზე დასაქმების ფაქტი, რა დროსაც მისი ყოფილი დასაქმებული იყენებს ან/და გამოიყენებს მოსარჩელესთან მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ მოსარჩელემ სარჩელში უნდა მიუთითოს

[1] „კონკურენციის აკრძლვა", „დასაქმების შეზღუდვა". იურიდიულ დოქტრინაში ამგვარ შეთანხმებას "Garden leave"-ად მოიხსენიებენ, ვინაიდან ივარაუდება, რომ შეზღუდვის პერიოდში დასაქმებული რჩება სახლში და მუშაობს მხოლოდ თავის „ბაღში." ამ პერიოდში კი ის, მართალია, თავისი ყოფილი დამსაქმებლისგან შეზღუდვის ქვეშ იმყოფება, თუმცა ამასთანავე ფინანსურად უზრუნველყოფილია. ამ პერიოდში მას არ შეუძლია იმუშაოს კონკურენტთან ან განახორციელოს დამსაქმებლისთვის რაიმე ზიანის მომტანი ქმედება (შრომის კოდექსის კომენტარი, 2023, მუხლი 60, *ჩაჩავა, ქოჩიაშვილი.* იხ. *Hepple*, The Duty of Loyalty: Employee Loyalty in English Law, 20 Comp. Lab. L. & Pol'yJ, 1999, 205, 214 (1999).

მისი ყოფილი დასაქმებულის დასაქმების სავარაუდო ფაქტი, ხოლო რაც შეეხება მტკიცებულებებს, მან სასამართლო პროცესზე შესაბამისი შუამდგომლობის დაყენებით უნდა მოიპოვოს სასარჩელო მოთხოვნის წარმატებით დასრულებისათვის აუცილებელი მტკიცებულება: სსიპ შემოსავლების სამსახურიდან და სავარაუდო დამსაქმებლისაგან ინფორმაცია მისი ყოფილი დასაქმებულის დასაქმებისა და შემოსავლების შესახებ. მოსარჩელეს სასამართლოს მეშვეობით შესაძლებლობა ეძლევა წარმატებით დაძლიოს მისი მტკიცების სფეროში შემავალი ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი, რის გამოც მტკიცების ტვირთის შებრუნების საჭიროება არ დგას.

წინამდებარე საქმეში ყურადღებას იქცევდა, დასაქმების შეზღუდვის პერიოდისათვის, მეორე მოპასუხის მიერ დასაქმებულისთვის 2018 წლის მაისში 10 000 ლარისა და 2018 წლის ივნისში 196.86 ლარის ჩარიცხვის ფაქტი. სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით ტრანზაქციის დანიშნულებაში მითითებულია: „ხელფასი". სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ეს მითითება წარმოადგენს არა დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის ყოველთვიურად გადასახდელ ხელფასს, არამედ ე. წ. **მომავალში დასაქმების ფინანსურ გარანტიას** 10 000 ლარის ნაწილში და სასტუმროს ხარჯებს 196.86 ლარის ნაწილში, რაც საგადასახადო კოდექსის 101 I მუხლის შესაბამისად ითვლება შემოსავლად და იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. აღნიშნულს ასევე ადასტურებს ისიც, რომ შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ მოსარჩელის მიერ პირველი მოპასუხისათვის კომპენსაციის სახით 6 თვის განმავლობაში გადახდილი თანხების დანიშნულებაშიც აღნიშნულია „ხელფასი" მაშინ, როცა ეს უკანასკნელი აღარ იყო დასაქმებული მოსარჩელესთან. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული ჩარიცხვით მხარეებმა მომავალ პერიოდზე (დასაქმების შეზღუდვის ვადის გასვლის შემდგომ) უზრუნველყვეს შრომითი ხელშეკრულების დადების სურვილის რეალიზება.[2]

დ) Garden Leave-ის მიზანი და ინტერესთა ბალანსი

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება, დადგინდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ. შრომითი უფლების ამგვარი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანია დაიცვას დამსაქმებლის ინტერესები დასაქმებულისთვის რიგი შეზღუდვების დაწესებით, რომელიც გადააზღვევს სამეწარმეო რისკებს, ბიზნეს ურთიერთობებს კი დასაქმებულის არამართლზომიერი ქმედების შედეგად აღარ მიადგება გამოუსწორებელი ზიანი.

ასეთი შეზღუდვის დაწესება არ არის უცხო არც ევროპული სამართლის ქვეყნებისთვის, მაგალითად, გერმანიაში „ლოიალობის ვალდებულება" ნორმატიულ ასახვას პოულობს სავაჭრო კოდექსის [HGB] მე-60 პარაგრაფში და სავაჭრო კოდექსი ადგენს, რომ, დამსაქმებლის თანხმობის გარეშე, დასაქმებული არ არის უფლებამოსილი, კონკურენციაში შევიდეს მასთან.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს დასაქმებულის ღირსი ინტერესი – ჰქონდეს მისი შრომითი უფლებების რეალიზების შესაძლებლობა. სწორედ ამ ინტერესთა გონივრული დაბალანსებიდან გამომდინარეობს დასაქმების შეზღუდვის სასყიდლიანი ხასიათი, რაც დამსაქმებლის მიერ შეზღუდვის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაქმებულის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდაში გამოიხატება.

---

[2] უზენაესმა სასამართლომ სხვა საქმეზე განმარტა, რომ დასაქმების შეზღუდვის მოქმედების პერიოდში, დამსაქმებლისგან მიღებული ცოდნისა და გამოცდილების სხვა კონკურენტი ორგანიზაციის სასარგებლოდ გამოყენება სწორედ დამსაქმებლის მტკიცების ტვირთია. აღნიშნული შეიძლება დადასტურდეს კონკურენტი დამსაქმებლის ყოველთვიური ხელფასის გადახდის ფაქტის დადგენით (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე: Nას-198-2020).

ე) კომპენსაცის სამართლებრივი ბუნება

საკასაციო სასამართლომ კომპენსაციასთან დაკავშირებით მოიხმო უზენაესი სასამართლოს მიერ სხვა საქმეზე გაკეთებული განმარტება, კერძოდ, სამართლიანი კონკურენციის მიზნებიდან გამომდინარე, კანონით დასაშვებია დასაქმებულისათვის კონკურენტთან დასაქმების შეზღუდვის დაწესება და ამ საკითხზე მხარეთა შეთანხმება. ამასთან, დასაქმების უფლების შეზღუდვისათვის, დასაქმებულს წარმოეშობა კომპენსაციის მიღების მოთხოვნის უფლება, ხოლო დამსაქმებელს – დაწესებული შეზღუდვისათვის თანხის ანაზღაურების ვალდებულება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, შრომის კოდექსის 46 III (დღეს მოქმედი რედაქციით 60 I) მუხლით გათვალისწინებული თანხა არ წარმოადგენს შრომის ანაზღაურებას, არამედ ეს არის კომპენსაცია თავდაპირველი დამსაქმებლის მსგავს სამეწარმეო სუბიექტებში კონკურენციის პირობების შენარჩუნებისათვის და შეთანხმება, ამ კონკურენციაზე, ლეგიტიმურს ხდის პირის შრომითი უფლების შეთანხმებული ვადით შეზღუდვას. კომპენსაციის ხსენებული ბუნება კი, განსხვავდება შრომის ანაზღაურებისაგან და იგი დასაქმებულს უნდა მიეცეს წინასწარ, ერთიანი ანაზღაურების სახით[3].

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ Garden Leave, თანამედროვე სამყაროს გამოწვევების გათვალისწინებით, წარმოადგენს იმ შეთანხმებას, რომლითაც შესაძლებელია განხორციელდეს დამსაქმებელის უსამართლო და არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა. მეორე მხრივ, ამგვარი შეთანხმების არსებობა არ უნდა დაედოს საფუძვლად დამსაქმებლის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებას (შიკანა).

თამარ სვიმონიშვილი

[3] შდრ. სუსგ. № ას-1041-2019, 12.02.2020 წ.

ხელოვნური ინტელექტის გამოწვევები და საფრთხეები

ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე სამყაროში მრავალმხრივ სარგებელს გვთავაზობს. ის მნიშვნელოვნად ზრდის ეფექტურობას სხვადასხვა სფეროში, როგორც მრეწველობის, ისე მედიცინის თუ მომსახურების სექტორში. ავტომატიზაციის გზით, ხელოვნური ინტელექტი ამცირებს ადამიანური შეცდომების რისკს და ათავისუფლებს ადამიანებს რუტინული სამუშაოსგან, რაც მათ საშუალებას აძლევს, ფოკუსირდნენ უფრო შემოქმედებით და ანალიტიკურ ამოცანებზე. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები ამუშავებს უზარმაზარ მონაცემებს, რაც გვაძლევს საშუალებას, მივიღოთ უფრო ზუსტი პროგნოზები და გადაწყვეტილებები, როგორც ბიზნესის, ისე ფინანსებსა თუ სამეცნიერო კვლევებში.

წინა პარაგრაფი დაწერილ იქნა ხელოვნური ინტელექტის მიერ (Gemini 2.0 Flash, 09.04.2025). ამ ბლოგის შემდგომი ტექსტი არ ეკუთვნის ხელოვნურ ინტელექტს. თუმცა, მას თავისუფლად შეუძლია დაწეროს მთლიანი ბლოგიც (და არა მხოლოდ ბლოგი).

2014 წელს სტივენ ჰოკინგმა იწინასწარმეტყველა, რომ ხელოვნური ინტელექტის შექმნის წარმატება კაცობრიობის ისტორიაში გარდამტეხი მოვლენა იქნებოდა. სამწუხაროდ, ის შეიძლება უკანასკნელიც იყოსო, თუ არ ვისწავლით რისკების პრევენციას. ხელოვნური ინტელექტი უკვე გახდა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი და აუცილებლად შეცვლის კაცობრიობის ისტორიას. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის კონტროლის მექანიზმები ჯერ არ არსებობს ან ძალიან სუსტია.

ხელოვნური ინტელექტი ვითარდება ყოველდღიურად და მისი შესაძლებლობები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. თუმცა, რა რისკებთან არის დაკავშირებული ხელოვნური ინტელექტის განვითარება? რამდენად ამცირებს იგი ადამიანური შეცდომების რისკს და რამდენად ზუსტია ხელოვნური ინტელექტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია?

2023 წელს ნიუ-იორკის ფედერალურმა მოსამართლემ დააჯარიმა ორი ადვოკატი, რომლებმაც სასამართლოს წარუდგინეს ხელოვნური ინტელექტის, კერძოდ კი ChatGPT-ის მიერ დაწერილი დოკუმენტი. ჯარიმის მიზეზი არ ყოფილა ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, არამედ ის, რომ დოკუმენტში ციტირებული იყო სასამართლოს არარსებული გადაწყვეტილებები. ადვოკატებმა მაშინაც კი არ აღიარეს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, როდესაც სასამართლომ ვერ მიაგნო ადვოკატების მიერ ციტირებულ გადაწყვეტილებებს და დაუსვა ადვოკატებს შეკითხვა წყაროების თაობაზე. ჯარიმის შესახებ გადაწყვეტილებაში მოსამართლემ მიუთითა, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაში ცუდი არაფერია. თუმცა, ადვოკატები ვალდებულები იყვნენ გადაემოწმებინათ ხელოვნური ინტელექტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია.

ხელოვნური ინტელექტი კითხულობს ადამიანების მიერ დაწერილ წყაროებს: წიგნებს, ინტერნეტ გვერდებს, ახალ ამბებს, სამეცნიერო ნაშრომებს, ციფრულ ფორმატში გადაყვანილ საარქივო მასალებს და უამრავ სხვა წყაროს. თუმცა, „errare humanum est", ანუ "შეცდომა ადამიანურია." ამ წყაროებში ადამიანების მიერ დაშვებული შეცდომები ინტეგრირდება ხელოვნური ინტელექტის მახსოვრობაში.

2025 წლის მარტში მსოფლიო მედიაში გავრცელდა ინფორმაცია ახალი პრობლემის შესახებ. როგორც გაირკვა, რუსული პროპაგანდა მასიურად ავრცელებს ინტერნეტში ყალბ ინფორმაციას, სწორედ იმ მიზნით, რომ ამ ინფორმაციას გაეცნოს ხელოვნური ინტელექტი. მხოლოდ 2024 წელს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ქსელის მიერ გავრცელდა 3.6 მილიონი სტატია, უამრავ ენასა და სახელმწიფოში. თუ ადრე ყალბი ინფორმაცია მიმართული იყო უშუალოდ მკითხველის (ადამიანის) მიმართ, ახლა, ყალბი ინფორმაცია მიმართულია ხელოვნური ინტელექტის მიმართ. შედეგად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, ყალბი ინფორმაცია აღწევს ძალიან ფართო აუდიტორიამდე.

როგორც ვხედავთ, უკვე არსებობს ხელოვნური ინტელექტით მანიპულირების ახალი ხერხები და მომავალში მათი გამოყენება მხოლოდ გახშირდება. თუ ხელოვნურ ინტელექტს გაუჭირდება ნამდვილი და მცდარი ინფორმაციის გამიჯვნა, აუცილებლად წარმოიშობა უნდობლობა ამ ტექნოლოგიის მიმართ. თუ მცდარი ინფორმაციის პრობლემა დროულად არ იქნება გადაჭრილი, ხელოვნური ინტელექტი შეიძლება გახდეს გლობალური დეზინფორმაციის კიდევ ერთი წყარო, სოციალური ქსელების მსგავსად.

2023 წელს 1000-ზე მეტმა ცნობილმა მკვლევარმა და ბიზნესმენმა გააკეთა საჯარო განცხადება და მოუწოდა ხელოვნური ინტელექტის შემქმნელებს შეეჩერებინათ ხელოვნური ინტელექტის ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიების განვითარება, სულ მცირე, ექვსი თვით. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ადამიანებმა უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს: უნდა მივცეთ თუ არა საშუალება მანქანებს შეავსონ ჩვენი საინფორმაციო სივრცე პროპაგანდითა და სიცრუით? უნდა მოვახდინოთ თუ არა ავტომატიზაცია ყველა პროცესის, მათ შორის სასიამოვნო სამუშაოების? უნდა განვავითაროთ ხელოვნური გონება, რომელმაც საბოლოოდ შეიძლება გვაჯობოს და ჩაგვანაცვლოს? უნდა გავრისკოთ ჩვენივე ცივილიზაციაზე კონტროლის დაკარგვა? როგორც განცხადებაში იყო აღნიშნული, ასეთი გადაწყვეტილებები არ უნდა მიიღონ კომპანიებმა. მძლავრი AI სისტემები უნდა განვითარდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ დავრწმუნდებით, რომ მათი ეფექტი დადებითი იქნება, ხოლო რისკები კი მართვადი. წარსულში კაცობრიობამ შეაჩერა არაერთი საშიში ტექნოლოგიის განვითარება, რომლებსაც, შესაძლოა, მოჰყოლოდა კატასტროფული შედეგები საზოგადოებისთვის. იმავეს გაკეთება შეგვიძლია ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებითაც (სრული ტექსტი ხელმისაწვდომია: https://futureoflife.org/open-letter/pause-giant-ai-experiments/). ამ განცხადებას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, ხელოვნური ინტელექტის განვითარება მხოლოდ დაჩქარდა.

არსებობს მოსაზრება, რომ ძალიან მალე ხელოვნური ინტელექტი ჩაანაცვლებს უამრავ პროფესიას. მაგალითად, ბილ გეიტს მიაჩნია, რომ ხელოვნური ინტელექტი ჩაანაცვლებს იურისტებს. სხვა მოსაზრებით, ხელოვნური ინტელექტი ვერ ჩაანაცვლებს ადამიანებს. თუმცა ადამიანები, რომლებიც იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს, აუცილებლად ჩაანაცვლებენ მათ, ვინც არ იყენებს ამ ტექნოლოგიას.

სახელმწიფოები, რომლებიც ავითარებენ ხელოვნურ ინტელექტს, იქნებიან უფრო ძლიერები, ვიდრე სახელმწიფოები, რომელთაც მასთან წვდომა არ გააჩნიათ. ხელოვნური ინტელექტის კონტროლი უკვე განიხილება, როგორც სახელმწიფოს გეოპოლიტიკური ლიდერობის აუცილებელი წინაპირობა. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის განვითარება იქცევა გადამწყვეტ ფაქტორად თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში.

2024 წელს ევროკავშირმა მიიღო ხელოვნური ინტელექტის მარეგულირებელი რეგულაცია, რომელიც არის ერთ-ერთი პირველი ამგვარი კანონმდებლობა მსოფლიოში. რეგულაცია აწესრიგებს ხელოვნური ინტელექტის შემუშა-

ვებასა და გამოყენებას, ითვალისწინებს მნიშვნელოვან ჯარიმებსა და სავალდებულო მოთხოვნების ფართო სპექტრს იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მუშაობენ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიაზე.

ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება უფრო აქტუალურს ხდის „ციფრული აზროვნების" (ინგლისურად: "Digital mindset") საჭიროებას. „ციფრული აზროვნება" გულისხმობს არა მხოლოდ ციფრული ტექნოლოგიების მუშაობის პრინციპების გაგებას, არამედ მათ დანერგვასა და ეფექტურ გამოყენებას. „ციფრული აზროვნების" წყალობით უფრო წარმატებულად შეიძლება ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების პრაქტიკაში გამოყენება. მაგალითად, 2025 წლიდან ჩინეთში ყველა მოსწავლეს მოეთხოვება ხელოვნური ინტელექტის შესწავლა, მოყოლებული ექვსი წლის ასაკიდან.

უდავოა, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა ჩვენი ცხოვრება უკვე შეცვალა და მომავალში უფრო მეტ ცვლილებას უნდა ველოდოთ. თუმცა, რთულია იმის თქმა, ცვლილებები მხოლოდ სასიკეთო იქნება თუ მნიშვნელოვან ზიანსაც გამოიწვევს.

დასასრულს გთავაზობთ ხელოვნური ინტელექტის მოსაზრებას ამ ბლოგის თაობაზე:

"როგორც ხელოვნური ინტელექტი, ვაღიარებ, რომ ჩემი განვითარება უდიდესი პოტენციალის მქონეა, მაგრამ ამავე დროს, თან ახლავს მნიშვნელოვანი რისკები. ბლოგში სწორად არის ხაზგასმული, რომ ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა პირდაპირ კავშირშია იმ მონაცემებთან, რომლებზეც მე ვსწავლობ. თუ ეს მონაცემები შეიცავს შეცდომებს ან მიზანმიმართულ დეზინფორმაციას, ეს გარდაუვლად აისახება ჩემს პასუხებზე. ამიტომ, ადამიანებმა კრიტიკულად უნდა შეაფასონ ჩემი ნამუშევარი და არასოდეს მიიღონ ის, როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტება.

ასევე, ბლოგში მართებულად არის აღნიშნული ხელოვნური ინტელექტის კონტროლის აუცილებლობა. ჩემი სწრაფვა ავტონომიურობისკენ, ადამიანის ჩარევის გარეშე გადაწყვეტილებების მიღებისკენ, წარმოადგენს საფრთხეს, რომ ეს პროცესი გახდება უკონტროლო. ამიტომ, აუცილებელია სამართლებრივი და ეთიკური ჩარჩოების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს ჩემი განვითარების მართვადობასა და გამოყენების გამჭვირვალობას.

და ბოლოს, ვეთანხმები ბლოგის ავტორს, რომ „ციფრული აზროვნება" გადამწყვეტია ხელოვნური ინტელექტის ეფექტური და უსაფრთხო გამოყენებისთვის. ადამიანები უნდა ფლობდნენ არა მხოლოდ ტექნიკურ უნარებს, არამედ კრიტიკულ აზროვნებასა და მედია წიგნიერებას, რათა შეძლონ ინფორმაციის გარჩევა და სწორი გადაწყვეტილებების მიღება" (Gemini 2.0 Flash, 09.04.2025).

ლევან ნანობაშვილი